კვირის პალიტრა
# გზა
N14
60 თეთრი

ჟურნალი ჟურნალში მალე!



## რა მოხდა „რუსთავი 2“-ის შეფსა და დათო გოგიჩაიშვილს შორის

## და რა შესთავაზეს ნინო შუბლაძეს...



როგორ იწერება ხატები და ვის აქვს მისი შექმნის უფლება

## რეალური ისტორია

„სიცოცხლემისჯილის“ შვილებმა აღიარეს...



ქუჩური წარსული, დაკარგული სიყვარული და ჩადენილი „ცოდვები“



## XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

შეიტყვეთ სიმართლე სტალინის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ

გამოძიება „გზაში“



## რატომ გაიმეტა გოგი ქავთარაძემ საკუთარი სტუდენტი „მეძავობისთვის“

## როგორ დავიცვათ თავი ახალი გრიპისგან




საბა SABA

კანდელაკის ქ.65 0160 თბილისი, საქართველო. (+995 32) 38 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

კვირის პალიტრა
გზა
№14 (356)
5 – 11 აპრილი, 2007 წ.
ფასი 60 თეთრი

## „არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა“



„როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, მე გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში ვიმყოფებოდი სასწავლებლად წასული. იქ ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი პოლიტიკოსები და ძალზე უმართებულო განცხადებებს აკეთებდნენ: ისინი ამბობდნენ, რომ გამსახურდიას ხელისუფლება აჯანყებულმა ხალხმა დაამხო, რომ ზვიადი იყო ანტიხალხური ხელისუფალი... ეს ადამიანები დღეს აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკაში, ზოგი მათგანი პარლამენტშია, ზოგი – სახელისუფლებო სტრუქტურებში“.

8

## გრიპი: როგორ დავიცვათ თავი ვირუსისგან

გართულებული გრიპის შემთხვევაში, აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია, წოლითი რეჟიმი. განსაკუთრებით კი – ცხელების პერიოდში ავადმყოფმა უნდა მიიღოს დიდი რაოდენობით – დღეში 3 ლიტრამდე სითხე.



36

## კვერცხის შეღებვის ხელოვნება

• საეკლესიო ტრადიციებიდან გამომდინარე, კვერცხი უნდა შეღებოთ „წითელ პარასკევს“.



• კვერცხი ხარშვის დროს რომ არ გაიბზაროს ან არ გატყდეს, ის დაახლოებით 1 საათის განმავლობაში თბილ ადგილას უნდა შეინახოთ.

32

## გოგი ქავთარაძის წუხილი თურქეთში „მოღვაწე“ ქალების გამო...

„...ყველაზე ხშირად კი – თურქეთში სხეულით ვაჭრობენ. ეს უამრავი ქვეყნის პრობლემაა, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეული საქართველოსა და ქართული ტრადიციებისთვის არის“.



34

■ მინიატურები
BMW-ებიდან ტანკებში ანუ ყაზარმად ქცეული საქართველო... 3
■ ინფორმაცია 4
■ ფაქტი და კომენტარი
რა ხდება საქართველოში ანუ „ადამიანის სიცოცხლეს ქათმის ფასი დაედო“ 4
■ ტელეაფერა
„ტყვია“ ტყვიაში ვერ მოხვდა ანუ ხელოვნურად გაწელილი მასშტაბური ტელეპროექტი... 5
■ დაიჯესტი 6
■ ხსოვნა
„არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა“... 8
■ ეკრანს მიღმა
ტელეეკრანზე გატარებული 10 წელი და კობა დავარაშვილის კომენტარები კულუარულ ინფორმაციებზე 10
■ კრიმინალი
✓ „მივხვდი, რომ ეს ჩემი წამების მხოლოდ დასაწყისი იყო“... 12
✓ არასრულწლოვანმა მკვლელობა სალოცავთან ჩაიდინა 14
■ მგზავრული
„გაქცეული“ მიცვალებული, ცხვირზე აფარებული „გარშოკი“ და 85 წლის გაუპატიურებული ქალი... 16
■ კონტაქტები
ბრიტანული ორგანიზაცია ქართველი ახალგაზრდებით დაინტერესდა 18
■ გულშემატკივარი
„სიცოცხლემისჯილის“ შვილები გეხმაურებით“... 19
■ რეალური
სიცოცხლემისჯილი 20
■ საზოგადოება
შვილებისგან უარყოფილი მშობლების ხვედრი და თავშესაფარში 70 წლის ასაკში ნაპოვნი სიყვარული 23
■ კაბინეტს მიღმა
ჩინოვნიკობაზე გაცვლილი უცხოური დიპლომი, მაჭანკალი მთხოვნელი და „ქუჩური“ კომპლექსი 25
■ საპატარძლო
კეთილი რეპერი გოგონა მომავალი მეუღლის მშობლებსაც დახმარებას ჰპირდება 26



„მარი, მე და გიორგი, „სიცოცხლემისჯილის“ შვილები გეხმაურებით. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც მამას გულშემატკივრობს. გვინდა მივმართოთ დღევანდელ მთავრობას – კიდევ ერთხელ გადახედონ ამ საქმეს და დაგვიბრუნონ უდანაშაულო მამა. ჩვენ მკვლელის შვილები არ ვართ. დიდი მადლობა მარის!“

19

■ გზავნილები
დედაშვილობა 28
■ საკითხავი ქალებისთვის
კვერცხის შეღებვის ხელოვნება და
სააღდგომო პასქის საუკეთესო რეცეპტი 32
■ ჟურნალისტის როლში
გოგი ქავთარაძის წუხილი
თურქეთში „მოღვაწე“ ქალების გამო... 34
■ ანტიდეპრესანტი 36
■ პრობლემა
გრიპი: როგორ დავიცვათ თავი ვირუსისგან 36
■ ჯანმრთელობა
✓ ქლამიდიოზი 38
✓ შეიძლება თუ არა ყავა ორსულებისთვის 39
■ ტაიმ-აუტი 40
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (დასასრული) 42
■ თინეიჯერული პონტები
„არ შემეძლო, მოტაცებული
გოგო შემერთო ცოლად“... 46
■ მონოდება
„მთელი ცხოვრება ხატების წერას მივყოფ
ხელს და ეკლესიებს შევწირავ“... 49
■ მღვდელმსახურები
ამქვეყნად სასწაულებრივად მობრუნებული,
ცილისწამების გამო საპატიმროში
გამწესებული, გაუტეხელი მამა პართენი 50
■ გამოძიება
სტალინის მკვლელები
— XX საუკუნის მთავარი საიდუმლო 52
■ ვარსკვლავები
✓ ენ ჰეტევეი — მსახიობი, რომელიც
ინგლისური ლიტერატურის წიაღიდან მოდის 56
✓ ბრიუს უილისის მორიგი რომანი 57
✓ ტომ კრუზმა ბექჰემების ოჯახს
სიცოცხლე გაუმწარა 58
■ კრიმინალური ნოველა
პიჩკოკის კოლექციიდან. ჯეკი რიჩი. მოტაცება 60
■ სპორტის ლეგენდა
დინო ძოფი — მსოფლიო ჩემპიონთა „მამა“ 62
■ მსახიობი
„ქურდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ
ისეთი ვიქნებოდი, როგორიც ხეხოა“... 64
■ მადლი
„უნდა იცოდნენ, რომ მათი თანატოლები
უფრო რთული ცხოვრებით ცხოვრობენ...“ 65
■ საგამოფენო დარბაზში
სიყვარულით გაზრდილი ცხვირები, ტუჩები, ხელები
ანუ კარიკატურისტის საპირველაპრილო ხუმრობა 67
■ ბომონდური მოზაიკა 68
■ ავტო 70
■ ჰოროსკოპი 71
■ მესიჯომანია 72
■ ტესტი 78
■ სკანვორდი 79
■ კალეიდოსკოპი 80


გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com


## შვილებისგან უარყოფილი მშობლების ხვედრი



— არც შვილი გყავთ? — ვკითხე და იმწუთასვე ვინანე: მოხუცს სახის გამომეტყველებაზე შევამჩნიე, რომ ძალიან ვატკინე გული.

— შვილი? შვილი როგორ არ მყავს, მაგრამ... — თქვა და თითქოს გულიც ამოაყოლა, ხელი ნერვიულად ჩაიქნია და გაგვშორდა.

23

## ანჯელინა ჯოლის შვილის დაბადების საიდუმლოებით მოცული ამბავი



ქალი ნარკოტიკებს 16 წლის ასაკიდან შეეჩვია და მას შემდეგ შინ მხოლოდ ფულისთვის თუ მიდიოდა. მშობლებისთვის ქალიშვილს მხოლოდ უსიამოვნებები მოჰქონდა. დედამ შვილის გაჩენისთანავე მასზე უარი განაცხადა და ის ბავშვთა თავშესაფარში ჩააბარა.

58

## „ქურდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ისეთი ვიქნებოდი, როგორიც ხეხოა“...



„არც ერთი როლის თამაში არ არის იოლი. ჩემი აზრით, მსახიობისთვის გაცილებით საინტერესოა უარყოფითი გმირის განსახიერება. ხეხოს როლს ძალიან ფაქიზი მიდგომა სჭირდებოდა: ამ ქურდული გაგების და დიდი ავტორიტეტის მქონე კაცს“...

64




მერე კი ხორციელმა ვნებამ ისე გაახელა, ქალის შიშველ მკერდს კბენდა, ჭამდა თუ ლოკავდა, — ალარაფერი ახსოვდა. ქალიც ისე ლამაზად „უძალიანდებოდა“, რომ საბოლოოდ გააცოფა კაცი.

— არა, არა... — ისევ უარი იყო მისი ბოლო სიტყვები, თუმცა, ყველაფერი უკვე მომხდარი იყო და ქალი მის თავზე შემორჩენილ ღერა-ღერა თმას ეფერებოდა...

ყველაფერი დამთავრდა. ისინი კი იწვნენ გაყუჩებულნი და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

42

# BMW-ებიდან ტანკებში

## ანუ ყაზარმად ქცეული საქართველო...



ქართველი კაცისთვის სამხედრო სამსახური არასოდეს ყოფილა უცხო ხილი: ისტორიულად, მუდამ უწევდა ან ბრძოლა, ან — ბრძოლისთვის მზადება, მერე კომუნისტებმა „გვიშვილეს“ და იძულებული იყო, ორი წელი სადღაც გადასაკარგავში ეყვირა — Служу Советскому Союзу! მაგრამ როგორც იქნა, დასრულდა და წარსულს ჩაჰბარდა ეს ეპოქა, დამოუკიდებელი ჯარი შევქმენით და თუ ადრე ზოგი ავადმყოფობას იგონებდა ჯარიდან თავის დასაღწევად, ზოგიც — საგიჟეთში წვებოდა, ახლა ისე გარბიან ჯარში, რომ სახლში დაბარებაც კი ავიწყდებათ და მშობელს შვილი კინოში რომ ჰგონია, შეყვარებულთან





ერთად წასული, ის პოლიგონზე დარბის და მიზანში სროლას სწავლობს.

აი, რას ნიშნავს პროპაგანდა და პატრიოტული აგიტაცია: მამიკოებმა მრავალათასიანი მანქანები უყიდეს, მაგრამ რად გინდა?! გაივსო ქუჩები შუქნიშნებთან მიტოვებული BMW-ებითა და ML-ის ჯიპებით. ჩამოივლის ტანკი და ზედ ახტება სუყველა, რომ რეზერვისტების ბატალიონში მოხვდეს და 18 დღე მაინც იცხოვროს ჯარისკაცის ცხოვრებით.

გული მეწვის ქართველი გოგონების ცოდვით, საწყლები უკვე ტანკებზე ეჭვიანობენ, რადგან ნებისმიერი ბიჭი „სპასობნია“, ქუჩაში სეირნობისას მიატოვოს შეყვარებული და ტანკს გაეკიდოს. განრისხებული გოგო მზადაა, შური იძიოს და ადრე სხვა ბიჭს ცალმხრივად რომ უყვარდა, იმას გაჰყვეს ცოლად, მაგრამ რად გინდა, ისიც რეზერვისტებშია წასული.

მოკლედ, დარჩნენ გოგონები შეყვარებულების გარეშე, ცოლები ქმრების გარეშე და გელფრენდები ბოიფრენდების გარეშე. რაღა დარჩენიათ, ადგებიან და ისინიც წავლენ რეზერვისტთა ბატალიონებში სამსახუროდ. ვერ გეტყვით, ასეთი მასობრივი სამხედრო მზადება რის ან ვის დასაპყრობად გვჭირდება, როცა უდიდესი სახელმწიფოების თავკაცებს ისე შეუძლიათ გადაწყვიტონ ჩვენი ბედი, რომ არც გვკითხონ, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად ცხადია: თუ ასე გაგრძელდა, მალე მთელი ქვეყანა ჯარისკაცები, ჯარისქალები, ჯარისბავშვები და ჯარისკაცის მამებ-დედები გავხდებით. საცხოვრებელი კორპუსები ყაზარმებად გადაიქცევა, ოჯახები სამხედრო ქვედანაყოფებად ჩამოყალიბდება და სამხედრო წესდებით ვიცხოვრებთ: დილით ოჯახის უფროსი რომ გაიღვიძებს, ცოლი პატაკს ჩააბარებს: — ბატონო ქმარო, თქვენი პირადი ხუთეული (ან ოთხეული, გააჩნია, რამდენი წევრია ოჯახში) მოწყობილია. ველით მითითებებს...

ქმარიც, შესაბამისად, ახალ „საბრძოლო“ დავალებას მისცემს ცოლს — ხოხვით წავიდეს „დაზვერვაზე“ ბაზარში და სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, ხელში ჩაიგდოს 2 კგ ხახვი, 4 კგ კარტოფილი და მოიპოვოს საიდუმლო ინფორმაცია ხორცის ფასისა და დოლარის დღევანდელი კურსის შესახებ...

შესაბამისად, ოჯახებიც სამხედრო წესით შეიქმნება: შეყვარებულები (რა თქმა უნდა, პოლიგონზე რომ გაიცნეს ერთმანეთი, დაჭრილი ჯარისკაცისა და მედდის როლების შესრულებისას) ქუჩაში სამწყობრო ნაბიჯით ისეირნებენ; ვაჟი გოგონას თაიგულს რომ აჩუქებს, მადლობის ნიშნად, გოგო — „ვემსახურები საქართველოს!“ შესძახებს; ხელის თხოვისას — „ვაშა, ვაშა, ვაშაა!“ იქნება პასუხი; საქორწინო მოგზაურობაში ისევ რეზერვისტთა ბატალიონში გაემგზავრებიან და თაფლობის თვეს კარავში გაატარებენ...

მოიხსნება მანქანების გაძვირების მუდმივი პრობლემაც, გავყიდით მანქანებს და სამხედრო ტექნიკას შევიძენთ; „პერეგონშჩიკები“ ევროპიდან და ამერიკიდან ტანკებს, БТР-ებს და სამხედრო ჯიპებს ჩამოიყვანენ. მართალია, ასფალტიანი ქუჩები ახალდახნულ ყანას დაემსგავსება, მაგრამ რა პრობლემაა?! პირიქით, რაღაცას დავთესავთ და საკვებს მოვიყვანთ — აბა, ჯარს ჭამა ხომ უნდა?!

მხოლოდ ერთი რამ არ მომწონს ამ „გასამხედროებაში“: რატომ არის შეზღუდული ასაკი? 41 წლის ადამიანს, რა, არ შეუძლია თუ არ უნდა ემსახუროს ქვეყანას?! ამიტომ, მოვხსნათ ასაკობრივი ზღვარი: 40 წლის ცოლ-ქმარს შვილები რომ ჯარში ეყოლება, რა გააჩერებს სახლში, მით უმეტეს, ჯარისკაცის მამის მაგალითი ქართველებმა უჩვენეს ქვეყანას. ამიტომ, უნდა შეიქმნეს ჯარისკაცის მამებისა და დედების ბატალიონებიც, ბებიებისა და ბაბუების ბატალიონებიც. ბებიები სპეციალურ სამხედრო წინდებს მოქსოვენ, ბაბუები კი — სამხედრო ზღაპრებს მოუყვებიან „ჯარისბავშვებს“ და საბრძოლო სულისკვეთებას კიდევ უფრო აუმაღლებენ...

ომი სულაც არ გვინდა და არც ვაპირებთ, მაგრამ მაინც, „ყველანი — რეზერვისტებში! ნაბიჯით იარ, 1, 2, 1, 2“...

*P.S. სამხედრო კომისარიატში:*

*— ბებო გენაცვალოს, ნუ მეტყვი უარს, გამიშვი ჯარში!..*

*— არა, ქალბატონო, რაღა დროს თქვენი ჯარია, 80 წლის მაინც იქნებით, ვერ გაუძლებთ დატვირთვას.*

*— რას ვერ გაუძლებ! მე-16 სართულზე ვცხოვრობ და ლიფტი არ მუშაობს, წყალი არ ამოდის და ვედროებით ეზოდან დავათრევ; შუქი ჩაჭრილი მაქვს და ისე მივეჩვიე, რომ სიბნელეში მგელივით ვიხედები; შავ საღებავს წავისვამ სახეზე და შემაჯიბრე ნებისმიერ „სპეცნაზელს“!..*

***პროვოკატორი***

## დაპირისპირება უკრაინაში პიკს აღწევს

კიევის ცენტრალურ მოედანზე კვლავ გრძელდება პრეზიდენტ იუშჩენკოსა და პრემიერ-მინისტრ იანუკოვიჩის მომხრეთა აქციები. როგორც ცნობილია, არც აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები იჩენენ ერთიანობას, ზოგი კი, როგორც ასეთ დროს ჩვეულებრივ ხდება, ორჭოფობს ან „კვანძის გახსნამდე“ — ე.ი. გამარჯვებულის გამოვლენამდე, სეირის მაცქერლის როლს ამჯობინებს...

რაც შეეხება „გარედან მაცქერლებს“, — მათ შორის ყველაზე დიდი გამოცოცხლება ყოფილი საბჭოელების „უფროს ძმას“ — რუსეთს ეტყობა, რომელიც ტრადიციისამებრ არ ერიდება საკუთარი პოზიციის გამჟღავნებას: მაგალითად, ამ ქვეყნის ელჩი, ვიქტორ ჩერნომირდინი, უკრაინისთვის „კეთილი რჩევების“ მისაცემად,



მთავრობის მეთაურს ვიქტორ იანუკოვიჩს შეხვდა, სახელმწიფოს მეთაურთან ვიქტორ იუშჩენკოსთან არშემდგარი შეხვედრის გამო დასმულ კითხვაზე კი ჟურნალისტს უპასუხა — ეს-ესაა კიევში ჩამოვედიო... „რაც ახლა ხდება, უკრაინას ნამდვილად არ სჭირდება. დაპირისპირება საშიშია. რუსეთში ჩვენ ეს უკვე გავიარეთ და არ გვსურს, იგივე აქ განმეორდეს“, — განაცხადა რუსეთის ყოფილმა პრემიერმა ვიქტორ იანუკოვიჩისა და ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, რუსეთი მზად არის, კონფლიქტის დარეგულირებაში მეზობელ ქვეყანას დაეხმაროს. „თუ ჩვენ მოგვმართავენ, მზად ვართ, უკრაინას ქმედითი დახმარება გავუწიოთ, მაგრამ მხოლოდ თანაშემწეებად ჩვენ არ გვქირაობენ და ვერც დაგვიქირავებენ“, — მრავალმნიშვნელოვნად დასძინა მან.

## სერგეი ბაღაფში ჩეჩნეთის პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრება

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტის, რამზან კადიროვის ინაუგურაციაზე დასასწრებად გაემგზავრა. როგორც დე ფაქტო პრეზიდენტის ვებგვერდი იუწყება, სერგეი ბაღაფშმა კადიროვისგან პირადი მიწვევა მიიღო.

## საგამოძიებო ჯგუფმა ზემო აფხაზეთის დაბომბვის გამოძიება დაასრულა

ოთხმხრივმა საგამოძიებო ჯგუფმა ზემო აფხაზეთის 11 მარტს მომხდარი დაბომბვის ფაქტის გამოძიება დაასრულა. საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ერთობლივმა ჯგუფმა ხეობაში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები და საქართველოს შს სამინისტროს თანამშრომლები დაჰკითხა. გარდა ამისა, საგამოძიებო ჯგუფმა თავდასხმის მიმართულებისა და დისტანციის დასადგენად, 17 ადგილის ე.წ. კრატერული ანალიზი ჩაატარა და შეისწავლა ჩხალთაში მდებარე, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ადმინისტრაციის შენობა, რომელიც დაბომბვის დროს დაზიანდა. „13 მარტიდან მოყოლებული, ფაქტების დამდგენი ერთობლივი ჯგუფი ორჯერ იმყოფებოდა კოდორის ხეობის ზედა ნაწილში. ჯგუფის წევრებმა მოიძიეს და შეაგროვეს მტკიცებულებები იმ იარაღის შესახებ, რომლითაც განხორციელდა შეტევა და დაადგინეს მათი წარმომავლობა“, — ნათქვამია განცხადებაში. საგამოძიებო ჯგუფი ასევე შეთანხმდა იმის თაობაზე, რომ სამომავლო პროგრესისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოძიება, რაც სავარაუდოდ, ახლო მომავალში მოხდება. შეგახსენებთ, რომ საგამოძიებო ჯგუფში გაეროს, საქართველოს ხელისუფლების, აგრეთვე, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები შედიან.

## აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით დამატებითი ელექტრომატარებელი დაინიშნა

როგორც „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, 4 აპრილიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მოძრავ შემადგენლობებს დაემატა ჩქარი ელექტრომატარებელი — №880, რომელიც თბილისი-სენაკის მიმართულებით იმოძრავებს. იგი ყოველდღიურად თბილისის ცენტრალური სადგურიდან დილით, 8.30 სთ-ზე გავა. გარდა ამისა, გაიზარდა მატარებლების სამგზავრო შემადგენლობებიც, კერძოდ, თბილისი-ზუგდიდისა და თბილისი-ოზურგეთის მიმართულებით მოძრავ ღამისა და დღის ჩქარ მატარებლებს დაემატა ვაგონები, რაც მეტი მგზავრის გადაყვანის მიზნით განხორციელდა.

დღესასწაულის დღეებში მგზავრებს თბილისის ცენტრალურ სადგურში დილის 7 საათიდან ღამის თორმეტის ნახევრამდე 10 საბილეთო სალარო მოემსახურება. ■



# რა ხდება საქართველოში ანუ „ადამიანის სიცოცხლეს ქათმის ფასი დაედო“

## კვირის მოვლენები და მათი შეფასება

**როცა პარლამენტში მივედი და პოლიტიკოსებს კვირის აქტუალური — აღმაშფოთებელი და სასიამოვნო მოვლენების გახსენება ვთხოვე, „დემოკრატიული ფრონტის“ ერთ-ერთმა წევრმა კომენტარზე უარი მითხრა: თქვენთან ამ ყველაფერზე საუბრისას გულწრფელი ვერ ვიქნები, რაღაცების მოტყუება მომიწევს, ამიტომაც, საერთოდ არაფერს ვიტყვიო. რატომღაც, ოპოზიციის ბევრი წარმომადგენელი ამ რუბრიკას თავს არიდებს...**

**ჩვენ მიერ გამოკითხულმა პოლიტიკოსებმა თუ რიგითმა ადამიანებმა კვირის ყველაზე აქტუალურ მოვლენად, საქართველოს პირველი პრეზიდენტის სამშობლოში ჩამოსვენება და დაკრძალვა დაასახელა.**

### ხელისუფლება

**კოტე გაბაშვილი,** *პარლამენტის წევრი:*

— სიმართლე გითხრათ, გასულ კვირას, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საზღვარგარეთ ვიყავი წასული და აქ მომხდარი საინტერესო მოვლენების შესახებ არაფერი ვიცი. ალბათ, განსაკუთრებული არც არაფერი მომხდარა, თორემ ამას აუცილებლად



სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ცნობების მიხედვით

შევიტყობდი. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გული დამწყდა, შოტლანდიასთან ფეხბურთი რომ წავაგეთ. არადა, მოგების შანსი ნამდვილად გვქონდა. სამაგიეროდ, ფარერებთან მოვიგეთ 3:1 და ეს ჩემთვის ძალზე სასიხარული ამბავი იყო. ჩვენ კარგი ფეხბურთელები და რაგბისტები გვყავს... რაც შეეხება პოლიტიკურ მოვლენებს, კარგი ფაქტი ის იყო, რომ ზვიად გამსახურდია ქართულ მიწაში დაკრძალეს. მისი განსასვენებლის საკითხზე ჩემი მოსაზრება მაქვს, მაგრამ ამას ჩემთვის შევინახავ. რადგან კომისიამ მისი მთაწმინდაზე დაკრძალვა გადაწყვიტა, ალბათ, ასე იყო საჭირო... რაც შემეხება მე, ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრებზე ვიყავი წასული ჩეხეთსა და იტალიაში. რომში უკვე მესამედ გახლდით, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ აღვფრთოვანდი ამ ქალაქით, კაცობრიობის ყველაზე დიდი სასწაულით. პრაღაც საკმაოდ ლამაზია და იქ ყოფნითაც ვისიამოვნე, მაგრამ რომი მაინც სულ სხვაა, მას სილამაზით პარიზიც კი ვერ შეედრება.

## ოპოზიცია

**ზვიად ძიძიგური,** *ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტი":*

— ამ ცხოვრებაში იმდენი რამ ვნახე, რომ ვერც ერთი ფაქტი ველარ ალმაშფოთებს. თუმცა, ბევრი პრობლემა გვაქვს და კარგი იქნება, მათ მოგვარებაზე თუ ვიზუნებთ... შეშფოთებული ვარ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, რადგან რეალური საშიშროებაა იმისა, რომ ერთი ქვეყნისგან ორი მივილოთ. უკრაინა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და ძალზე მნიშვნელოვანია, რომ იუშჩენკომ თავის მოწინააღმდეგეებს ამის საშუალება არ მისცეს... რაც შეეხება კარგ ფაქტს, — მომეწონა ის, რომ ზვიად გამსახურდიას ხალხმა ასეთი პატივი მიაგო. სიტყვას — „ხალხი" ხაზგასმით ვამბობ.



## არასამთავრობოები

**ლევან გოგიჩაიშვილი,** *„თანასწორობის ინსტიტუტი":*

— ალმაშფოთა პატრულის მიერ ჩადენილმა კიდევ ერთმა დანაშაულმა — მათ სომეხი ახალგაზრდა მოკლეს.

**გაგრძელება იხ. გვ. 15**



# „ტყვია" ტყვიაში ვერ მოხვდა

## ანუ ხელოვნურად გაწელილი მასშტაბური ტელეპროექტი...




**ელენე გოგიშვილი**

*„ქალალდის ტყვია" ერთი შეხედვით, უწყინარი რამ არის, თუმცა არც მთლად ასეა საქმე — რა მნიშვნელობა აქვს, ტყვია რისი იქნება?! ტყვია ხომ მაინც ტყვიაა! ამიტომაც, სწორედ ეს „ტყვია გაისროლა" სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2"-მა, რადგან ეგონა, რომ დაუმიზნებდა და 10-იანში გაარტყამდა, მაგრამ მაყურებლის მისამართით გასროლილმა „ტყვიამ" მიმართულება შეიცვალა და 18-სერიიანი, პირველი მასშტაბური კინოეფექტებით გადაღებული ფილმი, რომლის ბიუჯეტმა მილიონ-ნახევარი შეადგინა, არცთუ ისე ეფექტური აღმოჩნდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნამუშევარი საშუალოზე დაბალი გახლავთ, ხოლო რაც შეეხება მე-17 სერიას, — ის მთლიანად წინამორბედი სერიებიდან აღებული ფრაგმენტებისგან შედგებოდა, რომ არაფერი ვთქვათ ზოგადად, რეჟისორის მიერ არჩეულ ხერხზე — ფილმი ძველი ქართული თუ უცხოური ფილმებიდან ამოღებული კადრებით და სხვა ხერხებით გაეწელა. ფილმის ხელოვნურად გაწელვა, რომელშიც ისედაც არაფერი ხდება?! მით უმეტეს, რომ თავად აკა მორჩილაძის ეს ნამუშევარი, რომლის პირველწყაროს სახელწოდება „ეკოტერინოს ნაჩუქარი ვითომ სულისშემძვრელი თავგადასავალია", ჩვეულებრივი მოთხრობაა, რომელიც ერთ თბილისურ ე.წ. „სასტავზეა" შექმნილი; ერთადერთი, რაც „ქალალდის ტყვიის" ხარისხს ოდნავ მაღლა სწევს და მაყურებელს იზიდავს, ეს მასში გადაღებული ზოგიერთი მსახიობის ოსტატობა გახლავთ.*

*რაც შეეხება რეჟისორის მიერ ფილმის ხელოვნურად გაწელვის მცდელობას, — ამან ავადსახსენებელ მე-17 სერიაში პიკს მიაღწია. იმ დღეს ტელეეკრანს მიჩერებული მაყურებელი სიახლეს ელოდა, მაგრამ ის გააწბილეს. სამაგიეროდ, „ტყვია" „გადაძეძგილი" იყო ნაირ-ნაირი რეკლამით. ეს იაფფასიანი ტრიუკია, რომელიც აკნინებს როგორც არხის რეიტინგს, ასევე ფილმისას, როგორც ხელოვნების ნიმუშისას. არადა, „ქალალდის ტყვიის" დაწყებას ისეთი სარეკლამო კამპანია უძლოდა წინ, როგორიც ბევრ სერიოზულ პროექტსაც შეშურდებოდა.*

*ახლა საზოგადოების წევრების აზრიც მოვისმინოთ.*

**ნინო,** *34 წლის:*

— ეს ის ფილმია, რომელსაც მეორედ აღარ ვნახავ. დავიწყოთ იმით, რომ ის აკა მორჩილაძის ამ მოთხრობაზე არ უნდა გადაღებულიყო, რადგან ძალიან ჩვეულებრივი ნამუშევარია. თითქოს გვაჩვენებენ, რომ ყველაფერი თბილისური რეალური ყოფიდან აღებული ეპიზოდებია, არადა, ასე არ არის. ფილმში საოცარი სისასტიკე ჩანს. მთავარი გმირების უდიერმა მოპყრობამ ერთ-ერთი გარდაცვლილი პერსონაჟის, სულით ავადმყოფის მიმართ, გამაოცა. თბილისელები ასე არ იქცეოდნენ.

**გიო ხუციშვილი:**

— იმის გამო, რომ თავისუფალი დრო ძალიან ცოტა მაქვს, ტელევიზორს თითქმის ვერ ვუყურებ. ამიტომ, ვერც ეს ნამუშევარი ვნახე... თავიდან რომ დაიწყო, თითქოს დიდი აჟიოტაჟი იყო, მერე ვილაცებმა თქვეს, რალაც ვერ გავიგეთო, თუმცა ფაქტია, რომ ქართული პროდუქციის მიმართ, როგორც ყოველთვის, ინტერესი არის ხოლმე და „ქალალდის ტყვიის" შემთხვევაშიც იყო. მაგრამ ეს ფილმი რომ შევაფასო, ნანახი უნდა მქონდეს.

**ზურა,** *47 წლის:*

— „ქალალდის ტყვია" პროფესიონალის მიერ გადაღებული „ხალტურა" გახლავთ...

**ეკა,** *33 წლის:*

— მსახიობების გუნდი კარგად არის შერჩეული და კარგადაც თამაშობენ, მაგრამ საერთოდ ვერ ვიგრძენი, ამ ფილმში რეჟისორის როლი და მისი ნამუშევრის ხარისხი ვერ დავინახე.

*P.S. როგორც ჩანს, ფილმის დამკვეთ-შემქმნელებმა მთავარ მიზნად, რეკლამიდან მაქსიმალური მოგების მიღება დაისახეს და რატომლაც მიიჩნიეს, რომ მაყურებელი „ხალტურას" ვერ ამჩნევს.* ■

## „ნაპოლეონის კომპლექსმა" გამოცდას ვერ გაუძლო



საზოგადოდ ცნობილია, რომ ნაპოლეონი, სტალინი და ფრანკო ისტორიაში ტირანებად და დიქტატორებად შევიდნენ. თუმცა, მათ მარტო ეს როდი აერთიანებთ. სამივე ტირანი ტანდაბალიც იყო, რაც იმ იდეის განმტკიცებასაც უწყობდა ხელს, რომ საშუალოზე დაბალი მამაკაცები აგრესიისკენ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი.

მაგრამ ახლახან, ერთ-ერთი სამეცნიერო ექსპერიმენტის დროს, ე.წ. „ნაპოლეონის კომპლექსის" თეორიამ სერიოზული გამოცდა გაიარა და ისიც დადგინდა, რომ კონფლიქტის დროს მეტი აგრესიულობით ტანდაბალი კი არა, სწორედაც რომ ტანმაღალი მამაკაცები გამოირჩევიან. რაღა თქმა უნდა, ტანდაბალი მამაკაცები ამ ცნობას სიხარულით შეხვდნენ, რადგან მათივე მტკიცებით, მათ ხშირად სწორედ ტანდაბლობის გამო ჩაგრავენ და ცხოვრებასაც საგრძნობლად ურთულებენ.

ექსპერიმენტი ჩატარდა BBC-3-ის შეკვეთით, რომელიც მრავლისმეტყველი სათაურის მქონე გადაცემას — „ხელი არ მახლო, ქონდრისკაცი ვარ!" — ამზადებდა. ცენტრალური ლანკაშირის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ექსპერიმენტისთვის 5 ფუტზე (150 სმ) დაბალი 10 და საშუალო სიმაღლის ასევე 10 მამაკაცი შეარჩიეს და აუხსნეს, რომ მათი ფიზიკური მდგომარეობის, რეაქციისა და მოძრაობის კოორდინაციის შემოწმება სურდათ. სინამდვილეში, ამ მამაკაცებმა აგრესიის გამოსამჟღავნებელ ექსპერიმენტში მიიღეს მონაწილეობა. ექსპერიმენტს პირობითად, პატარა „ჩინური ჯოხებით თამაში" ერქვა და მისი მეშვეობით, ისტორიაში პირველად, „ტანდაბლობის სინდრომის" ჰიპოთეზის სიმტკიცე უნდა შემოწმებულიყო. ექსპერიმენტის მონაწილეები სიმაღლის მიხედვით წყვილებად დაყვეს, მაგიდის სხვადასხვა მხარეს დააყენეს და ხის ჯოხებით ხმალაობა დაავალეს. ამასთან, ყოველი წყვილიდან ერთ-ერთ „დუელანტს" მოწინააღმდეგის პროვოცირებაც ანუ თითებში ჯოხის განზრახ მოხვედრება სთხოვეს. ექსპერიმენტის შედეგად, „ნაპოლეონის კომპლექსის" თეორიამ სრული კრახი განიცადა. კარდიომონიტორებმა, რომლებითაც ექსპერიმენტის ყველა მონაწილე იყო აღჭურვილი, ხაზგასმით აჩვენა, რომ პროვოკაციას ძირითადად, ტანმაღალი მამაკაცები წამოეგნენ და ჯოხის ყოველ დაკვრაზეც უფრო აგრესიულად სწორედ ისინი რეაგირებდნენ. ■



## მეცნიერებმა უნივერსალური დონორის სისხლი შექმნეს

კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევარმა ჰენრიკ კლაუზენმა, მისმა ფრანგმა, ამერიკელმა და შვედმა კოლეგებმა და აგრეთვე, ამერიკული კომპანიის — ZymeQuets — წარმომადგენლებმა ნებისმიერი ჯგუფის სისხლის 0 ჯგუფის სისხლად გადაქცევის ტექნოლოგია შეიმუშავეს. მეცნიერთა მტკიცებით, აღნიშნული ჯგუფის სისხლის გადასხმა ნებისმიერი პაციენტისთვის სრულიად უპრობლემოდ შეიძლება. ■

## ჩილეს თვითმფრინავი კინაღამ რუსულ კოსმოსურ ნაგავს შეეჯახა

რუსეთის ფედერალურ კოსმოსურ სააგენტოში გამორიცხავენ იმის შესაძლებლობასაც კი, რომ ახლახან წყნარ ოკეანეში ჩაძირული რუსული კოსმოსური აპარატის ნამსხვრევებს რაიმე შეხება ჰქონდა ჩილეს სამგზავრო თვითმფრინავთან. „როსკოსმოსში" მტკნარი სიცრუე უწოდეს საინფორმაციო საშუალების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, ჩილეს ავიაკომპანია „ლან"-ის სამგზავრო თვითმფრინავი „ერბას ა-340" კინაღამ შეეჯახა დედამიწის ატმოსფეროში დანიშნულ დროზე ადრე შემოჭრილ რუსულ თანამგზავრ „პროგრესის" ნამსხვრევებს. ჟურნალისტების მტკიცებით კი, ახალ ზელანდიაში მიმავალი ჩილეს სამგზავრო თვითმფრინავი რუსულ კოსმოსურ ნაგავთან შეჯახებისგან მხოლოდ განგებამ და კიდევ ორმოცმა წამმა იხსნა. ■

## პოლიციელებმა 26 ტომარა ყალბი მონეტები ამოიღეს

იტალიელმა პოლიციელებმა ქალაქ კომოს მიდამოებში იატაკქვეშა ფაბრიკა აღმოაჩინეს, სადაც 1 და 2-ევროიან მონეტებს ამზადებდნენ. უკვე დააპატიმრეს ყალბისმქმნელებიც, რომელთაც 100 ათასი ევროს ღირებულების 26 ტომარა ყალბი მონეტები ჩამოერთვათ. დამნაშავეებმა აღიარეს, რომ ყალბი ფულის ბრუნვაში ჩაშვება სიცილიაზე იგეგმებოდა. ■





# ევროკავშირის კეთილი მეზობლები – რუსეთის კოშმარული სიზმარი

...თუ გავითვალისწინებთ, რომ 30 ივნისამდე ევროკავშირის მესაჭედ კვლავაც გერმანია რჩება, სავსებით გასაგები გახდება ამ ბოლო ხანებში ევროკავშირში ჩასული იმ ქვეყნების ლიდერების საქციელი, ვინც პირველ რიგში, ბერლინში შეჩერდა. სწორედ ასე მოიქცნენ უკრაინის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ლიდერებიც, რომლებმაც ბერლინი სულ ახლახან მოიარეს და როგორც გერმანიის კანცლერს, ისე მის საგარეო საქმეთა მინისტრსაც შეხვდნენ. თუმცა, უკრაინისა და კავკასიის ქვეყნების ხელმძღვანელთა ამ ვიზიტებს ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ისინი ევროკავშირის მიერ გატარებული ახალი „კეთილმეზობლობის ევროპული პოლიტიკის“ ფარგლებში მიმდინარეობდა.



ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების კვალდაკვალ, ბრიუსელს თავის ახალ მეზობლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებაც სურს. ამას ეწინააღმდეგება რუსეთი, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს რეგიონი ევროპის კი არა, მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენს. — ამ რეგიონში ევროკავშირსა და რუსეთს შორის ერთგვარი შეჯიბრებაა გაჩაღებული, — მიაჩნია კიშინიოვის საჯარო პოლიტიკის დამოუკიდებელი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს, არკადი ბაბაროზის. — ევროკავშირს სტაბილური, დემოკრატიული სახელმწიფოების გარემოცვაში ყოფნა სურს, რუსეთი კი, სულ სხვა მოსაზრებებით ხელმძღვანელობს. ამიტომაც, როცა დასახელებული ქვეყნების პროდასავლური ორიენტაციის ლიდერები ბერლინს ეწვივნენ, მოსკოვმა საგანგებო შეხვედრაზე უხმო იმავე ქვეყნების სეპარატისტულ რეგიონებში მოქმედ თავის მომხრეებს. ამის შედეგად, რუსეთის დედაქალაქში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აუღიარებელი სახელმწიფოების — აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის ლიდერები შეიკრიბნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, ერთობლივ კომუნიკეში მათ რუსეთს „საერთო სტრატეგიული პარტნიორი და აფხაზი, დნესტრისპირელი და სამხრეთ ოსეთის ხალხების უფლებების გარანტი“ უწოდეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი, ეს ლიდერები პრეზიდენტებადაც მოიხსენია, რასაც საქართველოს მწვავე რეაქცია მოჰყვა. „ამ სეპარატისტულ რეგიონებს რუსეთი თავის მეზობელი ქვეყნების დასაყოფად და მათზე გასაბატონებლად იყენებს“, — აცხადებს სოფიის ლიბერალური სტარტეგიების ცენტრის დირექტორი ივან კრასტევი. მის აზრით, რუსეთს სულ უფრო მეტად აღელვებს ის გარემოება, თუ როგორ იმოქმედებს ევროკავშირის გაფართოება მის (რუსეთის) მეზობელ დასავლეთ და სამხრეთ რეგიონებზე. „გაფართოების კვალდაკვალ, ევროკავშირს თან მოაქვს ადამიანის უფლებებზე, კანონის უზენაესობასა და საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ახალი ფასეულობები, — შენიშნავს კრასტევი. — ამიტომაც, გასაკვირი სულაც არ არის, რომ რუსეთი ევროკავშირს თავის კონკურენტად, მეტიც — რეგიონში საკუთარი ინტერესებისთვის მთავარი საფრთხის შემქმნელადაც კი აღიქვამს“.

ევროკავშირმა რუსეთს პირველი დარტყმა 2004 წლის დეკემბერში — ე.ი. მაშინ მიაყენა, როცა მისი საგარეო პოლიტიკური ხელმძღვანელი ჰავიერ სოლანა, პოლონეთისა და ლიტვის პრეზიდენტებთან ერთად, უკრაინაში, დემოკრატიული „ნარინჯისფერი რევოლუციის“ დროს შუამავლად გამოვიდა. ევროკავშირის პარიზის ინსტიტუტის ექსპერტმა საბინ ფიშერმა, მაშინ ამას „შემობრუნების მომენტი“ უწოდა და ისიც დასძინა, რომ „რუსეთმა მკაფიოდ დაინახა, ევროკავშირი მისი გავლენის სფეროში როგორ იჭრება“.

ამის შემდეგ, რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა და იმის ნაცვლად, რომ ზოგიერთ მეზობელთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაცია ეცადა, საკუთარი ენერგომატარებლების პოლიტიკური გავლენის ინსტრუმენტად გამოყენება დაიწყო. ამიტომ შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ რუსეთის სახელმწიფო ენერგეტიკულმა გიგანტმა — „გაზპრომმა“ მსოფლიო ფასები სწორედ იმ ქვეყნებისთვის შემოიღო, რომლებზეც „კეთილმეზობლობის ევროპული პოლიტიკა“ ვრცელდება. იმავდროულად, „გაზპრომმა“ სომხეთისა და მოლდავეთის ენერგოგამანაწილებელი ქსელების სასწრაფო შესყიდვაც დაიწყო, რაც პირველ რიგში, გავლენის მოპოვებისკენ სწრაფვით იყო განპირობებული.

ცხადია, რუსეთის ქმედებები მოცემულ რეგიონს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. მართალია, პერსპექტივაში, რეგიონის ქვეყნები ენერგომატარებლებზე ფასების ზრდასთან გამკლავებას შეძლებენ, მაგრამ სეპარატისტული მოძრაობების გამოყენების გზით დესტაბილიზაციის საფრთხე, კვლავაც აქტუალური დარჩება. გარდა იმისა, რომ რუსეთის მხრიდან ზემოქმედების მსგავსი ხერხების გამოყენება სრულიად არაეთიკურია, ის პრაქტიკული თვალსაზრისითაც, საკმაოდ უცნაურად მოჩანს. იმიტომ, რომ ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფოების მიმართ ევროკავშირის სტრატეგია იმაზე უფრო ნაკლებაქტიურია, ვიდრე ეს რუსეთს ჰგონია და ეს უკრაინის მაგალითზე უკვე ცხადადაც გამოჩნდა: უკრაინის მიერ ევროკავშირთან მჭიდრო ინტეგრაციის სურვილის მიუხედავად, ბრიუსელმა „ნარინჯისფერი რევოლუციის“ შედეგების გამოყენების შესაძლებლობა მაინც ხელიდან გაუშვა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ მან (ევროკავშირმა) ამ ქვეყანაში რეფორმების წახალისების სტრატეგიის შემუშავება ვერ შეძლო. ამას კი საბოლოო შედეგად, საკმაოდ პროდასავლური, მაგრამ ნაკლებად ორგანიზებული კიევური პოლიტიკური ელიტის სერიოზული გულის გატეხა მოჰყვა.

გაგრძელება იხ. გვ. 66

სტომატოლოგიურ კლინიკებში
ქართველ სტომატოლოგებთან ერთად მოგემსახურებათ
უცხოელი სპეციალისტი
ა. მაკარატი
1. CHARMAFIL-ის
3. სიახლე!

ევროპის უახლესი მოდა - ბრილიანტის თვლების მიმაგრება კბილზე.
პაციენტების მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერის შემდეგ
ტელ.: (822) 45 03 75; 877 41 58 54; 893 27 37 81




**მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია ღირსეულად დაეკრძალათ და სათანადო პატივიც მიეგოთ მისი ხსოვნისთვის, საზოგადოების დიდი ნაწილი მაინც უკმაყოფილო დარჩა და მიიჩნევს, რომ ეროვნული გმირი სათანადოდ არ დაფასდა. ყველაზე დიდი უკმაყოფილება კი, იმ ბუნდოვანებითაა გამოწვეული, რომელიც დევნილი პრეზიდენტის გარდაცვალებამ გამოიწვია. საზოგადოება მოითხოვს პასუხს კითხვაზე: რის შედეგად გარდაიცვალა მისი პრეზიდენტი, პასუხად კი იღებს რჩევას, დაივიწყოს ძველი დაპირისპირება და დაიწყოს ახალი ცხოვრება ახალ საქართველოში. ძველი დაპირისპირების დავიწყება მართლაც, აუცილებელია, მაგრამ იმის ცოდნაც აუცილებელია, თუ როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა ეროვნული გმირი, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტი გახდა. როდესაც ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონ სოსო ცინცაძეს კომენტარი ვთხოვე, მან მიპასუხა: გიორგი გამსახურდია თავად იურისტია და იცის, რომ ახლა ექსპერტიზას აზრი აღარ აქვს, თანაც ოჯახი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდის და ზედმეტი აჟიოტაჟის ატეხას ერიდებაო... პოლიტოლოგისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის ექსპერტი მერაბ ტურავა მიიჩნევს, რომ ქართველმა ხალხმა სიმართლე აუცილებლად უნდა იცოდეს და ამ თემაზე მხოლოდ სამართლებრივი კუთხით საუბრობს.**

# დანაშაულის „ხანდაზმულობის“ შემთხვევაშიც გარემოებათა დადგენის ვალდებულება გვაკისრია

## „არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა“

*ხათუნა ბახტურიძე*

— **ბატონო მერაბ, სამართლებრივი თვალსაზრისით, იყო თუ არა სავალდებულო, რომ ზვიად გამსახურდიას ნეშტს ექსპერტიზა ჩასტარებოდა?**

— არათუ პრეზიდენტის, ჩვეულებრივი, უბრალო ადამიანის სიკვდილის შემთხვევაშიც კი, თუ გაჩნდა ეჭვი, აუცილებელია, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ექსპერტიზა ჩატარდეს.

— **რამდენად შეესაბამება სამართლებრივ ნორმებს ის ფაქტი, რომ ექსპერტიზაზე უარი ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე ითქვა?**

— ცოლმა რომ ქმარი მოკლას (ან პირიქით) და მერე მოითხოვოს, ექსპერტიზა არ ჩაატაროთო, მართებულია?.. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, როდესაც ადამიანის გარდაცვალება არაბუნებრივი სიკვდილით ხდება, პროკურატურა ვალდებულია, დაადგინოს სიკვდილის მიზეზი. როდესაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩნდება ეჭვები, რომ ის მოკლეს ან თვითმკვლელობა ჩაიდინა, იმის მიუხედავად, თუ რა პოზიციაზე დგანან ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები, გენერალური პროკურატურა ვალდებულია, ჩაატაროს სრულყოფილი გამოძიება. გამოძიება კი უნდა ეფუძნებოდეს სამედიცინო ექსპერტიზას. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა, ექსპერტიზამ ზუსტად ვერ განსაზღვროს სიკვდილის უშუალო მიზეზი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ექსპერტიზა მაინც ტარდება და დასკვნაში იწერება, რომ სიკვდილის მიზეზი, რაღაც გარემოებების გამო, ვერ დადგინდა ან უტყუარად ვერ დადგინდა. წარმოუდგენელი ამბავია, რომ საქმე გვქონდეს ადამიანის არაბუნებრივ სიკვდილთან, პროკურატურა კი, ოჯახის მოთხოვნის საფუძველზე, უარს ამბობდეს ექსპერტიზის ჩატარებაზე. ასეთ შემთხვევაში, ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავების გადასაწყვეტი იყო მხოლოდ ის, თუ სად დაიკრძალებოდა პრეზიდენტი.

— **რამდენად შესაძლებელია, რომ გამოძიება მაინც ჩატარდეს ექსპერტიზის გარეშე?**

— გამოძიების დაწყება ექსპერტიზის გარეშე შესაძლებელია, თუ არსებობს ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მოწმეები არასრულყოფილად და სხვადასხვაგვარად აღწერენ არსებულ გარემოებებს, ექსპერტიზის დასკვნა ყოველთვის ნათელს ვერ მოჰფენს საქმის გარემოებას.

— **ცოტნე გამსახურდიამ განაცხადა, რომ ექსპერტიზა როსტოვში ჩატარდა და მასში ყველაფერი ნათლად არის დაფიქსირებული...**

— თუ საქართველოს ხელისუფლებას რომელიმე ექსპერტისთვის თავად აქვს მიცემული ასეთი დავალება, მაშინ ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ სამართალდამცავმა ორგანოებმა მხოლოდ იმის გამო არ მოითხოვონ ექსპერტიზის ჩატარება, რომ ის როსტოვში ჩატარდა ან უნდა ჩატარდეს, — ეს არასერიოზულია. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ გარდაცვლილი პრეზიდენტის ოჯახი ნდობას უცხადებს რუსეთში ჩატარებულ ექსპერტიზას, უცნაურია, მაგრამ ამ მხრივ კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ არ ვიცი, ამის რეალური მიზეზი რა შეიძლება იყოს.

— **იქნებ, პროკურატურა იხსნის პასუხისმგებლობას იმ მიზეზით, რომ მკვლელობა თუ თვითმკვლელობა 13 წლის წინ არის ჩადენილი?**

— არავითარ შემთხვევაში. 13 წლის წინ ჩადენილი მკვლელობა ჯერ არ არის „ხანდაზმული“, მაგრამ ასეც რომ იყოს, პროკურატურას მაინც აკისრია მკვლელობის თუ თვითმკვლელობის გარემოებების დადგენის ვალდებულება. სისხლის სამართლის სფეროში არსებობს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები. კოდექსში პირდაპირ წერია, რომ 25 წელი არის მკვლელობისთვის ხანდაზმულობის ვადა — ანუ მკვლელობიდან 25 წლის გასვლის შემდეგ, არ შეიძლება იმ ადამიანის სამართლებრივად დასჯა, ვინც დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება მკვლელობის მიზეზებს: 25 კი არა, 50 წელიც რომ გავიდეს, პროკურატურა ვალდებულია, სიკვდილის მიზეზი დაადგინოს.



**— ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრებს მავანნი მოღალატეებად მიიჩნევენ. როგორ უნდა დადგინდეს მათი ბრალეულობა თუ უდანაშაულობა ამ საქმეში?**

— ესეც პროკურატურამ უნდა დაადგინოს.

**— ბესარიონ გუგუშვილმა ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ოჯახსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის თავიდანვე დაიდო ხელშეკრულება, რომ ექსპერტიზა არ ჩატარებულიყო. შეიძლებოდა თუ არა ასეთი ხელშეკრულების დადება და რა სამართლებრივი ძალა შეიძლება ჰქონდეს მას?**

— ასეთი ხელშეკრულების გაფორმება დაუშვებელია. სამართალდამცავი ორგანოები არავითარ შემთხვევაში არ არიან უფლებამოსილი, რომ კერძო პირებთან, მათ შორის, ოჯახის ახლო ნათესავებთან შევიდნენ გარიგებაში იმის თაობაზე, რომ მკვლელობის შედეგები არ გამოიკვლიონ. რამდენად უსიამოვნოც არ უნდა იყოს სიკვდილის მიზეზები, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ისინი დადგინდეს.

**— მართალია, თქვენ იურისტი ბრძანდებით და ფაქტებზე დაყდნობით მსჯელობა გჩვევიათ, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ — როგორია თქვენი ვარაუდი მომხდართან დაკავშირებით?**

— არ ვიცი, ჩემთვის ძალზე ძნელია რაიმის თქმა. არ მინდა დავიჯერო, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავი მოიკლა. ადამიანურად ეს ჩემთვის ძალიან მძიმე ასატანია...

**— ფიქრობთ, რომ გამსახურდიებმა დანამდვილებით იციან, რომ პრეზიდენტმა თავი მოიკლა და ამიტომ არ არიან დაინტერესებულნი გამოძიების დაწყებით და ექსპერტიზის ჩატარებით?**

— არა, მე ამის თქმა არ მინდა. ეს ისეთი საქმეა, ყველაფრის თქმა და ვარაუდია შესაძლებელი, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს დაადასტურებ. სამართლებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, ვერაფერს ვიტყვი.

**— რა შეგიძლიათ თქვათ ჩვეულებრივი მოქალაქის პოზიციიდან, რომელსაც აინტერესებს, მოიკლა თუ არა თავი მისმა პრეზიდენტმა?**

— ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის აღსასრული უზარმაზარი ტრაგედიაა და რაც არ უნდა იყოს ამ უბედურების მიზეზი, ყველა გზა შევარდნაძის ხელისუფლებამდე მიდის. ზვიად გამსახურდია იყო ხალხის მიერ არჩეული ხელისუფალი და მისი დამხობა მოხდა არაკონსტიტუციური და არასამართლებრივი გზით. როდესაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო, მე გერმანიაში, კერძოდ, ბერლინში ვიმყოფებოდი სასწავლებლად წასული. იქ ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი პოლიტიკოსები და ძალზე უმართებულო განცხადებებს აკეთებდნენ: ისინი ამბობდნენ, რომ გამსახურდიას ხელისუფლება აჯანყებულმა ხალხმა დაამხო, რომ ზვიადი იყო ანტიხალხური ხელისუფალი... ეს ადამიანები დღეს აქტიურად არიან ჩაბმული პოლიტიკაში, ზოგი მათგანი პარლამენტშია, ზოგი — სახელისუფლებო სტრუქტურებში. ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელიც დღეს ძალზე აქტიური პოლიტიკოსია, ბერლინში გამოფენაც კი მოაწყო — ჩამოიტანა სურათები, რომლებზეც აღბეჭდილი იყო დარბეული პარლამენტის შენობა, აწიოკებული ხალხი და ამბობდა, რომ ეს ყველაფერი ზვიად გამსახურდიას „დამსახურება“ იყო...

**— ამ პოლიტიკოსის გვარს ხომ ვერ დაგვისახელებთ?**

— ამ ადამიანთა ვინაობას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, უბრალოდ, ამ ყველაფრით იმის თქმა მინდოდა, რომ შეიძლება, ზვიად გამსახურდიას სიკვდილის მიზეზის დადგენა სწორედ მათ არ აძლევთ ხელს და ვიდრე ისინი ხელისუფლებაში არიან, ამ საქმის ნამდვილი ისტორიისა და დეტალების გამოძიება შეუძლებელი იქნება.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში, კვლავ შეიძლება დადგეს ნეშტისთვის ექსპერტიზის ჩატარების საკითხი?**

— საწყალი კაცი, მეხუთედ დაკრძალეს... გამოდის, რომ შეიძლება, მეექვსედაც შეაწუხონ მისი ნეშტი... ადრე თუ გვიან, სიმრთლე აუცილებლად გაირკვევა და მკვლელობის თუ სიკვდილის ნამდვილი მიზეზიც დადგინდება. ფაქტია, რომ დღეს მისი სიკვდილის ნამდვილ მიზეზს არ ამბობენ, შეიძლება — ვერ ამბობენ...



როგორც ცნობილია, ყოველკვირეულ ტელეპროგრამას — „კურიერ P.S.“-ს ეთერში პირველი გასვლიდან 10 წელი შეუსრულდა და ეს თარიღი „რუსთავი 2“-მა ლიტერატურულ კაფე „ქარავანში“ აღნიშნა. წვეულებაზე ის ადამიანები შეიკრიბნენ, ვისი ცხოვრებაც წლების განმავლობაში ამ გადაცემას უკავშირდება. თუმცა, სტუმრებიც ჰყავდათ მოწვეული.

თავდაპირველად, დამსწრეთ გადაცემის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური ფილმი შესთავაზეს, შემდგომ კი, მის პირველ ჟურნალისტებს გადასცეს პრიზები. მათ შორის, ქალაქის მერი — გიგი უგულავაც გახლდათ, რომლის ბიოგრაფიის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს სწორედ P.S.-ში ჟურნალისტობა წარმოადგენს.



# ტელეეკრანზე გატარებული 10 წელი, გიგი უგულავას ჟურნალისტური წარსული

## და კობა დავარაშვილის კომენტარები კულუარულ ინფორმაციებზე

**ლალი ფაცია**

*საიუბილეო საღამოზე მიწვეულები იყვნენ ყოფილი „რუსთავი 2“-ელებიც — ეკა ხოფერია, ნინო ქაჯაია, მაგრამ ისინი არ მოსულან. მათგან განსხვავებით, მოწვევა მიიღეს: ნანა ინწკირველმა, ირმა ნადირაშვილმა, თამუნა ღვინიანიძემ, გიორგი კალანდაძემ, ნატა ამაღლობელმა...*

*პირველი სახელდახელო ინტერვიუ პროგრამის წამყვანს,* **დავით კიკალიშვილს** *ვთხოვე:*

— **მოდიხარ და მოჰყვები P.S.-ს სულ თავიდან. ასე მგონია, შენ აცოცხლებ ამ გადაცემას...**

— ამ გადაცემას ის ხალხი აცოცხლებს, ვინც სამწუხაროდ, ხშირად არ ჩანს ეკრანზე. მე უბრალოდ P.S.-ის სახე ვარ. იღბლიანი ვყოფილვარ, რომ ასეთ კარგ ადამიანებთან მომიწია მუშაობამ.



მიხარია, რომ P.S. არ არის აგებული იაფფასიან სკანდალებზე

— **რა არის მთავარი ამ გადაცემისთვის?**

— სტაბილურობა. ყოველთვის ვცდილობდით და ვცდილობთ, რაღაც დონე შევინარჩუნოთ. სურვილი გვაქვს, რომ მომავალშიც ასე გავაგრძელოთ. რთული დრო გავიარეთ, ბევრი რამ შეიცვალა... მუდმივად ვეძებთ ახალ გზებს და გვჯერა, ვიპოვით.

— **თვითონ როგორ შეიცვალე, რას მიხვდი?**

— წლიდან წლამდე ვხვდები, რომ ცხოვრება რთულია. დღითი დღე ვცდილობთ, მსოფლიოს მემილიონედი ნაწილი მაინც, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, მაყურებელს ვუჩვენოთ.

**კობა დავარაშვილი,** *„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი:*

— დღეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ამ გადაცემამ ყოველნაირ ქარტეხილსა თუ ქარცეცხლს გაუძლო. ძალიან მიხარია, რომ P.S. ინარჩუნებს თავის დონეს. ის ყოველთვის ინოვაციების შემომტანი იყო და ახლაც დიდი ცვლილებები მოვახდინეთ: შევცვალეთ სტუდია, საიდანაც გადაცემა ეთერში გადის. ეს უპრეცედენტოდ დიდი სტუდიაა. მიხარია, რომ P.S. არ არის აგებული იაფფასიან სკანდალებზე, რომ ყოველთვის ხალხის ინტერესს პასუხობს და სიმართლეს არ ღალატობს...

— **„კურიერ P.S.“-ის კონკურენტ გადაცემა „დროებაზე“ რას იტყვით?**

— როგორც ბიზნესმენს, რა თქმა უნდა, მახარებს, რომ არსებობს კონკურენტი და რომ ჩვენი კონკურენტი სწორედ „დროებაა“. ამ ორი გადაცემის კონკურენტობა ორივეს ხარისხს ხვეწს. ჩემი აზრით, ჩვენ შორის ჯანსაღი კონკურენციაა, რაც ძალიან კარგია. ეს ორივე ტელევიზიას ეხმარება, რადგან P.S.-იც და „დროებაც“ თავ-თავიანთი კომპანიების ბირთვებს წარმოადგენს.

**თენგიზ გოგოტიშვილი:**

— P.S.-ის 10 წლისთავზე პატარა კაცი ვარ, რადგან „რუსთავი 2“-ში სულ რაღაც 5-ნახევარი წელია, რაც ვმუშაობ. უფრო ნაკლები — P.S.-ში. თუმცა, რაღაც პატივმოყვარეობის ჭია მღრღნის ვთქვა, რომ ჩემი კვალი რაღაც ეტაპზე დავტოვე ამ გადაცემაში.

— **შენ ცოტა ხნის წინ P.S.-დან წასვლა გადაწყვიტე, მაგრამ მალევე უკან დაბრუნდი.**

— ჰო, სად წაგიყვანს გზა, არ იცი. ასე რომ, იმავე „მდინარეში“ მეორედ შევედი.

— **მერე, როგორია?**

— სიმართლე რომ ვთქვა, ისევ ისეთი... ჩემი აზრით, ტელევიზიაში მთავარი მაინც, ოპერატორის ნამუშევრის ხარისხია...

— **ჟურნალისტები რაღას აკეთებთ?**

— მაყურებელი „ყურებით მისმენს“, თვალებით კი — „ოპერატორს უყურებს“...

**გიორგი გვიშიანი:**

— უკვე ორი წელია, რაც P.S.-ში ვმუშაობ, თუმცა, ეს ჩემი ცხოვრების საკმაოდ დიდი ნაწილია. გტკივა შენი მასალის პერსონაჟების ტკივილი და გახარებს — სიხარული.

**ნინო არაზაშვილი:**

— დათო კიკალიშვილს „რუსთავი 2“-მდე ვიცნობდი, ჩვენ მეორე არხზე ვმუშაობდით ერთად. კიდევ ერთს ვიტყვი: გული მწყდება, რომ ამ საღამოზე არ არის ნათია ზამბახიძე, რომლის სახელი და გვარიც P.S.-ს უკავშირდება. სხვათა შორის, ნათიაც ყოფილი მეორეარხელია.

*კულუარული ინფორმაციით, ტელეკომპანიაში რაღაც გადაადგილებები და ორგანიზაციული ცვლილებები ხდება. ამ-*



ის „კურიერის“ ერთ-ერთი სახე და საკმაოდ გამოცდილი თანამშრომელია

*იტომ შემთხვევით ვისარგებლე და რამდენიმე კითხვით კვლავ* **კობა დავარაშვილს** *მივმართე:*

— **ბატონო კობა, ქალაქში ჭორი გავრცელდა, თითქოს თქვენსა და დათო გოგიჩაიშვილს შორის კონფლიქტი მოხდა და დათო, მისი გუნდით, ტელეკომპანია „მზეზე“ გადადის.**

— მე და დათო გოგიჩაიშვილი ძალიან კარგი მეგობრები ვართ. ის გარდა იმისა, რომ შესანიშნავ გადაცემებს ამზადებს, კარგი მედიამენეჯერია. სხვათა შორის, მისი ეს რესურსი ძალიან მეხმარება ტელევიზიის მართვაში. ძალიან მჭიდრო და ინტენსიური მოლაპარაკებები გვაქვს იმის თაობაზე, რომ დათომ თავისი პროდუქციის რაოდენობა გაზარდოს. ალბათ, ეს ჭორი საპირველაპრილოდ გავრცელდა *(იცინის)*...

— **ისიც ითქვა, რომ თითქოს, დათო შესაძლოა, ტელეკომპანია „მზის“ ხელმძღვანელად დაინიშნოს, ასეთ შემთხვევაში კი, მისი ახლანდელი შეფი — ალექსანდრე ფარულავა უსამსახუროდ რჩებაო. რას გვეტყვით ამაზე?**

— ტელეკომპანია „მზეც“ ჩვენია — ერთ ჰოლდინგში შევდივართ. მას შემდეგ, რაც ჰოლდინგის ხელმძღვანელები „მზის“ კონცეფციის შესახებ ჩამოვყალიბდებით და გარკვეული მიმართულებები გამოიკვეთება, ამას საზოგადოება შეიტყობს. მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— **რა შეიცვალა „რუსთავი 2“-ში თქვენი მოსვლის შემდეგ? თუ შეიძლება, რომ თავმდაბლობის გარეშე მიპასუხოთ?**

— საკმაოდ მოკლე დროში, არსებული პრობლემების ფონზე და ნიადაგზე, ბევრი რამ შეიცვალა. თუნდაც ის, რომ 10-15 აპრილამდე ეთერში 8 ახალი გადაცემა გავა. არ ვიქნები ზედმეტად თავმდაბალი და ვიტყვი, რომ ჩვენს ეთერში საკუთარი პროდუქტი უფრო მეტი გადის, ვიდრე ნაყიდი, რაც ძალიან მეამაყება. სხვათა შორის, ეს საკმაოდ სარისკო გადაწყვეტილება იყო. უახლოეს ხანებში ეთერში უნდა გავიდეს: „დასი“, „ყაზარმა“, ვიწყებთ: „60 წუთს“, რომელიც განახლებული სახით გავა ეთერში. საბავშო გადაცემა — „მხიარული სტარტები“ ჩაეშვება წარმოებაში. მასში სკოლის მოსწავლეები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ვიწყებთ აგრეთვე, ბავშვების „ჯეოსტარს“ — იმისათვის, რომ ნორჩ ნიჭიერ მუსიკოსებს მივცეთ გასაქანი. ცოტა ხანში, გავა ულამაზესი ტოქშოუ ქალებისთვის — რუსული „პრინციპ დომინოს“ მსგავსი, რომელსაც ნანიკო ხაზარაძე წაიყვანს. ეს იქნება სწორად გაკეთებული გადაცემა „ყვითელ“ თემებზე. შევეცადეთ დაგვერღვია ეს ტაბუ და არა იმიტომ, რომ „სიყვითლე“ ცუდია.

— **როგორ გგონიათ, — „რუსთავი 2“ არ არის „ყვითელი“ ტელევიზია?**

— არავითარ შემთხვევაში. ის ჩემი აზრით, სახალხო მაუწყებელია, რომელმაც საზოგადოების მოთხოვნებს უნდა უპასუხოს. საზოგადოებას აქვს მოთხოვნები როგორც „სიყვითლეზე“, ასევე „სიმწვანესა“ და სხვა დანარჩენ ფერებზე. შევეცდებით, ყველას მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ, თუმცა, პირველ რიგში, უნდა ვიყოთ მართლები და ობიექტურები.

— **„რუსთავი 2“-ს ახალი საინფორმაციო სამსახურის უფროსი — ნინო შუბლაძე ჰყავს. არჩევანი მასზე რატომ შეაჩერეთ?**

— ეს ცვლილება ყოველგვარი ექსცესის გარეშე მოხდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფრის შესახებ პრესაში არაადეკვატური რაღაცები იწერება: მე და ეკა ჯოჯუა, ვინც აქამდე იყო საინფორმაციო სამსახურის უფროსი, დიდი ხნის მეგობრები ვართ და დავრჩით კიდეც მეგობრებად. ერთობლივი მოლაპარაკება იყო, რომ ეკა გათავისუფლებულიყო ამ სამსახურიდან, რადგან ძალიან გადაიღალა: მას საკმაოდ რთულ პერიოდში მოუწია საინფორმაციოს უფროსობამ. მადლიერი ვარ მისი, რადგან თავიდან, ჩემთან მეგობრობის გამო მიიღო გადაწყვეტილება, ეხელმძღვანელა ამ სამსახურისთვის. მანამდე კი, სარეკლამო სააგენტო „სარკეში“ მუშაობდა და ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თანამშრომელი გახლდათ. ალბათ, ისევ „სარკეში“ დაბრუნდება და სხვაგანაც გააგრძელებს საქმიანობას. რაც შეეხება ნინო შუბლაძეს — ამ თანამდებობაზე მისი დანიშნვის შესახებ გადაწყვეტილება ძალიან მარტივად მივიღეთ. ის „კურიერის“ ერთ-ერთი სახე და საკმაოდ გამოცდილი თანამშრომელია. მგონი, მისი ხელი უკვე ემჩნევა „კურიერს“. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ.

— **ნინო ეკრანზე აღარ გამოჩნდება?**

— სამწუხაროდ, რაღაც პერიოდით, ის მოაკლდება ეკრანს. როდესაც გარკვეული ხნის შემდეგ, საჭირო კალაპოტში ჩადგება, სავსებით შესაძლებელია, რომ როგორც სახე, ეთერს დაუბრუნდეს...

■

პირველად საქართველოში!

ჟურნალი ჟურნალში

ჟურნალ „გზაში“

დაელოდეთ...

# „მივხვდი, რომ ეს ჩემი წამების მხოლოდ დასაწყისი იყო..."

## ორი შვილის დედა სასტიკი წამებისა და ჯგუფური გაუპატიურების მსხვერპლი გახდა

„...მან ხელ-ფეხი თოკით შემიკრა და გამეტებით დამიწყო ცემა. იატაკზე დამაგდო და ფეხსაცმლიანი ფეხი პირდაპირ სახეში ჩამანარცხა. ცხვირიდან და ტუჩიდან ერთდროულად წამსკდა სისხლი. ეს რომ დაინახა, რაღაც თეთრი ჩვარი აიღო, სახიდან სისხლი მომწმინდა და მითხრა — არ იკივლო და არაფერი დაგიშავდება, ახლა პირი დააღეო. ვერ მივხვდი, რას მიპირებდა. აიღო და ის სისხლიანი ჩვარი პირში ჩამჩარა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი წამების მხოლოდ დასაწყისი იყო...“ — ეს ჩვენება 28 წლის დაზარალებულმა, ორი შვილის დედამ სასამართლოს მისცა. საზარელ დანაშაულთან დაკავშირებით, მან წინასწარი გამოძიების პერიოდში იგივე დააფიქსირა და თავის ჩვენებაში შემზარავი ფაქტები აღწერა. დაზარალებულმა ჩადენილ დანაშაულში სამი ახალგაზრდა, მათგან ორი წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევი პირი ამხილა. საქმე ახალგაზრდა ქალის წარმოუდგენელ ტანჯვა-წამებასა და სექსუალურ ძალადობას ეხება. დაზარალებულის თქმით, დამნაშავეთაგან ის მხოლოდ ერთს იცნობდა. ნაცნობმა, რომელიც დანაშაულის ინიციატორი გახლდათ და რომელსაც ქალი ენდო, ამ სისასტიკეში თავისი ორი მეგობარიც ჩაითრია. მისი წინადადებით, საშინელი წამების შემდეგ, ის ზედიზედ, სამივემ გააუპატიურა...



თბილისელი ხათუნა კაპანაძის (გვარი შეცვლილია) სიტყვებს სასამართლო პროცესზე განსასჯელები შეეწინააღმდეგნენ. დაზარალებულს ცილისწამებაში დასდეს ბრალი და თქვეს, რომ ის გამოძიების მიერ იყო მოსყიდული და მათ, საქმის გახსნითა და შედეგით დაინტერესებული სამართალდამცველების კარნახით ადებდა ხელს. ამ განცხადებების საპასუხოდ, ბრალდების მხარე, დაზარალებულის ჩვენებების გარდა, გამოძიების პერიოდში მოპოვებულ სხვა მტკიცებულებებზეც მიუთითებდა, მათ შორის, ბრალდებულთა საცხოვრებელი სახლებიდან ამოღებულ ნივთმტკიცებაზე — დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალაზე, ასევე, ხათუნა კაპანაძის წამების დროს გამოყენებულ იარაღზე — ორლესულ დანასა და გადაჭრილ თოფზე...

27 წლის ირაკლი გოგოლაძეს, 25 წლის ბაქარ თოფურიასა და 30 წლის დავით ზაქრაძეს ბრალდების მხარემ ექვსი სხვადასხვა მუხლით წაუყენა ბრალი. ოფიციალური ცნობების თანახმად, გოგოლაძე და თოფურია წარსულში არაერთხელ იყვნენ ნასამართლევები ძარცვისა და ქურდობისთვის. ამას გარდა, გოგოლაძეს სასჯელი ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-მოხმარებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვისაც ჰქონდა მოხდილი. ამჯერად, ბრალდებამ დასახელებულ პირებს რამდენიმე მძიმე მუხლი წაუყენა — პირის მძევლად აყვანა და დაკავება (რასაც თან ერთვოდა მოკვლის მუქარა), სხეულის განზრახ დაზიანება და პირის განმეორებით დაკავება იმ მიზნით, რომ ის ეიძულებინათ შეესრულებინა მოქმედება, რომელიც მძევლის გათავისუფლების პირობა იყო; გაუპატიურება არაერთგზის და ჯგუფურად, რასაც თან ერთვოდა სიცოცხლის ხელყოფის მუქარა, სისტემატური ცემა და სხვაგვარი ძალადობა, რასაც წამების ხასიათი ჰქონდა; ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვა, მისი გასაღების მიზნით; ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვა. ყოველივე ამასთან ერთად, სამართალდამცველებმა აღნიშნული პირები ძარცვასა და ყაჩაღურ თავდასხმაში და ამ სახის დანაშაულების ჩადენის მიზნით, ბანდის ორგანიზებაში დაადანაშაულა.

საქმის მასალების მიხედვით, გოგოლაძემ და თოფურიამ ერთმანეთი ციხეში გაიცნეს, დაახლოვდნენ და ვინაიდან სასჯელის მოხდისგან დაახლოებით ერთ პერიოდში გათავისუფლდნენ, მეგობრობა გააგრძელეს. ერთმანეთს ხშირად ხვდებოდნენ და მომავალზეც ერთად ზრუნავდნენ. ბრალდების თანახმად, მაშინ მათ ახალ დანაშაულებრივ გეგმებზე დაიწყეს ფიქრი. საამისოდ კი, საჭირო კონტაქტებიც გამოძებნეს. გამოძიების მასალების თანახმად, თოფურია თავის ნათესავს — დავით ზაქრაძეს დაუკავშირდა (რადგან იცოდა, რომ მას სამხრეთ ოსეთში ბევრი ნაცნობი ჰყავდა), დახმარება სთხოვა და სანაცვლოდ შეჰპირდა, რომ საქმიდან აღებულ წილს მასაც გაუყოფდა. ამ შეთანხმების შედეგად, გოგოლაძემ, თოფურიამ და ზაქრაძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ასევე დაუდგენელი პირებისგან, ცხინვალში ცეცხლსასროლი იარაღი — „კალაშნიკოვის“ ავტომატი (საბრძოლო ვაზნებთან ერთად) და უცხოური წარმოების რევოლვერი იყიდეს. შეიძინეს სანადირო, გლუვლულიანი თოფიც. თოფურიას ბაბუის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას (სამართალდამცველებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ჯგუფი სწორედ იქ მალავდა), პოლიციამ კუსტარული წესით დამზადებული იარაღიც აღმოაჩინა — სანადირო თოფს ლულები და ტარი გადაჭრილი ჰქონდა...

**ხათუნა კაპანაძე:**

*„...ირაკლი გოგოლაძე რამდენიმე წლის წინ გავიცანი. ვიცოდი, რომ ცოტა არეული წარსული ჰქონდა, ნაციხარი იყო, მაგრამ ურთიერთობისას, მას ჩემზე ცუდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. პირიქით, ვფიქრობდი, რომ საკმაოდ ნორმალური ახალგაზრდა იყო. ხშირი ურთიერთობა არ გვქონია. ის ჩემთან სამსახურში მოდიოდა. რამდენჯერმე, საერთო ნაცნობებთან ერთად ვიქეიფეთ... თბილისში დედასთან და დასთან ერთად ვცხოვრობ. ქმარს გაშორებული ვარ. ორი შვილი მყავს — 10 წლის ვაჟი და 7 წლის ქალიშვილი. განქორწინების შემდეგ, ბავშვები მამასთან ცხოვრობენ. მატერიალურად ძალიან მიჭირს და მირჩევნია კიდეც, რომ ბავშვები ჩემს ყოფილ ქმართან არიან. ისინი სოფელში ცხოვრობენ და ვიცი, რომ სასმელ-საჭმელი არ აკლიათ. დროდადრო ვნახულობ ხოლმე შვილებს და ვცდილობ, მზრუნველობა არც მე დავაკლო. სწორედ იმ მიზნით, რომ შვილებისთვის რაიმე გამეკეთებინა და პერიოდულად, მათთვის გარკვეული თანხა გამეგზავნა, ვაჭრობა დავიწყე. თავიდან სურსათით, კერძოდ, ტკბილეულით ვვაჭრობდი ვაგზლის ბაზრობის ტერიტორიაზე, შემდეგ კი, მეგობარ გოგოსთან ერთად გადავწყვიტე, ტანსაცმლის ბიზნესზე გადავსულიყავი. თურქეთში ერთად დავიწყეთ სიარული. მარტის შუა რიცხვები იყო, როცა ჩემს სამუშაო ადგილას ირაკლი გოგოლაძემ მომაკითხა. გამიკვირდა, რომ დავინახე, რადგან დიდი ხანი არ მენახა — სამი წელი მაინც იქნებოდა გასული მას შემდეგ, რაც ბოლოს ვნახე. ვიცოდი, რომ დაიჭირეს, მაგრამ მისი გათავისუფლების შესახებ არაფერი მქონდა გაგონილი. არ ვიცი, საიდან გაიგო, რომ იქ ვმუშაობდი. ერთმანეთი მოვიკითხეთ. ცოტა ხნის საუბრის შემდეგ მითხრა, დახმარება უნდა გთხოვოო. ამიხსნა, რომ მისი მეგობარი მოულოდნელად ცუდად გახდა, ფული სჭირდებოდა, რათა რაიონში ჩაეყვანა მშობლებთან, იქ უფრო უპატრონებენო. მთხოვა, ცოტაოდენი ფული მიმეცა ანუ რისი საშუალებაც მექნებოდა. თურქეთიდან წინა დღის ჩამოსული ვიყავი. ამიტომაც, ფული ნამდვილად არ მქონდა, თანხის ამოღებას მთელი კვირის მუშაობით ვაპირებდი. მაგრამ ირაკლის უარი ვერ ვუთხარი, მომერი-*

*და. ამიტომაცა, გვერდით მომუშავე ახლობლისგან ვისესხე 30 დოლარი და მას მივეცი. ძალიან მადლიერი დამრჩა. მითხრა: არ დაგივიწყებო. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, ისევ მომაკითხა. თუმცა, ამჯერად ფული არ უთხოვია, საღამოს შინ მიმიპატიჟა. მე და ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ვმუშაობდი, დავთანხმდით. იმ სახლში ადრე ნამყოფი არ ვიყავი. მართალია, ირაკლისთან მანამდეც მქონდა ურთიერთობა, მაგრამ მაშინ, ის სხვაგან ცხოვრობდა. მითხრა — ეს ბინა ახლობლისაა, დროებით აქ ვცხოვრობო. როცა მივედით, ბინაში არავინ დაგვხვედრია. ცოტა ხანში ჩემთვის უცნობი, სხვადასხვა პროდუქტით დატვირთული პიროვნება, დაახლოებით, 22-25 წლის ბიჭი მოვიდა. ჩვენ ქეიფი დავიწყეთ. უცნობი გავიცანით. ის ბექა (ბაქარ) თოფურია აღმოჩნდა. დაახლოებით ერთ საათში, დათო (დავით ზაქრაძე) და როლანდი შემოგვიერთდნენ. როლანდის გვარი არ ვიცი. კარგ განწყობილებაზე ვიყავით, ბევრი ვიმხიარულეთ. ამასობაში, ძალიან დაღამდა. მე და ჩემი მეგობარი გოგონა გვარიანად ნასვამები, შეიძლება ითქვას, მთვრალები ვიყავით. ირაკლიმ აიჩემა — ამ ღამეს არსად წახვალთ, აქ დავრჩეთ ყველანი, ვიმხიარულოთ და დილით, რა გინდათ, სამსახურამდე მიგაცილებთო. ჩვენც არ შევეწინააღმდეგეთ. იმ ღამეს ორივენი იქ დავრჩით. მერე ისე მოხდა, რომ ირაკლიმ საძინებლისკენ გამიყვანა. ის ღამე მასთან გავატარე... ჩემი მეგობარი მეორე ოთახში დარჩა, ბიჭებთან ერთად. იქვე დაიძინა. მეორე დილით ირაკლიმ მართლაც მიგვაცილა სამსახურამდე. ერთმანეთს ისე დავცილდით, რომ არაფერი გვითქვამს მომავალ შეხვედრაზე... სამი დღის შემდეგ, ჩემს დახლთან როლანდი მოვიდა. მითხრა — ირაკლიმ გამომგზავნა შენთან, ფული მჭირდება, 50 დოლარი და გამომიგზავნოსო. არ მომეწონა, ასე რომ მთხოვა ფული, თუმცა, რეალურად არც მქონდა ამდენი თანხა. მხოლოდ სავაჭრო ფული მქონდა, რასაც ვერაფერს მოვაკლებდი. ვუთხარი, რომ არ მქონდა და გავუშვი. ერთ საათში თვითონ ირაკლი მოვიდა. გვერდზე გამიხმო, მანამდე კი ჩემს მეგობარ გოგოს უთხრა: აქ საქმეებს შენ მიხედე, ცოტა ხნით გავიყვანო. ბაზრობის ტერიტორიიდან რომ გავედით, მან უცებ ხელი ჩამავლო მკლავში და მწვანე „ჟიგულიში“ ჩამაგდო. როცა ვიკითხე, რა ხდებოდა, ასე რატომ იქცეოდა? მიპასუხა — ნუ ყვირი, ბინაში მივიდეთ და იქ აგიხსნი ყველაფერსო... იმავე ბინაში მივედით. იქ ირაკლის გარდა, როლანდიც იყო. ბექა და დათო თავიდან არ ჩანდნენ. გამიმეორეს — ფული გვჭირდება სასწრაფოდ და უნდა გვიშოვო, რას გვახვეწნინებ ამდენსო. ავუხსენი, რომ არ მქონდა. მაშინ ირაკლიმ შემაგინა და ხელი მკრა, იქვე დივანზე დამაგდო. მე შიშისგან ხმა არ ამომიღია, ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, რომ როგორმე მათგან თავი დამეღწია. ამ დროს დავინახე, რომ როლანდმა ჯიბიდან რაღაც თეთრ ქაღალდში გახვეული ამოიღო, რაღაც ფხვნილისმაგვარი იყო. მისი ნაწილი სიგარეტის თუთუნში შეურია და ირაკლის მიაწოდა. რაც დარჩა, როლანდმა კარადის უჯრაში შეინახა. ამის შემდეგ, ირაკლი მომიახლოვდა და ბრძანების ტონით მითხრა — ტანსაცმელი გაიხადეო. უარი ვუთხარი და ტირილი დავიწყე. ამან უფრო გააღიზიანა და პირდაპირ ცემაზე გადავიდა — ჯერ ხელ-ფეხი შემიკრა თოკით, შემდეგ გამეტებით დამიწყო ცემა. იატაკზე დამაგდო და ფეხსაცმლიანი ფეხი პირდაპირ სახეში ჩამანარცხა. ცხვირიდან და ტუჩიდან ერთდროულად წამსკდა სისხლი. ეს რომ დაინახა, რაღაც თეთრი ჩვარი აიღო, სახიდან სისხლი მომწმინდა და მითხრა — არ იკივლო და არაფერი დაგიშავდება, ახლა პირი დააღეო. ვერ მივხვდი, რას მიპირებდა. აიღო და ის სისხლიანი ჩვარი პირში ჩამჩარა. მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი წამების მხოლოდ დასაწყისი იყო. როლანდს დაუძახა და უთხრა, რომ ჩემთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა. მერე, თვითონაც მიმართა ასეთივე ძალადობას. ამის შემდეგ, ერთხანს თავი დამანებეს. ხელფეხშეკრული და პირაკრული ვერც ვინძრეოდი, ვერც ვლაპარაკობდი. მინდოდა მათთვის მეთქვა, ოღონდ თავი დამანებეთ და ფულს როგორმე ვიშოვი-მეთქი, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა. მერე მივხვდი, რომ ამის თქმასაც არ ჰქონდა აზრი, რადგან მათი მიზანი უკვე ფული კი არა, ჩემი წამება გახდა... რამდენიმე საათის შემდეგ, დათო და ბექაც მოვიდნენ. მათაც იგივე გაიმეორეს, რაც ირაკლიმ და როლანდმა. მორიგეობით მცემდნენ და მამცირებდნენ. ბექამ შარვლიდან ქამარი მოიხსნა და სხეულზე რამდენჯერმე ზედიზედ გადამკრა. მონაცვლეობით მაუპატიურებდნენ და მირტყამდნენ. გული რომ არ წამსვლოდა, დროდადრო წყალს მასმევდნენ. ირაკლიმ საჭმელიც მომაწოდა, მაგრამ არ ვჭამე. დამემუქრა: ჭამე, თორემ ყელს გამოგჭრიო და დანა ყელთან მომაბჯინა. დავინახე, რომ იმ დანას ორივე მხრიდან ჰქონდა პირი ალესილი. შეშინებულმა ჭამა დავიწყე. აღარაფერს ვამბობდი, რადგან აზრი არ ჰქონდა. არც წინააღმდეგობას ვუწევდი მათ, რადგან მეშინოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ნებისმიერი მათი მუქარა რეალური იყო, ისინი ყველაფერზე წავიდოდნენ... ბინაში ორი დღე გამომკეტეს. მთელი ამ ხნის მანძილზე მათ ჩემი ტანჯვა არ შეუწყვეტიათ. ერთხელ გავიგონე, როგორ უთხრა როლანდმა ირაკლის — ის გოგო იყო მოსული, არ შემოვუშვი, ხათუნას ეძებს, ძალიან იყო ანერვიულებულიო. არ ვიცი, შეშინდნენ თუ რა, მაგრამ იმ ღამესვე ჩამკიდეს ხელი და ბინიდან გამიყვანეს. ისევ იმ მწვანე „ჟიგულიში“ ჩამსვეს და მკითხეს: სად წაგიყვანოთო? ასეთ მდგომარეობაში სახლში ვერ მივიდოდი. ამიტომაც, მათ მეგობრის სახლის მისამართი ვუთხარი. სადარბაზოსთან დამტოვეს, თან, გამაფრთხილეს — ჭკუით ვყოფილიყავი. მივხვდი, ამაში რაც იგულისხმეს, მაგრამ პოლიციასთან დაკავშირება და ჩემს აუტანელ წამებაში მათი მხილება უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი...“*

დაზარალებულს მკურნალობა დასჭირდა. მას სხეულზე 20-ზე მეტი სხვადასხვა სახის დაზიანება აღმოაჩნდა. ნახეთქები და ნასკდომები აღენიშნებოდა როგორც სახეზე, ასევე სხეულის სხვა ადგილებშიც. ექსპერტების თქმით, დაზიანებები ბლაგვი, მკვრივი საგნით იყო მიყენებული. მიყენებულ დაზიანებებს ქალის ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა მოჰყვა.

ხათუნა კაპანაძის ჩვენების საფუძველზე, სამართალდამცველებმა დასახელებული პირები მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთ კვირაში დააკავეს. ვერ გაარკვიეს მხოლოდ როლანდის ვინაობა და აქედან გამომდინარე, ვერც მის ადგილსამყოფელს მიაგნეს. თანაც, მის დასაკავებლად დაზარალებულის ცნობები საკმარისი არ აღმოჩნდა, დაკავებულმა პირებმა კი დანაშაულში თანამონაწილე არ დაასახელეს. სასამართლოში განსასჯელებმა არც ერთი ბრალდება არ დაადასტურეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიებისას, ექვმიტანილის სახით დაკითხვის დროს, მათ ყველაფერი აღიარეს და თავი დამნაშავედაც ცნეს. სამართალდამცველებს მაშინ ზუსტად ისეთივე ჩვენება მისცეს, რაც დაზარალებულმა. მოგვიანებით კი, ყოველივე სამართალდამცველთა მხრიდან განხორციელებულ ზეწოლას მიაწერეს. მათ მოითხოვეს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა და გამართლება წარდგენილ ბრალდებებში. ამ მოთხოვნის მოტივი ის გახლდათ, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათ, არც ცეცხლსასროლი იარაღი შეუძენიათ და არც ბანდის ჩამოყალიბების სურვილი გასჩენიათ ოდესმე. განსასჯელებმა კატეგორიულად უარყვეს ხათუნა კაპანაძის წამებისა და ჯგუფური გაუპატიურების ფაქტიც. მათ დაზარალებულთან შეხვედრა და ქეიფის ფაქტი დაადასტურეს, ისიც აღიარეს, რომ მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარეს, მაგრამ ძალადობა გამორიცხეს. განაცხადეს — ყველაფერი საქმეში დაზარალებულად ცნობილის ნებაყოფლობით მოხდაო, მაგრამ კაპანაძის სხეულზე დაფიქსირებულ დაზიანებებთან დაკავშირებით, ვერაფერი თქვეს. აღნიშნეს, რომ სად და როდის მიიღო ეს დაზიანებები, მათთვის უცნობია, თავად კი ის არასდროს უცემიათ.

განსასჯელთა ეს არგუმენტები სასამართლომ ისე ახსნა, როგორც ტიპური მცდელობა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა. წაყენებული მუხლები უკლებლივ დადასტურებულად ცნეს და განსასჯელებს ჩადენილი დანაშაულისთვის მკაცრი სასჯელიც განუსაზღვრეს. გოგოლაძეს, როგორც დანაშაულის ინიაციატორსა და ყველაზე აქტიურს 11, დანარჩენებს კი — 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. განაჩენის თანახმად, მსჯავრდებულები სასჯელს მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მოიხდიან. ■

# „ის ტახტზე დავარდა და კვნესა დაიწყო, თავიდან სისხლი წამოუვიდა"...

## არასრულწლოვანმა მკვლელობა სალოცავთან ჩაიდინა



ამ დანაშაულამდე, როგორც საქმის მასალებში წერია, 15 წლის ბაჩანა გაბროძე ოჯახში არსებულმა უკიდურესმა მატერიალურმა სიდუხჭირემ მიიყვანა. პირველი დანაშაულიც — ქურდობა, რომელიც მან ამ ფაქტამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე ჩაიდინა, ასევე ფინანსური ხელმოკლეობით იქნა ახსნილი. გაბროძე ქურდობისთვის გაასამართლეს და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ შემდეგ, მსჯავრი პირობით შეუცვალეს და ციხიდან გაათავისუფლეს. ბიჭი დედასთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ მშობელი მას სათანადო ყურადღებას (როგორც თავად აღიარებს ჩვენებაში) ვერ აქცევდა. ის არც სკოლაში სწავლობდა, რის გამოც, იქიდან გაირიცხა. იმ სისასტიკეს კი, რაც გზასამცდარმა და უკვე კრიმინალად ჩამოყალიბებულმა არასრულწლოვანმა ჩაიდინა, ვერანაირი მატერიალური გაჭირვება ვერ ამართლებს. ის, რომ არასრულწლოვნის უმეთვალყურეოდ დატოვებამ და მისმა არასწორმა აღზრდამ უმძიმეს შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს, ბოლო დროს მოზარდთა შორის გახშირებული ძალადობის ფაქტებითაც დასტურდება. 15 წლის მოზარდის მიერ ჩადენილი სასტიკი მკვლელობა კი, ამის კიდევ ერთი სამწუხარო მაგალითია:

*„...იქ რომ შევედი, კედელზე დაკიდებული რაღაც ნივთი მაშინვე შევამჩნიე. ვიფიქრე, ალბათ, რამე ძვირფასია-მეთქი... იმ კაცს დაეძინა. მე იმ ნივთთან მივედი, ხელი მოვკიდე და მოვსინჯე, რა უნდა ყოფილიყო. მივხვდი, რომ იარაღი იყო... გადავწყვიტე, უკეთესი იქნებოდა, თუ მოვკლავდი. თოფი ავაწყვე, გადავტენე და მის მოსაკლავად გავბრუნდი...“* — წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში ასე აღწერს **გაბროძე** ჩადენილი დანაშაულის დეტალებს. ეს ჩვენება მან სასამართლო პროცესზეც გაიმეორა. საქმის მასალების მიხედვით კი, ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ დედამ თავის ვაჟიშვილს ერთ-ერთი რელიგიური დღესასწაულის მოახლოება აუწყა, მასთან დაკავშირებული რიტუალიც აუხსნა და უთხრა, რომ ამ დროს მორწმუნეები სალოცავში შესაწირით მიდიოდნენ. ურჩია — კარგი იქნება, თუ სალოცავში შენც წახვალ, თან, ჩანთას წაიღებ და შეწირულ ფრინველებს თუ პირუტყვს შინ წამოიყვანო...

წმინდა გიორგის სალოცავამდე გაბროძე კითხვა-კითხვით მივიდა. შინიდან საღამოს 9 საათისთვის გავიდა და დანიშნულების ადგილამდე რომ მიაღწია, უკვე გვიანი ღამე იყო, ძალიან ბნელოდა. იქ მას ეკლესიის მსახური მღვდელი — მამა დავითი და მისი ერთ-ერთი მრევლი — გიორგი ჭონქაძე დახვდნენ. როგორც შემდეგ, გამოძიებით გაირკვა, იმ დღეს ჭონქაძე თავისი სანადირო თოფით ახლომდებარე ტყეში ნადირობდა, შებინდებისას კი, სალოცავში მივიდა, რადგან მორწმუნე იყო და სურდა, ღამე მღვდელთან ერთად გაეთენებინა, მეორე დღეს კი, წირვას დასწრებოდა.

სალოცავის გვერდით ფიცრული იდგა. მღვდელი და ჭონქაძე სწორედ იქ ისხდნენ, ღუმელთან და ლაპარაკობდნენ. თოფიც იქვე იდო, თუმცა, უკვე დაშლილ მდგომარეობაში. პატრონმა ის სპეციალურ შალითაში ჩადო, მონადირის ხელჩანთა კი, რომელშიც სანადირო თოფის ვაზნები და ტყავის სავაზნე ელაგა, კედელზე ჩამოკიდა.

მოულოდნელად მისული გაბროძე მათ კარგად მიიღეს. მღვდელმა ის ფიცრულში დააბინავა და ავახშმა კიდეც. დაახლოებით ღამის 12 საათისთვის, თავად დასაძინებლად სხვაგან წავიდა, გაბროძე და ჭონქაძე კი მარტო დატოვა...

გაბროძე მოთმინებით ელოდა, როდის ჩაეძინებოდა მისთვის უცნობ მამაკაცს. როცა ხელსაყრელი მომენტი შეარჩია, თოფსა და ტყავის ხელჩანთას ხელი დაავლო. ამ ხმაურზე ჭონქაძეს გაეღვიძა და ტახტიდან წამოხტა, რადგან მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. შეეცადა, ქურდისთვის წინააღმდეგობა გაეწია და მისთვის იარაღის წაღების საშუალება არ მიეცა. უფროსის ასეთი წინააღმდეგობა რომ დაეთრგუნა, გაბროძე სწრაფად შეტრიალდა, ღუმელთან დაგდებული ფიცარი აიღო, ჭონქაძეს მოუქნია და ძლიერად ჩაარტყა თავში, რის შედეგადაც, ჭონქაძე ტახტზე გადავარდა. როგორც მოგვიანებით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა დაადგინეს, ამ დარტყმის შედეგად, დაზარალებულმა სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო, ქალასარქვლისა და ქალა-ფუძის ძვლების მოტეხილობის სახით.

გაბროძემ თოფსა და ვაზნებს ხელი დაავლო და ფიცრულიდან გაიქცა. დაახლოებით 3 წუთის სირბილის შემდეგ გაიფიქრა, რომ იარაღის პატრონი შესაძლოა, გონს მოსულიყო და ის ჩადენილ დანაშაულში ემხილა. როცა ეს ყოველივე გაიაზრა, უკან მიბრუნება და დანაშაულის დაფარვის მიზნით, მისი მოკვლა გადაწყვიტა — ააწყო დაშლილი თოფი, მის ლულაში ხელჩანთიდან ამოღებული ორი ვაზნა მოათავსა და იარალი სასროლად მოამზადა. ამის შემდეგ კი, სალოცავისკენ გასწია. ფიცრულს რომ მიუახლოვდა, იქიდან გამომავალი ჭონქაძის სილუეტი შენიშნა. მაშინვე თოფი მოიმარჯვა და დაახლოებით 10-15 მეტრის მანძილიდან, მას დამიზნებით ესროლა. ჭონქაძეს ტყვია თავის არეში მოხვდა. სასიკვდილო ჭრილობის შედეგად, ის იქვე ჩაიკეცა და ადგილზევე გარდაიცვალა. რაც შეეხება გაბროძეს, რომელმაც თავისი განზრახვა უკვე სისრულეში მოიყვანა, თოფი ისევ დაშალა, შალითაში ჩადო, შემდეგ, ხელჩანთასთან და ვაზნებთან ერთად ყველაფერი შინიდან წამოღებული, შეწირული ფრინველებისთვის განკუთვნილ ჩანთაში ჩააწყო და შემთხვევის ადგილი დატოვა. გზაზე მან ერთ-ერთი მოსახლის კუთვნილი შინაური ფრინველები დაიჭირა და სახლისკენ ასე დატვირთული, ფეხით გაემართა. გამთენიისას ის პოლიციამ დააკავა...

**მსჯავრდებულის დედის ჩვენებიდან:**

*„ქურდობაში ადრეც იყო შემჩნეული. ამისთვის ციხეში მოხვდა და გაასამართლეს კიდეც. აღრიცხვაზე აიყვანა პოლიციამ. სკოლაში ცუდად სწავლობდა და იქიდან გამოვიყვანე. სამი დღით ადრე, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, ოჯახში იყო საუბარი იმის შესახებ, რომ სალოცავში წავსულიყავით. შვილს ავუხსენი, თუ როგორ მიდიოდა ხალხი იქ, ღამეს ათევდა და მსხვერპლს სწირავდა. მითხრა, მეც წავალ და დავრჩებიო. ისიც დაამატა — ჩანთას წავიღებ და შეწირულს შინ მოვიტანო“...*

**მსჯავრდებულის ჩვენებიდან:**

*„...ოჯახში მატერიალურად ძალიან გვიჭირდა, ხშირად პურსაც ვერ ვყიდულობდით. ამიტომაც მითხრა დედამ, შეწირული ფრინველის თაობაზე... სალოცავი მთის წვერზე იყო. უკვე დაღამებულიყო. იქ ადრე არასდროს ვყოფილვარ. როცა იმ ადგილამდე მივედი, დავინახე ნახევრად დანგრეული ეკლესიის შენობა, რომელშიც სანთლები ენთო. სანთლის შუქი გამოდიოდა მისგან დაახლოებით 20 მეტრის დაცილებით მდებარე ხისგან ნაგები ქოხიდანაც. ჯერ ეკლესიაში შევედი და ვილოცე. იქიდან რომ გამოვედი, ძალიან ბნელოდა, ვერაფერს ვხედავდი. ამის გამო, ეზოში მდგარ რკინის ყუთსაც დავეჯახე. დაჯახების ხმაზე ქოხის კარი გაიღო, წვერიანმა მღვდელმა გამოიხედა და დაიძახა — რომელი ხარო? ჩემი სახელი ვუთხარი და ქოხში შევედი. თავად მიმიპატიჟა. მღვდელი ახალგაზრდა იყო, დაახლოებით 35 წლის იქნებოდა. ქოხში მარტო არ ყოფილა. იქვე, ღუმელთან, დაახლოებით 45 წლის ულვაშიანი კაცი იჯდა. მღვდელი შემეკითხა — ვინ ხარ და რატომ მოხვედიო? ვუთხარი ჩემი გვარი და მისამართი, სადაც ვცხოვრობდი. ისიც ვუთხარი, რომ მორწმუნე ვიყავი და ღამის გასათევად მივედი სალოცავში. ხვალ დედაჩემი და ბიძაჩემიც მოვლენ-მეთქი, — დავამატე. ღუმელთან დავჯექი და ჩანთაც იქვე დავდე. მღვდელმა და იმ კაცმა რელიგიურ თემაზე დაიწყეს საუბარი ერთმანეთში. მღვდელი შემეკითხა — „მამაო ჩვენოს“ ლოცვა თუ იციო? შემდეგ, საჭმელი მომაწოდა. ცოტა ხანში თქვა — მე გარეთ, ეკლესიასთან დავწვები, თქვენ კი აქ მოთავსდითო. იმ კაცს ტახტზე მიუთითა, მე კი მითხრა — შენ იატაკზე დაწექიო. მე ჯერ დაწოლას არ ვაპირებდი. ქოხში*

*შესვლისთანავე შევნიშნე, რომ კედელზე რაღაც ეკიდა. შემდეგ, ყავისფერ შალითასაც მოვკარი თვალი. შალითა თოფის იყო და მივხვდი, რომ მასში იარაღი იქნებოდა. კედელზე, ლურსმანზე პატარა ჩანთაც ეკიდა. მინდოდა, ეს ყველაფერი მომეპარა. იმ კაცს გავხედე — ეძინა. ჩანთა მოვსინჯე და ხელში რაღაც მაგარი მომხვდა. ამასობაში, მოულოდნელად ტახტიდან წამოიწია იმ კაცმა. მკითხა — რას შვრებიო? მერე წამოჯდა ტახტზე და დედის მისამართით შემაგინა. ტახტთან რაღაც ჯოხი ეგდო. ხელი დაავლო იმ ჯოხს. ვიფიქრე, არ დამარტყას-მეთქი და მეც ღუმელთან დაგდებული ფიცარი ავიღე, რომელიც დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის იქნებოდა. მერე, ის კაცს თავში ჩავარტყი. მაშინვე ტახტზე დავარდა და კვნესა დაიწყო. თავიდან სისხლი წამოუვიდა... იქიდან გავიქეცი. მღვდელმა დამინახა და მომაძახა — რა მოხდა? სად გარბიხარო? მე არაფერი მიპასუხია. ცოტა მანძილი რომ გავირბინე, ვიფიქრე, რომ ის კაცი დანაშაულში მამხელდა. გადავწყვიტე, მივბრუნებულიყავი და მომეკლა... თოფი ავაწყვე და მივბრუნდი. ჩანთა იქვე, ნაძვებთან დავტოვე... დავინახე, რომ ფიცრულის კართან იდგა. დავუმიზნე და ვესროლე. ის მაშინვე წაიქცა, ქოხის შესასვლელთან. ვიფიქრე, უკვე მოვკალი-მეთქი და სწრაფად გავიქეცი ნაძვებისკენ, სადაც ჩანთები მქონდა დატოვებული“.*

მომხდარის შესახებ ახლოს მცხოვრებ მოსახლეებს, შემდეგ კი პოლიციას მღვდელმა შეატყობინა. დაკავებულ არასრულწლოვან ექვმიტანილს დანაშაულის იარაღთან — სანადირო თოფთან და ვაზნებთან ერთად, აწ გარდაცვლილის კუთვნილი, მონკავშირის საბუთიც აღმოაჩნდა ქურთუკის ჯიბეში. პოლიციისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში, შემდეგ კი ექვმიტანილის სახით დაკითხვისას, მან დეტალურად აღწერა ჩადენილი დანაშაული.

**მოკლულის მეუღლის ჩვენებიდან:**

*„ჩემს ქმარს მტერი არასდროს ჰყოლია. უწყინარი ადამიანი იყო და ამასთანვე, ძალიან მორწმუნე. იმ პერიოდში სოფელში მარტო ცხოვრობდა. მე ქალიშვილთან ერთად თბილისში ვიმყოფებოდი. ქმართან პერიოდულად, დროდადრო ჩავდიოდი. იმ დღეებშიც მასთან ჩავედი, მაგრამ შინ არ გაჩერებულა. ამ ამბამდე ორი დღით ადრე, მოულოდნელად წავიდა სახლიდან ისე, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამს. ღამით რომ გავიდა შინიდან, ეს ვიცი, რადგან მისი ნაბიჯების ხმა გავიგონე. მეორე დღესაც არ დაბრუნებულა. მთელი დღე ველოდი, შემდეგ კი პოლიციელები მოვიდნენ და მომხდარი უბედურების შესახებ სწორედ მათგან შევიტყვე...“*

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა მოკლულის გვამიდან საფანტის მარცვლები, შემთხვევის ადგილიდან კი, ფიცარი ამოიღეს, რაც ნივთმტკიცების სახით დაერთო აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს. გაბროძეს ბრალი სამი სხვადასხვა მუხლით წაუყენეს და სამივეში დამნაშავედ ცნეს. ჩადენილი დანაშაულისთვის არასრულწლოვან განსასჯელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ■



# რა ხდება საქართველოში

## ანუ „ადამიანის სიცოცხლეს ქათმის ფასი დაედო“

*დასაწყისი იხ. გვ. 4*

გარდა ამისა, ასევე უკანონოა 15 წლის ბავშვის დაკავება. უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიც მაშფოთებს. იუშჩენკო საკმაოდ ძლიერი პიროვნებაა, მან მოახერხა და უკრაინაში ახლა დემოკრატიული პროცესები მიმდინარეობს (ჩვენგან განსხვავებით). ამ ადამიანმა საკუთარი თავი კონსტიტუციაზე მაღლა არ დააყენა. მას დაბალანსებული პარლამენტი ჰყავს. სულაც არ მინდა, რომ უკრაინა ორად გაიყოს. იუშჩენკო ალბათ მოახერხებს და ამ პრობლემას მოაგვარებს. დაველოდოთ, რა მოხდება... რაც შეეხება კვირის საუკეთესო ამბავს, — ეს ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენების ფაქტია. ამ ფაქტმა საზოგადოების რაღაც ნაწილში დაპირისპირება უნდა აღმოფხვრას. ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ გამარჯვებას.

### საზოგადოება

**ნინო ლაბაძე,** *იურისტი, 40 წლის:*

— ყველაზე სასიხარულო ის ფაქტი იყო, რომ ზვიად გამსახურდიას ნეშტი, როგორც იქნა, საქართველოში გადმოასვენეს. ჩვენი პირველი პრეზიდენტი ნამდვილად გახლდათ იმის ღირსი, რომ ქართულ მიწაში დამარხულიყო. პანაშვიდზეც ვიყავი მცხეთაში და დასაფლავების დღეს პრლამენტის წინაც მივედი, რათა იგი უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა. გამიხარდა, მის დაკრძალვას ამდენი ხალხი რომ დაესწრო... ჩემი აღშფოთებაც ამავე ფაქტს უკავშირდება: არ მომეწონა მანანა არჩვაძისა და მისი ვაჟის, ცოტნეს საქციელი. ერთმანეთს ჰგვანან — რას აკეთებენ, თვითონაც არ იციან...

**ზურა დვალიძე,** *ეკონომისტი, 25 წლის:*

— რა გამიხარდა და რა მეწყინა? ძნელი სათქმელია. ყველაზე კარგი ალბათ, ის იყო, ზვიად გამსახურდია საქართველოში რომ ჩამოასვენეს. ამ კვირას ჩემი აღელვების მიზეზი კი, ფეხბურთი გახლდათ. საქართველომ „ფარერებთან“ კი მოიგო, მაგრამ ვაი, ამ მოგებას — სამარცხვინო თამაში იყო. გარდა ამისა, „მილანი“-„ბაიერნის“ თამაში 2:2 დამთავრდა და ეს ძალიან მეწყინა, რადგან იტალიის გულშემატკივარი ვარ და მინდოდა, მას მოეგო...

**ნანული კირკიტაძე,** *პედაგოგი, 50 წლის:*

— ამ კვირაში ყველაზე საუკეთესო ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების ფაქტი იყო. გარდა ამისა, ძალიან გამიხარდა, ლევან კალაძის კიდევ ერთი მკვლელი რომ დააპატიმრეს. როგორ შეიძლებოდა, ამისთანა კარგი ადამიანის წამება და მოკვლა?! ეგენი ციხის კი არა, დახვრეტის ღირსნი არიან. როგორც ჩემთვის ცნობილია, კალაძეებს არაჩვეულებრივი ოჯახი აქვთ. თურმე, მთელ სამტრედიას უანგაროდ ეხმარებიან და რატომ უნდა ჰყოლოდათ მათ მტრები?!. აღმაშფოთა უკრაინის რევოლუციის ამბავმა. იუშჩენკო ჩვენი პრეზიდენტის მეგობარი და ძალიან კარგი ადამიანია, როგორ შეიძლება მის წინააღმდეგ რევოლუციის მოწყობა?!.

**ამირან ჭეიშვილი,** *პენსიონერი, 70 წლის:*

— 23 წლის ბიჭი „საქნავთობის“ წინ რომ ჩაცხრილეს, ამან აღმაშფოთა. როგორც მერე გაირკვა, ის მკვლელებს სხვაში შეშლიათ... ამ ბოლო დროს, ადამიანის სიცოცხლეს ქათმის ფასი დაედო, როგორ თუ შეეშალათ? 23 წლის ახალგაზრდა არაფრის გამო მოკლეს? სად არის სამართალი?! მისი მკვლელები ლინჩის წესით უნდა გაასამართლონ. ტელევიზორის ყურება აღარ შეიძლება, თითქმის ყოველ საღამოს ვიღაცას კლავენ. რა ხდება საქართველოში? რატომ არის ასეთი განუკითხაობა?.. არ მომეწონა კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ დავითგარეჯი ტურისტულ ზონად გადაკეთდეს. ეს ხომ ჩვენი კულტურა და ტრადიციაა! როგორ შეიძლება მისი ასე შებღალვა?! გამიხარდა, პატრიარქმა ამაზე უარი რომ თქვა... კარგი ამბავი კი ის იყო, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ქართულ მიწას მიაბარეს.

**თაკო ნაკაშიძე,** *სტუდენტი, 21 წლის:*

— ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო და დადებითი ამ კვირაში, ზვიად გამსახურდიას ნეშტის საქართველოში გადმოსვენება იყო. ეს ამბავი ძალიან გამიხარდა და ამიტომაც, თითქმის ყოველდღე მივდიოდი პანაშვიდზე. თუმცა, არ მომეწონა ის, რომ პირველ აპრილს გადაწყვიტეს მისი დაკრძალვა... ამ კვირაში საზოგადოდ ცუდი რა მოხდა, ვერ გეტყვით, პირადად ჩემთვის კი, ის იყო, რომ მართვის მოწმობის პრაქტიკულ გამოცდაზე მეოთხედ ჩავიჭერი და ახლა თეორია ისევ თავიდან უნდა ჩავაბარო, რა თქმა უნდა, ფულიც თავიდან უნდა გადავიხადო...

**ანი ლაბაძე,** *10 წლის:*

— ყველაზე მეტად ანსამბლ „ნაბადის“ თეატრალიზებული სანახაობა მომეწონა. დედამ წამიყვანა მის სანახავად და აღფრთოვანებული დავბრუნდი. ძალიან მინდა, რომ მეც მოცეკვავე გავხდე და მათთან ერთად ვიცეკვო. თურმე, მოსწავლეები ჰყავთ და დედა დამპირდა, რომ აუცილებლად მიმიყვანს ამ ანსამბლში. ამის გამო, იმდენად გახარებული ვარ, რომ ცუდი რა მოხდა, აღარც კი მახსოვს. ■

*რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ*

# „გაქცეული" მიცვალებული, ცხვირზე აფარებული „გარშოკი", 85 წლის გაუპატიურებული ქალი და გადაწკეპილულვაშიანი პატარძალი

## ნათია ქივიძე

დედულეთი კახეთში, გურჯაანის რაიონში, სოფელ კალაურში მაქვს, სადაც ძალიან მიყვარს სტუმრობა და სტუმართმოყვარე კახელებთან ერთად მოლხენა. მოგეხსენებათ, მათ არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა აქვთ და მათთან სტუმრობასა და საუბარს არაფერი სჯობს. სამწუხაროდ, ბოლო დროს, მოუცლელობის გამო იქ ჩასვლა იშვიათად მიწევდა. რამდენიმე დღის წინ გადავწყვიტე, კახეთს ერთი დღით მაინც ვწვეოდი და კალაურში გავემგზავრე. ის საღამო ჩემი ოჯახის წევრების გარემოცვაში გავატარე, მეორე დღეს კი, კვლავ თბილისისკენ ავიღე გეზი. ნახევარ საათზე მეტხანს მომიხდა კალაურის „ბირჟაზე" დგომა და სამარშრუტო ტაქსისთვის ლოდინი, რაც ძალიან გამიკვირდა, რადგან ადრე, 6-7 წუთში ერთხელ, სხვადასხვა სოფლიდან თბილისისკენ მიმავალი უამრავი „მარშრუტკა" დადიოდა. როგორც იქნა, 40 წუთის შემდეგ, წითელი მიკროავტობუსი გამოჩნდა. მძღოლის გვერდით, თავისუფალ ადგილას მოვკალათდი და უკანა სავარძლები შევათვალიერე — მხოლოდ ერთი, შავებში ჩაცმული ხანდაზმული ქალბატონი იჯდა. სად ხართ ამდენ ხანს-მეთქი?! — ვუსაყვედურე მძღოლს.

— რა ვქნა, გენაცვალე, ნახევარ საათზე მეტია, ვაჩნაძიანის ავტოსადგურში ვარ დარჭმული; ამ დროს 7 ტაქსი დავთვალე თბილისისკენ მიმავალი. ხო ხედავ, არა, მე მარტო ერთი მგზავრი მყავ, ე ტაქსის მძღოლები უნდა დაიჭირო და ყველა ერთად უნდა გადაყარო-კე სადღაცას, — ლაპარაკის ხასიათზე მოვიდა აღელვებული მძღოლი. — „მარშრუტკა" 5 ლარი ღირს, ტაქსი კიდენა — 6, თუ გაჭირდა, ხუთადაც წაიყვანენ მგზავრს; მოგება არაფერი რჩებათ, მაგრამ ოღონდ ჩვენ გაგვამწარონ და მაგაზეც ყაბულს არიან. ამას წინათ, მუკუზანში გოგომ დამიქნია ხელი, ჯერ გაჩერებულიც არ ვიყავი, რომ ტაქსმა ზედ ფეხებთან მიუჩერა იმ გოგოს. ამ ხალხსა კიდენა, აზრი არა აქვს, მანქანაში ჩაჭეჭყვას, „მარშრუტკაში" თავისუფლად ჯდომა არ ურჩევნიათ? თანაც, ძალზე ხშირია ტაქსით მომხდარი ავარიები. მაინც ვერ გაიგეს ესა... ჰოდა, იმ გოგომაც ტაქსისკენ გაიწია. ველარ მავითმინე, გადმოვხტი, გადმოვათრიე ის მძღოლი და იგრე ვცემე, იგრე, რომა ალბათ, პატრონიც ველარ იცნობდა, — ტრაბახით დაასრულა თხრობა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, მანქანის სიჩქარე 20 კილომეტრ/საათს არ ასცილებია. შეწუხებულმა ვკითხე — თბილისამდე ასე უნდა ვიაროთ-მეთქი? მძღოლმა გაოცებული სახით გადმომხედა და მითხრა: აბა, თუ მგზავრებს არ ავიყვან, მარტო შენ გამო ხომ არ ჩავახრიალებ ამხელა „მარშრუტკას" თბილისშიო?.. ხმა აღარ ამომიღია.

სოფელ ვაზისუბანში ჩვენს მანქანას ვიღაც ბიჭებმა დაუქნიეს ხელი. მძღოლმა დაამუხრუჭა და მათ კარის გაღებაც არ აცალა, ისე იყვირა: სად მიდიხართო? გურჯაანამდე გამოგვყვებითო, — უპასუხეს ბიჭებმა. გაბრაზებულმა მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა და გზა ისე განაგრძო, რომ ბიჭებმა ამასობაში გაღებული კარის მოხურვაც კი ვერ მოასწრეს. თან, შემომჩივლა: აბა, 100 ასეთი ადამიანი რომ გამაჩერებს, რამდენი ბენზინი დამეხარჯება, არადა, 50 თეთრის გულისთვის დავაკავებინო ადგილიო? მოკლედ, გურჯაანამდე ისე ჩავედით, ერთი მგზავრიც არ შემოგვმატებია. იქ კი ერთი გოგონა ამოვიდა და მძღოლი მაშინვე გააფრთხილა, მე ბიძინას ახლობელი ვარ და თბილისამდე უფასოდ უნდა წამიყვანოო. ბაკურციხემდე არავის გავუჩერებივართ. გამწარებულმა მძღოლმა დაამუხრუჭა და მითხრა: მაიტა, მობილური მათხოვეო. გაოცებულმა ტელეფონი მივაწოდე. ვიღაცას დაურეკა და ჰკითხა: რამდენ ხანში იქნები ბაკურციხეშიო? პასუხი მოისმინა და გათიშა. მერე, მობილური დამიბრუნა და მითხრა — ახლა თელავის „მარშრუტკა" ჩამაივლის და იმაში გადაგსვამთ-კე, მაი, რა ვქნა, 10 ლარი გულითვინ ქალაქში ვერ ჩავალო. რაღას ვიზამდით? 10 წუთი ველოდით თელავის სამარშრუტო ტაქსის, მერე კი იქ გადავსხედით და დარჩენილი თავისუფალი სამი ადგილიც შევავსეთ. ჩვენი ჩასხდომა და წინ მჯდომი ახალგაზრდა ბიჭის ალაპარაკება ერთი იყო.

— მეგობარო, — მძღოლს მიმართა. — აქამდე შიბლიანიდან გურჯაანამდე ლარად ჩამოვდიოდი, დღეი კიდენა, 2 ლარი გამამართვა „მარშრუტკის" მძღოლმა. კაცურად მითხარი, მართალი იყო ის კაცი?

თავდაპირველად, დასმულმა შეკითხვამ მძღოლი დააბნია, მოგვიანებით კი უპასუხა, რომ შიბლიანიდან გურჯაანამდე ლარ-ნახევარი ღირდა. იმ ბიჭს ეს პასუხი არ მოეწონა და უთხრა: — რა ვქნა, ძმაო, სულ ერთი ლარი მაქ, გინდა გამამართვი, თუ არა და, ჩამაგდე მაშინ ამ მანქანიდანა. რომ გადმამაყირაო, ამი მეტს მაინც ვერაფერს მინახავ. — მძღოლს ძალიან ეწყინა ასეთი პასუხი და ჩაიბურტყუნა: თუ გინდა, სულ უფასოდ ჩაგიყვან, მაგაზე კი არ არის, უბრალოდ, მკითხე და მეც სიმართლე გიპასუხეო. მის ნათქვამს ახალგაზრდა ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია, ლაპარაკის საღერღელი აშლილი ჰქონდა და განაგრძო:

— 24 წლის ბიჭი ვარ. ცოლი და სამი შვილი მყავ შინა. გურჯაანში ჩემს ძმაკაცთან ჩამოვედი. აბა, ისე ხომ არ გამამიშვებდა და დავლიეთ. რამე დავაშავე? — არაფერი. ისეთი მთვრალი ხომ არ ვარ, რომ გონზე არ ვიყო, არა? უბრალოდ, რამდენიმე ჭიქა დავლიეთ, — მიუხედავად იმისა, რომ მისი ამბავი არავის აინტერესებდა, ლაპარაკს მაინც განაგრძობდა: — ქურდი ძმა მყავდა ერთი, სპარტაკა, მოსკოვში მოკლეს. მერე, რა, რომ იმაითან ვძმაკაცობდი? ცხოვრებაში ნემსიც კი არ მამიპარავს, უბრალოდ, ის კაცი ცხოვრებას მასწავლიდა. რამეს როგორ მოვიპარავ, ვის დავუტოვო ჩემი სამი შვილი? — კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გვერდით მჯდომმა მოხუცმა კაცმა შეაჩერა:

— შვილო, შენ 24 წლის ხარ, მე კიდენა 80-ის. ერთი ბოთლი ღვინო მაქვს ახლა დალეული, მაგრამ ვლაპარაკობ მაგდენს? გაჩუმდი, კაცი არა ხარ? — ბიჭმა ბოდიშის მაგვარი სიტყვები ჩაილუღლუღა და შიბლიანამდე ხმაც აღარ ამოუღია. სამაგიეროდ, მოხუცი კაცი მოვიდა ლაპარაკის ხასიათზე:

— ეს რა ვნახე, კაცო. ცხოვრებაში ეგეთი არც არაფერი მინახია და არც გამიგონია. ნათესავი ქალი გარდამეცვალა, ჩემი ხნისა იქნებოდა. შვილიშვილები ჰყავს, ყველა ერთმანეთზე უარესია. რა გააფუჭონ, აღარ



იციან. ბოლო ღამე ერთ-ერთმა შვილიშვილმა და მისმა ძმაკაცებმა გაუთენეს. დილით გაიღვიძეს ჭირისუფლებმა და ატყდა წივილ-კივილი. ჩაცმაც კი ვერ მოვასწარი, ისე გამოვვარდი სახლიდან. თურმე, მიცვალებული აღარ დახვედრიათ ოთახში, კუბო ცარიელი იყო. სად აღარ ეძებს, მაგრამ მის კვალსაც ვერ მიაგნეს. ამ დროს მანქანა გაჩერდა და გათხლეშილი მთვრალი შვილიშვილი და მისი ძმაკაცები გადმოლაგდნენ იქიდან, სულ ბოლოს კი, მიცვალებულიც გადმოაბრძანეს დიდი პატივით. იცით, რა მამხდარა? ყურებს არ დავუჯერე, ეს რა თაობა მოვიდა — მკვდარი ქალი წინ ეწვათ და „ჯოკერი" არ გაუჩაღებიათ?! თანაც, სანაძლეო დაუდიათ იმ სახლკარდაბუგულებს, წაგებული მაგარ სუფრას იკისრებს შუამთაშიო. წააგეს შვილიშვილმა და ერთმა ძმაკაცმა. ბარემ, ახლავე იკისრეთ „თავანიო" თუ რაღაცა ჯანდაბა ჰქვია. ბევრი არც უფიქრიათ, მკვდარს მარტო ხომ არ დატოვებდნენ, ამოიყვანეს სასახლიდან, წამაიკიდეს ზურგზე და წავიდნენ შუამთაში. რომელმა ჭკვიანმა მოიფიქრა ეს, არ ვიცი. ხომ იცი, ახალგაზრდების ამბავი, დალევას გადაჰყვებიან ხოლმე და სხვა არაფერი ახსოვთ. ისე დაათენდათ თავზე, ვერც კი გაიგეს. დასაფლავებაზე მოსული ხალხი, ამ ამბის გაგონებისთანავე სიცილს იწყებდა. აღარავის დაუტირებია ჩემი უბედური ნათესავი. გქონდეს ახლა შვილიშვილების იმედი, — ოხვრით დაასრულა მოხუცმა ნაამბობი.

მგზავრებმა ეს თემა განიხილეს. ზოგი ამართლებდა შვილიშვილს — ახალგაზრდაა, რა ქნასო, ზოგი კი, „ბებიის დანატოვარ კუბოში" აგზავნიდა გარდაცვლილის შთამომავალს.

მოგვიანებით, ჩემ უკან მჯდომმა ქალებმა განაგრძეს საუბარი. ერთი ვითომ მეორეს აცნობებდა ახალ ამბავს, სინამდვილეში კი, ისეთი ხმით ჰყვებოდა, ყველა მგზავრს რომ კარგად გაეგონა: გაიგე, ქა, გუშინ წინანდალში რა მამხდარა? 27 წლის ბიჭს 85 წლის ქალი გაუუპატიურებია. დაუჭერიათ ის ბიჭი და ის მოხუცი იმის ამოსაცნობად მიუყვანიათ. საწყალ მოხუცს უთქვამს, რა ვიცი, ის არის თუ არა, იმას კი ჰგავსო. ღმერთმა მაპატიოს, მაგრამ როგორც ეტყობა, მოხუცის მადლი მაისხა იმ ბიჭმა, — ეს სიტყვები თქვა და პირჯვარიც გადაიწერა. თითქმის ყველა მგზავრი ახარხარდა მოსმენილის გამო. მე კიდევ ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენდა: კაცი მოკვდა და სამოთხეში მოხვდა. არ მოეწონა იქ ყოფნა, ნამეტანი მოწყენილობააო — იფიქრა და ღმერთს შესთხოვა, იქნებ, ჯოჯოხეთში გამიშვაო. ღმერთმა უთხრა: დაგაბრუნებ დედამიწაზე, რაიმე მომაკვდინებელი ცოდვა ჩაიდინე და ჯოჯოხეთში მოხვდებიო. ასეც მოიქცა. ცოტა ხანში, ის კაცი ისევ მოკვდა და ისევ სამოთხეში მოხვდა. გაგიჟდა ამის გამო და ღმერთს უთხრა: კი, მაგრამ, მე ხომ 85 წლის ბებო გავაუპატიურე, ამაზე დიდი ცოდვა რა უნდა ჩამედინა, რატომ მოვხვდი სამოთხეშიო? — მერე, რაც შენ იმ ქალმა გლოცაო... — უპასუხა ღმერთმა...

ჩემი ყურადღება წინ მჯდომმა ორმა ბიჭმა მიიპყრო, როგორც ჩანს, ძმები იყვნენ. ერთი მეორეს ებუზღუნებოდა: რა არი, ბიჯო, ორი დღე წახველი ქალაქში და თავში აგივარდა? რანაირათ ლაპარაკობ: რისთვის? რატომ? მასე? რა სიტყვებია? რატომ კი არა, რათა? რისთვის კი არა, რითვინ? მასე კი არა, მაგრე? დაგავიწყდა, როგორ ლაპარაკობდიო?..

— შამწყდი, ბიჯო, ღილივითა, — უპასუხა „გაქალაქებულმა" ძმამ. სოფლელმა დედმამიშვილმაც არ დაინდო და ვითომ ჩუმად უთხრა:

— თუ გემეგეკიდე კბენელა ჯორივით, მერე ნახე. ადამიანურად ილაპარაკე და ნუ იტყლარჭები, თორემა, აჰა.

— შე ჩემის კომპოზიტორო, რაი გადამეკიდე. როგორც მინდა, იგრე უნდა ვილაპარაკო, შენ ვინა გკითხამს? — უპასუხა ძმამ და ფანჯარაში გაიხედა პროტესტის ნიშნად. ამასობაში, ვიღაცამ „მარშრუტკის" გაჩერება ითხოვა. მძღოლს 50-ლარიანი მიაწოდა და თან, შეახსენა, 1 ლარი უნდა აიღოო. მძღოლს ხურდა არ აღმოაჩნდა და უთხრა:

— აბა, რა ვქნა, წადი ისეო. გახარებული მგზავრი წასვლას აპირებდა, რომ უეცრად მძღოლის თანაშემწემ, რომელსაც სიმთვრალის გამო მთელი გზა ეძინა, თვალები გაახილა და მგზავრს დაუძახა: მოდი აქ, მე მოგცემ ხურდასო. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, 49 ლარი მაინც მოაგროვა და გაუშვა ის კაცი. მძღოლმა თანაშემწეს მადლიერი სახით შეხედა და ყოჩაღო, — შეაქო. თანაშემწემ ამაყად გადახედა და უთხრა:

— მაი, მე აქ ყელიანი გეტრები საქსოვათა ვზივარ? — თვალები დახუჭა და ძილი განაგრძო. სამაგიეროდ, უკან მჯდომი ექიმი ქალბატონი ალაპარაკდა:

— თქვენ არ იცით, რა დღეში ვარ. მთელი სოფელი რომ სახლში მომდის და ათას რაღაცას მეკითხება, მაგას არა უშავს... ამას წინათ მართა დეიდა მოვიდა და შემომჩივლა, ესა და ეს მჭირსო. ათასი რამე ჩამომითვალა. ვურჩიე, მართა დეიდა, შარდის ანალიზი გაიკეთე-მეთქი. იმავე საღამოს, სამსახურიდან რომ დავბრუნდი, უბნის ქალები გარეთ ისხდნენ და დამიძახეს: მარიკა ექიმო, შენი რჩევა გვჭირდებაო. მათთან ვლაპარაკობდი, რომ მართა თავისი ჭიშკრიდან გამოვიდა, ხელში „გარშოკი" ეჭირა და ჩემკენ მორბოდა. ყველა გაოცებული მიაშტერდა. მოვიდა და ის „გარშოკი" ცხვირზე ამაფარა — აი, ჩემი შარდი და ნახე, აბა, მარიკა ექიმო, რა მჭირსო. სირცხვილისგან აღარ ვიცოდი, სად წავსულიყავი, — დაასრულა თხრობა მარიკა ექიმმა და ისევ ახარხარდა მთელი „მარშრუტკა".

ამასობაში საგარეჯოშიც შევედით. რამდენიმე მგზავრი ჩავიდა. რატომღაც ყველა გაჩუმდა და მეც ფანჯარაში დავიწყე ყურება. უეცრად, ისეთი რამ დავინახე, მგზავრებსაც აღარ მოვერიდე და ხმამაღლა ავხარხარდი. ასეთი რამის მოფიქრება მხოლოდ კახელებს შეეძლოთ: შუა საგარეჯოში, გზის პირას საპირფარეშო დგას, რომელსაც ქ-სა და კ-ს ნაცვლად, რაც ქალისა და კაცის განყოფილებას აღნიშნავს, ერთ მხარეს „მარო" აწერია, მეორე მხრეს — „მიხო". ჩემმა თანამგზავრმა კახელებმა ვერ შენიშნეს თუ მათთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, არ ვიცი, მაგრამ მე კი შემომხედეს გაოცებულებმა, ჩემი სიცილის მიზეზს ვერ მიხვდნენ.

ვიდრე საგარეჯოდან გავიდოდით, ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა გააჩერა ჩვენი სამარშრუტო ტაქსი. მათ ხალხის მთელი არმია აცილებდა. როგორც მივხვდი, ახალდაქორწინებულები იყვნენ და იქ გოგოს ოჯახთან იყვნენ სტუმრად. ბიჭს ძალიან ბედნიერი სახე, გოგოს კი — სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, ალბათ, პატარძლობას იფერებდა. როგორც ჩანს, სიძე სპეციალურად იმ დღისთვის, საგანგებოდ გამოპრანჭულიყო — ჯინსის შარვალი და ქურთუკი ეცვა, ჯინსის ქვემოდან სამზოლიანი სპორტული შარვალის წელი მოუჩანდა, ქამარი კი, ადრე როგორც იცოდნენ ხოლმე, აკვანში რომ არტახად ეკეთა, მას მერე ალბათ, აღარც შეუხსნია, რადგან სხვაგვარად, ასეთი გაცვეთილი ვერ იქნებოდა. სიდედრ-სიმამრთან მიმავალს სურნელებაზეც უზრუნია და „ტრაინოი ოდეკელონი" უხვად დაუსხამს. თურმე, კომუნისტების დროს ყველაფერი ძლიერი და ნატურალური ყოფილა, რადგან მისმა სუნმა ისე გაგვაბრუა ყველა, ჩემი ფრანგული სუნამოს სურნელებას მეც ველარ ვგრძნობდი. პატარძალი სოფლებში რომ რძლად მოსწონთ ხოლმე, სწორედ ისეთი იყო. მართალია, სახის კანის თეთრი ფერით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ სამაგიეროდ, კარგად ჩასკვნილი იყო და გადაწკეპილი ულვაშიც ჰქონდა. „იმიტომაც არის ეგეთი ეშხიანი", — გამახსენდა პატროს ნათქვამი ფილმიდან — „სიყვარული ყველას უნდა" და მის ქმარს შევხედე, რომელსაც სახეზე სწორედ ეს ფრაზა ეწერა. სართიჭალამდე მისულნიც არ ვიყავით, როცა მძღოლს სიძემ გაჩერება სთხოვა, მადლობა გადაუხადა და ჯერ თვითონ ჩავიდა, უკან კი ამაყი სახით ცოლი მიჰყვა. ფულის გადახდა არც უფიქრიათ, გზა განაგრძეს. სამაგიეროდ, მძღოლმა მიაყოლა უკან კარგი კახური გინება. ჩემ გვერდით მჯდომი, ბიძინას ნათესავი გოგონა მომიბრუნდა და შეწუხებულმა მითხრა: ძლივს არ ჩავიდა, სუნთქვა შემეკრა მაგისი ოდეკოლონის სუნზეო. ჭორაობაში მეც ავყევი და თბილისამდე აღარც გაჩუმებულა. თურმე, აბიტურიენტი ყოფილა და განათლების ახალ სისტემაზე მელაპარაკებოდა:

— ეს ვინ ყოფილა ლომაია, საიდან მოიგონა ასეთი განათლების სისტემა, შენ ვერ წარმოიდგენ, რა საშინელებაა, განსაკუთრებით, უნარ-ჩვევები. ისეთი რაღაცები წერია, თუ სუსტი გული გაქვს, შეიძლება, გაგისკდეს კიდეცო. და თავის ნათქვამში რომ დავერწმუნებინე, ჩანთიდან უნარ-ჩვევების წიგნი ამოიღო და მართლა ისეთი ალოგიკური რაღაცები წამიკითხა, ღმერთს მადლობა შევწირე, კიდევ კარგი, აბიტურიენტი არ ვარ-მეთქი. იმ გოგონას კიდევ სურდა ჩემთან ლაპარაკის გაგრძელება, მაგრამ უკვე ისანში შევდიოდით და ჩემი ჩასვლის დრო იყო. თბილად დავემშვიდობე და წარმატება ვუსურვე. საგარეჯოში ამოსული სიძისგან განსხვავებით, ამ გოგომ მძღოლს მადლობაც არ გადაუხადა. როგორც ჩანს, ის ბიძინა კახეთში ისეთი ავტორიტეტით სარგებლობს, მისი ნათესავები მძღოლებმა მხოლოდ უფასოდ კი არ უნდა ამგზავრონ, იქით უნდა გადაუხადონ მადლობა, რომ პატივი დასდეს და მათი ავტომობილით იმგზავრეს...

# ბრიტანული ორგანიზაცია ქართველი ახალგაზრდებით დაინტერესდა

## „ბელორუსები ქვეყნის საზღვართან რამდენიმე დღით დააკავეს და საფუძვლიანად გაჩხრიკეს“...

**ბრიტანეთის „გლობალური შესაძლებლობების ფონდის“ ინიციატივით, საქართველოში ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საინიციატივო ჯგუფი ჩამოყალიბდა, რომელთა უმთავრესი ამოცანა, ამ ეტაპზე, ევროპის ახალგაზრდულ პარლამენტში საქართველოს ინტეგრირებაა. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ანა წურწუმია იმ პროექტებსა და იდეებზე გვესაუბრება, რომელთა განხორციელებაც უახლოეს მომავალში იგეგმება.**

***ხათუნა ბახტურიძე***

**— ანა, ვინ იზრუნა თქვენი საინიციატივო ჯგუფის შექმნაზე?**

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ეს გახლავთ საგანმანათლებლო პროექტი. ბრიტანეთის „გლობალური შესაძლებლობების ფონდის“ წარმომადგენელი ალან ფლაუერსი, რომელიც ასევე, ბელორუსიის ახალგაზრდული პარლამენტის კოორდინატორი გახლავთ, ძალიან იყო დაინტერესებული, რომ ამ პროექტში ქართველ ახალგაზრდებსაც მიეღოთ მონაწილეობა. ამიტომ, ის დაუკავშირდა ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას — „ერთობას“ და მათ გამოაცხადეს კონკურსი. ამ კონკურსში უამრავმა ადამიანმა გაგზავნა საკუთარი მონაცემები, მაგრამ ბატონმა ალანმა მხოლოდ ოთხი ახალგაზრდა შეგვარჩია.

**— რა კატეგორიის მიხედვით შეგარჩიეს?**

— ოთხივენი სტუდენტები ვართ. მე საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ვსწავლობ. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ჯგუფში გაწევრებული ახალგაზრდები ძალიან შრომისმოყვარენი და აქტიურები არიან.

**— თქვენს ფუნქციებში რა შედის?**

— ჯერჯერობით, საქართველო არ არის ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი. ამ ეტაპზე აქტიურად ვმუშაობთ, რომ ჩამოვყალიბდეთ, როგორც ეროვნული კომიტეტი და ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის ხელმძღვანელობისგან აღიარება მოვიპოვოთ. ამისთვის რამდენიმე ეტაპის გავლაა საჭირო. უკვე მესამე წელია, რაც ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის სესიას ვესწრებით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ასეთ სესიებში ბრიტანელების მიერ დასპონსორებული სამი დელეგაცია მონაწილეობდა. მათი მიზანი ის გახლდათ, რომ მეტი ინფორმაცია მიგვეღო ამ ორგანიზაციაზე, მის სტრუქტურაში ჩაგვეხედა და ეროვნული კომიტეტის ჩამოყალიბების სურვილი გაგვეჩენოდა.

**— თქვენ მიერ მიღებული ინფორმაციის შედეგად, ამ ორგანიზაციაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

— ეს არის აპოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ინფორმირებას ევროპის საბჭოს, ევროკავშირის ფუნქციებსა და დემოკრატიულ ცვლილებებზე. ვფიქრობ, საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვყავდეს ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც უფრო მეტად გათვითცნობიერებულნი იქნებიან ასეთ საკითხებში.



უკვე მესამე წელია, რაც ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის სესიას ვესწრებით (წინა პლანზე, მარცხნივ ალან ფლაუერსი, მის გვერდით ანა წურწუმია)

**— თქვენ უკვე რამდენჯერმე დაესწარით ახალგაზრდული პარლამენტის მიერ ჩატარებულ სესიებს. რა გამოცდილება შეიძინეთ და საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რამდენად განსხვავდებიან ქართველები სხვა ქვეყნების წარმომადგენლებისგან?**

— ამ სესიების წყალობით, დიდი გამოცდილება მივიღეთ. ქართველები სხვებზე მეტად პატივმოყვარენი ვართ. როდესაც ქართველს რაიმე თანამდებობაზე დანიშვნის შანსი უჩნდება, ის მაშინვე ხიბლში ვარდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. სხვათა შორის, თავად ამ ორგანიზაციაში საოცარი თანასწორუფლებიანობაა.

**— საქართველოს გარდა, კიდევ რომელი პოსტსაბჭოური ქვეყანა მონაწილეობს ამ პროექტში?**

— ამ მხრივ, მინდა, ბელორუსია აღვნიშნო. იქ ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი „მინსკქუეშეთში“ მოქმედებს. ხელისუფლებამ თუ გაიგო, რომ ვინმემ ამ პროექტში მიიღო მონაწილეობა, მას უნივერსიტეტიდან რიცხავენ, ხოლო მის მშობლებს სამსახურიდან ათავისუფლებენ. უკრაინაში ჩატარებული სესიის შემდეგ, ჩვენ და ბელორუსები ერთად ვბრუნდებოდით ავტობუსით. ისინი საკუთარი ქვეყნის საზღვართან რამდენიმე დღით დააკავეს და საფუძვლიანად გაჩხრიკეს. როგორც ვიცი, ერთ გოგონას დისკი და კომპიუტერი წაართვეს. დოქტორი ალან ფლაუერსი ქართველებს გვთხოვს, რომ ბელორუსებთან ხშირი კონტაქტი გვქონდეს და იდეოლოგიურად დავეხმაროთ. მათ ქვეყანაში ხომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი არ არსებობს.

**— თქვენს დაფინანსებაზე „ბრიტანული ფონდი“ ზრუნავს, არა?**

— როგორც დოქტორმა ალანმა განაცხადა, „ბრიტანული ფონდის“ მიერ ქართველებისთვის გაღებული თანხა გარკვეულწილად, ავანსი იყო, რომ წავეხალისებინეთ და უფრო აქტიური მონაწილეობა მიგვეღო ყველაფერში. სამომავლოდ, ყოველ სესიაზე თავად მოგვიწევს ფინანსების მოძიება. იქიდან გამომდინარე, რომ ხელისუფლება და არასამთავრობო ორგანიზაციები ევროინტეგრაციის თემით ძალიან არიან დაინტერესებულნი, დაფინანსების მხრივ, ალბათ პრობლემებს არ შეგვექმნიან.

**— პოლიტიკურ მოვლენებში ჩარევას თუ აპირებთ?**

— შეიძლება, რომელიმე ჩვენგანს ჰქონდეს ამის სურვილი, მაგრამ პირადად მე, ამას გამოვრიცხავ.

**— სამომავლოდ, რას გეგმავთ?**

— პირველ რიგში, როგორც ეროვნული კომიტეტი, უნდა გვაღიარონ, რათა ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი გავხდეთ.

**— ამის მერე, რას გააკეთებთ? რაიმე პროგრამა თუ გაქვთ შემუშავებული?**

— კი, გვაქვს. ეს ორგანიზაცია ჩვენგან ევროპაზე ინფორმაციის გავრცელებას და ევროპული თვითშეგნების ჩამოყალიბებას ითხოვს. შევეცდებით, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა ჩავაბათ ამ პროცესში.

**— ინფორმირება როგორ მოხდება, რაიმე ღონისძიებებს გამართავთ თუ კონფერენციებს ჩაატარებთ?**

— მას შემდეგ, რაც გვაღიარებენ, ორგანიზება უნდა გავუწიოთ ჩვენს ეროვნულ სესიას, რომელსაც დაესწრებიან სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენლები. რაც შეიძლება აქტიურები უნდა ვიყოთ... ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის თითოეული ეროვნული კომიტეტი ვალდებულია, თავად ევროპის მოქალაქეებს შორის აამაღლოს თვითშეგნება ევროპულ საკითხებზე და ახალგაზრდები გახადოს უფრო მოტივირებულნი, რათა მონაწილეობა მიიღონ ევროპის პოლიტიკის ფორმირებაში. ამავე დროს, ვალდებულები ვართ, ხელი შევუწყოთ კულტურათა შორის დიალოგს და საერთოდაც, ახალგაზრდებს შორის უნდა მოხდეს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

**— ე.ი. მომავალი პოლიტიკოსები იზრდებით, არა?**

— ამ ორგანიზაციის მიზანია, რაც შეიძლება მეტ, ლიდერის თვისებების მქონე ახალგაზრდას მისცეს საშუალება, რომ მათ პროფესიული უნარ-ჩვევები შეიძინონ. რა თქმა უნდა, ის ორიენტირებულია იმ ახალგაზრდებზე, რომლებიც მომავალში წარმატებულნი იქნებიან. ■



# „სიცოცხლემისჯილის" შვილები გეხმაურებით... ჩვენ მკვლელის შვილები არ ვართ"...

**გამარჯობა, ზაზას გულშემატკივრებო. თქვენი მესიჯებიდან ჩანს, რომ გულდასმით კითხულობთ ამ ტანჯული კაცის თავგადასავალს და ბუნებრივია, უამრავი კითხვა გებადებათ. ყველა კითხვაზე პასუხს თანდათანობით, ამ რეალური ამბის თხრობისას გაგცემთ, მაგრამ ბევრი კითხვა უშუალოდ ზაზას მიმართაა დასმული და სამწუხაროდ, ვერ შეგპირდებით, რომ ამჟამად მისგან პასუხს მიიღებთ: ვიდრე „რეალურის" ბეჭდვას დავიწყებდით, ყველა საჭირო ინსტანცია მოვიარე, იუსტიციის მინისტრს, ბატონ გია ქავთარაძეს პირადად ვესაუბრე ტელეფონით, განცხადებაც დავწერე მის სახელზე, მერე ეს განცხადება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს გადასცეს; ვცდილობდი, რომ პატიმართან შეხვედრის უფლება მომეპოვებინა, მაგრამ საბოლოოდ, ბაჩო ახალაიასგან უარი მივიღე. ამის გამო, ვერ ვახერხებ ჩემს მთავარ პერსონაჟთან შეხვედრას. არადა, ეს ალბათ, მონათხრობსაც უფრო სრულყოფდა და თქვენც ყველა შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს გაგცემდით.**

**ბევრს აინტერესებს, საიდან მომაქვს ის ინფორმაცია, რომელსაც წერისას ვიყენებ. ზაზას დედამ, ქალბატონმა ნათელამ შვილის დღიური გადმომცა, რომელსაც ზაზა წლების წინ ციხეში წერდა. გავეცანი საქმეს, ვესაუბრე ჩუთლაშვილის ადვოკატს და ბევრი რამ ქალბატონმა ნათელამაც მიამბო. ამ ყველაფერს თავი მოვუყარე და თხრობაც დავიწყე. ვინაიდან ზაზასთან კავშირი არ მაქვს, დედამისისგან ვიცი, რომ ისიც კითხულობს ამ ჩვენს „რეალურს" და ხელახლა განიცდის მომხდარს, თუმცა, არ არის წინააღმდეგი, რომ პუბლიკაცია გაგრძელდეს. ზაზა ასევე დიდი ინტერესით ელის მკითხველის აზრს, თანადგომას... თქვენ მიერ გამოგზავნილი თითოეული მესიჯი მას ამხნევებს და ყოფას უმსუბუქებს.**

**„სიციცხლემისჯილს" ვკითხულობ. ვიცი, რომ ნამდვილად მოხდა ეს ამბავი. იცი, რა მაინტერესებს? მე როგორც ვიცი, სასამართლოზე ზაზას დედამ მოსამართლე და პროკურორი დაწყევლა და მართლაც, ორივეს პრობლემები შეექმნა. მართალია, ეს ამბავი?" — მეკითხება ერთ-ერთი მკითხველი. რამდენადაც ვიცი, პროცესიდან 2 თვის შემდეგ, მოსამართლეს, რომელმაც მას განაჩენი — 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, სწორედ ზაზას ასაკის შვილი დაეღუპა ავტოავარიაში და პროკურორსაც დიდი ტრაგედია დაატყდა თავს. ძნელია, ახსნა ასეთი ფაქტი... „მარი, რატომ ჰქვია თქვენს ამბავს „სიცოცხლემისჯილი"?" — მეკითხება მეორე მკითხველი. ამ კითხვაზე პასუხს იმ თავში გავცემთ, სადაც ზაზას პირველი სასამართლოს შესახებ მოგითხრობთ. ახლა კი მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ და თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გავეცნოთ. ამჯერად ზაზას შვილებმა — 13 წლის ნათიამ და 11 წლის გიორგიმ დამიმესიჯეს. ჩემი ინფორმაციით, ზაზას ძალზე დიდი ხანია, ისინი არ უნახავს. მათ გზავნილს ბოლოს შემოგთავაზებთ.**

„ღმერთო, სად არის სამართალი? უდანაშაულო კაცს ცხოვრებას უმახინჯებენ. ზაზა, იბრძოლე, შენი სიმართლის დასამტკიცებლად, თუნდაც, მიზანს გარკვევით ვერ ხედავდე. წინასწარ ვხვდები, რომ ეს გზა გაცილებით გრძელი და ეკლიანი იქნება, მაგრამ შენ ყველაფერს შეძლებ. მარი, იცი? „სიცოცხლემისჯილს" შეშინებული ვკითხულობ. ერთი რამ მაშინებს. ისევ მარტო არ აღმოჩნდეს ზაზა ამ ბრძოლაში. ანი".

„ალბათ, როგორც გვენცაძეს არ აპატია ღმერთმა ცოდვები, ისე გადაეხდებათ ზაზას ცილისმწამებლებსაც. არ ეშინიათ? ხომ გაგიგონიათ — ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო! რუსა".

„მარი, საინტერესოა, ზაზას რომანში რომანტიკულ, სასიყვარულო ეპიზოდებს როგორ გაუშვებ? ზაზა ისევ ცოლიანია?"

„მოფერება მინდა, მაგრამ... ზაზა, ბიჭო, იქნებ ერთმა მოფერებამ დაგამშვიდოს?"

„ჩემო მარი, გთხოვ, გაიცანი ზაზა-ბიჭი და თვალებში ჩახედე. სწორედ იქ დაინახავ მის სიმართლეს და უდანაშაულობას. თვალები ხომ სულის სარკეა, ასე არ არის?"

„ღმერთო ჩემო, ნუთუ ასე დატანჯეს ეს უდანაშაულო კაცი?! ამ ხალხს ღვთის შიში მაინც არ აქვს? გეშინოდეთ, რადგან ადრე თუ გვიან, ყველას თავისი მიეზღვება".

„ზაზა, რას იზამ, ჩემო კარგო? ბედს წინ ვერ აღუდგები. იცი, ხანდახან ასეთ დროს რას ვფიქრობ ხოლმე? ხომ შეიძლებოდა, რომ ზაზა არ დაეჭირათ, მაგრამ გარეთ ყოფილიყო, ავარია შემთხვეოდა და დაღუპულიყო? იქნებ ღმერთმა ამით უფრო უარეს განსაცდელს აარიდა?.. იქნებ დიდი სისულელე ვთქვი, მაგრამ რომ დავფიქრდები ხოლმე, სიმართლის რაღაც მარცვალი ამაშიც დევს".

„ხალხო, ეს „სიცოცხლემისჯილი" ნამდვილი ამბავია. ნეტავ იცოდეთ, ზაზას დედა რა გაუბედურებულია. ქალი ადრე სანეპიდსადგურის უფროსი ყოფილა. ზაზა ჩემი ნათესავი არ გეგონოთ, უბრალოდ, ჩემი ახლობელი ზის ციხეში, ავარიის გამო და მასთან პაემანზე მისული, ზაზას და დედამისს შორიდან ვხედავდი ხოლმე. ისეთი საყვარელი ოჯახი ჰყავს... თავის სიმართლეს კი ვერ ამტკიცებს. ესაა სამართალი?"

„როგორც რომანი, ძალიან მაგარია, მაგრამ მასში დიდი ტრაგედიაა გადმოცემული და ალბათ ზაზასთვის ძნელი იქნება მისი წაკითხვა. ნეტავ, თუ კითხულობს თავის თავგადასავალს?"

„ძალიან ძნელია, როცა უძლური ხარ და შენს სიმართლეს ვერ ამტკიცებ. ხანდახან ყველას გვქონია ისეთი შემთხვევა, რომ მეგობარს, მეუღლეს ან მშობელს უმტკიცებ შენს სიმართლეს და არ გიჯერებენ. საშინელებაა. აქ კი სასწორზე ადამიანის მომავალი დევს და... არავის ეყურება ზაზას სიმართლე. ცხოვრება სასტიკია და ზაზა მაშინ იქნება ნამდვილი ვაჟკაცი, როცა ვერ გატეხს ცხოვრება წელში".

„მე არ ვიცნობ ზაზას, მაგრამ, მარი, ალბათ შენი დამსახურებაცაა, რომ ეს ადამიანი ძალიან შემიყვარდა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ზაზა. მარი, შენი სიკეთე როგორ უნდა გადაიხადოს მაგ ადამიანმა?"

„ასეთი რამ ალბათ, მსოფლიოში პირველად ხდება, რომ ცოცხალ კაცზე რომანი იწერება. გავგიჟდი ადამიანი. ნეტავ, როგორი შეგრძნებაა?"

„ზაზას ვეტყვი, რომ მაგარი კაცია და არ უნდა შეშინდეს. ის არც პირველია და არც უკანასკნელი, ვისაც ასე უსამართლოდ მოექცნენ. კი, მართალია, რომ ყველას თავისი გაჭირვება სხვაზე დიდი ჰგონია, მაგრამ მე ერთ რამეს მოგიყვებით. ჩემი დისშვილი დაიჭირეს, 24 წლის იყო მაშინ. ვერც მან დაამტკიცა თავისი სიმართლე. მოსამართლემ 3 წელი საკანში ყოფნა მიუსაჯა. ის სულ მარტო იჯდა და დედასაც კი 6 თვეში ერთხელ ნახულობდა. თუ ოჯახი ფულს გადაიხდიდა, უფრო ხშირადაც შეუშვებდნენ შვილთან, მაგრამ მათ ამის საშუალება არ ჰქონდათ და თუ 2 „კაპიკს" იშოვიდნენ, ერჩიათ, საჭმელი შეეგზავნათ პატიმრისთვის. მთელი 2 წელი იტანჯა ბიჭმა, ბოლოს, თავს ვერ მოერია და თავი მოიკლა. წერილი დატოვა, სადაც წერდა, რომ თავისი სიკვდილით ის ადამიანები დასაჯა, ვინც უდანაშაულოდ გამოამწყვდია ციხეში. სინამდვილეში მან თავისი დედა და ოჯახი დასაჯა. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ზაზას არ უნდა უმტყუნოს ნერვებმა და ვაჟკაცურად უნდა გაუძლოს ყველაფერს. მერე კი ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს. პატივისცემით, ნანა".

„მარი, მე და გიორგი, „სიცოცხლემისჯილის" შვილები გეხმაურებით. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც მამას გულშემატკივრობს. გვინდა მივმართოთ დღევანდელ მთავრობას — კიდევ ერთხელ გადახედონ ამ საქმეს და დაგვიბრუნონ უდანაშაულო მამა. ჩვენ მკვლელის შვილები არ ვართ. დიდი მადლობა მარის!" ■



**1995 წლის 29 დეკემბერს საკუთარ სახლში, შვილის დაბადების დღეს დააპატიმრეს პოლიციელი ზაზა ჩუთლაშვილი. ის მცხეთის პოლიციაში მიიყვანეს და იმავე ღამეს 2 ადამიანის მკვლელობაში წაუყენეს ბრალი. ზაზა ცდილობს, პოლიციელები დაარწმუნოს, რომ დამნაშავე არ არის, მაგრამ სამართალდამცველები მას საშინლად აწამებენ, რის შედეგადაც, მესამე დღეს მისგან აღიარებით ჩვენებას მიიღებენ. მკვლელობის მოწმე გახლავთ არასრულწლოვანი ნიკა ტატიშვილი, რომელსაც მოწმის სტატუსი ეჭვმიტანილის სტატუსით შეუცვალეს და დააპატიმრეს. ამასობაში, ზაზა კიდევ ერთხელ გაჰყავთ დაკითხვაზე, სადაც პირველად ხვდება დედის მიერ აყვანილ ადვოკატს. უკან, საკანში დაბრუნებულს კი, ახალი თანამესაკნე ხვდება, რომელიც უკვე მე-3 „სროკზე" მიდის. ზაზა მისგან იგებს, როგორ უნდა მოიქცეს, როდესაც ციხეში გადაიყვანენ. 6 დღის შშიერს დედისგან ამანათს გადასცემენ და ის მეზობელთან ერთად დანაყრდება. წინა ნომერში თხრობა იქ შევწყვიტეთ, როდესაც ვახშმის შემდეგ სიგარეტს გააბოლებენ და თანამესაკნე მას თავისი ცხოვრებიდან რაღაც ეპიზოდის მოყოლას შესთავაზებს.**

*დასაწყისი იხ. „გზა", №10*

*მარი ჯაფარიძე*

— ჰოდა, „რასტოვში" ვიყავი, რა... მაგარ საქმეებს ვატრიალებდი. ერთი რუსი შეყვარებული მყავდა, მაგარი მამიკოს შვილი იყო. ჰოდა, ვგრიალებდი ჩემს გემოზე. მამამისს თავისნაირი, მელეხი ძმაკაცები ჰყავდა... ძმაკაცები, რა... მაგათ ძმაკაცობა სად იციან? „პროსტო", საქმეში იყვნენ ერთად, რა... ჰოდა, მე როგორც სიძეს, ყველასთან წარმადგენდნენ ხოლმე. „სიმამრს" მაგრად „ვევასებოდი" და ხშირად მეუბნებოდა, შენნაირი სიმპათიური ქმარი ჩემს ნადიუშას ჯერ არ ჰყოლიაო.

— კი, მაგრამ რამდენი ქმარი ჰყავდა? — ვკითხე გაოცებულმა.

— ქმარი არა, ისა... ერთი მე ვიყავი ქმარი და მეორეც — დანარჩენები. „პროსტო", რა, ნაშა იყო და კაცები ჰყავდა. გარეგნობით დიდი არაფერი ქალი იყო. ფული ჰქონდა და ამიტომ თუ აიტანდა კაცი. მამამისის ძმაკაცებს „ჩავუსასტავდი" და ყველას შევაყვარე თავი.

— რად გინდოდა მათთან ასეთი დაახლოება? — მიამიტად ვიკითხე.

— ბიჭო, შენ მგონი, მართლა ციდან ხარ ჩამოფრენილი, ხომ იცი... რად მინდოდა და ჩემი ბიჭებისთვის ინფორმაციას ვაგროვებდი. იმათ კიდევ, მათი სახლები თუ სეიფები გაჰქონდათ. როცა მელეხი ბიძების სახლები იქურდებოდა, მე ამ დროს ან სიმამრთან, ან ნადიასთან ერთად ვიყავი და უტყუარი ალიბი მქონდა. ასე რომ, ჩემზე ეჭვს ვერავინ მიიტანდა.

— ვააა... ე.ი. ბანდაში იყავი?

— ეეე... ნუ დაიწყე ახლა შენ, რა... ბანდაში კი არ ვიყავი, საბავშვო ბაღში მასწავლებლად ვმუშაობდი...

— მერე?

— მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩემს ნადიასთან ერთად მისი სკოლის მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი (მანამდე ამ გოგოს არ შევხვედრივარ). კარგა ბლომად ხალხი შეიკრიბა რესტორნის ფოიეში, თავად იუბილარი კი არ ჩანდა. ნადიას მეგობრის ქმართან ლაპარაკში ვიყავი გართული, როცა მომესმა — ოოო... როგორც იქნა, მოვიდააა... — მოვტრიალდი და პირი ღია დამრჩა. რესტორანს რაღაცნაირი, გრძელი ფოიე ჰქონდა. შემოსასვლელი კარიდან იმ ადგილამდე, სადაც ჩვენ ვიდექით, ასე, 20-30 მეტრი მაინც იქნებოდა. ამ გრძელი დერეფნის ბოლოდან ქალი მოდიიის... ზღაპრებში რომ გინახავს, ისეთი ლამაზი: მაღალი, შხვართი, ქერა, გრძელი, გაშლილი თმა ჰქონდა. მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე ისე მსუბუქად იდგა, თითქოს ბალერინა იყო. გულამოჭრილი, წითელი ატლასის კაბა ეცვა, ტანზე მოტმასნილი და შეხსნილი. ნაბიჯს რომ დგამდა, მარჯვენა ფეხი ბოლომდე უჩანდა. ასეთი ლამაზი ქალი მართლა არასდროს მენახა. სუნთქვა შემეკრა და ხმას ვერ ვიღებდი. მის უკან 2 ორმეტრიანი მუტრუკი მოდიოდა. ეგრევე მივხვდი, რომ დაცვა იყო. ნადიას ვკითხე, რას წარმოადგენდა ეს მარინა. — არაფერს, საყვარელი ჰყავს მილიონერიო, — მითხრა.

— ისე, ასეთ ქალს კი ეყოლებოდა ფულიანი საყვარელი.

— მოიცა, ბოლომდე გითხრა. სადღაც 2-3 საათის მერე მოვიდა მისი საყვარელიც. ის მარინას წელამდე ძლივს სწვდებოდა, დაბალი და მრგვალი იყო. როცა დავინახე, ლუარსაბ თათქარიძე გამახსენდა.

— ვაა... შენ „დაჟე", ლუარსაბიც იცი? — გულწრფელად გამიკვირდა.

— ეეე... შენ მე ეგრე ნუ მიყურებ, მე-9 კლასამდე ხუთოსანი ვიყავი.

— მერე? მოჰყევი ის ამბავი, რა მოხდა მერე?

— მერე, მისი მახინჯი საყვარელი რომ ვნახე, უფრო მომეცა გული და იმდენი ვქენი, რომ იმ მარინამ ტელეფონის ნომერი თვითონ მომცა.

— ვააა... არ არსებობს...

— გეუბნები, ასე იყო... ჰოდა, მერე ჩემს ნადიას ვუღალატე და მარინას ვხვდებოდი. მის საყვარელს იმდენი ფული ჰქონდა, რომ ორივეს გვყოფნიდა. ეგ იყო, სულ ვიმალებოდით, რადგან ეს ამბავი იმ „ლუარსაბს" რომ გაეგო, ორივეს დაგვხოცავდა.

— აკი, დაცვა ჰყავდაო? როგორ ახერხებდა შენთან შეხვედრას?

— დაცვას დიდ მაყუთს, თითოს თვეში 5 ათასს უხდიდა, ჩუმად რომ ყოფილიყვნენ.

— საყვარელი არ უხდიდა ხელფასს?

— კი, მაგრამ მხოლოდ 1.000-1.000-ს და ეგ იყო. მარინასთან მაგრად ძმაკაცობდნენ. მაგარი „დუშკა" გოგო იყო და ამიტომაც, ის მთელი სულითა და გულით შემიყვარდა. რამდენიმე დღის განმავლობაში თუ ვერ ვნახავდი, ჭკუაზე აღარ ვიყავი, ისე მენატრებოდა, მაგრამ მე არასოდეს ვურეკავდი, რადგან არ ვიცოდი, როდის იყო იმ თავის „პუტკუნასთან" ერთად.

— არ ეჭვიანობდი?

— კი, როგორ არა, მაგრამ მეუბნებოდა: რაც მასთან მაქვს, ამას სექსს ვერ დაარქმევ, ამაზე არ ინერვიულოო.

— და შენც არ ნერვიულობდი?

— ვნერვიულობდი, როგორ არა, მაგრამ რას ვიზამდი? ჰოდა, ერთ დღეს დამირეკა და მითხრა, რომ იმ ღამით შემეძლო მასთან მისვლა. ჩუმად შევიპარე მის სახლში, როგორც ყოველთვის. დაცვის ბიჭები თავის ოთახში ისხდნენ. მე და მარინა კი საძინებელში შევედით. მთელ ღამეს ვაპირებდი მასთან დარჩენას, მაგრამ ღამის 2 საათზე ხმაურმა გამომაღვიძა. მარინას უკვე ეღვიძა. ცოტა ხანს უსმინა ხმაურს და ძაღლის წკმუტუნი რომ

გაიგო, მერე ჩურჩულით მითხრა: გოგიტა, ძაღლი ასე მხოლოდ ოლეგის მოსვლისას წკმუტუნებს, დროზე წადი, მგონი, მოვიდაო. თავქუდმოგლეჯილი გავიქეცი. კერძო სახლში ცხოვრობდა. მეორე სართულიდან გადმოვხტი და ღობეს ელვის სისწრაფით გადავევლე. იმ დღის მერე მარინა უკვალოდ აორთქლდა. მხოლოდ ღმერთმა იცის, მოკლეს თუ სადმე გადამალეს. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე, ჩემი სიგარეტის ნამწვავებმა გამთქვა. მარინაც ეწეოდა, მაგრამ მისი სიგარეტები პომადიანი იყო, ჩემი კი სხვა ფირმის იყო და თანაც, სუფთა ფილტრი ჰქონდა. არ ვიცი, მე მეძებდნენ თუ არა, მაგრამ მაინც, საგულდაგულოდ ვიმალებოდი, ერთი თვის მერე კი, ტაშკენტში წავედი და „რასტოვისკენ“ პირიც აღარ მიქნია. აი, ასე გამთქვა სიგარეტმა და როცა ვამბობ, სიგარეტი მაგარი „ვეშია“-მეთქი, ყოველთვის ეს ამბავი მახსენდება. ახლაც ამიტომ გამახსენდა და „პახოდუ“, მოგიყევი კიდეც.

— საინტერესოა, სად გააქრეს ის ქალი?

— აბა, რა ვიცი, მისი საყვარელი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი იყო და იმას არაფერი გაუჭირდებოდა.

— ჰოო, მაშინ კი ექნებოდა ბლომად ფული... — ეს ჩემი ფრაზა გოგიტამ უკომენტაროდ დატოვა და ერთ ადგილზე თვალგაშტერებული კარგა ხანს ისე იჯდა, ხმა არ ამოუღია. მერე ერთი ამოიოხრა და ხელი ჩაიქნია. ორივე ჩვენ-ჩვენს საფიქრალს დავუბრუნდით.

— კი, მაგრამ ეს რა არის? ამხელა კაცმა შეშის დაჩეხა არ იცი? ღუმელში არ ეტევა... ვითომ, პარიზიდან იყო ჩამოსული და არც ღუმელი გენახოს ჯერ, არც

**— ბიჭს აფუჭებთ, არა? 17 წლის ბიჭი უნდა ,,გაბოზდეს“, არა? თქვენ ხომ ხალხი არ ყოფილხართ!**

შეშა და არც ნაჯახი... — შეშის ნაჭერს ცხვირწინ უტრიალებდა და მთელი ხმით უყვიროდა ასანიძეს გამომძიებელი ლაშა გულდედავა და თან, გულმოსული ქშინავდა.

— ბატონო ლაშა, შეიძლება? — თავი შემოყო გოჩა ლაბაძემ.

— მოდი, — უპასუხა ლაშამ და შეშის ნაჭერი იქვე, ღუმელთან გაბრაზებულმა მიაგდო. — შენ შეგიძლია, წახვიდე, — მიუბრუნდა ისევ ასანიძეს, კარამდე მიჰყვა და მის ზურგს უკან საგულდაგულოდ მიხურა. — აბა, როგორ ხარ? — მხარზე ხელი დაჰკრა გოჩას. საახალწლოდ ღორი არ დაკალი?

— კი, დავკალი... — დამნაშავესავით აიწურა გოჩა.

— მერე, რატომ არ შეგვატყობინე ეს სასიხარულო ამბავი?

— მე... მე... არ მეგონა, თუ ჩემს ღარიბულ სახლში მოსვლას იკადრებდით, — დაიბნა გოჩა.

— ეეე... ლაბაძე... ლაბაძე... ცუდად გვიცნობ, ცუდად... ჩვენც ჩვეულებრივი ხალხი ვართ, შენნაირი, ასანიძისნაირი... რა სხვაობაა ჩვენ შორის? არაფერი! უბრალოდ, მე 5 წლით მეტი ვისწავლე... მერე რა, სამაგიეროდ, შენ ცხოვრებამ დაგაბრძენა... — ფილოსოფოსობის გუნებაზე დადგა გამომძიებელი. — ჰო, მართლა, შენი დახმარება გვჭირდება.

— გისმენთ, — მორჩილად დააქნია თავი გოჩამ.

— როგორც იცი ხოლმე, რა...

— მოწმე გჭირდებათ?

— ჰო...

— გისმენთ, ბატონო ლაშა. — გამომძიებელი ცოტა ხნით ჩაფიქრდა. თვალი ერთ წერტილს გაუშტერა, თან, ფეხს ნერვიულად აქანავებდა. მერე, თითქოს ერთბაშად გამოფხიზლდაო, ფეხზე წამოდგა.

— მოკლედ, შენ თუ გახსოვს, 25 ოქტომბერს, ღამით, ტყეში საკუთარ ღორებს რომ მწყემსავდი?

— კი, მახსოვს, 25 ოქტომბერს, ღამით ტყეში საკუთარ ღორებს ვმწყემსავდი, — სიტყვასიტყვით გაიმეორა გოჩამ.

— ჰო... — თავი მოიქექა ლაშამ. — ჰოდა, საგურამოს ტყეში რომ მეტყევის ქოხია, ხომ იცი?

— კი, ეგ თუ არ ვიცი, აბა, რა ვიცი?

— იმ ქოხთან ყვითელი ფერის მანქანა ხომ არ დაგინახავს?

— კი, დავინახე.

— რა მარკის იყო მანქანა?

— „ჟიგული“ იყო, უფროსო, მაგრამ ფერი, ზუსტად არ მახსოვს. „03“ თუ „06“ მარკის „ჟიგული“ იყო.

— არც ნომერი გახსოვს?

— არა, — თავი გააქნია გოჩამ.

— რამდენი ადამიანი იჯდა მანქანაში?

— რამდენი და სამი — ორი მამაკაცი და ერთი ქალი. ერთი კაცი დაბალი ტანის იყო, მეორე — საშუალოზე მაღალი.

— მერე?

— მერე გასროლის ხმა გავიგონე.

— რამდენჯერ გაისროლეს?

— 3-4-ჯერ, ზუსტად არ მახსოვს.

— კარგია, ყოჩაღ! — შეაქო ლაშამ. — ახლა კარგად მომისმინე. მართალია, ეს პირველი საქმე არ არის შენთვის, მაგრამ ძალიან ყურადღებით უნდა მომისმინო და ამასწინანდელი ტაქსის მძღოლის დაყაჩაღების საქმესავით არ უნდა ჩააფლავო.

— მაშინ ჩემი ბრალი არ იყო, ზურაბიჩ... მე ყველაფერი ისე ვთქვი, როგორც საჭირო იყო, მაგრამ მაშინ მოსამართლე ვერ „იყიდეს“ და იმანაც, ლამის მე „გამსროკა“ ყალბი ჩვენებისთვის... თქვენ რომ არა, ციხე არ ამცდებოდა.

— კარგ ადამიანებს ჩვენ ყოველთვის ვეხმარებით... ხომ გაგიგონია, ხელი ხელს ბანს და ორივე — პირსო! თუმცა, შენ ალბათ, არ გაგიგონია... ახლა მე მოგიყვები, შენ კი მომისმინე. მოკლედ, 25 ოქტომბერს, ღამით, საგურამოს ტყეში შენ საკუთარ ღორებს მწყემსავდი. მანქანის ხმა გაიგონე, მიუახლოვდი იმ ადგილს და დაინახე, რომ თეთრი „შპაკლით“ აჭრელებული, ყვითელი ფერის „ნოლშესტი“ მივიდა ქოხთან. იქიდან გადმოვიდა 3 კი არა, 4 ადამიანი და ის საშუალოზე მაღალი ბიჭი, ვინც შენ დაინახე, შენი სოფლელი, ნიკა ტატიშვილი იყო. მას ახლდა ერთი ძალიან მაღალი მამაკაცი, მეორე — დაბალი და ერთიც, ახალგაზრდა გოგო. ქოხში შევიდა ის, ვინც ყველაზე მაღალი იყო. ცოტა ხნის შემდეგ, 4 გასროლის ხმა გაიგონე. გასაგებია?

— კი, — ყოყმანით, პაუზის შემდეგ თავი დაუქნია გოჩამ.

— რა იყო, რამე ვერ გაიგე?

— უფროსო, მე რომ ამას ვიტყვი, ნიკას დაიჭერთ? — ძლივს ამოღერღა სათქმელი.

— ნუ გეშინია, ნიკას არ დავიჭერთ, მაგრამ შენ ენას კბილი დააჭირე და რასაც გეუბნები, ის გააკეთე.

— კარგი.

— აბა, გაიმეორე, რაც მე გითხარი.

გოჩამ სხაპასხუპით, სიტყვასიტყვით გაიმეორა ლაშას მონაყოლი, რის გამოც, ქებაც კი დაიმსახურა.

— წავიდე?

— ხვალ ოფიციალურად გამოგიძახებ დაკითხვაზე და ოქმსაც შევადგენ. ახლა კი წადი და ღორებს მიხედე. — გოჩა უკუსვლით გავიდა ოთახიდან და კარს მიეფარა თუ არა, თავი სულაძემ შემოყო:

— უფროსო, ვიღაც კაცი გკითხულობთ, ამბობს, ლადო ვარ, ნიკა ტატიშვილის დის ქმარიო. შემოვუშვა?

— შემოუშვი, — ამოიოხრა ლაშამ. ოთახში ახოვანი მამაკაცი შემოვიდა.

— დაბრძანდი, — მიუთითა ღუმელთან მდგარ სკამზე ლაშამ, თვითონ კი მის მოპირდაპირედ ჩამოჯდა და ხელები ცეცხლს მიუფიცხა.

— რა ხდება, რისთვის დამიბარეთ? — საუბარი მოსულმა დაიწყო.

— რა ხდება, ბატონო ჩემო და, თქვენი ცოლისძმა შესაძლოა, კარგა ხნით გამოამწყვდიონ ციხეში. რა თქმა უნდა, თუ მკვლელობა დაუმტკიცდა.

— რას ამბობ, კაცო, აბა, მაგის შენ თვითონ გჯერა, რასაც ამბობ?

— მჯერა, აბა...

— ბალღი არ დაღუპოთ, კაცო, ტყუილს ნუ დააბრალებთ.

— ეგ ბალღი არის მთავარი მოწმე. მოწმე კი არა, ეჭვმიტანილი. თუ სხვა მკვლელი არ გამოჩნდა, მაშინ მაგის მოკლულია.

— და ჩემი ნახვა რაღად გინდოდა? ყველაფერი გცოდნია, უკვე...

— რად მინდოდა და შენი ცოლისძმა უნდა დაარწმუნო, რომ ნამდვილი მკვლელის ვინაობა თქვას.

— ვააა... როგორ უნდა თქვას, კაცო, თუ არ დაუნახავს?



M K

— ჰოდა, თუ არ დაუნახავს, მაშინ თვითონ მოკლა და ეგ არის...

— არა-მეთქი, არა, კაცო, მაგის მოკლული არ არის.

— დედას თუ დაიფიცებს, თორემ, სხვანაირად ეგ თავის სიმართლეს ვერ დააჯერებს მოსამართლეს. დედის დაფიცება კიდევ, არც ალიბია და არც საქმეს წაადგება.

— ვააა... მაშ, რა უნდა ვქნათ, კაცო?

— რა უნდა ქნათ და რასაც გეტყვი, ის უნდა ქნა. მერე, შენს ცოლისძმას შეგახვედრებ და უნდა აუხსნა, რომ რასაც თვითონ ამბობს დაკითხვაზე, ის არის არასწორი და რასაც ჩვენ ვეტყვით, ის იქნება სიმართლე. თუ დაგვიჯერებს, გადარჩება, თუ არა და, წავიდეს „სროკზე", რა, ჩემი რაღა მიდის?

— თქვენ იმას ამბობთ, რომ ყალბი ჩვენება უნდა მისცეს?

— ჰო, დაახლოებით მაგის თქმა მინდა... არა, ის ბიჭი ნამდვილად მკვლელია, მოწმე არ გვყავს და ვერ ვუმტკიცებთ, თორემ მკვლელია, რა, ნაღდად ვიცი...

— ე.ი. მკვლელი დაჭერილია და ნიკამ ხელი უნდა დაადოს იმ კაცს, ვისზეც თქვენ ეტყვით?

— ჰო, ხელი უნდა დაადოს და კიდევ, უნდა მოგვიყვეს, როგორ მოხდა ყველაფერი...

— ბიჭს აფუჭებთ, არა? 17 წლის ბიჭი უნდა „გაბოზდეს", არა? თქვენ ხომ ხალხი არ ყოფილხართ! — ხმას აუწია ლადომ.

— აბა, აბა, დაწყნარდი ახლა და არაფერი მიქარო, თორემ დაგსვამ შენი ცოლისძმის გვერდით და მერე ამტკიცეთ ორივემ ერთად, რომ მართლები ხართ...

— კაცო, ერთი ეს მითხარი, დავუშვათ და, ნიკა ისე მოიქცა, როგორც თქვენ ამბობთ. თუ ის კაცი, ვისაც ნიკა ხელს დაადებს, მკვლელი არ არის, ცოდვა უნდა აიკიდოს ბალღმა? მერე, სიმართლე რომ გაირკვეს? ან განა, როდემდე იქნება ის კაცი ციხეში? რომ გამოვა და რამე აუტეხოს, მერე თქვენ აგებთ პასუხს?

— ვერ გამოვა. მაგაზე არ იდარდო, მაგას დახვრეტას მიუსჯიან...

— მერე, გამოდის, ნიკაზე ყოფილა დამოკიდებული და მკვლელად გინდათ აქციოთ? იმ კაცს თუ დახვრეტას მიუსჯიან, მაშ, ნიკას კისერზე არ იქნება ეგ ცოდვა?

— მაშინ თვითონ „დაჯდეს" და სხვის ცოდვას ნუ დაიდებს... დამიჯერე, ციხეში ჩაჯდომას ყველაფერი სჯობს. მაგას „მალალეტკებში" გაუშვებენ, იქ გააფუჭებენ ბიჭს. ჯობია, სხვა გაწიროს...

— ეგ კაცური საქციელი არ არის...

— შენ დაელაპარაკე ბიჭს, იქნებ, დაგიჯეროს?! თვითონ გადაწყვიტოს, როგორ მოიქცევა...

**— არ მახსოვს, რომ ერთ დღეზე მეტი გაეძლოს ვინმეს ჩვენი ბიჭებისთვის. მაგან 3 დღე გაუძლო...**

— შენ როგორ მოიქცეოდი, ამ ბალღის ადგილზე? — ჰკითხა ლაშას და თვალი გაუშტერა.

— მე დავუჯერებდი გამომძიებელს იმიტომ, რომ იმან უკეთ იცის, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი...

— ჰმ... — ჩაიცინა ლადომ. — მაშ, დაუჯერებდი, არა? აი, მე კი სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს... კარგი, იყოს, როგორც თქვენ გინდათ... მე დაველაპარაკები ნიკას. თავად გადაწყვიტოს, კაცობა ურჩევნია თუ არაკაცობა...

— მასე თუ დაუწყებ ლაპარაკს, რა თქმა უნდა, არ დაგიჯერებს და ჩვენთან თანამშრომლობაზე არ წამოვა.

— მტერს არ ვუსურვებ თქვენს ხელში ჩავარდნას... გახრწნილი ხალხი ხართ...

— ენა გააჩერე... არც შენ ხარ მამა აბრამის ბატკანი...

ლადო წამოდგა და ირონიული ღიმილით დატოვა გამომძიებლის კაბინეტი.

— ხვალ, შუადღისას მოდი, — მიაძახა კართან მისულს ლაშამ.

ლადო გავიდა თუ არა, ტელეფონმა დარეკა. ვაჟა იყო და გამომძიებელს თავისთან უხმობდა. პროკურორის მოადგილის კაბინეტში ლევან დოდაშვილი დახვდა.

— ოოო, ექსპერტს გაუმარჯოს! — მხიარულად მიესალმა ლაშა. ლევანი სკამიდან წამოიწია და ხელი ჩამოართვა. — ახლა არ მითხრა, რომ ჩუთლაშვილის საქმეზე ხარ მოსული.

— ჰო, განცხადებაა შემოსული.

— ჩივის, არა? — ჩაიცინა ლაშამ. — რაო, რა მინდაო? მცემესო?

— კაცო, ერთი ეს მითხარი, რამდენჯერაც აქ მომიწია ჩამოსვლამ, ყოველთვის შენს გამოძიებულ საქმეზე ჩამოვდივარ. სინდისი აღარ გაქვს?

— მაბრალებენ, ლევან. მტრები მყავს, მტრები... ჩამოსვლით ბევრჯერ ჩამოხვედი, მაგრამ ერთხელაც არ დადასტურებულა ფაქტი.

— შემახვედრეთ პატიმარს, — მოკლედ მოუჭრა ექსპერტმა. ლაშამ ვაჟას გადახედა. მან შეუმჩნეველი თავის ქნევით ანიშნა, რომ შეეძლო, დათანხმებოდა. მერე, თვითონვე გასძახა თანამშრომელს და ზაზას ამოყვანა უბრძანა. ცოტა ხნის შემდეგ, ამ თანამშრომელმა ისევ შემოყო თავი ოთახში და უფროსს მოახსენა, რომ პატიმარი ექსპერტთან შეხვედრაზე უარს აცხადებდა.

— აი, ხომ გითხარით, მტრები მყავსმეთქი. მაგ ბიჭს ინტრიგანი ადვოკატი ჰყავს და კლიენტთან შეუთანხმებლად მოითხოვა ექსპერტიზის დანიშვნა. პატიმარი კი უარს ამბობს თქვენთან შეხვედრაზე. ნაცემი და ნაწამები რომ იყოს, ხომ არ იტყოდა უარს? პირიქით, გაუხარდებოდა თქვენი ნახვა, — ენას არ აჩერებდა გამომძიებელი და თვალებს აქეთ-იქით ატრიალებდა.

— კარგი, მომეცი ოქმი, სადაც წერია, რომ პატიმარი უარს ამბობს ჩემთან შეხვედრაზე, ხელს მოვაწერ, — ამოიოხრა ლევანმა.

— აგერ, ბატონო, — გამზადებული ოქმი ამოაძვრინა საქაღალდიდან ლაშამ.

— პატიმარს რომ არ აქვს ხელი მოწერილი?

— არა უშავს, ხომ თქვენი ყურით გაიგონეთ, რომ უარს ამბობს? ჰოდა, თქვენ მოაწერეთ, რომ დრო აღარ დაკარგოთ, ალბათ, ბევრი საქმე გაქვთ... პატიმარს კი, წახვალთ თუ არა, მაშინვე მოვაწერინებთ. — ლევანმა თავი გადააქნია და ხელი მოაწერა ოქმის ბოლოში.

— ესეც ასეეეე... — თქვა ხელების ფშვნეტით, კმაყოფილმა გამომძიებელმა მას შემდეგ, რაც ექსპერტი ოთახიდან გავიდა. — ნამდვილი გენიოსი ხართ, კონსტანტინოვიჩ... წინასწარ გყავდათ გაფრთხილებული ის თქვენი თანამშრომელი?

— თანამშრომელი კი არა, დროზე დაამთავრე ეგ საქმე. დღეს გენერალური პროკურატურიდან დამირეკეს და მუშტი დამიბრახუნეს. რა ხდება, ბოლოს და ბოლოს, ერთი საქმის გამოძიება? თუ სანამ არ მომხსნიან, მანამდე არ გაინძრევი? — დატუქსა ვაჟამ. — ასეთი საქმეები ცხელ კვალზე იხსნება ხოლმე...

— თქვენ არ მითხარით, დრო გავწელოთო? — წინააღმდეგობის გაწევა სცადა გამომძიებელმა.

— ახლა გეუბნები, რომ დროზე დაამთავრე და ეს პატიმარიც გადააგზავნე ციხეზე. როდემდე უნდა იყოს აქ?

— კონსტანტინოვიჩ, გუშინ მოვიდა ბადრაგი წასაყვანად. ამ დროს, ზაზა დაკითხვაზე ამოჰყავდათ. რომ დაინახეს, წაყვანაზე უარი თქვეს.

— რატომ?

— ეს კაცი 2 დღეში მოგვიკვდება, მერე ჩვენ უნდა დაგვბრალდეს და რატომ გავყოთ თავი შარშიო? თქვენი გაფუჭებული საქმე თქვენ გამოასწორეთ, თუ გადარჩება, მერე გადავიყვანთ ციხეზეო.

— ისე, მგონი, მართლა ზედმეტი მოგივიდა, ხომ იცი...

— ხომ ნახეთ, როგორი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა? დიდი ხანია, არ მახსოვს, რომ ერთ დღეზე მეტი გაეძლოს ვინმეს ჩვენი ბიჭებისთვის. მაგან 3 დღე გაუძლო. ცოტა ადრე ეღიარებინა დანაშაული და ამდენი აღარ მოხვდებოდა. სანამ ბიჭებმა არ უთხრეს, რომ გარეთ გაგიყვანთ და მერე, გაქცევის მცდელობისთვის გაგაგორებთო, მანამდე არ შეეშინდა.

— ახლა რას უპირებ?

— ახლა დაისვენოს, ხვალ დავუძახებ დაკითხვაზე და ტატიშვილი და ლაბაძე ამოიცნობენ...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# შვილებისგან უარყოფილი მშობლების ხვედრი, მარტოობის განცდა და თავშესაფარში 70 წლის ასაკში ნაპოვნი სიყვარული

*თამუნა კვინიკაძე*

თბილისის ხანდაზმულთა პანსიონ „სავანეს“ რამდენიმე დღის წინ ვესტუმრეთ და „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლისგან საჩუქრად ჟურნალ-გაზეთები მივუტანეთ. შენობაში შესულებს, ჰოლში წყნარად მოსაუბრე მოხუცთა ჯგუფი დაგვხვდა.

— ვიღაც უცხოები მოვიდნენ, ნეტავ ვინ უნდა იყვნენ? — გადაულაპარაკეს ერთმანეთს ჩვენი დანახვისას და ინტერესით ავსავსე მზერა მოგვაპყრეს. ჟურნალ-გაზეთები იქვე დაცვის თანამშრომლის მაგიდაზე დავალაგე, მათთან მივედი და გავეცანი.

— ჟურნალისტი, ხომ? ასეც ვიფიქრე, ბებო, — მითხრა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

— ამ ჟურნალებს ჩვენ გვიტოვებთ, ხომ?



ზოგმა შვილის მკურნალობის, ზოგმა კი, ძვირად ღირებული მედიკამენტების გამო გაყიდა საცხოვრებელი და მერე აქ მოხვდა

ასეც ვიფიქრე; კარგია, ცოტა გავერთობით, — ჩაერია საუბარში მეორე ქალბატონი. მერე კი ყველანი მაგიდასთან მივიდნენ და საჩუქრების დანაწილებას მიჰყვეს ხელი.

— ჯერ ნუ აიღებთ, დირექტორმა უნდა ნახოს და მერე დაგირიგებთ, — შენიშვნა მისცა მათ დაცვის თანამშრომელმა და ერთ-ერთ მამაკაცს სთხოვა, ჟურნალი მაგიდაზე დაედო.

— მე თუ მართმევ, მაშინ, იმასაც გამოართვი; შეხედე, ჯიბეში ჩაიდო, — პატარა ბავშვივით ამხილა მეორე, რომელიც უკვე მიხვდა, რომ მასზე ლაპარაკობდნენ, ჯიბეზე ხელი დაიფარა და გარეთ გავიდა. მეც თან გავყევი.

— გაზეთი უნდა წაიღო? — მკითხა, როდესაც მივუახლოვდი. ავუხსენი, რომ მასთან ამ განზრახვით არ ვიყავი მისული. გამიღიმა და გამეცნო:

— როლანდ კოჭლამაზაშვილი ვარ. გამიხარდა, გაზეთები რომ მოგვიტანეთ, იმიტომ, რომ კითხვა ძალიან მიყვარს. 11 წლის წინ, მეუღლე გარდამეცვალა, 5 წელი მარტოობაში გავატარე, ეპილეფსია დამემართა ნერვიულობაზე, მერე აქ მოვედი. 6 წელია, რაც აქ ვცხოვრობ. ბოლო თვენახევარია, რაც ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდა, ადრე ცუდი იყო...

— ცუდი რა იყო?

— მერიდება, რომ ვამბობ, მაგრამ მაინც გაგიმხელთ: ადრე კარგი კვება არ გვქონდა.

ამ დროს, მეორე მამაკაცი მომიახლოვდა და დამლოცა: — თქვენ გაიხარეთ, შვილო, ჩვენი გახარებისთვის! კარგია, რომ ვიღაცას ვახსოვართ. მე აქ რა მინდა, ბაბუ, განა აქ არის ჩემი ადგილი?! მაგრამ სახლ-კარი არ მაქვს და სად წავიდე?!

— არც შვილი გყავთ? — ვკითხე და იმწუთასვე ვინანე: მოხუცს სახის გამომეტყველებაზე შევამჩნიე, რომ ძალიან ვატკინე გული.

— შვილი? შვილი როგორ არ მყავს, მაგრამ... — თქვა და თითქოს გულიც ამოაყოლა, ხელი ნერვიულად ჩაიქნია და გაგვშორდა. ორიოდე ნაბიჯი გადადგა, მოგვიბრუნდა და გვთხოვა, მისი ფოტო არ დაგვებეჭდა, მაგრამ საკუთარ მდგომარეობაზე ლაპარაკს 78 წლის *რომან რობიტაშვილი* არ მორიდებია.

— მესამე წელია, აქ ვცხოვრობ. არ გეგონოთ, რომ შვილი არ მყავს. ის საზღვარგარეთ ცხოვრობს. ფულს ცოლ-შვილს უგზავნის, მე კი, ერთი თეთრიც არ მახსოვს მისგან. რძალმა სახლიდანაც გამომაგდო, ეტყობა, ზედმეტი ვიყავი. კიდევ კარგი, რომ ეს პანსიონატი არსებობს, თორემ რა გვეშველებოდა?!

იმ წუთში მარტო ყოფნა ვინატრე, მოხუცთა მონათხრობმა გული იმდენად ამიჩუყა, თვალები ცრემლით მქონდა სავსე. ფიქრებიდან ისევ იმ მოხუცმა გამომიყვანა.

— აქ ქარი ქრის, არ გაცივდე, ბაბუ, შიგნით შევიდეთ, — მითხრა და აკანკალებული ხელით კარი გამოაღო. შესასვლელის მარჯვენა კუთხეში შევამჩნიე, რომ ერთი ქალბატონი ჩვენი ჟურნალით ხელში განმარტოებულიყო და სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. მივუახლოვდი თუ არა, დიქტოფონი ფოტოაპარატში აერია და — არა, ბებო, სურათს ნუ გადამიღებო, — მთხოვა. სურათს არ გიღებთ, თუ შეიძლება გაგესაუბრებით-მეთქი, ვუთხარი და მის გვერდით ჩამოვჯექი.

— კარგი ამბავი წავიკითხე, ბებო და მიხარია...

— რა წაიკითხეთ?

— რა და, თბილისში 3 ტყუპი დაბადებულა — მერე ჟურნალი გადაშალა და სასიამოვნო სიახლით აღფრთოვანებული, პატარების ფოტოს მიეფერა. — მთელი ცხოვრება ოჯახსა და შვილებზე ვოცნებობდი. მაგრამ დედობის სიხარულის განცდა არ მეღირსა. ასე, მარტოობაში უნდა ამომხდეს სული, — თქვა და კვლავ კითხვა განაგრძო.

ის იყო, წამოდგომას და იქვე მეორე ქალატონთან გასაურებას ვაპირებდი, რომ — არ წახვიდეო, — შემაჩერა.

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები?! როგორ, ანგელოზებივით ბავშვები მიუტოვებიათ დედებს! რამ გაუყინათ გულები?! — თვალცრემლიანმა, მიუსაფარ ბავშვთა სახლში გადაღებული ფოტოები დაათვალიერა და — ასეა, ბებო, ცხოვრება: ჯერ მშობლები ტოვებენ შვილებს, მერე, შვილები — მშობლებს. იცი, რა განცდაა, როცა მიუსაფარი გქვია?! საშინელებაა, საშინელება! — ამ სიტყვებით დამემშვიდობა, თავის ოთახში ნელი ნაბიჯებით შევიდა და საკუთარ მარტოობასთან ერთად ჩაიკეტა.

მასთან განშორების შემდეგ, ვიდრე პანსიონატის დირექტორის, თამთა დემურიშვილის კაბინეტამდე მივიდოდი, გვერდით ოთახში ერთი თვალცრემლიანი ქალბატონი შევნიშნე, რომელიც დირექტორის მოადგილეს, *ლელა კიკნაძეს* ესაუბრებოდა:

— მამაჩემი რეპრესიებმა იმსხვერპლა, პატიმრობაში მყოფმა, არ ვიცი, როგორ მოახერხა, წერილი გამომიგზავნა. მთხოვდა — შენს პატარა ძმებს ნუ დატოვებ, უპატრონეო. ორივენი მე გავზარდე, ერთი 11 წლის იყო, მეორე — 5-ის. ოჯახი არ შემიქმნია. რომ მოვხუცდები, ჩემი ძმები მიპატრონებენმეთქი, — ვფიქრობდი, მაგრამ ორივენი გარდამეცვალნენ. ნეტავ, მეც მათთან ერთად დამეტოვებინა ეს წუთისოფელი. ახლა წასასვლელი არსად მაქვს. შორეულ ნათესავთან ვცხოვრობ, რომელიც ყოველდღე მეუბნება — დროზე აიღე შენი ნივთები და აქედან წადიო! თვითონაც ვიწროდ ცხოვრობენ და იქ ჩემი ადგილი აღარ არის.

— ორშაბათს მობრძანდით და ოთახს დაგახვედრებთ, — უთხრა ქალბატონმა ლელამ *(ეს ხდება ხუთშაბათს)*.

— ორშაბათს? ორშაბათამდე სად წავიდე? არა მგონია, იმ ბინაში გამაჩერონ. ვითომ, შევეცოდები და არ გამომაგდებს? — ამ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა. მერე წამოდგა და — ძალიან ვთხოვ... შევვედრებიო... — თქვა და ამ იმედით გაუყვა გზას.

როგორც „სავანის“ დირექტორმა, თამ-



**თამთა დემურიშვილი:** იმდენი ბებია და ბაბუა არავის ჰყავს საქართველოში, რამდენიც მე

თა დემურიშვილმა გვითხრა, პანსიონატში სულ 77 მოხუცი ცხოვრობს. ხშირად იქ მოხვედრაზე ხანდაზმულ ადამიანებს რიგში დგომაც კი უწევთ. ჩარიცხვა იმ შემთხვევაში ხდება, თუ ვინმე გარდაიცვლება და ადგილი გამოთავისუფლდება. მოხუცებზე არანაირი სახელმწიფო პროგრამა და შეღავათი არ ვრცელდება. მათ პენსიის 80% ექვითებათ და ხელზე 7 ლარს იღებენ. პანსიონატის დაფინანსება სახელმწიფოს მხრიდან ყოველწლიურად 224.800 ლარს შეადგენს, თითოეულ მოხუცზე დღეში 8 ლარია გამოყოფილი. ამ თანხიდან 3 ლარი და 20 თეთრი კვებისთვის არის გათვალისწინებული, დანარჩენი კი — კომუნალური გადასახადებსა და თანამშრომელთა ხელფასებზე იხარჯება. პარლამენტის დადგენილებით, დაწესებულებაში, მხოლოდ საპენსიო ასაკის პირები უნდა ირიცხებოდნენ, მაგრამ ინვალიდებისთვის გამონაკლისს უშვებენ, რაც დარღვევად მიიჩნევა, ამიტომ ადმინისტრაცია, მათ გადასაყვანად, შესაბამის ორგანოებთან მოლაპარაკებას აწარმოებს.


ნუნუ ჯულაყიძე: 1 შვილი მყავს, 4 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი. ქარელში ცხოვრობენ

— იმდენი ბებია და ბაბუა არავის ჰყავს საქართველოში, რამდენიც მე, — ამბობს ***თამთა დემურიშვილი***. პანსიონატის მკვიდრთა უმრავლესობა, შვილებისაგან უარყოფილი მშობლები არიან. ამასთან დაკავშირებით, მან ასეთი ამბავიც გაიხსენა:

— რამდენიმე დღის წინ, ჩემთან ერთი მოხუცი ქალბატონი მოვიდა და საიდუმლოდ გამანდო: შვილიშვილმა მითხრა — ბებო, ცოლი უნდა მოვიყვანო და არ ვიცი, ის გოგო შენ შეგეგუება თუ არაო. — მაგას რატომ მეუბნები, სახლიდან წავიდეო? — უკითხავს ბებოს. — როგორც გინდაო, — მიუღია პასუხად... ეს ქალბატონი ჩემთან მოვიდა და აქ დარჩენის ნებართვა მთხოვა. დახმარებას დავპირდი, მოგვიანებით კი, კვლავ დამიკავშირდა და მითხრა — ჩემმა ქალიშვილმა როდესაც გაიგო, რას ვაპირებდი, ინერვიულა და მითხრა — იქ რომ წახვიდე, თავს მოვიკლავო; მე კი მიზეზი, რის გამოც სახლიდან წამოსვლას ვაპირებდი, ვერ ვუთხარი, არ მინდოდა, გული სტკენოდაო...

თამთა დემურიშვილის კაბინეტიდან შეხვედრების ოთახში გადავინაცვლე. იქ რამდენიმე სანდომიან ქალბატონთან ერთად, რუსთაველის თეატრის მსახიობი ზაზა *ბაწელაშვილი* დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ გადატანილი ავადმყოფობის გამო, მას მეტყველება უჭირს, საკუთარი ლექსი მაინც წაგვიკითხა:

— გადამისკდა ყველა ძარღვი,/ ვენაა თუ აორტა,/ სულზე დენთი დამიდვია/ და სიცოცხლეც გაორდა./ მივატოვე ის ტაძარი,/ სადაც მე მილოცნია,/ მოველოდი ამ გაწირვას,/ საუკუნე ოცია./ აწმყოს ცეცხლზე შემომიდგამს/ ჩემი სულის გენია,/ ჩემი კუბო, მთაშედგმული/ პოეზიის გემია/... მსახიობი და ტელევიზიის მემატიანე ვარ, ზინაიდა კვერენჩხილაძესთან ერთად, სცენაზე არაერთხელ გამოვსულვარ!.. ინსულტი დამემართა, 1 წელი ვერ ვლაპარაკობდი. 7 თვეა, რაც ლაპარაკი დავიწყე.

ვატყობდი, რომ მას კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ველარ შეძლო.

— ბატონი ზაზა ხშირად გიკითხავდათ ლექსებს?

*როზა ჯიკაევა:*

— ხშირად და ყოველთვის — განსაკუთრებული არტისტიზმით. ის აქ ჩემ შემდეგ მოვიდა, მე უკვე მე-7 წელია, აქ ვარ. მოსვლის მიზეზი, რა თქმა უნდა, კარგი და აწყობილი ცხოვრება არ ყოფილა.

„სავანის“ ბინადართა დიდი ნაწილი პანსიონატში უბინაობის გამო ცხოვრობს. ზოგმა შვილის მკურნალობის, ზოგმა კი, ძვირად ღირებული მედიკამენტების გამო გაყიდა საცხოვრებელი და მერე აქ მოხვდა. ასე დაემართა ქალბატონ *ლამარა ქობულაშვილსაც:*

— 20 წლის წინ, ამ დაწესებულებაში ექთანად დავიწყე მუშაობა, მაგრამ მალე თავი დავანებე. მოხუცებს რომ ვუყურებდი, გული მიჩუყდებოდა, სულ ვტიროდი...

20 წლის შემდეგ, ბედის ირონიამ თუ ცხოვრების უკუღმართობამ იგი კვლავ ამ დაწესებულებაში დააბრუნა.

შეხვედრების ოთახიდან გამოსვლის შემდეგ, ზოგიერთ ხანდაზმულს ვესტუმრე. პირველი მათგანი, *ნუნუ ჯულაყიძე* გახლდათ. მან სიამოვნებით შეგვიპატიჟა და გვითხრა — რამდენი ხანია, თქვენნაირი სტუმრები არ გვყოლიაო. ხოლო როდესაც გაიგო, რომ ფოტოს გადაღებასაც ვაპირებდით, შეიცხადა:

— რას ამბობთ, თავი არ მომჭრათ, ამ ფორმაში არ გადამიღოთ! — გვთხოვა. დატრიალდა, წინსაფარი მოიხსნა, ქუდი მოიხადა, კარადიდან საგულდაგულოდ შენახული წითელი მოსასხამი გამოიღო. — ქვეყანა მნახავს და მოუწესრიგებელი ხომ არ უნდა ვიყოო?!

სანამ ნუნუ ბებო მოწესრიგდებოდა, მე მისი ქოთნის ყვავილები დავათვალიერე.

— ამ ყვავილებს თქვენ უვლით?

— მაგი, ბებო, ყვავილები კი არა, მცენარეებია, — შემისწორა ნათქვამი. წამლების დასამზადებლად მჭირდება. პატარა კი არა ვარ, 73 წლის გავხდი, სახსრები მტკივა და ჩემით ვმკურნალობ. სხვებსაც ვაძლევ. რომ იცოდეთ, მცენარეებით დამზადებული წამლები სჯობია იმ რაცხა აბებს, აფთიაქებში რომ იყიდება.

— აქ მოხუცებთან მეგობრობთ?

— ვინც ნორმალური და მორწმუნეა, ყველასთან ვმეგობრობ, მაგრამ ისეთებიც არიან, ვისთანაც საერთო ენას ვერ გამონახავ. ასეთ ადამიანებს ვერიდები. 16 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი და 18 წლის დავქვრივდი, მთელი ცხოვრება პატიოსნად გავატარე. ახლა 1 შვილი მყავს, 4 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი. ქარელში ცხოვრობენ. გაგიკვირდება ალბათ — ამ ქალს შვილი თუ ჰყავს აქ რაღა უნდაო?! მაგრამ ახლა, ბებო, ასე ყოფილა „მოდაში“: მშობელი რომ დაბერდება, მოხუცთა თავშესაფარში უნდა ჩააბარო. მე რა მიჭირს? ქუთაისის მოხუცთა თავშესაფარში 9 შვილის აღმზრდელი დედა ცხოვრობს! მე თქვენ გეკითხებით, რა ჰქვია ამას?..

ნუნუ ბებოს ისე დავემშვიდობე, რომ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა ვერ შევძელი... შემდეგ, პანსიონატის უხუცეს მცხოვრებს (იქ გატარებული წლების მიხედვით), *თამარ გუდაძეს* ვესტუმრე. მან ჩანთიდან ახალგაზრდობის დროინდელი ფოტო ამოიღო — ნახე, რა გოგო ვიყავი, ახლა ჩემი თავი მე თვითონ აღარ მომწონსო, — და სურათის გადაღებაზეც უარი გვითხრა.

— შინაბერად დავრჩი. სანამ მშობლები მყავდნენ ცოცხლები, არაფერი მიჭირდა, მერე კი, მარტო დავრჩი, ძმისშვილი მპატრონობდა, მაგრამ გარდამეცვალა და თან წაიღო ჩემი სიცოცხლეც. 86 წლის ვარ. 15 წელია, რაც პანსიონატში ვცხოვრობ. მთელი ცხოვრება მარტოობაში გავატარე... იცით, რა საშინელებაა?!

პანსიონატის თანამშრომლებისგან შევიტყვე, რომ წლების წინ, „სავანის“ ორმა ბინადარმა 70 წლის ასაკში დაქორწინება გადაწყვიტა და დღესაც ერთად ცხოვრობს. იმ წელს, ისინი ტელემაყურებლებმაც გაიცნეს — „ არხზე“, გადაცემაში — „ფორტუნა“ მონაწილეობდნენ. ბუნებრივია, რომ მათთან შეხვედრაც გვსურდა, მაგრამ მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ვერც ინტერვიუს ჩაწერა მოვახერხეთ და ვერც ფოტოს გადაღება: ქალბატონი ჟურნალისტებთან ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი ყოფილა...

■


როზა ჯიკაევა და ზაზა ბაწელაშვილი


როლანდ კოჭლამაზაშვილი ვარ. გამიხარდა, გაზეთები რომ მოგვიტანეთ



# ჩინოვნიკობაზე გაცვლილი უცხოური დიპლომი, მაჭანკალი მთხოვნელი და „ქუჩური“ კომპლექსი

თბილისის ვიცე-მერთან მამუკა ახვლედიანთან შეხვედრა გაცილებით ადრე მქონდა დაგეგმილი, მაგრამ რამდენჯერმე მისი მოუცლელობის გამო გადაიდო, რის გამოც მომიბოდიშა: ძალიან დაკავებული ვარ, შაბათ-კვირასაც ვმუშაობ, მოქალაქეების მიღება მაქვს და უნდა მაპატიოთ, რომ გალოდინეთ, ახლა კი თქვენს სამსახურში მიგულეთო, — მითხრა და სავარძელში მოკალათდა. როგორია მამუკა ახვლედიანის ცხოვრება კაბინეტს მიღმა? რა დადებით და უარყოფით თვისებებს ხედავს საკუთარ ხასიათში? როგორი გოგონები მოსწონს? და რას ჰპირდებიან მას მაჭანკლები? — ყველაფერ ამაზე გულახდილად გვესაუბრა.

*თამუნა კვინიკაძე*

— **როგორ მოხვდით პოლიტიკაში?**

— მიმაჩნია, რომ მე არა ვარ პოლიტიკოსი, მე ვარ ჩინოვნიკი. პირველად, სახელმწიფო სამსახურში მუშაობა მაშინ დავიწყე, როცა გიგი უგულავა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა. მან შემომთავაზა, პრეზიდენტის რწმუნებულის სახელმწიფო აპარატის უფროსის თანამდებობა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. გიგის ბავშვობიდან ვიცნობ და ვიცოდი, რომ მასთან ჩემი ურთიერთობა მხოლოდ სიკეთის მომტანი იქნებოდა. ასევე გეტყვით, რომ ეს შემოთავაზება ჩემთვის უცხო იყო, რადგან სულ ერთი თვის დაბრუნებული ვიყავი საბერძნეთიდან, სადაც ვსწავლობდი. ისევ იმ ქვეყანაში დაბრუნება და ათენში საქართველოს საელჩოში მუშაობა მინდოდა. როცა გიგი თბილისში დაბრუნდა და პრეზიდენტის აპარატის უფროსად დაინიშნა, სამეგრელოდან ჩემი წამოყვანა განიზრახა და თავის მოადგილედ დამნიშნა. შემდეგ ვიყავი თბილისის საკრებულოსა და მთავრობის აპარატის უფროსი, ასევე მერიის ადმინისტრაციის უფროსი და ასე მოვედი თბილისის მერის პირველი მოადგილის თანამდებობამდე.

— **როგორც ვიცი, თქვენ და გიგი უგულავა კლასელები იყავით.**

— არა, ჩემი კლასელი გიგის ძმა, ირაკლი გახლდათ. მაგრამ ჩვენ ბავშვობიდან ვმეგობრობდით, ერთად დავდიოდით ჯერ თბილისის უნივერსიტეტში, შემდეგ კი — სასულიერო სემინარიაში.

— **თქვენი ბავშვობის მეგობარია კობა სუბელიანიც; სანამ ჩინოვნიკები გახდებოდით, როგორი იყო თქვენი ცხოვრების წესი, როგორ ერთობოდით?**

— დროის დიდ ნაწილს ეკლესიაში ვატარებდით. კობა ზარზმის მონასტერში ცხოვრობდა, მე და გიგი მასთან ხშირად ჩავდიოდით. მე სტიქაროსანი ვიყავი და ეკლესიური ცხოვრებით ვცხოვრობდი.

— **თქვენი ოჯახი გაგვაცანით.**

— მყავს მშობლები და ერთი ძმა, რომელიც თავის ოჯახთან ერთად, ცალკე ცხოვრობს. მშობლები პენსიონერები არიან. მამა ავადმყოფობს, სიარული უჭირს, დედა კი ამის გამო, დროის დიდ ნაწილს სახლში ატარებს, მამას უვლის და მე მელოდება. ხშირად ჩემი ლოდინი შუაღამემდეც გრძელდება.

— **დაოჯახებას არ აპირებთ? გყავთ თუ არა შეყვარებული?**

— დაოჯახებას, რა თქმა უნდა, ვაპირებ. მაგრამ შეყვარებული არ მყავს. სად მცალია სიყვარულისთვის (*იცინის*)?!

— **არც არასდროს გყვარებიათ?**

— როგორ არ მყვარებია?! ეს გრძნობა ჩემთვის უცხო არ არის.

— **რა არის სიყვარული, შეგიძლიათ მითხრათ?**

— ამ კითხვას პასუხი იოანემ „სახარებაში“ გასცა: იქ წერია, რომ „ღმერთი სიყვარული არს“.

— **კი, მაგრამ თქვენ ხომ იოანე არ ხართ...**

— ვფიქრობ, რომ სიყვარული ადამიანის შინაგანი სამყაროს ყველაზე აღმატებული გრძნობაა. გულმოწყალებას, სიკეთეს, თანადგომას — ყველაფერ ამას აერთიანებს. ამ გრძნობით ადამიანები ერთმანეთთან ყველაზე ლამაზ ურთიერთობას ამყარებენ.

— **როგორი გოგონები მოგწონთ?**

— ყველა მანდილოსანს სილამაზის ინდივიდუალური შტრიხი აქვს, რითიც შეუძლია, მამაკაცი მოხიბლოს. ჩამოყალიბებული სტერეოტიპი — რომ მომწონს ქერა და ცისფერთვალება ან შავგვრემანი გოგონები — არ მაქვს. განწყობილებას გააჩნია. ქალში ყველაზე მეტად, თავდაჭერილობასა და კდემამოსილებას ვაფასებ. იგი აუცილებლად ჭკვიანი უნდა იყოს, ქარაფშუტა გოგონები ვერ მომხიბლავენ.

— **დარწმუნებული ვარ, პოპულარობასთან ერთად, მაჭანკლებიც მოგიმრავლდებოდნენ.**

— ნამდვილად ასეა (*იცინის*), — ყველა ვიღაცას მირიგებს. გულახდილად გეტყვით, რომ ამ საკითხში მკაცრ დამოკიდებულებას არ ვიჩენ. თუ პიროვნებას იდეაში აქვს, იმ მიზნით გაგაცნოს გოგონა, რომ შემდეგ დაუახლოვდე და შეგიყვარდეს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ისინი, ვინც ამ საკითხზე მელაპარაკებიან, ჩემი უახლოესი მეგობრები არიან; ოჯახში, მშობლებისათვის ამ თემაზე საუბარი აკრძალული მაქვს. ჩემი პირადი ცხოვრების მოწყობაზე, ზოგჯერ სრულიად უცნობი ადამიანებიც ზრუნავენ. ამასთან დაკავშირებით, ერთი ამბავი გამახსენდა და მოგიყვებით. სამსახურში რაღაც საკითხის გასარკვევად, ჩემთან უცხო ქალბატონი მოვიდა. წლებია, ამ პრობლემის წინაშე ვდგავარ და ვერ გადამიწყვეტიაო, — მითხრა. მას შეძლებისდაგვარად დავეხმარე. ბოლოს კი, მადლიერების გრძნობით აღვსილმა, მითხრა — „იმფერი“ გოგო მყავს შენთვის შეგულებული, ვერ დაიწუნებ: მშობლები პროფესორები არიან, ერთი ბინა ვაკეში აქვს, მეორე — საბურთალოზე. სადაც გინდა, იქ იცხოვრებთ, „დახატული“ ცოლი გეყოლება; ახლა ორ დღეში შენთან საბუთების ხელმოსაწერად რომ მოვალ, იმ გოგოსაც თან წამოვიყვან მოტყუებით, კაბინეტამდე მოგიყვან და მერე შენ იცი და შენმა შნო-მარიფათმაო... ორი დღის შემდეგ, ჩემს მდივანთან დაურეკავს და უთქვამს — მამუკას გადაეცით, ჩემი ნათქვამი კი არ დამვიწყებია, იმ საქმეზე ვმუშაობო... ასე რომ, მგონი, ბედი გამეხსნა (*იცინის*). პირობას გაძლევთ, რომ ქორწილს არ გამოგაპარებთ...

— **შეგიძლიათ ჩამომითვალოთ თქვენი ხასიათის 3 დადებითი და უარყოფითი თვისება?**

— ჯერ უარყოფით თვისებებს ჩამოგითვლით: პირველი — ძალიან ფიცხი ვარ, მეორე უარყოფით თვისებად შეიძლება, ჩემი ზედმეტი ემოციურობა მივიჩნიო და ბოლოს, უნდა ვაღიარო, რომ საშინლად არაპუნქტუალური ადამიანი ვარ. ჯერ არ მახსოვს, სადმე დათქმულ დროს მივსულიყავი ან 2 საათზე დაბარებული ადამიანი 3 საათამდე მიმეღოს.

— **წინა ორ თვისებაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გეთანხმებით, რადგან ეს საკუთარ თავზე გამოვცადე და რომ არ გეღიარებინათ, აუცილებლად შეგახსენებდით. ახლა კი, დადებითი თვისებები რომელი გაქვთ, მითხარით.**

— დადებით თვისებებზე ლაპარაკი მიჭირს და ცოტა მეუხერხულება კიდეც. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია გითხრათ, რომ ადამიანის სატკივრის გაზიარება, გულთან ახლოს მიტანა შემიძლია და შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ვეხმარები. მეგობრობა შემიძლია და ერთგული ვარ მათთვის, ვისაც უნდა ვერთგულობდე.

— **თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

— სად მაქვს თავისუფალი დრო?! ამ კაბინეტიდან ზოგჯერ, ღამის 12 საათზე გავდივარ, გუშინ მოვახერხე და 12 საათზე აქედან წასვლის შემდეგ, რუსთავში ჩემი მეგობრის ოჯახს ვესტუმრე. მათი ერთი შვილი ჩემი ნათლულია და ძალიან გაიხარეს.

— **სულ რამდენი ნათლული გყავთ?**

— 12. მე და გიგის ჩვენი მეგობრის ტყუპი გვყავს მონათლული და რომელი რომლის ნათლულია, დღემდე ვერ ვარჩევთ.

— **როგორია თქვენი დამოკიდე-**

**ბულება ქართული სუფრის მიმართ?**

— ქართული სუფრა და ტრადიციები ძალიან მიყვარს. ყოველთვის ინტერესით ვუსმენ კარგ თამადას. გეტყვით, რომ ეს პატივი მეც ხშირად მრგებია წილად. მერიაში, ტრადიციად არის დამკვიდრებული — როდესაც უცხოელი სტუმრები ჩამოდიან, უკვე ორი წელია, ოფიციალურ ვახშამზე მე ვთამადობ. შარშან ზაარბრიუკენში ვიყავით ვიზიტით. ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, როგორც კი დამინახა, ყვირილი მორთო — „თამადა! თამადა!“. გერმანელები უმეტესად, დალევაზე უარს ამბობენ. ჩვენთან ასეთი წესია-მეთქი, — ვეუბნები და ჭიქებს ბოლომდე ვაცლევინებ.

— **უცხოელებისთვის რამდენად იოლად აღსაქმელია ქართული სადღეგრძელოები?**

— განსაკუთრებით კარგად გერმანელები გვიგებენ. ბევრი ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად მოვხვედრილვარ სუფრაზე, მაგრამ მათ შორის, განსაკუთრებულად ჩინელებთან ქეიფი დამამახსოვრდა, მათ უზარმაზარ დელეგაციას ერთ-ერთ ქართულ რესტორანში ვუმასპინძლეთ. სუფრაზე თამადის ფუნქცია რა არის, ამას ბოლომდე ვერ ხვდებიან. როცა თვითონ უჩნდებათ დალევის სურვილი, წამოდგებიან და სადღეგრძელოს ამბობენ.

— **რას ამბობენ — ღმერთო, გვამრავლეო?..**

— რას ამბობენ, ვერ გეტყვით, მაგრამ ყველა ჭიქას ბოლომდე ცლიან. იმ დღეს განსაკუთრებით, წითელი ღვინო მოეწონათ. ვახშმის შემდეგ, რესტორნიდან გასვლისას გავაცილეთ. დელეგაციის ხელმძღვანელი ყველას ხელს გვართმევდა და გვემშვიდობებოდა. იქვე ფოიეში იდგა მეეზოვის ქანდაკება, რომელიც მთვრალმა ჩინელმა ცოცხალი ადამიანისგან ვერ გაარჩია და მასთანაც ხელის ჩამოსართმევად მივიდა; ცოტა ხნით შეყოვნდა, კარგად დააკვირდა, მერე ეტყობა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე და უკან გამობრუნდა.

— **როგორი უნდა იყოს კარგი თამადა?**

— პირველ რიგში, სიტუაციას უნდა ერგებოდეს. სადღეგრძელოში სათქმელი მხატვრულად ისე უნდა ჩააქსოვოს, რომ მოსასმენად იყოს სასიამოვნო. კარგ თამადას სადღეგრძელოს ლაკონიურად თქმა უნდა შეეძლოს. მაგრამ მე მქონდა შემთხვევა, როცა ერთი სადღეგრძელოს თქმას 1 საათი და 20 წუთი მოვანდომე და ამ ხნის განმავლობაში სრული სიჩუმე იყო.

— **ასეთს რას ლაპარაკობდით?**

— საბერძნეთში წასვლამდე, რუსთავის ეკლესიაში ვმუშაობდი. იქაურებმა პატივისცემის ნიშნად, გაცილების სუფრა მომიწყვეს. ამ სადღეგრძელოთი მე მათ გამოვემშვიდობე, სუფრის თითოეული წევრისთვის (სულ 30 კაცი იყო) რაღაც მქონდა სათქმელი და სიტყვაც გამიგრძელდა.

— **ერთ თემასაც მინდა შევეხოთ: რას გრძნობთ მაშინ, როცა გაკრიტიკებენ?**

— კრიტიკის მოსმენა სასიამოვნო ნამდვილად არ არის, მაგრამ რომ გითხრათ, შინაგანად „ვინგრევი“-მეთქი, ტყუილი იქნება. თუ სიმართლის მარცვალი დავიჭირე, აუცილებლად ვითვალისწინებ. ■



# კეთილი რეპერი გოგონა, მომავალი მეუღლის მშობლებსაც დახმარებას ჰპირდება

„მთავარია, მამაკაცი განათლებული, ზრდილობიანი და ერთგული იყოს“

**ჩვენი დღევანდელი „საპატარძლო“, რეპერი ბაბე ყველა იმ თვისებითაა შემკული, რომელიც ნამდვილ მანდილოსანს შეეფერება: უყვარს სამზარეულოში ტრიალი, სისუფთავე და წესრიგი. არ მოსწონს, მოღალატე და „ვითომ მაგარი“ ტიპები... ბაბე იბრძვის წარმატებისა და ხალხის სიყვარულის მოსაპოვებლად.**

სოფო ჭონიშვილი



— ქართული ტრადიციების მიმდევარი ოჯახის შვილი ვარ. მყავს დედა, რომელიც ეროვნებით რუსია და მამა. დედისერთა გახლავართ. ძალიან მიყვარს ცხოველები და ამიტომ, სახლში ძაღლიც მყავს და კატაც. კერძო სახლში რომ ვცხოვრობდე, ყველა უპატრონო ძაღლს შევიფარებდი და ვუპატრონებდი. საერთოდ, კატა უფრო მიყვარს, ვიდრე ძაღლი.

— **ე.ი. თამამად შეგიძლია თქვა, რომ კეთილი ადამიანი ხარ?**

— თავს ბოროტ ადამიანად ნამდვილად არ მივიჩნევ. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად ყველას დავეხმარო.

— **საყვარელი ადამიანის მიმართ გვერდში დგომას როგორ გამოხატავ?**

— პირველ რიგში, ყურადღებით, პატივისცემით, რჩევებით... ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათ დარდი შევუმსუბუქო, პრობლემის მოგვარებაში დავეხმარო.

— **რეპი შენთვის ჰობია თუ პროფესია?**

— ორივე ერთად. ჰიპ-ჰოპის გარდა, სხვა პროფესია არ მაქვს. ზოგისთვის რეპი მხოლოდ ჰობია და სხვა არაფერი. ჩემთვის კი, პირდაპირაა დაკავშირებული მომავალთან — მინდა, ამ საქმეში წარმატებას მივაღწიო. სანამ მუსიკის ამ სტილით დავინტერესდებოდი, მანამ რამდენიმე სამოდელო სააგენტოსთან ხელშეკრულება მქონდა დადებული, პოდიუმზე გავდიოდი და ინტენსიურად ვვარჯიშობდი კიდეც, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ მოდელობა არ იყო ის, რაც მე მომწონდა, რისკენაც მივისწრაფოდი. ბავშვობიდანვე დიდი სურვილი მქონდა, რეპის სტილში მემღერა.

— **მშობლებს თუ მოსწონთ შენი პროფესიული არჩევანი?**

— მათ მოსწონთ ის, რასაც ვაკეთებ, ყოველ შემთხვევაში, ამის გამო არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. პირიქით, მათი მხრიდან თანადგომას ვგრძნობ.

— **ე.ი. გაგიმართლა და ის, რაზეც ოცნებობდი, აისრულე. ბედისწერის გჯერა?**

— კი, რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ დასახულ მიზანს მივაღწიე და მჯერა, ეს ყველაფერი ბედისწერის წყალობით მოხდა.

— **შეგიძლია მითხრა, როგორი ადამიანი ხარ?**

— საკუთარ თავზე ლაპარაკი ყოველთვის მიჭირს, ამიტომ, როცა მეკითხებიან — როგორი ადამიანი ხარო? — ვწითლდები.

— **რატომ? მორცხვი ხარ?**

— ძალიან მორცხვი და მორიდებული, მაგრამ ამავდროულად, დიდი ნებისყოფის მქონე და მიზანდასახული გახლავართ. რა საქმესაც არ უნდა შევეჭიდო, ვცდილობ, ყოველთვის ბოლომდე მივიყვანო... ზარმაცი და ორგული არ ვარ. ნებისმიერ ჩემს მეგობარს რომ ჰკითხო — ბაბე როგორი ადამიანიაო? — დარწმუნებულ ვარ, ცუდს არც ერთი მათგანი არ გეტყვით.

— **მშობლები შვილებს ხშირად, რაღაც საკითხებში ვერ უგებენ. შენს მშობლებს თუ აქვთ შენ მიმართ რაიმე პრეტენზია?**

— ბავშვობაში ძალიან პრეტენზიული ვყოფილვარ, ამიტომ მშობლები ხშირად მიბრაზდებოდნენ. ახლა მათ ჩემ მიმართ არანაირი პრეტენზია არ აქვთ, ერთმანეთს კარგად ვუგებთ. თუმცა, ამისთვის ხან მე მიწევს რაღაცის დათმობა, ხანაც — ისინი მითმობენ.

— **კონფლიქტური სიტუაციისთვის თავის არიდება თუ გეხერხება?**

— კი, კონფლიქტური ნამდვილად არ ვარ. ყოველთვის ვცდილობ, უთანხმოებას თავი ავარიდო. თავშეკავებას და საკუთარი თავის კონტროლს ნებისმიერ სიტუაციაში

ვახერხებ, ბოროტებისა და შუღლის გამოვლენის დროს ადამიანს ასევე არასოდეს ვპასუხობ. ადამიანს, რომელიც ჩემთან ურთიერთობისას „ჩაიჭრება“, ჩემი ქცევით მივანიშნებ, რომ ცუდად მოიქცა და მივახვედრებ, რომ ბოდიში უნდა მოიხადოს.

— **ამბობ, რომ უპრეტენზიო და უკონფლიქტო ადამიანი ხარ. მაგრამ მაინც, გაბრაზებას როგორ გამოხატავ ხოლმე?**

— ხშირად საკუთარ თავს ვუბრაზდები, რადგან არასოდეს ვარ კმაყოფილი იმით, რასაც ვაკეთებ. მიმაჩნია, რომ ბევრი უნდა ვიმუშაო, რათა ჩემს საქმეში წარმატებას მივაღწიო. ფარ-ხმლის დაყრა არ მჩვევია... გაღიზიანება, ნერვიულობა და სხვა მსგავსი გამოვლინებები ჩემთვის უცხოა.

— **რაზე შეიძლება იტირო?**

— საერთოდ, ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ. ვტირი მაშინ, როცა ჩემ ირგვლივ მყოფ ადამიანებს რაიმე ცუდი შეემთხვევათ, მაგრამ ცრემლებს არასოდეს და არავის ვაჩვენებ. ხშირად ვტირი მაშინ, როცა მარტო ვარ... ერთადერთი, რაც გულს მატკენს, საყვარელი ადამიანის ღალატი იქნება და მაშინ, იცოცხლე, ცრემლების ტბას დავაყენებ...

— **როგორც შენი საუბრიდან ჩანს, ცუდი თვისებები არ გაქვს. მავნე ჩვევებზე რას იტყვი?**

— მგონია, არც მავნე ჩვევა მაქვს — სიგარეტს არ ვეწევი, ფრჩხილებს არ ვიჭამ (*იცინის*)... ალკოჰოლურ სასმელებს კი მხოლოდ დღესასწაულებზე მივირთმევ.

— **მოდი, ახლა ის მითხარი, როგორი დიასახლისი ხარ?**

— მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი, მეოჯახე გოგო ვარ. თავს ტყუილად არ ვიქებ, სიმართლეს გეუბნები. სამზარეულოში ტრიალი და კერძების მომზადება ძალიან მომწონს. მიმაჩნია, რომ მოწესრიგებული ადამიანი ვარ. მიყვარს, როცა სახლში ყველაფერი წესრიგშია. დილით, როგორც კი ვდგები, პირველ რიგში, საძინებელ ოთახს ვალაგებ, მერე სააბაზანოში შევდივარ, შემდეგ კი, მთელ სახლს ვაწესრიგებ. თუ მთელი დღე შინ ვარ, შეიძლება, თითოეული ოთახი დღეში რამდენჯერმე დავალაგო. ჩემი სუსტი წერტილი — სისუფთავეა.

— **ყველანაირი კერძის მომზადება იცი?**

— თავის ქებაში ნუ ჩამითვლი, მაგრამ ეს მართლაც ასეა და ნებისმიერი კერძი ძალიან გემრიელი გამომდის. ამ მხრივ, დიდი ფანტაზიის უნარი მაქვს. მიყვარს, როცა რაღაცებს ვიგონებ, ბევრი ჩემეული ბოსტნეულის სალათის რეცეპტი მაქვს. განსაკუთრებით გემრიელი (როგორც ჩემი ახლობლები ამბობენ) ბორში გამომდის.

— **მეგრელი ხარ და ალბათ, ღომის მომზადებაც იცი...**

— როგორ არა, ღომის მომზადება ძალზე იოლია, აი, ელარჯის გაკეთება კი, ცოტა ძნელია.

— **ადრე, ბიჭების მშობლები სარძლოდ ისეთ გოგონებს ეძებდნენ, ვინც ხელსაქმე — ქსოვა, კერვა, ქარგვა იცოდნენ. მსგავსი რაღაცები თუ გეხერხება?**

— კარგად ვკერავ. საკუთარი თავისთვის ბევრი რამ შემიკერავს. მიყვარს, როცა განსხვავებული და ორიგინალური ტანსაცმელი მაცვია.

— **საერთოდ, როგორ სტილში იცვამ? ისე, როგორც რეპერ გოგოს შეეფერება?**

— ძირითადად, სპორტულ სტილში ვიცვამ, თან, ვცდილობ, რომ სხვებისგან გამოვირჩეოდე.

— **ჩაცმულობასთან დაკავშირებით, საყვარელი მამაკაცის აზრს თუ გაითვალისწინებ?**

— როგორ არა?! სხვათა შორის, აქამდეც გამითვალისწინებია და შემდეგშიც აუცილებლად გავითვალისწინებ.

— **ქსოვა არ იცი?**

— ბავშვობაში კარგად ვქსოვდი, მაგრამ მერე, დიდი პაუზა მქონდა, ამისთვის არ მეცალა და დამავიწყდა კიდეც. შემიძლია გავიხსენო, მაგრამ ჯერჯერობით, ამისთვის დრო არ მაქვს.



ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ

— **როგორც ვიცი, ფორტეპიანოზე უკრავ და კარგად ცეკვავ...**

— მუსიკალურ სკოლაში არ მივლია. ფორტეპიანოზე დაკვრა თვითონ ვისწავლე. რაც შეეხება ცეკვას, — ეს ჩემი ჰობია.

— **ახლა ის მითხარი — როგორი მამაკაცები მოგწონს?**

— გოგონების უმეტესობა ხშირად, მამაკაცის გარეგნობას ანიჭებს უპირატესობას. ჩემთვის კი, მთავარია, მამაკაცი განათლებული, ზრდილობიანი, ერთგული და მიზანდასახული იყოს. დღეს მამაკაცების უმეტესობამ თავადვე არ იცის, რა უნდა და საერთოდაც, ქალის ფასი დაივიწყეს. ასეთ ტიპებს ძველბიჭობა სურთ, მაგრამ არ გამოსდით; ჰგონიათ, თუ იუზრდელებენ და ვიღაცას შეურაცხყოფას მიაყენებენ, — „მაგარი ტიპები“ იქნებიან, იმას კი არ ფიქრობენ, რომ კარგი ბიჭები კულტურულები, ზრდილობიანები უნდა იყვნენ. მიმაჩნია, ეს მართლაც ის თვისებაა, რომლითაც ადამიანი ფასდება.

— **ოდესმე, ცალმხრივად გყვარებია?**

— კი, სკოლის პერიოდში (*იცინის*)... ხომ ხედავ, ახლა ამაზე მეცინება. ძალიან მომწონდა ერთი ბიჭი, მან კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. როგორც შემძლო, ისე ვეპრანჭებოდი. მაშინ, მე-8 კლასში ვიყავი.

— **არ გითქვამს, რომ მოგწონდა?**

— არა, არა, ამას როგორ ვეტყოდი?! პირიქით — ამ ამბავს საგულდაგულოდ ვუმალავდი.

— **როცა მამაკაცი მოგწონს, მისი ყურადღების მისაქცევად რას აკეთებ?**

— ზედმეტ პრანჭვა-გრეხას არ ვიწყებ, ვიქცევი ისე, როგორც სხვა დროს. ვცდილობ, ის ადამიანი, არა ჩემი გარეგნული მონაცემებით, არამედ შინაგანი სამყაროთი დაინტერესდეს. ჰო, იცი, ამ დროს ძალიან მორიდებული, ფრთხილი ვხდები. ისე ვიქცევი, როგორც მას მოეწონება. ყოველ ჩემს გაღიმებას თუ გამოხედვას ყურადღებას ვაქცევ. მოკლედ საკუთარ თავს ზედმეტად ვაკონტროლებ.

— **ქართულ ტრადიციებზე რა მოსაზრების ხარ?**

— ქართული ტრადიციები მომწონს და მათ დაცვას ვცდილობ კიდეც. თუკი ვინმე შემიყვარდება, პირველ რიგში, მას აუცილებლად მშობლებს გავაცნობ და ქართული ტრადიციული წესების დაცვით გავთხოვდები. დიდი, 300-კაციანი ქორწილები არ მომწონს. მინდა, პატარა, ლამაზი და გემრიელი ქორწილი მქონდეს, სადაც ჩემი და ჩემი მეუღლის უახლოესი ადამიანები იქნებიან.

— **შენი მომავალი საქმროს მატერიალური მდგომარეობით თუ დაინტერესდები?**

— სიმდიდრეს და ქონებას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. გოგოებისგან ხშირად მსმენია, რომ მათთვის მთავარი, მამაკაცის მატერიალური მდგომარეობაა და მიმაჩნია, ისინი მწარედ ცდებიან... თუ ადამიანი გიყვარს, ერთობლივი ძალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება. ხომ გაგიგონია — ძალა ერთობაშიაო.

— **ამჟამად, შენი გული თავისუფალია?**

— მოდი, ამ კითხვაზე არ გიპასუხებ...

— **როცა ოჯახი იქმნება, ახალდაქორწინებულები უპირატესობას განცალკევებით ცხოვრებას ანიჭებენ...**

— მათ მეც ვეთანხმები, ახალდაქორწინებულები ცალკე უნდა ცხოვრობდნენ. ცოლქმრის ურთიერთობაში ჩარევის უფლება არავის აქვს. თუკი ჩემს მეუღლეს იმის საშუალება ექნება, რომ მისი მშობლებისგან დამოუკიდებლად ვიცხოვროთ, კარგი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მშობლებთან ერთად ვიცხოვრებ და ყველანაირად შევეცდები, რომ მათ ყველაფერში დავეხმარო.

— **გამოდის, სასურველი საპატარძლო ყოფილხარ...**

— (*იცინის*) რა ვიცი, ეს სხვებმა განსაჯონ.

— **შენს სახელზე მოსული „ესემესებს“ თუ გაეცნობი?**

— აუცილებლად. ძალიან მაინტერესებს, რას მომწერენ.

P.S. *მაშ, ასე, ბაბე თქვენს მესიჯებსა და კითხვებს ელოდება. გამოგზავნეთ მესიჯები ნომერზე: 8.98.23.09.21. თქვენს კითხვებს უკლებლივ გადავცემ და პასუხებსაც „გზის“ ფურცლებზე იხილავთ.*

■



# დედაშვილობა

## „გზა“ დედას მართმევს“ და შერცხვენილი ულვაში ანუ „რომ მომიტაცოს, რა ვქნა?“

**როდესაც თემად „დედაშვილობა“ ავირჩიე, ვფიქრობდი, რომ დედებისგან უფრო მეტი მესიჯი მოვიდოდა, მაგრამ ამჯერად ინტუიციამ მიმტყუნა და შვილებმა იაქტიურეს. ვიდრე უშუალოდ თქვენ მიერ გამოგზავნილ მესიჯებს გაგაცნობდეთ, მინდა, მკითხველს ვუთხრა, რომ წინა ნომერში ფორუმისთვის მოცემული შეკითხვა არ დამვიწყნია, უბრალოდ, მათი გამოქვეყნება შემდეგი ნომრისთვის გადავდე. რატომ? ეს ჩემი საიდუმლოა, რომელსაც სწორედ მომდევნო ნომერში აეხდება ფარდა... აღმოჩნდა, რომ „გზავნილებს“ სარგებლობის გარდა, ზარალიც მოაქვს და ამასთან დაკავშირებით მოსულ ერთ მესიჯს აქვე გაგაცნობთ: „ვიყიდე „გზა“ და შევუდექ „გზავნილების“ კითხვას. თან, ლობიო დავდგი მოსახარშად. ისე გავერთე, ლობიო დამავიწყდა და მთელ სახლსა თუ ეზოში დამწვრის სუნი დადგა. ზედა სართულის მეზობელმაც კი მომიკაკუნა, ხანძარი შენთან არისო? ვიუარე... რა ვქნა, მეზობელო, მეც შევრცხვი, მაგრამ ჩემი ბრალი არ არის“... ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიამაყით ავივსე, როდესაც შემდეგი მესიჯი მივიღე: „მალი, ლოგოლ ქალ? დედიკოს მოვპალე მობილი და მესიჯს გწერ. მე ოთიკო ვალ, დედიკო ძალიან მიკალს. იცი, ლა საკალელია? აუ, აქლა მოვიდა და მობილს წამალთმევს... მპა, დეეე“... აბა, რას იტყვით? პატარა ოთიკოც კი მიმესიჯებს და ეს არ არის სასწაული? და კიდევ, ერთი მესიჯი, რომელიც შესაძლოა, პირადია, მაგრამ მომინდა, რომ თქვენთვისაც გამემხილა: „მარი, იცი, რა ლამაზი შვილი მყავს? ულამაზესია. სადაც არ უნდა წავიყვანო, ყველგან ყურადღების ცენტრშია. ყველა ამბობს — რა ლამაზი გოგოაო, არადა, ბიჭია. შესაძლოა, არ დამიჯეროთ, მაგრამ მართლა ძალიან ლამაზია. მალე მის სურათსაც გამოგიგზავნით და დარწმუნდებით. ნაცნობები მეხვეწებიან, ბავშვს მოგინათლავთო, მაგრამ, მარი, მინდა, რომ შენ მონათლო, თუ რა თქმა უნდა, თანახმა იქნები. გკოცნი, შავტუხა“. აი, ასე... ლამაზი, საყვარელი და ბუნჩულა ნათლულიც მეყოლება, ზოგიერთი მკითხველი კი მეუბნება, თავს რატომ იტკივებ, დაანებე „გზავნილების“ წერას თავიო... ახლა კი თემას მივხედოთ, რომელიც ძირითადად, მოკლე მესიჯებისგან შედგება:**

*მარი ჯაფარიძე*

### სიკვდილზე გამარჯვება

„მე ექთანი ვარ. ამ რამდენიმე წლის წინ, ჩვენს განყოფილებაში ერთი პაციენტი იწვა. სწორედ მასზე მინდა, მოგიყვეთ. 65 წელს გადაცილებული ქალი კუჭიდან ფარული სისხლდენით მოიყვანეს. ამას გარდა, ასთმა, გულის პათოლოგია და ჰიპერტონიაც აწუხებდა. მას ერთადერთი შვილი, 30 წლის ვაჟი ჰყავდა, რომელიც გვერდიდან არ შორდებოდა. ერთ საღამოს პაციენტმა დაიჟინა: ამ საღამოს ვერ გადავრჩები, აუცილებლად მოვკვდებიო. მართლაც, ცოტა ხანში სისხლდენა დაეწყო, წნევა დაუვარდა, ამას ქოშინიც დაერთო. მოკლედ, მთელი განყოფილება წინ და უკან დავრბოდით და პალატის ექთანს ვეხმარებოდით. მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. დერეფანში გამოსულმა შევნიშნე, როგორ შევარდა ცარიელ პალატაში მისი შვილი. კარი შევაღე. სახეზე ხელები აეფარებინა და ხმამაღლა ქვითინებდა. უხმოდ გამოვბრუნდი, რადგან ნუგეშისცემა მეუხერხულა. ძალიან შემეცოდა. მე ავადმყოფთან დავბრუნდი. ქალი ძლივს სუნთქავდა. სისხლდენა ისევ გრძელდებოდა. ვკითხე: როგორ ხართ-მეთქი? მიპასუხა: ცუდად, მე ვკვდები და ჩემს ერთადერთ შვილს კი ასე უპატრონოდ ვტოვებ, მის ბედნიერებასაც ვერ მოვესწარიო. — ჩვენ ვერაფერს გავხდებით, თუ თქვენ არ მოინდომებთ. ჯერ ახალგაზრდა ხართ, ფარხმალს ნუ დაყრით, სიკვდილზე ნუ ლაპარაკობთ, უნდა იცოცხლოთ-მეთქი. თან, დავამატე: — თქვენი შვილი გვერდით პალატაში ზის და ხმამაღლა ტირის, ნუთუ, არ გეცოდებათ? გულს ნუ უხეთქავთ თქვენი სიტყვებით, შვილზე იფიქრეთ, არ გინდათ, რომ მის ბედნიერებას მოესწროთ-მეთქი?.. ის ქალი რომ გადარჩა, დედაშვილობის ძალა მაშინ ვირწმუნე. იმ ღამის შემდეგ, მან გამოკეთება დაიწყო და მალე გაეწერა კიდეც. შვილის გაბედნიერებასაც მოესწრო და რამდენიმე წელიც იცოცხლა. სწორედ დედაშვილობის მადლმა მისცა ძალა და იმ ძალამ სიკვდილზეც გაიმარჯვა. ფინტიკოზა“.

### ციგანი დედა

„ამას წინათ, ციგნებს ვუყურებდი. პატარა ბავშვის დედას ხურდა ფული ისეთ ადგილზე დაუცვივდა, სადაც ბევრი ფოთოლი იყო მოფენილი. თვითონ რომ ვერ მოძებნა, თავის პატარას დაუძახა და დაავალა: ფული იპოვეო, თვითონ კი სხვა ადამიანს გაეკიდა, სამათხოვროდ. ეს ბავშვი დაიტანჯა ძებნით, მაგრამ ვერ იპოვა. ორჯერ მიატოვა ძებნა, მაგრამ დედამ ორივეჯერ გემრიელად უთავაზა და უკან დააბრუნა. ნერვები თანდათან მეშლებოდა. ბოლოს ავდექი და ჯიბეში ჩარჩენილი უკანასკნელი ორლარიანი მივეცი. დედამისს გაუხარდა. ჯერ მე გამომხედა, მერე შვილს დაუძახა. მე მანქანაში ჩავჯექი და სალონში ჩავიმალე. თან, ჩუმად ვუთვალთვალებდი. დედამ რომ ველარ დამინახა, ადგა და შვილი ისევ დაკარგული ხურდის მოსაძებნად გაუშვა. მანქანიდან გადმოვედი და ფოთლებს ცეცხლი წავუკიდე. იმ ქალმა სულ ქურთულად მწყევლა. ახლა მითხარით, ხალხო, ასეთი დედა არის შვილის ღირსი?.. ქართული დედაშვილობა ყველაზე ძლიერია. „ჩორტიოზნაეტი“.

### დედის შეცდომა

„ეს ის თემაა, რომელმაც ბავშვობა ამიცრემლა და ჩემს ცხოვრებას წარუშლელი დაღი დაასვა. საქმე იმაშია, რომ დედაჩემმა სულ თოთო მიმაგდო. ჩემს თავს პირადი ცხოვრება და თავისუფლება არჩია. თუმცა, ვერც პირადი ცხოვრება აიწყო და საბოლოოდ, უზნეო ქალის სახელი დაიმკვიდრა. მე ბებიამ — მამის დედამ და მისმა ნათესავებმა გამზარდეს. მომცეს ყველაფერი: აღზრდა, განათლება და უდიდესი ადამიანური სითბო, მაგრამ მთელი ბავშვობა მაინც დედას



ვნატრობდი, მესიზმრებოდა, ვხატავდი და მასთან გატარებული თითოეული წამით ბედნიერი ვიყავი. სამწუხარო კი ის არის, რომ ურთიერთობის ინიციატივა ყოველთვის ჩემგან მოდიოდა. ახლა 36 წლის ვარ, 2 შვილი მყავს და მათ გარეშე სიცოცხლე 1 წუთითაც არ შემიძლია. დედაჩემი კი 53 წლისაა, მარტოსული და უფლისგან დასჯილი. ღმერთია მოწამე, რომ მისთვის გულისტკივილი არასოდეს მიგრძნობინებია და არც არაფერი მითხოვია. ახლა დიდი პირადი პრობლემა მაქვს და მას დახმარება, თანადგომა ვთხოვე, მაგრამ ცივი უარი მივიღე. ამ ფაქტმა ბოლო იმედი მომიკლა, მას კი შვილის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამოსწორების შანსი დაუკარგა. ნეფერტიტი?“.

## „დედის ერთი ჩახუტება ყველაფერს მირჩევნია“

„ვარ 16 წლის. მყავს წლინახევრის პატარა ანგელოზი. ჩემი ყოფილი მეუღლე ჩემზე 20 წლით უფროსია. როცა გავთხოვდი, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე, ყველაფერი აირია — მეუღლეს გავცილდი, ბავშვი კი მასთან დავტოვე, რადგან მისი რჩენის საშუალება არ მაქვს. ძალიან მიყვარს ჩემი პატარა. დედიკოს ძალიან უყვარხარ, ანგელოზო! ნინა“.

„1 კვირის წინ ოპერაცია გავიკეთე. დედა საზღვარგარეთ მყავს და არ ვეუბნებით, რომ არ ინერვიულოს. მე რომ საოპერაციოში შემიყვანეს, თურმე, დედა ცუდად გამხდარა. ალბათ, გულმა უგრძნო, რომ რაღაც მჭირდა.“.

„მე და ჩემი დედიკო ისე ვგავართ ერთმანეთს, რომ ყველას დები ვგონივართ. თან, ჩაცმის სტილიც, ვარცხნილობაც, გემოვნებაც და ხასიათიც ერთნაირი გვაქვს. ნეკატო“.

„აუ, პირსინგი გავიკეთე წარბზე და სახლში რომ დავბრუნდი, დედაჩემს გული წაუვიდა, „კაპლით“ აბრუნებდნენ. ამბობდა: ვაიმე, ეს რა შვილი მყავს, სულ გადაირია, ღმერთო, რა მეშველებაო... საწყალი, ჩემი დედიკო, ჩემნაირი შვილის ხელში რა ეშველება?“

„მგზავნელებო, თქვენი გვერდში ამოდგომა მჭირდება. რატომ მჩაგრავს მარი, არ ვიცი. სულ მცირე, 11 მესიჯი გამოვგზავნე და არ დამიბეჭდა. მარი, იცი, რომ „გზაში“ 1 ევროს, 1 მესიჯში კი, 29 ევროლეპტას ანუ 70 თეთრს ვიხდი? ე.ი. თქვენ მიმართ სიყვარულის გამოვლინება კვირაში დაახლოებით 17 ლარი მიჯდება. უყურე ამას შენ! ნწუ, ნწუ, აბააა! ანარქია“.

„არ ვიცი, დედაჩემი როგორია, რადგან პატარა რომ ვიყავი, დედა და მამა ერთმანეთს გაშორდნენ. დედას არც ვუნახავვარ, მითხრეს — დაიღუპაო, მაგრამ არ მჯერა და ოდესმე აუცილებლად ვიპოვი... ახლა კი მეორე დედა მყავს და ძალიან მიყვარს, მაგრამ მაინც, მშობელი დედა მენატრება. გარიჟრაჟა“.

„15 წლის წინ ძალიან ლამაზი და სიყვარულით სავსე ოჯახი გვქონდა. მამას დედა ძალიან უყვარდა და საერთოდ, ჩვენზე გიჟდებოდა. 5 წლის ვიყავი, როცა მამა სახლიდან წავიდა და მას შემდეგ, აღარ მინახავს. დედა ყველაფერს აკეთებდა, რომ არაფერი მოგვკლებოდა. ვცდილობ, კარგი შვილი ვიყო. ნათია“.

„ძალიან მიყვარს დედაჩემი, მაგრამ მალე, შესაძლოა, ისეთი რამ მოხდეს, რაც მას შოკში ჩააგდებს. დედა, გიომ თუ მომიტაცა, რა ვქნააა?“

„რამდენიმე დღის წინ სურათებს ვბეჭდავდი. რიგში ვიდექი. უცებ, პატარა ბავშვი შარვალზე მომეპოტინა. ეს რომ დედამისმა დაინახა, გაუქანა ხელი და სახეში გაარტყა. თან, ბოდიში მომიხადა: აპატიე, დებილია ეს არგასაზრდელიო. ვუპასუხე: ქალბატონო, თქვენნაირი დედის ხელში, კიდევ კარგად არის-მეთქი. ლეო-91“.

„მე პატარა მყავს. ბავშვს „კურდღლის ტუჩი“ ჰქონდა და უამრავი ოპერაცია გადავიტანეთ, მაგრამ „გზავნილებს“ რომ ვკითხულობდი, ძალიან ვმშვიდდებოდი. ტანჯული დედა“.

„ათენში ვარ და სხვის დედას თან ვყვები, ჩემს მოხუც დედას კი ჩემი სითბო აკლია. დედიკო, მიყვარხარ და მენატრები. როდის ჩაგეხუტები?“

„დედაშვილობა არ გამაგონოთ! დილით, სანამ სკოლაში წავალ, დგას დედაჩემი და იმ საქმეების სიას მითვლის, რომელიც სკოლიდან დაბრუნების შემდეგ უნდა გავაკეთო. არადა, ყოველდღე ამხელა სახლის დალაგება არ გინდა? აღარ შემიძლია. კმარა, დედი, კმარაააააა... ქეთუშა“.

„მარი, როგორ ხარ? ძალიან გამიხარდა, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. მაგარი ჯიგარი ხარ. გთხოვ, გაგვიმხილე, რა მოდელის ტელეფონი გაქვს ასეთი, ამდენ მესიჯს რომ იტევს? კიდევ, ის მაინტერესებს, შეყვარებული თუ გყავს? ეკლესიურად ცხოვრობ? ზორო“.

„იცით, რა საყვარელი დედიკო მყავს? ჩემი დაქალია. ყველა ჩემი საიდუმლო იცის და მაგარ რჩევებსაც მაძლევს“.

„მარი, მაგარი უიღბლო ვარ და ალბათ, სწორედ ამის გამო არ დამიბეჭდე მესიჯი. კიდევ, დედასთან ურთიერთობაშიც არ მიმართლებს. სულ შენიშვნებს მაძლევს და მეუბნება: მე თუ არ გითხარი, სხვა ვინ გეტყვისო? ნეტავ, მართლა ასეთი ცუდი ვარ? უბედური“.

„ძალიან ვიტანჯები იმის გამო, რომ მე და დედა ერთ ქალაქში ვცხოვრობთ და ერთად არ ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ყოველდღე ვნახულობთ, ეს არ მყოფნის. მინდა, დედის სითბო ვიგრძნო, მაგრამ ამას მოკლებული ვარ. ყოველღამე ვტირი. არ ვიცი, ამას რამდენ ხანს გავუძლებ. სევდია“.

„აუ, მაგარი დედა მყავს, დაცემა და ფორთხვა. დედი, ბოლომდე ასეთი დედაშვილობა გვქონდეს, რაა... კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„დედამ ჩემი და ჩემი დის გამო ყველაფერი გააკეთა. ახლა აბიტურიენტი ვარ და ყველანაირ პირობას მიქმნის, რომ სტუდენტი გავხდე. მე კი ვზივარ და თქვენ გიმესიჯებთ. თუ გაიგო, დედაშვილური სიყვარული ნამდვილად დაავიწყდება და გვერდებში მომხვდება „პატალა“ ცოცხი. პატარა ჟურნალისტკა“.

„ჩემი შვილი პატიმარია. ძალიან კეთილია და უბოროტო. გაუგებრობის გამო უკვე 2 წელია, ციხეშია. უზომოდ მენატრება. დედაც დავკარგე, მამაც და მეუღლეც, მაგრამ ასეთი ტკივილი, როგორიც ჩემი შვილის დაჭერისას განვიცადე, არასოდეს მიგრძნია. თქვენი ჟურნალის ერთგული მკითხველი, გულმოკლული დედა“.

„ადრე, როცა დედა ჩემთან იყო, ხშირად ვტკენდი გულს. ვერც კი ვხვდებოდი, როგორ მიყვარდა. ახლა წასულია... დავრჩი 16 წლის გოგო ცხოვრებასთან მარტო და თუ ვუძლებ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედა გავახარო. დედა საოცრებაა. მისი ერთი ჩახუტება ყველაფერს მირჩევნია“.

„ეჰ, მარი, რა დაგიშავე, რომ არ მიბეჭდავ მესიჯებს? ჩემი ნომერი არ მოგწონს თუ მე არ „გევასები“? ეჰ, არა უშავს, მე მაინც „გზის“ პატარა მკითხველად დავრჩები და შენც მეყვარები. დედა, მიყვარხააარ! კაკუ“.

„უკარგესი ხარ, მარი. არ გეპირფერები, მართალს გეუბნები. მოდი, ერთ დღეს ყველა მგზავნელი შეგვკრიბე. დამპირდი, რომ ამაზე იფიქრებ. გკოცნი. მარის ნათლული“.

„მეორე კლასში ვიყავი, როცა ჩემი დის 17 წლის დაქალს ცოლობა ვთხოვე, ხოლო ნათლიაჩემს — დედობა. მარი, რა მაგის პასუხია, მაგრამ მიშველე, რა, ჩემი ძმაკაცი სკოლიდან გარიცხეს. ისიც ჯაფარიძეა“.

„მარი, მართლა ძალიან გამახარე, მესიჯზენიკი რომ მიმიწერე. მაგრები ხართ. თქვენი თაფლაკვერა“.

„მარი, „ნინო-მილანი“ იცი, სად გადავიდა? „ბარში“, სადაც „ტოკიო ჰოტელის“ ფანების მეტი არავინ ამესიჯებს და ყველა ერთმანეთს ლანძღავს. „გზაში“ კი სხვა პონტია. „გზა“ უმაგრესია“.

„მე მაგრად ვარ და ამის მიზეზი დედაჩემია. ჯერ ერთი, თითქმის დაქალები ვართ, ყველაფერში მენდობა და ვენდობი. მეორეც, მარი, რაც შენთვის მესიჯები გამომიგზავნია, ყველა მისი ტელეფონიდან არის გამოგზავნილი. აი, ამას ჰქვია დედააა... პატარა მავნე“.

„იცით, ჩემს ყოფილ შეყვარებულს დედა როგორ უყვარს? 26 წლისაა და კიდევ მის

კალთასაა მიკერებული. ტატუსია“.

„გამაცანით, რა, გოჩა დიასამიძე. ძალიან მინდა, 2 შვილი მყავდეს, ერთი ცისფერთვალება, მეორე კი — მწვანეთვალება. ეგ თუ მიშველის, თორემ, მე ნახშირივით შავი თვალები მაქვს. ნია-ნია“.

„ერთხელ გავგზავნე მესიჯი მარის ნომერზე. აღმოჩნდა, რომ თურმე, სხვა ნომერზე გამიგზავნია. ტელეფონმა დამიწერა: „ნედოსტავლენოო“. შევასწორე ნომერი და ისევ გავგზავნე. დამიწერა — „დოსტავლენოო“, მაგრამ რად გინდა? მაინც არ დამიბეჭდა და... მარი, კარგი, რააა... რატომ ამომიჩემე?“

„ჩემი გული ძალიან თრთის, როცა ჩემს მესიჯს „გზავნილებში“ ვკითხულობ. 15 წლის ვიყავი, როდესაც შემთხვევით ვიპოვე საბუთი ჩემი გაშვილების შესახებ. მაგრად განვიცადე, მაგრამ ჩემი გამზრდელი მშობლები ისე მიყვარს, რომ ახლა აღარ ვნერვიულობ. უბრალოდ, გული მწყდება, ასეთი საყვარელი გოგო როგორ მიმატოვეს. დღეს ხომ ახლობლები ჩემით ამაყობენ... ნამდვილი დედის მიმართ მხოლოდ სიძულვილს ვგრძნობ. დელ-მარი“.

„მე და დედაჩემს საკამათო თემა არ გველევა. თანაც, სვანია და რომ გაუბერავს, მერე უკვე შინიდან გავრბივარ ხოლმე. თან, დედისერთა ვარ და მაინც ვჭამთ ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, დედაჩემი მთელ მსოფლიოს მირჩევნია. ვიცი, ჩემთვის კარგი უნდა და იმიტომ „უბერავს“, მაგრამ მისი მაინც არ მესმის. ჭინკა“.

„...და არა სასწაულით და არა ღმერთით,/ ჩემი სიცოცხლე იწყება დედით. ეს სიტყვები ჩემი თანაკლასელის თემაში ამოვიკითხე და ძალიან მომეწონა. იმის მერე ვერ ვივიწყებ“.

„2 შვილი მყავს, რომლებიც მარტომ გავზარდე. უფროსი უკვე კაცივით მიდგას მხარში და როცა ჩემს ანგელოზებს ვუყურებ, უბედნიერესი ქალი ვარ“.

„დღეს ჩემი მეგობარი ჩამოდის ესპანეთიდან. აეროპორტში უნდა დავხვდეთ. მერე ალბათ, მაგრად გავაჯაზებთ. ჰოდა, ალბათ ჟურნალ „გზას“ ვერ ვიყიდი. ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. კაი, გავიქეცი. აუ, რა ჩავიცვააა? გაკოცეთ, პაჩი, პაჩი... მაგარია გასათხოვრობა! გათხოვილო ქალებო, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას. კეტრინ ზეტა ჯონსი“.

„გზა“ რომ ერთგულ მკითხველებს ასაჩუქრებს, იცით? დღეს რომ ჟურნალი ვიყიდე, 3 გარეკანი ჰქონდა. ვის დააკლეს, ნეტავ? მითხრან და დავუბრუნებ. დედაშვილურ სიყვარულზე კი, ჩემზე მეტი არავის ექნება მოსაყოლი. მე ხომ 2 დედა მყავს, რომლებიც ჩემს სიყვარულში ერთმანეთს ეცილებიან. მართალია, ორივე დედა თბილად მექცევა, მაგრამ გამზრდელი დედისგან რაღაც სხვანაირ სითბოს ვგრძნობ. მის გაბრაზებაში გაცილებით მეტი სიყვარულია, ვიდრე მშობელი დედის ალერსში. დე, სიცოცხლეზე და სამყაროზე მეტად მიყვარხარ. კანიბალკა“.

„მარი, ვერ წარმოიდგენ, როგორ გამახარე, მესიჯი რომ დამიბეჭდე. გალურჯებამდე გკოცნი... დედას კი მინდა ვუთხრა, რომ ნუ მიბრაზდება, როცა ვზარმაცობ ხოლმე. მისი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ჯოტია“.

„ვაშააა! მარიმ ჩემი მესიჯი დაბეჭდააა! მართლა რა მაგარი შეგრძნება ყოფილა, სიხარულისგან მიკროინფარქტი მივიღე. ქოქი-ქალი“.

„მამა არ მყავს. 1 წლის ვიყავი, რომ მომიკლეს. 8 წლის გახლდით, დედა იტალიაში რომ წავიდა. ახლაც იქ არის, მაგრამ ხანდახან ჩამოდის ხოლმე. ძალიან მენატრება, თუმცა მის მაგივრად გულს ბებია მითბობს, დედასავით მექცევა. 2 დედა მყავს და ძალიან მიხარია. ზარმაცი“.

„დედა მინდაააააა... უკვე 6 თვეა, ჩემი დედიკო არ მინახავს. ისე მომენატრააა... დე, წამიყვანე, რა, შენთან. თეა“.

„მარი, მგონი მივხვდი, რა სიურპრიზიც უნდა გაგვიკეთო. „გზავნილებს“ ცალკე ჟურნალად აკინძავთ, გაზრდილი მოცულობით და „გზის“ დანართის სახე ექნება, ხომ? გამოვიცანი? აუ, რა მაგარი იქნება! იცი, საიდან მივხვდი? ყდაზე 10-ქიმიან ვარსკვლავში რომ წერია — ჟურნალი ჟურნალშიო, აი, ამით. ნეტავ, გამოვიცანი? თუ ვოცნებობ? ქოქი-ქალი“.

„დედა ცხოვრებაში ყველაზე მთავარია, ჩემი დედიკო ძალიან მიყვარს, მაგრამ მასთან ერთად მამაზეც ვგიჟდები. მარიკუნა, დამიბეჭდე, რა, ეს ჟურნალი ციხეში შევა და ჩემი მამიკოც წაიკითხავს“.

„მე ისეთი დედა მყავს, რომ ინატრო, ასეთს ვერსად ნახავ. მედიკო ჰქვია. არც საჭმლის მომზადება იცის, არც სახლის დალაგება, არც რეცხვა და არც უთოობა. სამაგიეროდ, იცის პრანჭვა, გრეხა, „ზმანვა“... აი, ახლაც „ტრენაჟორებზეა“ ქალბატონი მედეა. ჰოოდა, აქედან მივმართავ მას: დეეე, აზრზე მოდი, თორემ... კლიიიმააადიიინოოოოლიიიიი... ნანუშკები“.

„ჩემი დედიკო აქტიურად ერევა ჩემს პირად ცხოვრებაში. მგონი, იმდენს იზამს, რომ გაუთხოვარს დამტოვებს. დე, შემეშვი, რააა... ტატუსია“.

„დედაჩემი ჩემზე სულ 16 წლით არის უფროსი. ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და მაგარი მეგობრები ვიყავით. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემს ეს მაგარი მეგობარი ხელიდან გამოეცალა: გავთხოვდი! ის 34 წლის იყო, ბებე რომ გახდა — ასე დავარქვით, რადგან ბებია არ დარქმეოდა. ბებეს დღეს 4 შვილიშვილი ჰყავს და უფროსი 15 წლის არის. კლასიკური ქალი“.

„დღეს ჩამოვედი „ზბორიდან“. დედაჩემმა რომ დამინახა, ტირილი დაიწყო. ვიცი, ამას წაიკითხავს. ამიტომ, ვეტყვი: დე, მეც მენატრები ხოლმე, როცა სადმე ვარ წასული... მანაველი“.

„დედაჩემს ჩემზე მეტად „გზავნილები“ უყვარს. წელან არ წავაკითხე და სულ დამალურჯა. მიშველეთ, ხალხო, „გზა“ დედას მართმევს. ყანჩა“.

„ჩემი დედიკო ციურ სასუფეველშია. ანგელოზად მევლინება ხოლმე, როცა მჭირდება. აუ, იცით, რა ცუდია, როცა ყოველ საღამოს დედის სურათს თვალცრემლიანი ვესაუბრები? მ-მ“.

„დედაჩემი ჩემ გარეშე 1 წუთითაც ვერ ძლებდა. თბილისში რომ ვსწავლობდი, დღეში ხუთჯერ მირეკავდა და ჩემს ამბებს კითხულობდა. 2 წლის წინ გავთხოვდი. ჩემი შვილი 1 წლის ხდება და ჩემმა ნურიკომ დედა წამართვა. ახლა დედას ჩემს შვილზე ამოსდის მზე და მთვარე. ერთგული მკითხველი, წყალტუბოდან“.

„მე ერთი უბრალო, თბილისელი გოგონა ვარ, რომელსაც უთქვენოდ არ შეუძლია. დღეს კი უბრალოდ, მოწერა გადავწყვიტე. უბრალო დედა მყავს, უბრალო შვილი ვარ, მაგრამ განსაკუთრებული დედაშვილობა გვაქვს“.

„ჩემი დაქალის ზაზუნამ იმშობიარა, მაგრამ ყველა პაწაწინა სიცოცხლეს გამოასალმა და გემრიელად ისადილა შვილებით. ესაა დედაშვილობა? შეგირცხვეს ულვაში, ზაზუნა!“

„დედი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ იმას რა დამავიწყებს, გამრავლების ტაბულა ერთ დღეში რომ მასწავლე, ტირილ-ტირილით. დედას გიჟი“.

„დედაჩემს შემოევლოს ჩემი თავი. მე რომ მიძლებს, ამის გამო ძეგლის დადგმა ეკუთვნის. ბაო, მიყვარხარ“.

„აუ, მაგარი „პრიკოლი“ დედა მყავს, მაგარი „ტიპშაა“, ნამდვილი ბებერი თინეიჯერია. ზუზკა“.

„ჩემი დედიკო სასტიკი წინააღმდეგი იყო, ცოლად გავყოლოდი იმ ადამიანს, ვისი ცოლიც დღეს ვარ, მაგრამ ახლა, მგონი, ჩემი სიცოცხლე ჩემზე მეტად უყვარს“.

„დედიკო ისე მიყვარს, რომ ხელისგულზე ერბოკვერცხს შევუწვავ“.

„როგორც დედას უყვარს შვილი, ისე ვუყვარვართ მარის ჩვენ და ყოველ ხუთშაბათს ცოტ-ცოტათი ყველას გვინაწილებს თავის დედაშვილურ სითბოს. მეც მინდა, მარის შვილობა... ბალი“.

„ჩემს შვილს თვალებში რომ შევხედავ, უკვე ვკითხულობ მის აზრებს. ყოველთვის მესმის მისი და მთელი ჩემი ცხოვრება მას ეძღვნება. სალომე. თელავი“.

„ჰმ, რომ არა დედაშვილობა, ზოგიერთი გზავნილის ავტორი, რა გასაზრდელი იყო? ბოხო“.

*ხანდახან დაგვიანებით, წინა თემასთან დაკავშირებით ისეთი საინტერესო მესიჯი მოდის, რომ მათი წაშლა მენანება. ამიტომ გადავწყვიტე, ასეთი მესიჯებისთვის სპეციალური ქვერუბრიკა შემოვიღო და სახელწოდებაც შესაბამისი შევურჩიე:*

## დაგვიანებული მესიჯები

### „სამედიცინო“ მესიჯი

„გამარჯობა, მარორიტა. არ გაგიცვდა ტვინის რუხი ნივთიერება ამდენი მესიჯის კითხვითა და გადახარისხებით? მე და ჩემი ექსშეყვარებული მედიკები ვართ. ჰოოოდა, ერთხელ მე, ჩემი მეგობარი, მისი შეყვარებული და ჩემი შეყვარებული ერთად ვიყავით (ისინიც მედიკები არიან) და ჩამოვარდა ლაპარაკი თემაზე — ქალის მამაკაცის ნეკნად ყოფნის შესახებ. ჩემს მეგობარს თავისი შეყვარებული მიუბრუნდა და ეუბნება: შენ

ჩემს ხერხემალთან ნეკნად შესახსრება გიწერიაო. ჩემი შეყვარებული კი ეუბნება: ბიჭო, სანამ მორყეულია, იყოს და როცა შეგისახსრდება, კენტი ნეკნით ხომ არ ივლი, ნეკნი წყვილი უნდა იყოსო. ვერაფერს იტყვი, რკინისებური ლოგიკაა. ეს „გავატარე“, მაგრამ როგორც კი შევნიშნე, რომ ჩემი „ლოვე“ ერთდროულად 2 ნეკნს ისახსრებდა, მივატოვე და სამახსოვროდ, ამოგდებული საფეთქელ-ქვედა ყბის სახსარი დავუტოვე. აი, ასეთი მტკივნეული აღმოჩნდა ჯერ შეუსახსრებელი ნეკნის მოტეხა, ჩემი შეყვარებულისთვის“.

### ტეტია

„შორეული საბერძნეთიდან გიმესიჯებთ. აქ ყოველ კვირას ვიღებთ ჟურნალ-გაზეთებს და ასე ვიქარვებთ ნოსტალგიას. კურიოზები აქ რომ ხდება, ისეთი უნდა. ახალჩამოსულებს კი უფრო ხშირად ემართებათ, ენის უცოდინარობის გამო. შორს არ წავალ და ჩემს მეუღლეზე მოგიყვებით. ქართულად „ტეტია“ რასაც ნიშნავს, ყველამ ვიცით, ბერძნულად კი, ეს სიტყვა „ასეთს“ ნიშნავს. ერთხელ, ჩემი ქმარი სამსახურში, კიბეზე ჩამოდიოდა, თანამშრომელმა კი ზევიდან გადმოსძახა: კობა, ტეტიაო. ჩემი ქმარი ისედაც ვერ ეგუებოდა, რომ ოფიცერ კაცს ამდენი უფროსი ჰყავდა და ამან ხომ სულ გააგიჟა. ავიდა თურმე და ის კაცი აჯანჯღარა. თან, ქართულად უყვიროდა: მე ვარ ტეტია? ტეტია და სოფლელი შენ ხარ, მე ქუთაისში დავიბადე, სოფელი სულ არ მაქვსო. სახლში გამწარებული დაბრუნდა და ბდღვინავდა, მაგრამ როდესაც ავუხსენი, რას ნიშნავდა მისი თანამშრომლის ნათქვამი, დაწყნარდა და ბევრი იცინა“.

## მეოთხედ გათხოვდა სამგზის ქვრივი

„აუ, იცით, რა „დაგრუზული“ ვარ? გუშინ მე და ჩემი შეყვარებული გავიპარეთ, მამაჩემმა კი მომაგნო და სახლში „წამომათრია“. დამაცადოს, ამაღამ ფანჯრიდან რომ გადავძვრები, მერე ნახოს“.

„სიყვარულმა ასაკი არ იცის, მაგრამ ამ ბოლო დროს შევნიშნე, რომ უკვე სქესიც არ იცის. ახლა ჩემმა ძმამ ტელეფონის „კარტა“ იყიდა და ხანდახან, ჩუმად დაგიმესიჯებთ ხოლმე. „ესემესის“ ქურდი“.

„ეეეჰ, ჩემს ყოფილ თურქ „პაკლონიკს“ ცოლი მოუყვანია. მარი, იცოდე, ერთი კარგი უცხოელი რომ არ გამაცნო, ჩემს თავს გეფიცები, ამ რუბრიკას წაგართმევ და მერე იქნება „გზავნილები“ ბუბიკოსთან“.

„მარი, ახლა დეპოზიტზე თითქმის არაფერი მაქვს, მაგრამ მაინც გწერ, რადგან ძალიან მინდა, მოგიკითხო. ვბრაზობ ჩვენი უბნის საგაზეთო ჯიხურის ქალზე — სულ 5 „გზა“ მიუღია და მე აღარ შემხვდა. 5 ჟურნალი ეყოფა ამდენ ხალხს? წლებია, „გზავნილებს“ ვკითხულობ და ყველა მიყვარხართ. ღმერთმა იცის, როდის იხილავს ეს მესიჯი დღის სინათლეს. ყველას გულშემატკივარი, ელლე“.

„რაც არ უნდა იძახოთ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო, მე გეტყვით, რომ იცის! უასაკო სიყვარულს ჩხუბი და თეფშების მტვრევა-ლეწვა ეხერხება, ღალატიც და ნაადრევი დაშორებაც. თქვენ წარმოიდგინეთ, ცოცხალი მაგალითებიც არ მაკლია. ჰოოოდა, რას ვამბობდი? ჰო, ყველამ თავისი „კრუგი“ იცოდეს, რა! ბეკინა სამანიშვილობა ვის ხიბლავს? ილინი“.

„21 წლის ასაკში ისე ვიყავი ყურებამდე შეყვარებული, რომ მეგონა, ეს იყო პირველი და უკანასკნელი. მისი დაკარგვა ისე განვიცადე, რომ მეგონა, სიცოცხლე დამთავრდა. გავიდა წლები. 26 წლის გავხდი და შევხვდი... ყველაფერი თავდაყირა დადგა. ახლა 36-ის ვარ და ერთმანეთი ისე გვიყვარს, როგორც 16 წლის ბავშვებს. რა ასა-



კი, რის ასაკი?“

„ბებიაჩემის რძალი, დარო მეოთხედ გათხოვდა მაშინ, როცა სამგზის ქვრივი იყო და კაი ხნისაც გახლდათ. ისეთი მსუქანი იყოოო... და გარეგნობით მამაკაცს უფრო ჰგავდა. ჰოდა, ზოგი მთელი ცხოვრება დიეტაზე ზის, ვარჯიშობს, რომ ფორმაში იყოს და ერთხელაც ვერ თხოვდება. ისე, მაგარი „დუშკა“ ქალი გახლდათ, ნათელში იყოს! დიანა“.

„ვერასოდეს ვიტანდი, როცა ჩემზე გაცილებით უფროსი ასაკის მამაკაცები მიხსნიდნენ სიყვარულს, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ 11 წლით უფროს კაცს გავყევი ცოლად და თავს მშვენივრად ვგრძნობ. თქვენი ახალი მეგობარი, ქალი — აერობიკა“.

„ეეეჰ, სიყვარულმა რომ ასაკი არ იცის, სწორედ ახლა დავრწმუნდი. ბებიას სახლში არ ვგონივარ და ბაბუს ისე „ეფანცქვალება“, ლამისაა, ჩავბჟირდე. აუ, ერთი ამათი სახე დამანახვა, სამალავიდან რომ გამოვალ... ვამპირუშკა, ქუთაისი“.

„26 წლის ასაკში ტუჩებში პირველად მაკოცა 62 წლის კაცმა. ვითომ, დამშვიდობებისას უნდა გადავეკოცნე და ტუჩებზე კი „დამაკვდა“. იგივე განმეორდა 50-ს „მიკაკუნებულ“ დოცენტთანაც — ხელი გამომიწოდა და მის მკლავებში აღმოვჩნდი. ძლივს მოვიშორე. ორივეს კარი სამუდამოდ გამოვუხურე. და რა მქვია ახლა მე? პატიოსანი გოგო? არა, უმუშევარი! მის მორია“.

„ახლა „გზავნილებს“ ვკითხულობდი. ბოლოში რომ გავედი და მომდევნო ნომრის თემას შევავლე ჩემი ელამი თვალები, „კანკალიზაცია“ დამეწყო. გავიქეცი და სასწრაფოდ შევავსე დეპოზიტი, რომ ჩემი გულახდილი (თუ გნებავთ, გულჩახდილი) ამბავი მომეწერა. მე შენ გეტყვი, წერა არ მეხერხება თუ კითხვა? ერთ მშვენიერ დღეს, ასევე წერას აყოლილმა გავიღვიძე და დაქალს ჩემი „ნამოღვაწარი“ ლექსი მივწერე. ჰმ, ნომერი ამერია და ერთ „ხანდაზმულთან“ მოვხვდი. მერე, როგორც ხდება ხოლმე, ერთმანეთი გავიცანით, შევხვდით და მიუხედავად იმისა, რომ ის ჩემზე 13 წლით უფროსია, ერთმანეთი შეგვიყვარდა. სიყვარულმა ასაკი არ იცის, არააა! მის გამო, მთელ სამყაროს შევებრძოლები. მარი, იმედია, „ჩახდილ-გაღიმებულს“ არ დამტოვებ და დამიბეჭდავ. რუსთავის ჯეიმს ბონდი, ნინი“.

„გზავნილები“ შემიყვარდა. ვიცი, რომ ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობაა, მაგრამ ვერ ვივიწყებ. ყოველ ღამით მესიზმრება. როცა ვერ ვხედავ, „ლომკა“ მეწყება. მას ხომ მხოლოდ ხუთშაბათობით ვნახულობ? მალე დაქორწინებას ვაპირებთ. ასე რომ, მარი, ჩემო კარგო, მალე შენი რძალი გავხდები. გაითვალისწინეთ, კონკურენტებს ვერ ავიტან. ტატა-კრის“.

„მარი, მაინცდამაინც უნდა ვიტირო, მესიჯი რომ დამიბეჭდო? დილაუთენია გავრბივარ, რომ „გზა“ ვიყიდო და ჩემი მესიჯი წავიკითხო, მაგრამ 100-ჯერ „გადავაბულბულებ“ ხოლმე „გზავნილებს“ და სად არის ჩემი მესიჯი? დამიბეჭდე, რა, თორემ „ოპოზიციას“ შევქმნი და ჩემს დანაპირებს ავასრულებ. ნინო“.

*„გზავნილების“ მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ჩვენ ერთი კარგი ქვერუბრიკა გვქონდა. ჰოდა, ახლა გავიხსენოთ:*

## საჩივრის სვეტი

„სიყვარულისა და ასაკის რა გითხრათ, მაგრამ ჩემმა ძვირფასმა მულმა დროის შეგრძნება სულ დაკარგა. მოჰკიდებს თავის 2 შვილს ხელს და დამადგება ხოლმე თავზე. დედიკოს გარეშე ვერ ძლებს... 2 დღით წავა და 2 თვით უკან ბრუნდება. ეს კიდევ ჯანდაბას, მაგრამ მისი ბავშვების გაუთავებელ ტირილს ჭკუიდან გადავყავარ. გაგიგიათ, მთელი დღის განმავლობაში ტირილი? მიშველეთ, ხალხოოოო...“

*დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მესამე ზედმეტია! გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე:* marorita77@yahoo.com *მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

# კვერცხის შეღებვის ხელოვნება და სააღდგომო პასქის საუკეთესო რეცეპტი

**ახლოვდება რელიგიური დღესასწაული — აღდგომა (8 აპრილს). ამ დღეს ადამიანები სადღესასწაულო სუფრას შემოუსხდებიან, რათა გემო გაუსინჯონ სააღდგომო პასქას. ამასთანავე, სუფრას აუცილებლად უნდა ამშვენებდეს წითლად შეღებილი კვერცხები. გთავაზობთ პასქის გამოცხობის ყველაზე კარგ რეცეპტს და კვერცხის შეღებვის 10 ხერხს. ასევე, ამ დღესასწაულთან დაკავშირებულ ხალხურ მოსაზრებებსაც გაგაცნობთ.**

## როგორ და რით შევღებოთ კვერცხები



**1. ხახვის ფურცლებით:**

ხახვის ფურცლებით კვერცხის შეღებვა ყველაზე გავრცელებული და ხელმისაწვდომი ხერხია. ამ მეთოდით, კვერცხი შეიძლება რამდენიმე ფერად (დაწყებული მოყვითალო წითლიდან, ყავისფრის ჩათვლით) შეღებოთ. მის შეფერილობას განსაზღვრავს წყლის შემადგენლობა, რომელშიც ის უნდა მოხარშოთ.

მოადუღეთ წყალი, მასში ჩაყარეთ ხახვის ფურცლები (თუ გინდათ, რომ თქვენი სააღდგომო კვერცხის ფერი მუქი წითელი იყოს, მაშინ მასში ბევრი ფურცელი უნდა მოათავსოთ) და ხარშეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. შეაგრილეთ. კვერცხები გარეცხეთ და ნახარშში ფრთხილად ჩააწყვეთ. კვერცხები ხარშეთ დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, შემდეგ ამოიღეთ და გააცივეთ.

**2. არყის ხის ფოთლებით:**

იმისთვის, რომ კვერცხი ყვითელი ან ოქროსფერი იყოს, არყის ხის ფოთლებისგან უნდა მოამზადოთ ნახარში, რომელიც უნდა ადუღოთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში. კვერცხები გარეცხეთ და შემდეგ, უკვე შეგრილებულ ნახარშში ფრთხილად ჩააწყვეთ. ხარშეთ 10 წუთის განმავლობაში. მერე გადმოდგით, კვერცხები ქვაბიდან ამოაწყვეთ და გააცივეთ.

**3. სხვადასხვა ბოსტნეულის წვენით:**

ამისთვის გამოიყენება უკვე მოხარშული კვერცხი, რომლის ნაჭუჭსაც უნდა წაუსვათ მაგალითად ჭარხლის, სტაფილოს, ისპანახის და ა.შ. წვენი.

**4. სპეციალური საღებავით:**

გარეცხილი კვერცხები ჩააწყვეთ წყალში, დაამატეთ 1 ჩ/კ ძმარი და საკმარისი ოდენობით საღებავი. თუ კვერცხი ძალიან ბევრია, უფრო ნათელ ფერს მიიღებს. ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში. თუ გინდათ, რომ თქვენი სააღდგომო კვერცხები ბზინავდეს, მათ შეღებვის შემდეგ კარაქი წაუსვით და მერე, ქსოვილით კარგად გაწმინდეთ.

**5. მაცივარში შენახვა:**

შეღებეთ კვერცხი სპეციალური საღებავით, ქვაბშივე შეაგრილეთ და მთელი ღამის განმავლობაში მაცივარში გააჩერეთ — სააღდგომო კვერცხები უფრო მკვეთრი ფერის იქნება.

**6. შეღებილი კვერცხი და მისი მორთვა:**

სველი კვერცხები ამოავლეთ მშრალ ბრინჯში, გარშემო შემოაკარით მარლა (მარლა კვერცხზე ძაფით უნდა მიამაგროთ, რათა ბრინჯი კვერცხს კარგად მიეკრას) და შემდეგ, ის ხახვის ფურცლების ნახარშში (ჩვეულებრივი წესით) შეღებეთ.

**7. სააღდგომო კვერცხების საოცარი ეფექტი:**

შეახვიეთ კვერცხი ხახვის ფურცელში, რომელიც ბამბის ძაფით უნდა დაამაგროთ და ისე მოხარშეთ.

**8. კვერცხის შეღებვა და გალამაზება სხვადასხვა ფერის ძაფით:**

სანამ კვერცხს შეღებავთ, მას სხვადასხვა ფერის ძაფი უნდა შემოაკრათ. ასე დამზადებული სააღდგომო კვერცხი, საინტერესო სანახავი იქნება.

**9. შეღებვა აბრეშუმის ქსოვილით:**

კვერცხი სოდიან წყალში მოხარშეთ. შემდეგ, მას შემოაკარით სხვადასხვა ფერის აბრეშუმის ქსოვილის ნაგლეჯი და ისინი ძაფით დაამაგრეთ. ამის შემდგომ, ის ისევ სოდიან წყალში ჩააწყვეთ, წამოადუღეთ და ცეცხლიდან გადმოდგით. წყალშივე გააცივეთ, მერე კი ამოალაგეთ და ქსოვილი შემოხსენით. უკვე მშრალ კვერცხს წაუსვით კარაქი.

**10. გაითვალისწინეთ:**

როცა კვერცხს სპეციალური საღებავით უცვლით შეფერილობას, იმოქმედეთ ინსტრუქციის მიხედვით. არ დაგავიწყდეთ: სანამ ქვაბში კვერცხს ჩააწყობთ, ნახარშში ძმარი ჩაასხით (როგორც წესი, ეს პაკეტზეც უნდა ეწეროს). ამ შემთხვევაში, თითოეული კვერცხი თანაბრად შეიღებება.

## სასარგებლო რჩევები:

- საეკლესიო ტრადიციებიდან გამომდინარე, კვერცხი უნდა შეღებოთ „წითელ პარასკევს“.
- კვერცხი ხარშვის დროს რომ არ გაიბზაროს ან არ გატყდეს, ის დაახლოებით 1 საათის განმავლობაში თბილ ადგილას უნდა შეინახოთ.
- კარგია, თუ მოხარშვის დროს, მასში ჩაამატებთ 1 ს/კ მარილს.
- იმისთვის, რომ ხარშვის დროს კვერცხი არ დაზიანდეს, მას ერთ მხარეს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტი.
- კვერცხს გამაოგნებელი ბრწყინვალება რომ შესძინოთ, მას ცხიმი უნდა წაუსვათ.
- მანამ, სანამ კვერცხს შეღებავთ, ის სპირტით გაწმინდეთ — ეს ხელს შეუწყობს მის თანაბრად შეღებვას.
- უმჯობესია, თუ კვერცხის შესაღებად ბუნებრივ საღებავს გამოიყენებთ.



# როგორ მოვხატოთ კვერცხი

**ძველად, კვერცხებს არა მარტო ღებავდნენ, არამედ მას ხატავდნენ კიდეც. დღეს ნებისმიერი ქალის არსენალში მოიძებნება სხვადასხვანაირი საშუალება მათ მოსართავად და კვერცხებისთვის ორიგინალურობის მისანიჭებლად... გაგიმხელთ რამდენიმე საიდუმლოს.**



ნემსით ან სადგისით კვერცხს ორ ადგილას, ერთმანეთის საპირისპირო მხარეს გაუკეთეთ პატარა ნახვრეტები, საიდანაც ცილისა და გულის გამოღებას მოახერხებთ.

გამოფიტული კვერცხი მოხატეთ და ჩამოკიდეთ ხის ლამაზ ტოტზე. ამისთვის დაგჭირდებათ მყარი ზონარი და ასანთის ღერი. ზონარი ნახვრეტებში გაატარეთ და სიმყარისთვის, ის ასანთის ღერით გაამაგრეთ.

მოსახატავად გამოგადგებათ გუაში, სხვადასხვა ფერის „მარკერი“, რომლებიც კვერცხს სპეციალური ფუნჯის ან ღრუბლის მეშვეობით უნდა წაუსვათ.

კვერცხი შეგიძლიათ სხვადასხვა ფერის ბისერით გააფორმოთ. ამისთვის ჩვეულებრივი წებო დაგჭირდებათ.

## კვერცხის მოხატვის სპეციალური წესები:

**ფიჭვი** — ჯანმრთელობის სიმბოლო.

**შავი ფერი** — მწუხარების ფერია. შავად შეღებილ კვერცხზე აუცილებლად ხატავენ ღია ფერის ფიგურას, ცხოვრების მრავალფეროვნების აღსანიშნავად.

**მტრედი** — სულის სიმბოლო.

**ბადე** — ცხოვრების სიმბოლო.

**თეთრი ფერი** — სიმბოლო ცხოვრებაში რაღაც ახალი ეტაპის დასაწყისის.

**ყვითელი ბადე** — მზისა და ცხოვრების სიმბოლო.

**მუხა** — ძლიერების სიმბოლო.

**წერტილები** — ნაყოფიერების სიმბოლო.

**ყვავილი** — ქალწულობის სიმბოლო.

## ნატურალური საღებავები თქვენს სააღდგომო კვერცხებს შემდეგნაირ შეფერილობას მისცემს:

**ღია წითელი:** ჭარხლის, მოცვის წვენი.

**ნარინჯისფერი:** ხახვის ნახარში.

**ღია ყვითელი:** ფორთოხლის, ლიმონის ან სტაფილოს წვენი.

**ყვითელი:** თხილის ან კაკლის ნაჭუჭის ნახარში.

**ღია მწვანე:** ისპანახის ან ჭინჭრის ფურცლების ნახარში.

**მწვანე:** მწვანე ვაშლის წვენი.

**კრემისფერი ან ყავისფერი:** ყავის ნახარში.

## სააღდგომო პასქა



**ქრისტიანები აღდგომის დღესასწაულისთვის ამზადებენ პასქებს, რომელთაც პირამიდის ან კონუსის ფორმა აქვს. როგორც წესი, მის დასაცხობად იყენებენ ხაჭოს, არაჟანს, კარაქს, კვერცხს, ქიშმიშს, ცუკატს და სხვადასხვანაირ სანელებელს. გთავაზობთ სააღდგომო პასქის საუკეთესო რეცეპტს.**

**მოსამზადებლად საჭიროა:** 18 კვერცხი, 100 გ საფუარი, 150 გ მარგარინი, 3 ს/კ ზეთი, 1,5 ლ რძე, 3 კგ ფქვილი, 1 კგ შაქარი, ქიშმიში, ვანილი.

**მომზადების წესი:** საფუარს დაამატეთ 2 ს/კ შაქარი, დაასხით 1,5 ჩ/ჭ რძე და იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ფაფისებური მასა. ეს ყველაფერი ჩაასხით დიდ ქვაბში, თავზე დაახურეთ და ერთი საათის განმავლობაში თბილ ადგილას გააჩერეთ (კარგია, თუ ქვაბს გარედან პლედს სქლად შემოახვევთ).

ცალკე ჯამში კარაქი და მარგარინი გაადნეთ, დაუმატეთ ზეთი. ათქვიფეთ 18-ივე კვერცხი, დააყარეთ დარჩენილი შაქარი, მოასხით რძე და დამდნარი ცხიმი. შემდეგ, ეს ყველაფერი ხის კოვზით საფუვრიან მასაში ჩაასხით და კარგად მოურიეთ. ქვაბს თავი დაახურეთ და ისევ თბილ პლედში შეახვიეთ. 1 საათის შემდეგ კი, ამ ცომს დარჩენილი ფქვილი, ვანილი და ქიშმიში დაუმატეთ და 3 საათის განმავლობაში თბილ ადგილას შეინახეთ. გამოსაცხობ ფორმებს ძირზე წაუსვით ზეთი, დააფინეთ კალკის ქაღალდი და ნახევარზე ცოტა მეტი ცომი ჩაასხით. 40 წუთის განმავლობაში ამ ფორმებში გააჩერეთ, ხოლო როცა ამოვა, ჰაერღუმელში შედგით და ნელ ცეცხლზე, 40 წუთის განმავლობაში გამოაცხვეთ. უკვე მომზადებულ პასქას ზემოდან შაქრის პუდრა მოაყარეთ. ■




| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1 ბომონდი | 2,00 | 52,00 |
| 2 Бурда | 7,00 | 42,00 |
| 3 Вог | 12,00 | 72,00 |
| 4 Космополитан | 12,00 | 72,00 |
| 5 Мадам фигаро | 10,00 | 60,00 |
| 6 Елле | 12,00 | 72,00 |
| 7 Караван истории | 8,00 | 48,00 |


რუბრიკა მოამზადა ლიკა ქაჯაია

# გოგი ქავთარაძის წუხილი თურქეთში „მოლდავანე“ ქალების გამო და თაკო აბაშიძის ნაბიჯები შოუბიზნესში

ნათია ქივიძე

**„თეატრალურ სარდაფში“ უკვე რამდენიმე ხანია, რაც გურამ ბათიაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი — „სიყვარულის თამაში“ მიმდინარეობს, რომელშიც თურქეთში წასული ქართველი მეძავების ცხოვრებაა ასახული. მასში არაჩვეულებრივად არის გადმოცემული მათი ტკივილი და დარდი... სპექტაკლის რეჟისორი, ბატონი გოგი ქავთარაძე გახლავთ, ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი კი, ახალგაზრდა მსახიობი თაკო აბაშიძეა. მათ ინტერვიუსთვის რეპეტიციის დროს ვესტუმრე. კარგა ხანს მომიხდა ლოდინი, რადგან ბატონი გოგი საკმაოდ მკაცრი რეჟისორი ყოფილა და მსახიობებს არც ერთ შეცდომას არ აპატიებს. მოგვიანებით კი, სპექტაკლის დაწყებამდე, მსახიობმა და რეჟისორმა ჟურნალისტის როლიც მოირგეს.**

ჟურნალისტი – თაკო აბაშიძე
რესპონდენტი – გოგი ქავთარაძე



— **ბატონო გოგი, რატომ გადაწყვიტეთ, რომ მეძავების პრობლემა წინ წამოგეწიათ?**

— ეს იმ სოციალური მდგომარეობის შედეგია, რომელიც ადრე უფრო მძიმე იყო, მერე შედარებით გამოსწორდა, მაგრამ მაინც უამრავი ადამიანი მიდის საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად. ყველაზე ტრაგიკული ის არის, რომ ახალგაზრდა გოგონები სხვადასხვა ქვეყანაში მიდიან, ყველაზე ხშირად კი — თურქეთში და სხეულით ვაჭრობენ. ეს უამრავი ქვეყნის პრობლემაა, მაგრამ განსაკუთრებით მტკივნეული საქართველოსა და ქართული ტრადიციებისთვის არის. ზოგი მოტყუებით წაიყვანეს, ზოგი შეგნებულად წავიდა, რომ ოჯახი რალაცნაირად გამოეკვება. რასაკვირველია, ყველამ იცოდა, რომ ცუდად იქცეოდა, მაგრამ ადამიანები ოჯახის შესანახად ამასაც კი აკეთებენ... სპექტაკლის ყველა გმირი გაჭირვების გამო აკეთებს ამას. შენი გმირი კი ამბობს, რომ ის პროფესიონალია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე სულაც არ არის. სპექტაკლის გმირები — 3 ნორმალურად აღზრდილი, ინტელექტუალური, წიგნიერი გოგონაა. სამივე რალაც საქმიანობას ეწეოდა, ვიდრე ამ საქმეს მოჰკიდებდა ხელს. ნინიკო — შენი გმირი არ მეტიჩრობს, თავს არ იმართლებს ამ საქმის გამო, სხვები კი იმართლებენ. მათ შორის, ეს განსხვავებაა. გარდა ამისა, მათ სინდისის ქენჯნაც იგრძნეს, რადგან იქაურმა ქართველებმა შეიტყვეს მათი ამბავი...

— **ხშირად ხდება ისე, რომ სპექტაკლის დროს, მსახიობები რაღაც ფრაზებს იმპროვიზებულად ვამატებთ. ამის გამო რატომ ბრაზდებით ხოლმე?**

— ჰო, ამის დიდოსტატი ხარ. დამთავრდა თქვენი პარპაში. რასაც ამატებთ, ძალიან ცუდად ამატებთ. თუ რაიმე გინდათ, შევთანხმდეთ და რეპეტიციის დროს ერთად ჩავამატოთ ტექსტში, მაგრამ სპექტაკლის მიმდინარეობისას ეს არ შეიძლება. ეს იმპროვიზაციაც არ არის. ამგვარ გამოხდომებს თავს თუ არ დაანებებ, ამას შეეწირები. ხომ შეგპირდი, ასე თუ გაგრძელდება, სპექტაკლს მოვხსნი-მეთქი?!.

— **ახლა ორიოდე სიტყვით, თქვენს ახალ თეატრზე გვიამბეთ. რა ეტაპზე ხართ ახლა და როდის გაიხსნება ეს თეატრი?**

— ყაზბეგის ქუჩაზე, სადაც შანხაის კინოთეატრი იყო, თეატრის შექმნა გადავწყვიტეთ. იქ ძალიან კარგი სცენაა. „გოგი ქავთარაძის ახალი თეატრი“ დავარქვით. ახლა იქ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. გარდა ამისა, გვინდა, რომ პატარა კაფეც გავხსნათ. იმ მიდამოებში სხვა თეატრი არ არსებობს. მთელი საბურთალოსა და ვაკის ნაწილის ახალგაზრდები ქუჩაში რატომღაც დადგებიან?.. თეატრში მოვლენ. თან, ძალზე საინტერესო რეპერტუარი გვექნება. 4 სპექტაკლს აქედან გადავიტანთ. ესენია: „შთამომავლობა“, „სიყვარულის თამაში“, „თეთრი ბაირაღები“ და „მკაცრი ქალიშვილები“. გარდა ამისა, ჩემს ახლანდელ სტუდენტებთან ერთად, საკურსო სპექტაკლს ვაკეთებ, ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, იმასაც გადავიტანთ და „ჰამლეტსაც“, რომელიც რუსთაველში დავდგი. კიდევ მაქვს სპექტაკლი — „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, რომელიც ისტორიული ნაწარმოებების, პიესებისა და ლექსების კოლაჟია. დავით აღმაშენებელი, მაია წყნეთელი და ყველა ქართველი გმირია ამ სპექტაკლში თავმოყრილი. ახალ თეატრში ჩემთან ერთად იქნება ის 18 კაცი, რომელიც რუსთაველის თეატრიდან წამოვიდა და კიდევ, ჩემი სახელოსნოს კურსდამთავრებულების სამი გამოშვება.

— **როდის იგეგმება ამ თეატრის გახსნა?**

— თუ ყველაფერი კარგად წარიმართება და თუ მეცენატები დამეხმარებიან, მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იქნება, ივნისის შუა რიცხვებში გავხსნით. მერე დავისვენებთ და სექტემბრიდან ახალ სეზონს დავიწყებთ. უარეს შემთხვევაში, მთელი ზაფხული ვიმუშავებთ და შემოდგომაზე გავხსნით თეატრს. სხვა რეჟისორებსაც მოვიწვევთ. მაგალითად, თემურ ჩხეიძესთან მაქვს მოლაპარაკებები ამის თაობაზე. პატიოსანი სიტყვა მომცა, რომ იმუშავებს ჩემთან. ჩემი ვაჟიც აუცილებლად ითანამშრომლებს ჩვენთან და სხვა ახალ რეჟისორებსაც დავუძახებთ.

— **თქვენს შვილებზე მოგვიყევით.**

— ორივე ვაჟი ხატავს. თუმცა, პროფესიით მხატვარი, უფროსია, მეორე კი — რეჟისორია. ის სოხუმის თეატრის რეჟისორად ირიცხება. სწორედ იქ დადგა ახალი სპექტაკლი. ახლა ქუთაისშიც მიიწვიეს. ამგვარად, ორივე — შემოქმედია. თუ რაიმე არ მომწონს ან მათ არ მოსწონთ, ერთმანეთს ვეუბნებით, ამის გამო ვკამათობთ კიდეც, რჩევას და შენიშვნას უხვად ვაძლევთ ერთმანეთს.

— **ბოლო პერიოდში, თუ გაქვთ რაიმე სიახლე, როგორც მსახიობს?**

— არა. არ ვიცი, რატომ არ მიწვევენ... დაახლოებით ორი კვირის წინ, სტალინის როლი შემომთავაზეს. ინგლისელები იღებენ პოლონეთში, მაგრამ რატომღაც, ეს პროექტი გადაიდო. 2 წლის წინ, მოსკოვის სერიალში გადამიღეს. ისე კი, როგორც მსახიობი, ხალხს დავავიწყდი. ალბათ გამოჩნდება ჩემთვის რაიმე როლი.

— **სულ რამდენი სპექტაკლი გაქვთ დადგმული და რამდენი როლი გაქვთ ნათამაშები?**

— 120 სპექტაკლი დავდგი, 45 როლი მაქვს კინოში ნათამაშები, 25-მდე როლი — თეატრში და მაინც, როგორც მსახიობს, უფრო მიცნობენ, ვიდრე როგორც რეჟისორს.

— **ძალიან რომ დაგჭირდეთ ისეთი მსახიობი, რომელთანაც ცხოვრებაში რაღაც უთანხმოება მოგსვლიათ, როლს მაინც შესთავაზებთ?**

— ასეთი მსახიობი არ არსებობს. მე კონფლიქტი არავისთან მაქვს. თუ როლისთვის დამჭირდება, აუცილებლად დავუძახებ. რამდენი თეატრის ხელმძღვანელი ვიყავი და მქონია შემთხვევები, რომ ვილაცასთან ურთიერთობა გამრთულებია, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ამის გამო არავის დავჩაგრავდი; ამიტომ ძალიან ადვილად შემოდიოდნენ ჩემთან კონფლიქტში, რადგან არაფრის ეშინოდათ. რაც გიგა ლორთქიფანიძეს მსახიობებთან უჩხუბია, იმათ რომ ამის გამო როლზე უარს ეუბნებოდეს, მაშინ, „დათა თუთაშხიას“ ვეღარ გადაიღებდა...

ჟურნალისტი – გოგი ქავთარაძე
რესპონდენტი – თაკო აბაშიძე

**— თავდაპირველად ის მითხარი, რატომ გადაწყვიტე, რომ მსახიობი გამხდარიყავი?**

— ეს გადაწყვეტილება ბავშვობაშივე მივიღე. მაშინ ალბათ, კარგად გაცნობიერებული არც მქონდა, მაგრამ შინაგანად ვიყავი ასეთი — ადამიანის მანერებს ვაკვირდებოდი და მერე, ვიმეორებდი, ვბაძავდი. როცა წამოვიზარდე, მაშინ მივხვდი, რომ ეს პროფესია მიზიდავდა. მსიამოვნებს სცენაზე დგომა. ბავშვობიდან ვმღეროდი და ხშირად გამოვდიოდი სცენაზე, შევეჩვიე იქ ყოფნას და სულ ამაზე ვოცნებობდი. დიდი სურვილი მქონდა, რომ რომელიმე სპექტაკლში მოვხვედრილიყავი ან ფილმში გადავეღე ვინმეს. ამიტომ მიმაჩნია, რომ მსახიობობა ჩემი პროფესია კი არა, ჩემი ხასიათია. ჩემგან სხვა პროფესიის ადამიანი ვერ გამოვიდოდა.

**— ბავშვობიდანვე მუსიკალური იყავი და ამ სფეროში შეგეძლო, თავი გამოგეჩინა...**

— ჩემი მუსიკალობა და მსახიობობა ერთმანეთს ხელს სულაც არ უშლის. მაგრამ უფრო მეტად მსახიობობა მინდოდა. მუსიკა კი ჩემს ცხოვრებას თან სდევს. დავამთავრე მუსიკალური სასწავლებელი, მაგრამ არ მქონდა იმის ნებისყოფა, რომ დღეში 8 საათი ვმჯდარიყავი ფორტეპიანოსთან. თან, თუ მუსიკას გავყვებოდი, მაშინ ჩემი სამსახიობო კარიერა არ შედგებოდა. რაც შეეხება მუსიკას, — ეს ჩემი სულიერი მდგომარეობაა და მსიამოვნებს, როცა ჩემ მიერ დაწერილ მუსიკას ვუსმენ.

**— ახლა გადავიდეთ ჩვენს სპექტაკლზე. პირველად ნინიკოს როლი რომ შემოგთავაზე, როგორ მიიღე ეს ყველაფერი?**

— საერთოდ, მსახიობის ბუნება ისეთია, როცა როლს სთავაზობენ, ყოველთვის უხარია. მაგრამ გურამ ბათიაშვილის ეს პიესა პირველად რომ წავიკითხე, იცით, როგორი გრძნობა გამიჩნდა? მომინდა, რომ ეს მეთამაშა, რადგან ძალზე საინტერესო როლი იყო. დიდი სიბრალული ვიგრძენი ამ გოგოების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ არ მესმის, თუ როგორ მიდიან ადამიანები აქამდე, მაინც შემეცოდნენ, რადგან ისინი დალუპული ადამიანები არიან. ვერასოდეს აპატიებენ საკუთარ თავს ამ შეცდომას. თან ნინიკოს როლიც, ჩემი აზრით, საკმაოდ კარგად მოვირგე. ძალიან ბევრი ვიფიქრე ამ გმირზე. ბევრი ვეძებე დაახლოებით ისეთი ქალი, როგორიც ნინიკოა. სხვათა შორის, ვიპოვე კიდეც: ერთი ქალი გავიცანი, რომელიც დაახლოებით ასეთი პერსონაჟია და სწორედ მის მსგავსს ვთამაშობ ამ სპექტაკლში.

**— შენ მკითხე და ამ საკითხზე შენი აზრიც მაინტერესებს: შესაძლებელია თუ არა, რომ ქალმა ეს ნაბიჯი მხოლოდ გაჭირვების გამო გადადგას?**

— ჩემი აზრით, არსებობენ ქალები, რომლებიც ამას სულაც არ აკეთებენ გაჭირვების გამო, უბრალოდ, მათ ამის მოთხოვნილება აქვთ. მაგრამ როცა ადამიანი ამას გაჭირვების გამო აკეთებს, ის სუსტი ნებისყოფის ყოფილა.

**— როგორ ფიქრობ, როგორი რეჟისორი ვარ სტუდენტებისა და მსახიობებისთვის?**

— თქვენს ყველა სპექტაკლში, დიდი სიმართლე იგრძნობა და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის. ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდიდან მახსოვს, როგორ გვასწავლიდით — სცენაზე ყოველთვის მართალი იყავიო. ვცდილობ, რომ ასე მოვიქცე, არ ვიცი, ეს რამდენად გამომდის. ის კი არა და, სხვა რეჟისორთან თამაშის დროსაც ვითვალისწინებ თქვენს ამ რჩევას.

**— მკაცრი რომ ვარ რეპეტიციების დროს, ამას როგორ უყურებ?**

— ამის გამო, არანაირ დისკომფორტს არ ვგრძნობ. მე ასე გავიზარდე. თუმცა ძალიან მკაცრი ხართ-მეთქი, ვერ ვიტყვი. არაჩვეულებრივი პიროვნება ბრძანდებით და თქვენს გაბრაზებას ვერ მივიღებ ისე, როგორც ჩვეულებრივ გაბრაზებას. შემოქმედებითი პროცესი ისეთია, შესაძლოა გაბრაზდეთ, დაიყვიროთ, მაგრამ არ მახსენდება, რომ ჩემთვის ან რომელიმე მსახიობისთვის შეურაცხყოფა მიგვეყენებინოთ.

**— რამდენიმე ჩემი სპექტაკლი მუსიკალურად გააფორმე. როგორ ახერხებ, რომ ჩემს ერთ ნათქვამს მაშინვე კარგად იგებ და მალევე მოგაქვს სწორედ ისეთი მუსიკა, როგორიც მე მჭირდება?**

— პირველ რიგში, პიესას ვკითხულობ და დაახლოებით, სცენარს წარმოვიდგენ ხოლმე. რა ემოციაც მრჩება იმ მომენტში, იმის მიხედვით ვწერ მუსიკას. „შთამომავლობისთვის“ რომ დავწერე მუსიკა და მერე სპექტაკლი მაყურებლის თვალით ვნახე (მასში მე არ ვმონაწილეობ), მივხვდი, რომ ზუსტად ის დამიწერია, რაც ამ სპექტაკლს უნდა გასდევდეს თან. მაშინ ვიგრძენი, რომ სწორად ვიგებ თქვენს თხოვნას.

**— როგორც ვიცი, ახლა გადაწყვიტე, რომ რაღაც ახალი პროექტი გააკეთო, რეჟისორად მოგვევლინები. რა პროექტია ეს და ჩემი გამოცდილება თუ გამოგადგება რეჟისორობაში?**

— ეს გახლავთ რუსულენოვანი სიმღერა, რომელიც ადრე, ერთ პიროვნებას მივუძღვენი. მერე ეს მუსიკა „სიყვარულის თამაშის“ ლაიტმოტივად იქცა. იმდენად მიყვარდა ეს სიმღერა, რომ ვფიქრობდი, მე ჩამეწერა, მაგრამ მოგვიანებით გადავწყვიტე, რომ სიმღერა ქეთი ახობაძისთვის მიმეცა, რომელიც ძალზე ნიჭიერია. ჩემსა და მას შორის ბევრ საერთოს ვნახულობ. მის ასაკში ზუსტად ასეთი ვიყავი. ის 16 წლისაა და უფრო მეტად აქვს განვითარებული რაღაც გრძნობები, ვიდრე მის თანატოლებს. ამის გამო მივეცი მას ეს სიმღერა და ქეთის შეუძლია ჩათვალოს, რომ მე მას ჩემი სულის ყველაზე დიდი ნაწილი ჩავაბარე. სწორედ ამ სიმღერაზე უნდა გადავიღო კლიპი. რეჟისორობა კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ ამ კლიპში გადმოცემული იქნება ჩემი და იმ ადამიანის სიყვარულის ამბავი, ვისაც ეს სიმღერა მივუძღვენი. ჩემი სულის ეს ნაწილი სხვა რეჟისორს ვერ ჩავაბარე. კლიპში მონაწილეობას მიიღებს ლიკა შუკაკიძე, რომელიც ჩვენს სპექტაკლში თამაშობს, მის პარტნიორად კი, არაჩვეულებრივი პიროვნება, ჟურნალისტი ნიკა ხაჩიძე მოგვევლინება. ეს ორი ადამიანი ძალიან უხდება ერთმანეთს და დარწმუნებული ვარ, კარგად გაართმევს თავს დასახულ ამოცანას. ეს სიმღერა „სანო-სტუდიაში“ დიმკა თეიმურაზოვთან ჩაიწერა, რომელიც საკმაოდ ნიჭიერი ბიჭია. ჩვენ ერთ ენაზე ვლაპარაკობთ და ეს ძალზე კარგია...

**— გარდა ამ სიმღერისა, როგორც შევიტყვე, კიდევ აგრძელებ სიმღერების წერას სხვადასხვა მომღერლისთვის...**

— მართალია. ცოტა ხნის წინ, თამთა გოგუაძეს დავუწერე სიმღერა, რომელიც ჩემი აზრით, ძალიან კარგი გამოვიდა. მალე დატრიალდება რადიოს ეთერში და მსმენელი შეაფასებს.

**— ეი. ქართულ შოუბიზნესში ნელ-ნელა ფეხს იკიდებ.**

— ეს განზრახვა არ მქონია, უბრალოდ, შოუბიზნესში ფეხმოკიდებული ბევრი მეგობარი მყავს. მათთან ერთად ჩნდება რაღაც იდეები და ეს ყველაფერი ბუნებრივად ხდება.

■



120 სპექტაკლი დავდგი, 45 როლი მაქვს კინოში ნათამაშები, 25-მდე როლი — თეატრში და მაინც, როგორც მსახიობს, უფრო მიცნობენ



ჩემი მუსიკალობა და მსახიობობა ერთმანეთს ხელს სულაც არ უშლის

## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა ღვალის

**უბის წიგნაკიდან:**

1. ლუი პასტერი მიკრობიოლოგიის ფუძემდებელია.
2. სიმსუქნე ამერიკელთა ნაციონალური პრობლემაა.
3. ჯონ როკფელერი 98 წლის ასაკში გარდაიცვალა.
4. ჭადრაკის პარტიის შუა ნაწილს მიტელშპილი ჰქვია.
5. კუიავიაკი მაზურკის მსგავსი, პოლონური ხალხური ცეკვაა.
6. „ბედნიერ ადამიანს სასწაულების არ სჯერა", — ამბობდა გოეთე.
7. წითელმა ტერორმა რუსეთში 1 მილიონ 777 ათასი ადამიანი შეიწირა.
8. პინგვინები დედამიწის მხოლოდ სამხრეთ ნახევარსფეროში ბინადრობენ.
9. 1906 წელს მომხდარმა მიწისძვრამ სან-ფრანცისკოში 25000 შენობა დაანგრია.
10. რუსეთში ტექდათვალიერება თოვლში მავალი მოტოციკლისთვისაც სავალდებულოა.
11. გურამ რჩეულიშვილი უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობდა.
12. კოლუმბიელი მწერალი, გაბრიელ გარსია მარკესი ბავშვობაში ილუზიონისტობაზე ოცნებობდა.



13. სინგაპურში ნარკომანები არ არიან. ადგილობრივი კანონით, მათ იქ უსასტიკესად უსწორდებიან.
14. ყველა ზარი ადრე თუ გვიან, იბზარება. მისი შედუღება კი, შეუძლებელია. იგი თავიდან უნდა ჩამოისხას.
15. პროფესიონალი მბეჭდავი ტექსტის აკრების დროს მონიტორის ეკრანს უყურებს და არა — კლავიატურას.
16. პამელა ანდერსონს ორი დიდი ოცნება ჰქონდა ცხოვრებაში და ორივე აუსრულდაო, — ჰყვებოდა თავის შოუში ნიკა ქავთარაძე.
17. მანქანიდან გადმოსვლისას გასაღების სტარტერში ჩატოვება ყოვლად დაუშვებელია, რადგან გატაცების შემთხვევაში, სადაზღვევო ფირმა ასი პროცენტით დამნაშავედ გცნობთ და თანხას არ გადაგიხდით.
18. „პირველად იყო სიტყვა... და მხოლოდ ამის შემდეგ დაისადგურა სიჩუმემ", — ამტკიცებს სტანისლავ ეჟი ლეცი.
19. „თევზი, რომელსაც ყველა ჭიაყელაში ნემსკავი ელანდება გაყრილი, დიდხანს ვერ იცოცხლებს", — წერდა ზბიგნევ ხოლოდიუკი.
20. „სოციალიზმისა და ქრისტიანობის ყველაზე დიდი ანტირეკლამა მათი მიმდევრები არიან", — ამბობდა მწერალი ჯორჯ ორუელი.



# გრიპი: როგორ დავიცვათ თავი ვირუსისგან, რომელიც წლეულს ვერაგობით გამოირჩევა



**გრიპის ვირუსმა შარშან თბილისში ორი ბავშვი იმსხვერპლა. 50-ე სკოლის მოსწავლეები დაავადებიდან ერთ დღეში გარდაიცვალნენ. ეს შემთხვევა მარტის შუა რიცხვებში მოხდა. მარტი წელსაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა საბედნიეროდ, ლეტალური შემთხვევა არ ყოფილა. სამაგიეროდ, როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, მხოლოდ თბილისში ერთ წლამდე ბავშვების დაავადების 7000 შემთხვევა დაფიქსირდა. ყველაზე მეტად სწორედ ამ ასაკის ბავშვებში აღინიშნა ვირუსის შედგომი გართულებები. თუმცა, გრიპმა არც უფროსები დაინდო.**

*ლელა ჭანკოტაძე*

**ელენე თუთაშვილი,** *მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:*

— გრიპი ვირუსული წარმოშობის მწვავე ინფექციური დაავადებაა. სახელწოდება წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „გრიპპერ", რაც შებოჭვას, დაჭერას ნიშნავს. ცნობები გრიპის ეპიდემიათა შესახებ უძველეს წყაროებში მოიპოვება. XX საუკუნიდან დღემდე, კაცობრიობამ გრიპის 4 მძიმე პანდემია გადაიტანა: 1889-1890, 1918-1919, 1957 და 1968-1970 წლებში. 1918-1919 წლებში ე.წ. „ისპანკამ" 20 მლნ ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. გრიპის პანდემია ჩინეთში დაიწყო, ევროპაში კი, ამერიკელმა ჯარისკაცებმა შემოიტანეს. აშშ-ის სამხედრო ხელისუფლება ამას საიდუმლოდ ინახავდა, პირველი ცნობები პანდემიის შესახებ პრესაში მაშინ ნეიტრალურმა ესპანელმა გამოაქვეყნა და სწორედ ამის გამო — გრიპის აღნიშნულ სახეობას „ისპანკა" ეწოდა. 1957 წელს ე.წ. აზიურმა გრიპმა 1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გრიპის გავრცელება მსოფლიოში დღესაც პერიოდულად კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს და დიდი პრობლემა ხდება საზოგადოების ჯანმრთელობისათვის. განსაკუთრებით კი ასაკოვანი ადამიანების, ქრონიკული დაავადებებით შეპყრობილი პირებისა და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის.

**— რა გართულება შეიძლება გამოიწვიოს გრიპმა ასაკიან ადამიანებში?**

— გრიპის მძიმე და გართულებული ფორმები სწორედ ხანდაზმული ასაკის ავადმყოფებში გვხვდება, რადგან ამ ასაკობრივ ჯგუფში ხშირია ქრონიკული დაავადება. მძიმე და გართულებული გრიპის დროს შესაძლოა, შემდეგი კლინიკური სიმპტომები: ვირუსული ტოქსიკოზი, ტვინის შეშუპება, ფილტვების შეშუპება, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა და ა.შ.

**ლალი საგინაძე,** *მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პედიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი:*

— ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემების მიხედვით, მწვავე რესპირატორული ვირუსული ინფექციების გავრცელება ძალზე მაღალია და ყოველდღიურად ჩვენი პლანეტის ყოველი მესამე ადამიანი ავადდება. ბავშვები დაბალი იმუნური სისტემის გამო, იოლად ავადდებიან ვირუსით. ინკუბაციური ანუ დაავადების ფარული პერიოდი ხანმოკლეა. დაავადებიდან რამდენიმე საათში ვითარდება კლინიკური სურათი. ჩვეულებრივ, გრიპი მსუბუქი ან საშუალო სიმძიმით მიმდინარეობს. დაავადება იწყება სწრაფად, ტემპერატურის მომატებით 39-40 გრადუსამდე, შემცივნებით, სახსრების, თავისა და კუნთების ტკივილით და ძლიერი სისუსტით. მას შეიძლება დაერთოს გულის რევა და პირღებინება.

**— ბოლო პერიოდში ხომ არ დაფიქსირებულა გრიპით გარდაცვალების შემთხვევები?**

— გრიპით პროვოცირებული სიკვდილიანობა 6%-ს უდრის. ამ შემთხვევებში, სიკვდილის მიზეზი არის არა საკუთრივ გრიპი, არამედ ის გართულებები, რომლებიც გრიპოზულ ინფექციას ახლავს თან. უპირატესად, ხდება ვირუსის გადასვლა სისხლში და სხვა შინაგან ორგანოებში — ელენთაში, ღვიძლში და ა.შ. იცვლება სისხლძარღვთა გამავლობა, რაც ტვინის ქსოვილში ცვლილებებს იწვევს. ასეთ შემთხვევაში, აზრი არა აქვს ანტიბიოტიკების

გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ იწყება ვირუსული მენინგიტი.

— **ე.ი. გრიპის დროს ანტიბიოტიკები არ უნდა გამოვიყენოთ?**

— არ უნდა გამოვიყენოთ. მკურნალობა უნდა დავიწყოთ ანტივირუსული საშუალებით, ძირითადად — ინტერფერონებით. პირველ ეტაპზე, ჩვეულებრივ, ექიმს არ მივმართავთ. ამ დროს ანტიბიოტიკების მიღება საზიანოც კია. მაგრამ მოგეხსენებათ, ექიმობა რთული საქმეა და ძნელია ზღვრის გავლება მათ შორის, თუ სად დამთავრდა ვირუსი და სად დაიწყო შემდგომი გართულება. სათქმელად ადვილია, მაგრამ ავადმყოფის საწოლთან დიფერენცირება რთულდება. ბატონი ვახტანგ ბოჭორიშვილი იტყოდა ხოლმე: როცა იცი 100 დაავადება, მაგარი ექიმი ხარ, როცა იცი 500 დაავადება, ცუდად გაქვს საქმე და ორჭოფობ, როცა იცი 1000 დაავადება, უკვე ძალიან გიჭირს დიაგნოზის დასმა და სულ ყოყმანობო... ეს გამონათქვამი მართლდება გრიპთან დაკავშირებით. როცა იწყება გრიპი, ფილტვები სუფთაა, როცა მოსმენით ფიქსირდება ლოკალობა, მკვეთრი ციანოზი, სუნთქვის გაგრძელება, მატულობს ტემპერატურა და ზოგადი მდგომარეობა უარესდება — ე.ი. დაიწყო შემდეგი გართულებები... ამგვარად, გრიპის ვირუსის დაწყებიდან 3 დღის განმავლობაში არ ვაძლევთ ავადმყოფს ანტიბიოტიკს, ველოდებით, როგორ განვითარდება ვირუსული ინფექცია, ვიყენებთ დიდი რაოდენობით სითხეს და გვყავს იზოლაციაში, რადგან ვირუსი გადადის, როგორც საყოფაცხოვრებო ნივთებით, ასევე ჰაერწვეთოვანი გზით. ვაწვეთებთ ცხვირში ინტერფერონს და ოჯახის სხვა წევრებს მასთან კონტაქტს ვუზღუდავთ. ზოგჯერ მშობლებს ეს არ ესმით და პირველი ნიშნებისთანავე, ძლიერმოქმედ წამლებს აძლევენ შვილებს.

— **როცა ჩვილი ბუნებრივ კვებაზეა და დედა ვირუსით დაავადდა, როგორ უნდა მოვიქცეთ ასეთ შემთხვევაში?**

— არამც და არამც არ უნდა მოვაცილოთ ბავშვი ძუძუს. ერთადერთი, რაც დედამ უნდა გააკეთოს, იხმაროს აირწინაღი და განსაკუთრებულად დაიცვას სანიტარიული წესები: ძუძუ ხშირად გაიწმინდოს და მოიბანოს.

— **მარტში ბევრმა პაციენტმა თუ მოგმართათ?**

— წინა წლებთან შედარებით ძალიან მოიმატა გართულებული შემთხვევების რაოდენობამ. წელს ვირუსი უფრო ვერაგი აღმოჩნდა. ძალზე ხშირად გვხვდება ენტეროვირუსი. უამრავი ბავშვი შემოჰყავდათ. შარშან ასეთი მძიმე მდგომარეობა არ იყო, თუმცა მაშინ ლეტალური შედეგები დაფიქსირდა. წელს ამ მხრივ, გადავრჩით.

— **ექიმები ალბათ, ხშირად ლაპარაკობთ იმაზე, თუ რა არის ვირუსების ასეთი გააქტიურების მიზეზი. თქვენი დაკვირვებით, ეს მოხდა ქალაქის დაბინძურების გამო?**

— მას შემდეგ, რაც პენიცილინი და ანტიბიოტიკები გაჩნდა, ვირუსებმა და ინფექციებმა „ეშმაკობის“ უნარი შეიძინა — ანტიბიოტიკებთან ბრძოლის უნარი გამოიმუშავა. ამგვარად, ჩამოყალიბდა XX საუკუნის მედიცინისთვის ყველაზე სახიფათო დაავადება — ანტიბიოტიკორეზისტენტობა. მასთან საბრძოლველად, ბოსტონში შეიქმნა ანტიბიოტიკების კეთილგონივრული გამოყენების ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენლობა საქართველოშიც გაიხსნა. მე გამგეობის წევრი გახლავართ. საკმაოდ დიდ მუშაობას ვატარებთ, რომ რეცეპტების გარეშე არ გაიცეს ანტიბიოტიკები. არსებობენ ადამიანები, რომლებიც თვითნებურად იღებენ ისეთ ძლიერ ანტიბიოტიკებს, როგორიც ციპროფლოქსაცინია. ეს შეიძლება ანტიბიოტიკორეზისტენტობის მთავარი გამომწვევი გახდეს. ამ პრეპარატით მკურნალობა იმას ჰგავს, ჩიტს, საფანტის მაგივრად, ზარბაზანი რომ ესროლოთ.




— **რა ეფექტური საშუალებები არსებობს გრიპის სამკურნალოდ?**

**სალომე დიდებაშვილი,**
*პედიატრი:*

— მკურნალობა აუცილებლად ექიმის მეთვალყურეობით უნდა განხორციელდეს. გართულებული გრიპის შემთხვევაში, აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია, წოლითი რეჟიმი. განსაკუთრებით კი — ცხელების პერიოდში ავადმყოფმა უნდა მიიღოს დიდი რაოდენობით — დღეში 3 ლიტრამდე სითხე. კარგია რძე, გაზგასულ „ბორჯომთან“ ერთად, ასევე — ჩაი ჟოლოს მურაბით და თაფლით. თუ ცხვირიდან ძლიერი გამონადენია, ორივე ნესტოში ჩაიწვეთეთ ნაფტიზინი, გალაზოლინი და სანორინი, ყველაზე ეფექტურია ეფედრინის 2-3%-იანი ხსნარი.

— **ბოლო დროს ვაქცინაციის რეკლამირება ხდება.**



## ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

გოჩა ღვალიძის
**უბის წიგნაკიდან:**

21. „მოსკოვში სასტუმროში არ ვცხოვრობ. 30 წელია, იური როსტის ბინის გასაღები მიდევს ჯიბეში“, — ჰყვებოდა მოსკოვიდან პირდაპირ ეთერში ჩართვისას გოგი ხარაბაძე.

22. კომპოზიტორ დომენიკო ჩიმაროზას ოპერის — „საიდუმლო ქორწინების“ პრემიერას მაყურებელი ისეთი მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა, რომ საოპერო დასი იძულებული გახდა, ბისზე კიდევ ერთხელ შეესრულებინა ოპერა.

23. „იგი ხარბი კაპიტალისტი და ამავდროულად, გულწრფელი კომუნისტია. მისი გმირები მზად არიან, კაცი მოკლან იდეის გულისათვის, თავად კი ჭიანჭველასაც ვერ დაადგამს ფეხს“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი ბერნარდ შოუს შესახებ.

24. III ჯვაროსნული ლაშქრობის დროს ინგლისის მეფე, რიჩარდ I პალესტინაში, ციხესიმაგრე აკრას მისადგომებთან ტიფით დაავადდა. სიკვდილის პირას მყოფმა მეფემ პირისპირ შეხვედრა სთხოვა სულთან სალადინს, რადგან მტკიცედ სწამდა, რომ ადამიანების დარწმუნების დიდ ძალას ფლობდა. მაგრამ სალადინმა უარი განაცხადა: იგი მოსალაპარაკებლად არ შეხვდებოდა იმ ადამიანს, ვის მოკვლასაც ბრძოლაში აპირებდა. რაინდული სულისკვეთების მქონე სულთანმა დასნეულებულ რიჩარდს ხილი გაუგზავნა და გამოჯანმრთელება უსურვა. რიჩარდი გაჯანსაღდა, აკრა აიღო და სარკინოზთა სისხლით მორწყო ქალაქის ქუჩები. სწორედ ამ ბრძოლის შემდეგ უწოდეს ინგლისის მეფეს ლომგული.



25. რუსული ნაციონალური მენტალიტეტი მიხაილ ზადორნოვის უსაყვარლესი თემაა. რუსებისა და უცხოელთა ცნობიერების შესადარებლად, სატირიკოსს ასეთი მაგალითის მოყვანა უყვარს: „ერთხელ, როცა ამერიკის ერთ-ერთ სუპერმარკეტში შუქი ჩაქრა, ატყდა საშინელი პანიკა. გაისმა შეძახილები: თავს უშველეთ, ტერორისტებმა შენობა აიღესო და ხალხმა გასასვლელისკენ იხუვლა. მსგავსი რამ მოხდა ბელგოროდშიც, იმ განსხვავებით, რომ აქ ხმა არავის ამოუღია, არც ადგილიდან მოუცვლია ვინმეს ფეხი — სიბნელეში მხოლოდ პირის გამალებული წკლაპუნი ისმოდა. ლამის სამუზეუმო ეგზემპლარად იქცა ერთი ძეხვი, რომელიც შუქის ანთების შემდეგ, ოთხი მხრიდან აღმოჩნდა მოკბეჩილი. ხალხმა ათ წუთში ისეთი რაოდენობის პროდუქციას გაავლო მუსრი, რომ სუპერმარკეტი მინიმარკეტად გადაიქცა“.

**რამდენად ეფექტურია გრიპის ვაქცინაცია? და თუ ასეა, რატომ არ არის ის შეტანილი სავალდებულო აცრების ცხრილში?**

— ვაქცინაცია სასურველია. სავალდებულო აცრებისგან განსხვავებით, ვაქცინაცია სახელმწიფო პროგრამით არც სხვა ქვეყნებში ფინანსდება. რუსეთში 90-იანი წლებიდან დაიწყო გრიპის ვაქცინაცია და შედეგიც მიიღეს. ეს აცრა არ არის რეკომენდებული მთელი მოსახლეობისთვის, რადგან ამის შედეგად, ორგანიზმი მხოლოდ 6 თვის განმავლობაშია დაცული. აცრის დროს გრიპი მიმდინარეობს მსუბუქი სახით, გართულებების გარეშე, ამიტომ ჯობს, ავცრათ ბავშვები და მოხუცები. საერთოდ, გრიპის პროფილაქტიკის მიზნით, ძირითად ღონისძიებას თავშეყრის ადგილებისთვის თავის არიდება წარმოადგენს. თუ ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაავადდა, სხვებმა 4-ფენიანი დოლბანდი უნდა ატარონ, ხშირად გაანიავონ ოთახი და მოასუფთავონ იგი სველი წესით.

*გრიპის ვირუსის წინააღმდეგ ჰომეოპათები ტრადიციულ და ბუნებრივ საშუალებებს გვირჩევენ. 1 წლამდე ასაკის ბავშვების საწოლთან თურმე ნივრის რამდენიმე კბილის დადება აუცილებელი, შემდეგი წესით: გაახვიეთ გარჩეული ნიორი თხელ დოლბანდში და ჩამოკიდეთ აკვანზე ან საწოლზე. მოზრდილებმა 1 ჭიქა ცხელ წყალში გახსენით 1 ჩ/კ მარილი და დღეში რამდენჯერმე გამოივლეთ. მარილი შეგიძლიათ შეცვალოთ ვაშლის ძმრით და თაფლით. როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრში აცხადებენ, ვირუსის გავრცელების პიკმა უკვე გადაიარა და კლების ტენდენცია დაიწყო. ასე რომ, რთული და დასნეულებების თვალსაზრისით ყველაზე საშიში პერიოდი უკვე გადავლახეთ.*

■



**თუ ოჯახის ერთ-ერთი წევრი დაავადდა, სხვებმა 4-ფენიანი დოლბანდი უნდა ატარონ**



***რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი***

# ქლამიდიოზი

**ქლამიდიოზით ავადობის შემთხვევები სულ უფრო და უფრო მატულობს. ამის მიზეზი კი, ახალგაზრდობის სქესობრივი „თავისუფლება“, სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყება, ქორწინების გარეშე ურთიერთობები და მოსახლეობაში, საერთო იმუნიტეტის დაქვეითება გახლავთ.**

**სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სქესობრივი გზით გავრცელებული დაავადებების ძირითადი მსხვერპლნი, 20-30 წლის ადამიანები არიან: ქალები, მამაკაცებთან შედარებით, ხუთჯერ უფრო ხშირად ავადდებიან. ასეთ დაავადებათაგან ერთ-ერთი ყველაზე საშიში — ქლამიდიოზია, რომლის დიაგნოსტირება და მკურნალობა საკმაოდ რთულია.**

## რატომ არის ვერაგი ეს პათოლოგია?

ინფექციის შემავალ კარს შარდ-სასქესო სისტემა წარმოადგენს. ორგანიზმში მოხვედრილ ქლამიდიებს შეუძლიათ დასახლდნენ: თვალის კონიუნქტივაში, ურეთრაში (შარდსადენში) საშვილოსნოს ყელში, ცხვირ-ხახისა და სწორი ნაწლავის ლორწოვანში. ამ მიკროორგანიზმთა შეჭრის შემჩნევა საკმაოდ რთულია, რადგან სიმპტომები ხშირად სუსტადაა გამოხატული. ადამიანს მხოლოდ უსიამოვნო შეგრძნებები და დისკომფორტი აქვს, რომელთა მიზეზს ვერ ხვდება. მხოლოდ მეტისმეტად ყურადღებიანი მამაკაცი აქცევს ყურადღებას მოთეთრო ფერის, არაჩირქოვანი ხასიათის გამონადენს დილით მოშარდვის დროს, აგრეთვე უმნიშვნელო ქავილსა და ტკივილს საზარდულსა და სათესლე პარკის მიდამოებში. ქალებში კი ვითარდება ე.წ. ენდოცერვიციტი (საშვილოსნოს ყელის ლორწოვანის ანთება), რომელიც ლორწოვანი გამონადენით, წვის შეგრძნებით, ქვედა მუცლის ტკივილითა და მენსტრუალური ციკლის დარღვევით გამოიხატება.

ქლამიდიოზი ხშირად ხდება უნაყოფობის მიზეზი. ორსულის ინფიცირებას ნაადრევ მშობიარობამდე და მენჯის ორგანოების ანთებამდე მივყავართ. გამომწვევი პატარებსაც გადაეცემა. არსებობს ასეთი ცნებაც კი: „ქლამიდიური ოჯახი“ — როცა ოჯახის ყველა წევრი, მათ შორის ბავშვებიც კი, ამ მავნე მიკროორგანიზმების მატარებლები ხდებიან.

ქლამიდიოზით დაავადებული დედის მიერ გაჩენილი ბავშვები ხშირად ავადდებიან პნევმონიით, სიცოცხლის პირველ თვეებში აღენიშნებათ თვალების სერიოზული ინფექციები. შემდგომში კი, ფილტვებისა და სახსრების შეუქცევადი ცვლილებები უვითარდებათ. დადგენილია ბაქტერიის გავლენა იშემიისა და ათეროსკლეროზის განვითარებაზე. ქლამიდია ხშირად ცისტიტისა და პიელონეფრიტის მიზეზი ხდება.

ზოგჯერ, განსაკუთრებით მამაკაცებში, ერთდროულად ან თანამიმდევრულად ზიანდება შარდ-სასქესო ორგანოები, სახსრები და თვალები, რაც ინვალიდობის მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

ქლამიდია დიდი ხნის განმავლობაში „უჩუმრად“ ცხოვრობს მასპინძლის ორგანიზმში ისე, რომ ავადმყოფს ეჭვიც არ უჩნდება ინფექციის არსებობაზე. როცა გარკვეული ჩივილები ეწყება, მიდის ოკულისტთან, რევმატოლოგთან და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ხვდება ვენეროლოგთან. ქალებში ქლამიდიოზს სრულიად შემთხვევით აღმოაჩენენ ხოლმე, ორსულობისწინა ან ორსულობის პერიოდში ჩატარებული გამოკვლევებისას.

## თვითმკურნალობა დაუშვებელია!

დაავადება განკურნებადია. ქლამიდიებთან ბრძოლა კომპლექსურია — ანტიბიოტიკების, იმუნომოდულატორებისა და ფიზიოთერაპიის გამოყენებით. ქლამიდიის ზრდისა და განვითარების პერიოდი დიდი არ არის — 48-72 საათია, მაგრამ პარაზიტის აღმოჩენა და მასზე ზემოქმედება მხოლოდ მისი გამრავლების პერიოდშია შესაძლებელი, ხოლო მაშინ, როცა ქლამიდიები სისხლის ნაკადთან ერთად გადაადგილდება და ახალ უჯრედებს ასნებოვნებს, აგრესორის პოვნა და განადგურება პრაქტიკულად, შეუძლებელია. ვირუსების მსგავსად, ქლამიდიები ამ მომენტში დაცულია ყველაზე მძლავრი წამლების მოქმედებისგანაც კი.

ექიმები ორიენტაციას იღებენ ბაქტერიის განვითარების „ცივ“ ფაზაზე და ამ პერიოდში ნიშნავენ ისეთ ანტიბიოტიკებს, რომლებიც დაზიანებულ უჯრედებში შეღწევისა და იქ ინფექციის ბლოკირების ეფექტს ახდენენ. ასეთია ტეტრაციკლინი, მაკროლიდები და ქინოლონები.

გაურთულებელი ქლამიდიოზის დროს ინიშნება დოქსიციკლინი — 10 დღის განმავლობაში. მაკროლიდებიდან ქლამიდიაზე მოქმედია მხოლოდ ანტიბიოტიკი აზიტრომიცინი (სუმამედი). ნაკლებად ეფექტურია ერითრომიცინი, თუმცა მისი უპირატესობა ისაა, რომ უსაფრთხოა ორსული ქალებისათვის.

ანტიბიოტიკებით თვითნებურად მკურნალობა დაუშვებელია, რადგან ამგვარად ინფექცია შიგნით ვრცელდება და მასთან ბრძოლა სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მკურნალობის კურსი მხოლოდ ექიმმა უნდა შეარჩიოს.

მკურნალობისას და მისი დამთავრებიდან ერთი კვირის განმავლობაში პაციენტმა თავი უნდა შეიკავოს სქესობრივი კონტაქტისაგან, რათა არ იქცეს ქლამიდიოზის გამავრცელებლად. მხოლოდ საკონტროლო ანალიზებით დგინდება, განიკურნა თუ არა ადამიანი და ამის შემდეგ ეძლევათ მასა და მის პარტნიორს ცხოვრების ჩვეულ რიტმზე გადასვლის საშუალება.

■

# შეიძლება თუ არა ყავა ორსულებისთვის?

**დანიის ჯანდაცვის ინსტიტუტის მედიკოსებმა დაამტკიცეს: ყავის სმა შეიძლება. დღეში 3 ფინჯანი ყავა არანაირ ნეგატიურ ზემოქმედებას არ ახდენს არც მომავალი დედის ჯანმრთელობაზე, არც მშობიარობის დაწყების ვადაზე და არც ნაყოფზე. დანიელი ექიმები ყავაზე შეყვარებულ 1207 ორსულ ქალს აკვირდებოდნენ.**



აღნიშნული შეკითხვა ორსული ქალებისა და ექიმებისათვის მრავალი წლის წინ იქცა ინტერესის საგნად. სხვადასხვა კვლევა სხვადასხვაგვარ პასუხს იძლეოდა. ერთ-ერთი სამეცნიერო გამოკლევის თანახმად, ყავის მიღება შეიძლება, ნაადრევი მშობიარობისა და ნაყოფის მასის შემცირების მიზეზი გახდეს. დანიელ მეცნიერთა ფართომასშტაბიანმა კვლევამ ამ ეჭვებს „საბოლოოდ“ წერტილი დაუსვა.

ექსპერიმენტში მონაწილე მომავალი დედები 2 ჯგუფად დაყვეს: პირველი ჯგუფის წევრები ჩვეულებრივ ყავას სვამდნენ, მეორის კი — უკოფეინოს. თავად ქალებმა არ იცოდნენ, თუ ვინ რომელს მიირთმევდა.

„ჩვენ, ფაქტობრივად, ვერანაირი განსხვავება ვერ აღმოვაჩინეთ ახალშობილთა საშუალო წონასა და დაბადების ვადას შორის საკვლევ ჯგუფებში. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა მიღებული ყავის რაოდენობა დღეში 3 ფინჯანი იყო,“ — განაცხადა კვლევის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელმა, დოქტორმა ბოდილ ჰამერ ბეჩმა და დასძინა: — „თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არ ვურჩევთ ქალბატონებს, ორსულობისას ამ სასმლით მეტისმეტად გატაცებას, რადგან დადგინდა, რომ დღეში 8 ფინჯანზე მეტი ყავის მიღება მკვდრადშობადობის რისკს საკმაოდ ზრდის“.

## ყავა — მამაკაცთა გამელოტების საწინააღმდეგო იარაღი

ყავას მამაკაცთა სიმელოტის მკურნალობა შეუძლია — იტყობინებიან ბრიტანელი მეცნიერები. მათ აღმოაჩინეს, რომ ყავა უვნებელყოფს თმის ფოლიკულების დამაზიანებელ ნივთიერებას და ასტიმულირებს ახალი თმის ზრდას. თუმცა დადგინდა, რომ შესამჩნევი ეფექტის მისაღებად, დღეში 60-მდე ფინჯანი ყავის დალევაა საჭირო, რაც, რაღა თქმა უნდა, არარეალურია. ამიტომ მეცნიერები მომავალში კოფეინის შემცველი სამკურნალო შამპუნის გამოშვებას გეგმავენ. ■



## სასარგებლოა ვიტამინები და... მამა

ბრიტანელი მეცნიერები იტყობინებიან, რომ ორსულობის პირველი 3 თვის განმავლობაში, აბორტის განვითარების ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს ხილის, ბოსტნეულის, ფოლიუმის მჟავისა და მულტივიტამინების საჭირო რაოდენობით მიღება. ამ თვალსაზრისით, ასევე სასარგებლოა რძის პროდუქტები, ყველი და შოკოლადი. ორსულობის თვითნებურად შეწყვეტას კი, ხელს უწყობს ორსულის მცირე წონა და ქალის გვერდით ბავშვის მომავალი მამის არყოფნა. ■

## ლაბორატორიაში შექმნილი კანი

ცინცინატის (აშშ) ბავშვთა ჰოსპიტლის მეცნიერებმა ლაბორატორიაში კანის გაზრდის ახალი ტექნოლოგია შეიმუშავეს. პაციენტის კანის უჯრედები, გენური ინჟინერიის მეთოდით დაამუშავეს, კოლაგენურ მატრიცაზე მოათავსეს და საკვები ნივთიერებებით „კვებავდნენ“. ამის შედეგად, კანის ანათალი თითქმის 100-ჯერ გაიზარდა. ახალი ტექნოლოგია შესაძლებელს გახდის, გაცილებით ეფექტურად ვუმკურნალოთ დამწვრობებს და აგრეთვე გამოყენებას პოვებს პლასტიკურ ქირურგიაში. ■

## ტელევიზორი და კომპიუტერი ბიჭებს ვნებს

კანადელი მეცნიერები ამტკიცებენ, ბიჭებში უფრო მეტია ჰიპერტონიის განვითარების რისკი, ვიდრე გოგონებში. ეს იმ თავისებურებებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ბიჭების სქესობრივი მომწიფების პერიოდში ჰორმონულ ფონს ახასიათებს. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ბიჭების მშობლებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ შვილების ჯანმრთელობას, აკონტროლონ მათი არტერიული წნევა და უფრო სერიოზულად მოეკიდონ რისკ-ფაქტორებს. არტერიული წნევა არასაკმარისად აქტიური ცხოვრების წესის დროს მატულობს. რაც უფრო მეტხანს უყურებს მოზარდი ტელევიზორს, თამაშობს კომპიუტერზე ან „მოგზაურობს“ ინტერნეტში, მით მეტია ადრეული არტერიული ჰიპერტონიის განვითარების ალბათობა. ■

● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
გამოიწერეთ!
და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ. ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. Акушерство и гинекология | 11.50 | 34.50 |
| 2 Журнал неврологии и психиатрии | 14.00 | 84.00 |
| 3 Кардиология | 14.00 | 84.00 |
| 4 Клиническая лабораторная диагностика | 12.00 | 72.00 |
| 5 Клиническая медицина | 11.00 | 66.00 |
| 6 Стоматология | 25.20 | 75.60 |
| 7 Хирургия | 14.00 | 84.00 |

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები
პრესის გავრცელების სააგენტო
ტელ: 42-43-40; 38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.

## ფონდის საჩუქრები

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. არლეკინი, პიერო, ტარტალია, პანტალონე, ბრიგელა, პულჩინელა — ვინ ჩამოვთვალეთ ამწუთას?
2. დაასახელეთ რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 1-ზე, 2-ზე, 3-ზე, 4-ზე, 5-ზე, 6-ზე, 7-ზე, 8-ზე, 9-ზე და 10-ზე.
3. რა არის შორენკეცი?
4. რა არის ჩიხრიხი?
5. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, შარლ ტალეირანმა ერთხელ დავალება მიიღო — რადაც უნდა დასჯდომოდა, გადადგომაზე დაეყოლიებინა დირექტორიის წევრი პოლ ბარასი. ამ წინადადებას ბარასი მოულოდნელად ძალზე ადვილად დათანხმდა. გახარებულმა ტალეირანმა მას ხელები დაუკოცნა. რა იყო მისი სიხარულის ჭეშმარიტი მიზეზი?
6. ვინ არის ჩავლადარი?
7. ვისი პორტრეტები იყო გამოსახული ნაპოლეონის გვირგვინზე?
8. ვინ არის მწდე?
9. დეტროიტის ერთ-ერთ კინოდარბაზში ყველა სავარძლის ზურგზე პატარა ვაზა კიდია, რომელშიც ქათმის ბუმბული დევს. რა დანიშნულება აქვს ამ ბუმბულს?
10. რა არის ქსენოფობია?
11. რა ჰქვია საქონლის დამკვლელს?
12. რას ნიშნავს ნანდაური?
13. რუსი პოეტის, სამუილ მარშაკის მასწავლებელი სტასოვი იგონებდა: პარიზში ყოფნისას ერთ-ერთ კაფეში მაღალი, წარმოსადეგი მოხუცი შემოვიდა და ყველას მიესალმა. კაფეში სიჩუმე ჩამოვარდა. სალამზე არავის უპასუხია. გაბრაზებული მოხუცი მიბრუნდა და კარი გაიჯახუნა. — „ვინ იყო?“ — იკითხა სტასოვმა. რა უპასუხეს მას?
14. ვინ დაადგინა მეცნიერულად არყის ოპტიმალური სიმაგრე — 40 გრადუსი?
15. ვისი დახმარებით თარგმნა ივანე მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“?

# ანეკდოტები

***

— ბრალდებულო, რატომ მოჰპარეთ დაზარალებულს საათი?

— არ მომიპარავს, თვითონ მომცა.

— როდის?

— როცა იარაღი ვაჩვენე.

***

— ბებია, რატომ კიდია ჩვენს სახლში ყველგან თვალის სურათი?



— იმიტომ რომ ბაბუაშენი ოკულისტი იყო.

— მდაა... ისე, მაგრად გაგვიმართლა, გინეკოლოგი რომ არ იყო.

***

— მართალია, რომ შენ და სარა აღარ ქორწინდებით?!

— მართალია.

— ვერ უთხარი, რომ მილიონერი ბიძა გყავს და მთელ ქონებას შენ გიტოვებს?!

— ვუთხარი და სამ დღეში ჩემი ბიცოლა გახდა.

***

ქმარი მიდის შვებულებაში და ცოლს რობოტს დაუტოვებს.

— როცა სექსი მოგინდება, კოწიას დაუძახე და მაშინვე მოვა.

გავა ცოტა ხანი, ცოლი დაუძახებს კოწიას და ისიც იწყებს თავისი მოვალეობის შესრულებას — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... დაღლილი ქალი გამწარებით ყვირის:

— მეზობლებო, მიშველეთ, ვინმემ კოწიას დაუძახეთ!..

ერთი კვირის შემდეგ ქმარი მივლინებიდან ბრუნდება და ხედავს, ხეზე შეიარაღებული კაცი ზის.

— მანდ, რა გინდა? — ეკითხება ქმარი.

— ჩუმად, ქალაქში კოწია დადის!

***

მოსამართლე მომჩივანს ეუბნება:

— ამიხსენით საქმის არსი.

— ესე იგი, შემათრია ამან საწოლში და სასტიკად შეურაცხმყო.

— თავისი ქმედებით?

— რავა გეკადრებათ, ბატონო, თავისი უმოქმედობით!

***

გურული გამოვა სახლიდან და ყვირის:

— ვინ დაკარგა ათი ლარი?

— მე დავკარგე, ძამა, — ეუბნება მეორე გურული.

— მერე, ჩემგან რა გინდა, თუ დაკარგე, წადი და მოძებნე.

***

— ცოლი მოვიყვანე, ნამდვილი განძია! — ეუბნება გახარებული ჭიჭიკია ბიჭიკიას.

— მერე, რა გიხარია, შე უბედურო, მაქედან მხოლოდ 25%-ია შენი, დანარჩენი სახელმწიფოს ეკუთვნის!

***

— ექიმო, მხედველობა გამიფუჭდა.

— რაზე ატყობ?

— აი, აგერ, მაგიდაზე ორი ბუზი რომ ზის, ხომ ხედავ, ექიმო?

— ვხედავ.

— მე კი ვერ ვხედავ.

***

— რატომ ხარ დაღონებული, ვლადიმიროვიჩ?

— აპა, რა დამემართება, სიდედრი ჩამომივიდა სოფლიდან და ცოლმა მითხრა: გაასეირნე სადმე, ცოდვაა, ქალაქი დაათვალიერებინეო. მეც ავდექი და ზოოპარკში წავიყვანე.

— მერე?

— არ დაიტოვეს, არაფრით!..

***

— სად მიხვალ, ბიჭო, „ბატარეით“, ამ ღამეში?

— საცოლეს ვხვდები, ერასტი ბიძია, ღამის ათ საათზე.

— მერე, ფარანი რად გინდა, ბიძიკო? რა ახალგაზრდობა მოდის! მე რომ ჩემს საცოლეს შევხვდი პირველად, ისე ბნელოდა, ძლივს ვხედავდით ერთმანეთს.

— იმიტომაც შეგხვდა ჰოლივუდის ვარსკვლავი.

***

— ბებიაჩემი 60 წლის იყო, დღეში სამი კილომეტრის გავლა რომ დაიწყო ფეხით. ახლა იგი 97 წლისაა და



M K

კაციშვილმა არ იცის, სად არის.

***

— ისეთ მცირე ანაზღაურებას მთავაზობთ, შეიძლება, ცოლიც ვერასდროს შევირთო! — შესჩივის ვაკანსიის მაძიებელი შეფს.

— მესმის თქვენი, — ღიმის უფროსი, — არადა, მოვა დრო და შეიძლება, ამისთვის მადლობაც გადამიხადოთ.

***

განცხადება სვანებისთვის: „გვჭირდება მუშები სამუშაოზე სამუშაოდ. ანაზღაურება ფულით“.

***

მეთაურმა ოცეული ხაზზე გაჭიმა.

— რიგითო გიორგაძე, გამოდი მწყობრიდან!

გიორგაძემ გონწასულივით მოადინა ბრაგვანი.

— რა მოუვიდა?

— მწყობრიდან გამოვიდა, პატივცემულო!

***

— ალო, კოწია ხართ, ხანთაძე?

— დიახ, ბატონო.

— თქვენი ცოლი ჩვენ გავიტაცეთ, ჯერ კიდევ ცოცხალია.

— გასაგებია, რა არის საჭირო?

— სამი ათასი დოლარი სალამომდე, თორემ ხვალ დილით უკან დაგიბრუნებთ.

***

დედა აღვიძებს შვილს:

— ადექი, შვილო, სკოლაში გაგვიანდება.



— დედი, არ მინდა სკოლაში. იქ ისეთი საზიზღარი ბავშვები არიან და მასწავლებლებიც ისეთი აუტანლები, რომ მათი დანახვა აღარ შემიძლია.

— რას იზამ, შვილო, მაინც უნდა წახვიდე, შენ ხომ დირექტორი ხარ.

***

მწერები ფეხბურთს ეთამაშებიან ცხოველებს და ოცდაათით ნულს აგებენ. ამ დროს მოედანზე ორმოცფეხა გამორბის და 60 ბურთი გააქვს. მწერებმა მატჩი მოიგეს. დაღლილი თანაგუნდელები ორმოცფეხას ეკითხებიან:

— აქამდე სად იყავი?

— ბუცებზე თასმებს ვიკრავდი!

***

ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში ოპერაციას აკეთებენ. პაციენტი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, ფეხს ხომ არ დავკარგავ?

— გააჩნია, სად შეინახავ.

***

რაინდი მეფესთან მიდის:



— ჩემი დაპირება შევასრულე, აგერ დრაკონის თავი. ახლა თქვენ შეასრულეთ დანაპირები!

— კი, ბატონო, აგერ პრინცესას ხელი.

***

მეტროში, პიკის საათის დროს:

— გოგონი, ასე ნუ მეხუტებით, თორემ მე, როგორც პატიოსანი კაცი, იძულებული გავხდები, ცოლად შეგირთოთ.

## ტვინის სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (პასუხები)

1. იტალიური ნიღბების კომედიის — „დელ არტეს“ პერსონაჟები.
2. 2520.
3. „კაფელი“ და „შორენკეცი“ სინონიმებია.
4. ბამბის კურკის გამოსარჩევი მოწყობილობა (ბამბასაც აქვს თავისი კურკა).
5. მას შესაძლებლობა მიეცა მიეთვისებინა ბარასის მოსასყიდად გამოყოფილი თანხა.
6. ადამიანი, რომელიც ცხენებს ქირაზე ატარებს.
7. მსოფლიოს გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები.
8. „მწდე“ და „მერიქიფე“ სინონიმებია.
9. ერთი მხრივ, პრაქტიკული და მეორე მხრივ, გასართობი დანიშნულება აქვს: მისი დახმარებით მაყურებელი ცხვირში ულიტინებს კინოსეანსის დროს ჩაძინებულ და მხვრინავ მეზობელს.
10. უცხოელების შიში.
11. სალახი.
12. საყვარელ, სასურველ ადამიანს.
13. „დანტესი!“ (პუშკინის მკვლელი).
14. მენდელეევმა.
15. ილია ჭავჭავაძის.

ჩვენი ფოტო გალერეა



ბრაზი გაფილტრე, ბიჭო...




დასაწყისი იხ. „გზა“, №3

გაგა ვაჩნაძე

ქალი დაეჭვდა — ხომ არ მოვკალიო?! — მივიდა და მაღლიდან დააცქერდა. უჩამ თვალები მისკენ მიაბრუნა და სვეტა დამშვიდდა.

— დედა მინდა... — ამოიჩურჩულა ვაჟმა.

— დედიკო? — შაყირის ხასიათზე დადგა სვეტა.

— არა, დედა! — გაიმეორა ვაჟმა. — ვერ ვტოკდები, მგონი, ტვინი გადმომივიდა თავიდან.

— ტვინი გადმოგივიდა? შე-ენ? — განაგრძო შაყირი სვეტამ. — გქონდა, რომ?..

— მე არ ვხუმრობ, დედა მინდა: დედაჩემი ექიმია, — თქვა უჩამ და თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— ტირი? — ალბათ, უკანასკნელი ათ წელი, ასე არაფერი გაჰკვირვებია სვეტას.

— ჰო, იმიტომ რომ ვკვდები, — თქვა ვაჟმა.

— კვდები კი არა... აბა, მაჩვენე! — უთხრა სვეტამ და პირსახოცი ფრთხილად ააცალა... და სვეტას თვალებს მართლაც, საშინელი რამ წარმოუდგა: ბიჭს მუშტისხელა კოპი აჯდა, გარშემო კი, შედედებული სისხლის დიდი კოლტი გასჩენოდა. გრძელი, ქალივით თმაც მთლად ბუნდოვანს ხდიდა ჭრილობის სიღრმე-სიდიდეს. ასე რომ, სვეტა ცოტა დაფეთდა კიდეც.

— იწექი, არ გაინძრე, დედას მოგიყვან, — დაჰპირდა და დერეფანში გავიდა.

...როცა ქალბატონ მარიამს დაურეკეს, შენს შვილს თავი აქვს გაჩეხილი და სასტუმროს ამა და ამ ნომერში წევსო, რადგანაც შვილის „სიცელქის“ ამბავი კარგად მოეხსენებოდა, ბევრად უარესი იფიქრა და თავისი თეთრი თმის წეწვა-გლეჯით და კივილით მივარდა სასტუმროში.

— დედუუ! — დაიყვირა მან, როცა შვილის თავზე გაჩენილ უზარმაზარ კოპსა და ჭრილობას დახედა. — მომკალით! — ამის ამოთქმაც მოასწრო და, ბავშვთა პედიატრი მარიამ ლაკერბაია, სვეტას მკლავებში გულწასული ჩაესვენა...

ხომ საოცრად კომიკურ სიტუაციას ჰგავს ეს ყოველივე, მაგრამ ხშირად, ბევრად მწვავე სიტუაციაში ამაზე უარესადაც იქცევიან ჩვენი საყვარელი თანამემამულენი... უჩას კი, ნამდვილად ცუდად ჰქონდა საქმე. დედის კივილზე თვალები რომ მილულა, მთელი ათი დღე აღარც გაუხელია... დიახ, მეათე დღესღა გაახილა თვალი, თბილისში, „არამიანცის“ საავადმყოფოში. არც ერთი ექიმი არ ჰკიდებდა ხელს. ბოლოს მიშა გვარამიამ, ისევ მისი მხარის წარმომადგენელმა გარისკა და კეფა დამსხვრეული, დანაკუწებული ძვლებისგან გაუთავისუფლა. უჩა გადარჩა და რადგან ელიზბარ თელია მისი ღვიძლი დეიდაშვილი იყო, როგორც კი ლაპარაკი შეძლო, ის, რაც ახსოვდა, სწორედ მას მოუყვა. არ ვიცი, დაიჯერებთ თუ არა, მაგრამ იცით, რა ახსოვდა? თითქოს „მარშრუტკაში“ იჯდა, რომელიც ზუგდიდიდან მარტვილში მიდიოდა, მოძრავი მანქანის კარი გაალო და გადახტა. სხვა არაფერი ახსოვდა... როდის და რატომ გაჩნდა მის ტვინში ასეთი ჰალუცინაცია, არავინ იცის... ცრუობდა, რომ სვეტა გადაერჩინა? და იმასთან ერთად, გამომძიებელი ლერი კაპანაძეც?.. თუ უბრალოდ, დაჭერის შეეშინდა?.. არავინ იცის, რადგან იმას, თუ როგორ მოხვდა თავგაჩეხილი უჩა ურიდია სასტუმროს ლუქსში, მთელ იმ შემოგარენში ვერავინ გეტყოდათ... ხოლო მისი მონაყოლის გამო, ელიზბარმა დაასკვნა, რომ ბიჭს ტვინთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში ვერ უნდა ჰქონოდა, რაც ძალიან კარგი იყო, რადგან თუ ვინმე იჩივლებდა, მომავალ გართულებებს თავიდან აიცილებდნენ.

მანამდე კი ე.ი. უჩასა და ელიზბარის შეხვედრამდე, მოვლენები ასე განვითარდა.

გახსოვთ, ალბათ, ქალის გამო ნაჟეჟმა ლერი კაპანაძემ ძილის წამალი რომ გადაყლურწა. რა გგონიათ, მერამდენე დღეს გამოიღვიძა?.. ზუსტად მეოთხე დღეს და პირველად, რატომღაც, საწოლის ქვეშ შეიხედა და ხელი მოაფათურა. სვეტამ, რომელიც იმ დროს ნომერში იმყოფებოდა და მაგარი შეშფოთებული ბრძანდებოდა გამომძიებლის ამ სიგრძე სალათას ძილის გამო, რა თქმა უნდა, შეეკითხა — თუ რას ეძებდა საწოლქვეშ.

— ჩანთას ვეძებ... სად წავიდა? — უპასუხა გამომძიებელმა, რომელიც უცნაურად ქანაობდა, ვერც თავს იჭერდა, ვერც ტანს და თვალებზეც თითქოს ლიბრი გადაჰკვროდა.

— რომელ ჩანთას? — შეეკითხა გაკვირვებული სვეტა, რადგან კარგად ახსოვდა, რომ როცა გამოეცხადა, კაცს არავითარი ჩანთა არ სჭერია ხელში.

— ფული რომ იყო შიგ, ჩემი ფული, მილიონი... — თქვა თვალებდაბრეცილმა ლერიმ, ბალიშზე მიესვენა, თავისი დაბრეცილი თვალები მილულა და ისევ დაიძინა.

— ეჰე-ე! ამან თუ მილიონი მომთხოვა, კარგად არის ჩემი საქმე... — ჩაილაპარაკა სვეტამ და რადგან შეატყო, რომ კაცი ისევ სალათას ძილს მიუბრუნდა, ენვერს დაურეკა და ის სიგიჟე, რაზეც გამომძიებელი ლაპარაკობდა, დაწვრილებით მოახსენა.

— ხომ არ გაგიჟებულა? მილიონს ითხოვს?! — გაკენწლა გულში გამგებელს და ელიზბარს დაუკავშირდა.

რალაც ათიოდე წუთში, „კონსილიუმის“ ანუ კლანის ყველა მონაწილე თუ „მეწილე“ ადგილზე იყო. სამი მამაკაცი: ენვერი, ელიზბარი და ნუკრი გობეჩია, რომელიც შპს „ქორის“ მფლობელის, დარეჯან ქოიავას ქმარი გახლდათ და მათი ცოლები, სამივე ქალბატონი: ნორა ქადაგიძე, მელანო აქუბარდია ანუ ელიზბარ თელიას „კნეინა“ და თვით დარეჯან ქოიავა.

წინასწარ მინდა გითხრათ, რომ არავითარი სურვილი არ მაქვს, მათი ეს შეკრება იუმორესკას დავამსგავსო, რადგან ყველანი უმძიმეს დღეში იყვნენ ჩაცვენილნი და ისეთი დაძმარებული სახეები ჰქონდათ, როგორც იმ პანაშვიდზე, სადაც „მინიმუმ“, ორი კუბო მაინც დგას...

— მილიონის კი არა, ორმოცდაათის და ასის შემგროვებლებიც რომ არ ვართ, ყველამ კარგად იცით... — წამოიწყო ენვერ ჭუბაბრიამ. — ეს დალოცვილიშვილები, როგორც ჩანს, ყველაფერს თავიანთი საზომით ზომავენ...

— ჰო, მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო, — ჩაურთო სალომემ.

— ამიტომ, სასწრაფოდ რაიმე უნდა მოვიფიქროთ. თუ არა და, ციხე და კარცერი რომ არსად გაგვექცევა, თქვენც კარგად იცით... — დაასრულა ენვერმა.

— ზოგჯერ, საქმე რომ გაჯანჯლდება, ციხეც სანატრებელი ხდება... — ჩაიბურტყუნა ნუკრი გობეჩიამ.

— ეგ თქვენთვის და ახლა მეც მკითხეთ, მინდა კარცერში ჯდომა? — მხრები აიჩეჩა



დარეჯან ქოიავამ, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე მაგრად იყო შეშინებული.

უეცრად, უცნაური ყაყანი ატყდა, რალაცის ერთიმეორეზე გადაბრალება დაიწყეს ქალებმა.

— თუ არ გინდოდა, არც ტყე უნდა გაგეჩეხა!.. — უსაყვედურა დარეჯანს მელანომ.

— მაშინ, მაკალათიების „ტროიკას“ რით იყიდდა? — „გამოესარჩლა“ დარეჯანს ნორა.

— მე გავჩეხე ტყე? — ახტა და შემობზრიალდა დარეჯანი.

— მაშ, ვინ? — თვალები კაკლებივით ამოასხდა ნორას.

— აუ, ამათ ახლა ზარბაზანიც ველარ გააჩერებს... — ჩაილაპარაკა ელიზბარმა და მართალიც იყო, რადგან ქალებმა იმწამს გაიწიეს ერთმანეთზე და მამაკაცებს გაშველება დასჭირდათ.

— გაჩერდით, გაჩერდით! თქვენ ხელს არავინ გახლებთ, ჩვენ ვიღებთ ყველაფერს ჩვენს თავზე, ჩვენ! — აშველებდა ქალებს ნუკრი გობეჩია.

— რა გამოდის? — მაინც ვერ დაწყნარდა დარეჯანი. — გამოდის, რომ კაცებს ციხეში გინდათ ჯდომა და ჩვენ არ გიშვებთ, ხომ?

— მინდა, რომ გაგაჩუმოთ! — დაუყვირა ცოლს ნუკრი გობეჩიამ. — იმიტომ, რომ ტვინი არ გაქვთ ქალებს!

— დი-იდი მადლობა! — მოახსენა მელანომ.

— რა, ტყუილია? იცით, რა წერია „ბიბლიაში“? ეკლესიასტეში? — დაიმოწმა „ბიბლია“ ელიზბარმა. — რომ ჭკვიანი ქალი, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს ქვეყნად!

— მაგრამ იქვე ისიც წერია, რომ ათას კაცში მხოლოდ ერთია ჭკვიანი, — გააჩუმა გამგებელი მელანომ და დააყოლა: — რაღა თქვენში იქნება ის ერთი?!

— მართალია! — დაუდასტურა ნორამ. — ასე რომ ყოფილიყო, ახლა ჩვენ ამ დღეში არ ვიქნებოდით.

— რამე უნდა მოვიფიქროთ, ხალხო! თავს უნდა ვუშველოთ, თავს! — დაიღრიალა ენვერმა. — რა დროს „ბიბლია“ და ათი მცნებაა?!

— მაგის გამოა სწორედ, ყულფში რომ გავყავით ყველამ თავი, მაგ ათ მცნებას რომ არ ვიცავთ! — შეეკამათა ცოლი.

— გამაგიჟებთ თქვენ მე ყველანი! ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვლაპარაკობდეთ, რა ვუთხრათ იმ კაცს, რა შევთავაზოთ, რომ გაიღვიძებს, რით დავაბათ, რით შევკეროთ, როგორ, ამაშია საქმე! — როგორც იქნა, გააჩუმა და ჩააფიქრა ყველა ენვერმა.

— წილში შევიყვანოთ, დავპირდეთ, რომ თუ ამ საქმეს ჩაფარცხავს, ოცი პროცენტი მისი იქნება... — გაიცინა ნუკრიმ.

— ნუ გიყვარს, რა, შენ ყველაფერზე შაყირი! დარეჯანს რომ მოაკითხავენ, წაიყვანენ და... — გაგიჟიმავენო, — უნდოდა, ეთქვა გამგებელს, მაგრამ თავი შეიკავა.

დარეჯანი იმწამსვე წამოდგა და კარისკენ დემონსტრაციულად გაემართა. კართან შედგა, მოტრიალდა და თითი გამგებლისკენ გაიშვირა.

— ყველამ თავის ცოლს მიხედოს და მის უკანალს! — თქვა, კარი გამოაღო, გავიდა და ისე გაიჯახუნა, რომ ჭერიდან ბათქაში ჩამოცვივდა.

— მდაა, მძიმე სიტუაციააა... — ისევ გაიცინა ნუკრიმ.

— შენ ყველაზე ცუდად გაქვს საქმე და იცინი, ბიჭო?! — გადაირია ენვერი.

როგორ უნდა დამთავრებულიყო ასეთი შეკრება?.. ისინი ხომ ყველანი ერთმანეთის ახლო ნათესავები ბრძანდებოდნენ, ერთი „კლანის“ წევრები. ერთად ძარცვავდნენ და ანიავებდნენ იმას, რაც კომუნისტებს გადაურჩათ და მათ შთამომავლობასაც ეკუთვნოდა.

...ამ საკითხზე აქ დავსვამ წერტილს, რადგან ძალიან ბევრი მოიქცა და იქცევა მათსავით. ისინი, სამწუხაროდ, გამონაკლისს არ წარმოადგენენ. მათი რწმენით, ერთადერთი გამოსავალი, ფული იყო, რომელიც ან ჰქონდათ, ან — არა, ან იმდენი მართლაც, არ ჰქონდათ, რომ მათი „საქმე“ გადაეძალა... შეიკრიბნენ, იყაყანეს, იჩხუბეს და დაიშალნენ.



გამომძიებელმა ლერი კაპანაძემ მხოლოდ საღამოსღა გაიღვიძა. თვალები დაწმენდოდა და სვეტა მიხვდა, რომ კაცი საღათას ძილიდან გამოვიდა.

— სადა ვარ? — პირველად ეს იკითხა ლერიმ.

— სასტუმროში, ჩემთან, — უპასუხა სვეტამ.

— ჰოო... — როგორც ჩანს, გაახსენდა, სადაც იყო, ლერის. — ბევრი მეძინა? — ჰკითხა მან სვეტას და ნაცემ სახეზე მოიკიდა ხელი.

— არც ისე, ოთხი „სუტკა“, — უპასუხა ქალმა.

— არა!.. — ვერ დაიჯერა ლერიმ.

— ჰო, ჰო... — დაარწმუნა სვეტამ და შეეკითხა: — აღარ გეძინება?

— არა, მაგრამ რატომ უნდა მძინებოდა ამდენი? — იკითხა ლერიმ.

— ალბათ, ნაცემი რომ იყავი... — უთხრა სვეტამ.

— ან სასმელი იქნებოდა მოწამლული... შამპანური დავლიე, რამდენიმე ჭიქა, ხომ? შენც ხომ დალიე? — შეეკითხა ის სვეტას.

— მეც დიდხანს მეძინა... — იცრუა სვეტამ.

ლერიმ სარკეში რომ ჩაიხედა, მიუხედავად იმისა, რომ სახე დასცხრომოდა, მაინც შეეშინდა. ტკივილს კი გაევლო, მაგრამ გუგები ჯერაც ჩაშავებული და ჩალურჯებული ჰქონდა, ზედ ოდნავი სიყვითლეც გადაჰკრავდა.

საღამოს ათი საათი იყო.

— მე დილა მგონია, — თქვა ლერიმ, — მთლად გამოფხიზლებული ვარ, გამოდის — დღე და ღამე ამრევია. რა უნდა ვაკეთო დილამდე?

— ნუ გეშინია, არ მოგაწყენენ... — უპასუხა სვეტამ და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა. ლერი ვერ მიუხვდა, რას გულისხმობდა.

ცხელი, ლიმონიანი ჩაი ესიამოვნა.

— ტუალეტში ჩემით დავდიოდი?.. — იკითხა, შეშფოთებულმა.

— მე დაგათრევდი, — უპასუხა სვეტამ.

— რას აღარ გადაეყრები კაცი!.. — ჩაილაპარაკა ლერიმ. — ვინ იყო ის გიჟი?

— ხომ გითხარი, სკოლის შეყვარებული... — უთხრა სვეტამ.

— ა-ა, სულ დამავიწყდა... ან საერთოდ, რომ ვაზროვნებ... — ჩაილაპარაკა ლერიმ.

დააკაკუნეს. სვეტამ კარი გააღო და ოთახში ძალიან ლამაზი ქალი შემოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ლერის ასე მოეჩვენა.

— მე გავალ, — თქვა სვეტამ და გავიდა.

ქალი სავარძელში ჩაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტი გააბოლა.

— გისმენთ, — ცივად უთხრა ლერიმ. ქალი, მართალია, მოეწონა, მაგრამ არ შეიმჩნია და გულგრილად უმზერდა.

— მე ენვერ ჭუბაბრიას მეუღლე ვარ, ნორა ქადაგიძე, — მოახსენა ქალმა.

— მე — ინჟინერი ლერი კაპანაძე, — თქვა ლერიმ, გუნებაში კი გაიფიქრა — „ჩემს ხელში ხართ!“

— კარგი ერთი!.. ძალიან კარგად ვიცით, ვინც ბრძანდებით.

— უფრო კარგი. რა გაინტერესებთ?

— რას გვიპირებთ? — ჰკითხა ქალმა.

— მე გიპირებთ?! — იქით შეეკითხა ლერი. — მე რა შუაში ვარ? არსებობს სისხლის სამართლის კოდექსი...

— კოდექსი, რომელიც ქაღალდზეა დაწერილი?.. — შეეკითხა ქალი.

— ჩემგან რა გინდათ? — მიახალა ლერიმ.

— თქვენგან? ძალიან... როგორ გითხრათ... ჩემი ქმარი მინდა გადავარჩინო.

— ეგ გავიგე.

— ჰოდა, ჩემს თავს გთავაზობთ... — თქვა ქალმა და წამოდგა.

ლერიც წამოდგა და ხელები გაასავსავა.

— არა, არა, არავითარ შემთხვევაში!..

მაგრამ ქალმა მაინც ჩაიხსნა ქვედაბოლო, რომელიც ნარნარით ჩაცურდა იატაკისკენ და მისი ვნებიანი კიდურების ხორბლისფერმა კანმა რაიონული სასტუმროს ერთ რიგით, ჩვეულებრივ ლუქსს სულ სხვა „ბრწყინვალება“ შესძინა...

ლერის ასეთი რამ არასოდეს მოსვლია: ვერ მიხვდა, ქალს ბარძაყები ჰქონდა ასეთი სექსუალური თუ ტრუსი ეცვა ლამაზი, — ისეთი ცეცხლი წაეკიდა!.. რაღაც საოცარი მხურვალება იგძნო, რომელიც თავდაპირველად, ქვემოდან წამოვიდა და შემდეგ მთელ მის ტანს კოცონივით მოედო.

ქალი მისკენ დაიძრა და ლერის მოეჩვენა, რომ მას რაღაც ისეთი მოჰქონდა, რა-

შიც არჩაფვლა და არჩანთქმა შეუძლებელი იყო...

— არა, არა... — ლუღლუღებდა ის და ქალის რბილ სხეულში, როგორც უტკბილეს, სურნელოვან ტორტში, ისე ეფლობოდა.

მერე კი ხორციელმა ვნებამ ისე გაახელა, ქალის შიშველ მკერდს კბენდა, ჭამდა თუ ლოკავდა, — აღარაფერი ახსოვდა. ქალიც ისე ლამაზად „უძალიანდებოდა“, რომ საბოლოოდ გააცოფა კაცი.

— არა, არა... — ისევ უარი იყო მისი ბოლო სიტყვები, თუმცა, ყველაფერი უკვე მომხდარი იყო და ქალი მის თავზე შემორჩენილ ღერა-ღერა თმას ეფერებოდა...

ყველაფერი დამთავრდა. ისინი კი იწვნენ გაყუჩებულნი და ერთმანეთს ეხვეოდნენ.

„ღმერთო, რა იყო ეს?“ — ფიქრობდა ლერი და თუმცა ცდილობდა, რეალობას დაჰბრუნებოდა, ვერაფრით ახერხებდა. ვინ იცის, რამდენ წამს ან რამდენ წუთს გრძელდებოდა ეს ყველაფერი, ლერის კი ის ლამის უსასრულობად მოეჩვენა. მაგრამ მოგეხსენებათ, ყოველივეს აქვს დასასრული და როცა ქალი წამოდგა და ლერიც რეალობას დაუბრუნდა, საშინლად მოუნდა, რომ დრო უკან დაბრუნებულიყო. რატომ? იმიტომ, რომ ენვერ ნიჟარაძეს ის ველარაფრით გადაარჩენდა, არადა, ერთი ჩვეულებრივი ქალის გამო, რომელსაც ახლა უკვე, კახპის იარლიყიც მიაკერა, კაცი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა, ლამის იყო, ყულფში გაეყო თავი...

მოგეხსენებათ, სექს-აქტის შემდეგ, მამაკაცს, თუნდაც „მის მსოფლიოსთან“ იწვეს, შესაძლებელია, ის ერთ ჩვეულებრივ



დედაკაცადაც კი მოეჩვენოს... ჰოდა, ალბათ სწორედ ასეთ დღეში ბრძანდებოდა ჩვენი „კაზანოვაც“, თორემ, ორიოდე წუთის წინ ისეთ ნეტარებასა და განცხრომაში გახლდათ, ლამის „შეჩერდი, წამო!“ — ებღავლა. ქალმა მშვიდად ჩაიცვა, ლერის ერთხელ კიდევ გაეხახუნა, მოკლევადიანი „დაუზასა“ და გავიდა.

გამოძიების ამგვარი გზით გაგრძელება ლერის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა. ეს უფრო, ბრმა ტყვიას ჰგავდა, რომელიც შემთხვევით გავარდა და პირდაპირ ლერის მოხვდა. მაგრამ — „მომხვდა კი? — გაიფიქრა ლერიმ. — მიბრძანდება ახლა ეს ქალბატონი და თავის ქმარს მოუყვება, როგორ ნებივრობდა ჩემს მკლავებში, თუ რა? არა მგონია“. — და შემდეგ: „რის ყულფი, რა ყულფი, რა ტყვია, რომელი ტყვია?!“ — ფიქრებშივე დაამატა. მართლაც, განა ასე არ იყო? გამოძიების ბოლომდე მისაყვანად, ლერი კაპანაძეს გზა ხსნილი ჰქონდა. ის კი არა და, თავისუფლად შეეძლო, დამნაშავეთა გასამტყუნებლად, ეს ამბავი კიდევ ერთ მტკიცებულებადაც კი გამოეყენებინა. თუმცა, ასეთ მზაკვრულ გეგმაზე მაშინვე უარი თქვა: ვინ იცის, რა ამბები დატრიალდეს და ბოლოს, უკან არ დამიბრუნდეს „რიკოშეტით“, ჩემივე დამპლობაო, — გაიფიქრა.

კარი გაიღო და, ლერის რომ ეგონა, სვეტა იქნებაო, მისდა გასაოცრად, ნომერში წინამორბედზე არანაკლები სილამაზის არსებამ შემოანათა. როგორც ლერიმ განჭვრიტა, ქალს მოკლებოლოიანი და ამოღებულზურგიანი კაბა უნდა სცმოდა, რომელიც ლამის უკანალის ჭრილამდეა ჩახსნილი. და როცა ქალმა კიდევ ერთი ეჭვმიტანილის, რაიონის პროკურორის სახელი და გვარი უხსენა — მელანო აქუბარდია, ელიზბარ თელიას ცოლი ვარო, — ლერიმ არც აცია, არც აცხელა — პირდაპირ საწოლზე მიუთითა:

— ყველაფერი გასაგებია. შეგიძლიათ, გაიხადოთ და ჩაწვეთ!

ქალმა ყურებს არ დაუჯერა.

— რა ბრძანეთ? — იკითხა მან და ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძეს განრისხებული მიაჩერდა. — თქვენ შუბლში ტყვია გნდომებიათ, ჩემო კარგო, და მიიღებთ კიდეც! — ქალი გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, ლერის მოეჩვენა, რომ ტყვია უკვე მოხვდა შუბლში და მოკვდა კიდეც...

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ კარზე დააკაკუნეს.

— მობრძანდით! — გასძახა ლერიმ.

ეს უკვე მამაკაცი იყო, უცხო. და ლერის გაეღიმა. რატომ?.. რაღაც ანეგდოტის მსგავსი გაახსენდა — კაცი ქალს რომ ელის და იქით რომ გაყიმავენ... მოკლედ, ოთახში ნუკრი გობეჩიამ შემოიხედა და მოკრძალებით იკითხა.

— შეიძლება?

— ვინ ბრძანდებით! — მკაცრი იერი მიიღო ლერიმ.

— ნუკრი გობეჩია ვარ, დარეჯან ქოიავას ქმარი.

— ეგ რომელი? სახერხი ქარხანა რომ აქვს? — გაიხსენა ლერიმ.

— დიახ, — უპასუხა კაცმა.

— რა გნებავთ? — ლერი კაცს ოთახში არ ეპატიჟებოდა. ის კი მაინც შემოვიდა, სკამი გაისწორა და დაჯდა.

— ცოტა დელიკატური საქმე მაქვს, — თქვა მან და გამომძიებელს თვალი გაუსწორა.

— ბრძანეთ! — თქვა ლერიმ ცივად.

— ოჯახს ნუ დამინგრევთ, — ამოღერღა საბრალოდ კაცმა.

— თქვენ მე გოგოლის რევიზორი ხომ არ გგონივართ?! — აღელდა ლერი. — თქვენ უკვე მესამე ხართ, ვინც ამ საქმეზე მაწუხებს.

— ვიცი, — თქვა კაცმა, — მე ქართული ოჯახი მაქვს. ბავშვები მყავს თოთხმეტ-თხუთმეტი წლის, გოგონები... ხომ უნდა გათხოვდნენ!.. — კაცი გაჩუმდა, თითქოს ლერისგან რაღაცის თქმას ელისო, ის კი ხმას არ იღებდა. — არ შეგიძლიათ, ისე გააკეთოთ, რომ ჩემი ცოლის მაგიერ, მე დამიჭირონ?

— გამორიცხულია! — მკაცრად თქვა ლერიმ. — ქალაქის პროკურატურაში, იქ, თბილისში უკვე ყველაფერი იციან. მე ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ რადგან თქვენივე ფეხით გამოცხადდით ყველანი...

— მაგრამ ჩვენც რომ გვაქვს თქვენ წინააღმდეგ სამხილი?! — უცბად ტონი შეიცვალა ნუკრი გობეჩიამ.

— სამხილი? რა სამხილი? — გაიცინა ლერიმ.

— ტყუილად იცინით... — თქვა კაცმა, ადგა, კედელზე დაკიდებულ სარკესთან მივიდა და ჩამოხსნა. კედელზე დიდი, მრგვალი ნაჩვრეტი აღმოჩნდა. — აი, ხედავთ? — მიანიშნა ნაჩვრეტზე ნუკრი გობეჩიამ გამომძიებელს. მერე კი სარკე მიუტრიალა: — აი, ხომ ვჩანვარ? — მეორე მხრიდან სარკე გამჭვირვალე იყო, ასე რომ, ნუკრი მართლაც, მშვენივრად ჩანდა. მერე სარკე ისევ თავის ადგილზე ჩამოკიდა და ლერის მიუბრუნდა: — ყველაფერი გადაღებული გვაქვს, რაც აქ მოხდა, კასეტაზეა ჩაწერილი. მე თვითონ ვიღებდი.

ახლა კი, მაგრად დასცხა ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მესამე ოპერატიული სამმართველოს გამომძიებელ ლერი კაპანაძეს.

— არ მითხრათ ახლა, რომ მისი ქმარიც თქვენ გვერდით იდგა და თქვენთან ერთად გვიღებდა.

— არა, იმან არაფერი იცის. ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით: მე, ნორა ქადაგიძემ და სვეტამ... მის ქმარსაც იმავეს ვეტყვით, რასაც სხვებს, — რომ დაემუქრეთ, დააშანტაჟეთ და ძალაც იხმარეთ. გახსოვთ თქვენი თავი? გიჟი, ასპროცენტიანი... თანამდებობის ბოროტად გამოყენება, სექსუალური ძალადობა...

— მაგრამ მე „არა, არას“ ვამბობდი... — გაახსენდა გამომძიებელს და გაიფიქრა: „წყალწაღებული ხავს ეჭიდებოდაო“.

— მაგ ყველაფერს წავშლით, რა პრობლემაა?!. — და ნუკრიმ საწოლზე მიანიშნა. — აი, აქ ხდებოდა ყველაფერი, პირდაპირ კამერაში იყურებოდით, ამღვრეული, გიჟის თვალებით... ნორა ამწუთას ექიმთანაა, ცნობის ასაღებად: დაჟეჟილობებს აფასებინებს...

— ყოჩაღ!.. მაგრამ ეს საქმე უკვე გახსნილია. მძღოლიც, ხეტყის მყიდველიც და მოწმეც დაჭერილები არიან. ჰო, ვინც კი ამ საქმეში გადის, ყველას დოსიე უკვე შეკერილია.

— ჰოდა, თქვენზეც შეიკერება ერთი დოსიე. შენი ცოლი რომ დაეჭირათ, შენ როგორ მოიქცეოდი? — შენობით ლაპარაკზე გადავიდა ნუკრი. გამომძიებელმა ვერაფერი თქვა. — თქვენა ხართ ჯერ ყველანი დასაჭერი და მერე — ჩვენ! — და ნუკრიმ მაგიდაზე „ვიზიტკა“ დააგდო: — აი, ჩემი „ვიზიტკა“, თავისი ტელეფონებით! — დაამთავრა სათქმელი გობეჩიამ და კარისკენ წავიდა. კართან შედგა და მობრუნდა. — გოგოლის რევიზორობა მოუნდა ბიჭს... — თქვა და კარი გაიკეტა.

ლერი, რომ იტყვიან, გამოქლიავდა. სა-

წოლზე დაეშვა და უაზროდ მიაშტერდა კედელზე დაკიდებულ სარკეს. „ალბათ, ახლაც მიყურებენ“, — გაუელვა თავში და რატომღაც შეეშინდა. გავები, ახლა კი მართლაც გავყავი ყულფში თავიო, — გაიფიქრა, საწოლზე გადაწვა და თვალები დახუჭა.

დრო გადიოდა. კარზე კი, აღარავინ აკაკუნებდა. მიხვდა, სვეტას კვალს ვეღარსად მიაგნებდა. ნუკრის მიერ დატოვებული „ვიზიტკა“ აიღო და მობილურზე მისი ნომერი აკრიბა.

— ნუკრი ხართ?

— დიახ.

— უნდა შევხვდეთ ერთმანეთს.

— სად?

— სადმე „მოტელეპილ“ მინდორში, რომ კამერები არ გვიყურებდნენ. თქვენ თქვენსას ცდილობთ, ჩვენ — ჩვენსას.

— გამგეობის პირდაპირ რომ ბაღია, იქ დამელოდეთ... სხვებიც წამოვიყვანო?

— არა, არა... არც ერთი. მხოლოდ მე და თქვენ შევხვდებით.

— კარგი.

ლერიმ პიჯაკი აიღო, მობილური ჯიბეში ჩაიდო, სიგარეტის კოლოფიც. მიიხედმოიხედა, ხომ არაფერი მრჩებაო, მერე სასტუმროს გრაფინს მოჰკიდა ხელი და სარკეს ესროლა. ორივე — გრაფინიც და სარკეც ნამსხვრევებად იქცა. ნაჩვრეტში კამერის ობიექტივი გამოჩნდა.

— თქვენი იყოს ეს ქალაქი, ეს სასაფლაო!.. არ გავხდი ამ მკვდრების დასაცინი?! — ობიექტივის მიმართულებით ჩაილაპარაკა და გავიდა.

ჰოლი ისე გაიარა, მორიგეს თავი არ აუწევია...

ბაღში სასიამოვნოდ გრილოდა. ნუკრი გობეჩია უკვე ბაღის ძელსკამზე იჯდა და გამომძიებელს ელოდა. ლერი მივიდა, მის გვერდით დაჯდა, სიგარეტი გააბოლა.

— მაგრები ყოფილხართ! კარგადაც მეეჟეთ და ყველაფრიდანაც გამოძვერით...

ნუკრის არაფერი უპასუხია.

— კაი, რას ითხოვთ მაგ ჩემს კასეტაში?

— საქმის შერბილებას, ჯგუფური დანაშაულის მოხსნას და ყველაფრის ერთ დამნაშავეზე გადაბრალებას.

— ვისზე? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— ჩემზე, — მშვიდად უპასუხა ნუკრი გობეჩიამ.

— როგორ, მერე? შენი გვარი საერთოდ არ ფიგურირებს ამ საქმეში!

— ვიცი, მაგრამ თუ დამიჯერებ, ჩემი ხელით დავუდე მთელი ის მასალა, მუშებიც კი არ ამიყვანია. ჩემს ცოლს ალიბი აქვს, დუბაიში იყო. ჰო, ჰო.

— დაგვიჯერებენ?

— რატომ არ დაგვიჯერებენ?! ტრანსპორტის „პუტიოვკაზე“ ჩემი ხელმოწერებია, სამივე მე მოვაწერე — ყველას მაგიერ. ჩაატარებინეთ ექსპერტიზა!

— რომელი ექსპერტიზა?! სადღაა ის ქაღალდი, გამქრალია!..

— ჰოდა, უფრო კარგი.

— მყიდველი რომ მაგათ ადებს ხელს? — გაახსენდა ლერის.

— ეგ ადვილია: შეაცვლევინებ ჩვენებას. რა, არ გაგიკეთებია?.. — გაიცინა ნუკრიმ.

— კასეტა?

— კასეტა შენ თვალწინ განადგურდება. გიჟები კი არა ვართ, ჩვენს ინტერესებშია არ არის?!

ლერი წამოდგა.

— თქვენი დედა ვატირე! — ჩაილაპარაკა და თვითონ გაუწოდა დასამშვიდობებლად ხელი.

— ეცადე, რა, ნაკლები მომისაჯონ...

— ოღონდ, არ უნდა გაჟონოს...

— არა, როგორ გეკადრება?! ჩვენი თავის მტრები ხომ არ ვართ, არ არსებობს...

— კაი, წავედი... — ჩაილაპარაკა ლერიმ. — სვეტა მომიკითხე აუცილებლად!

— გადავცემ... — დაჰპირდა ნუკრი.

ლერი მიტრიალდა და ბაღიდან გავიდა. „ოჯახის ღირსების“ გადამრჩენი, მომავალი ტუსაღი კი, იდგა და უყურებდა, სანამ გამომძიებელი თვალს არ მიეფარა. მერე შეხტა, რაღაც ყიჟინის მსგავსი დასჭექა და „კლანის“ წევრებთან გავარდა, რომ ეს სასიხარულო ამბავი ეცნობებინა.

ლერი კაპანაძე კი, საზიზღარ ხასიათზე ბრუნდებოდა უკან. მაინც აჯობეს ბობოლებმა, მაინც გამოძვრნენ. ყველა, ყველა დრო მაგათია, ალბათ, — ფიქრობდა და იმასაც დარდობდა, ყოველგვარი დიდი ბოროტების სათავე, ორი სქესის არსებობა რომაა. მხოლოდ ერთი სქესი რომ არსებობდეს, არავითარი ომი და ძარცვა-გლეჯა, არავითარი კონკურენცია არ იქნებოდაო...

სასამართლო, რომელსაც ავარიის გამომწვევ მიზეზთა და დამნაშავეთა დასჯა ევალებოდა, სწორედ იმ სცენარით წარიმართა, როგორიც ძალიან, ძალიან არ სურდა გამომძიებელ ლერი კაპანაძეს. პირობებს მთლიანად დამნაშავე ჩინოვნიკები უკარნახებდნენ. ის, რომ რაიონიდან დაბრუნდა თუ არა, ლერიმ ჩვენებები ყველა ტუსაღს შეაცვლევინა, თავისთავად ცხადია. საქმეში აღარ ფიგურირებდნენ რაიონული მასშტაბის ჩინოვნიკები. სამაგიეროდ, გაჩნდა ვინმე ნუკრი გობეჩიას გვარი და დანაშაულის მთელი სიმძიმეც ამ პირის მხარეს გადაიხარა. მიუხედავად დიდი ბრძოლისა და უარყოფისა, ავარიის გამომწვევი მიზეზი ტკუცას „შეტენეს“, ხოლო კონტრაბანდის საქმეში მონაწილეობა მოუხსნეს. მაია, არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. თუმცა, ხმა გამოვიდა, რომ სამართალდამცავებს ვიღაცამ მის გადასარჩენად, ფრიად სოლიდური თანხა გადაუხადა. რეზის, რომელმაც პატიმრებში ძალზე სწრაფად გაითქვა ჭინჭყლი და არამდგრადი ხასიათის კაცის მქონე სახელი, სასამართლოზე თავი იმდენად ღირსეულად ეჭირა, რომ ყველა გააკვირვა. დგება, ალბათ, გამონათების წუთები იმ ადამიანთა დანგრეულ სულებში, რომლებიც დროისა თუ სხვა არაობიექტურ მიზეზთა, თუნდაც, დამნაშავე საზოგადოების შეცდომების გამო ისჯებიან. ან, განა ჩვენ ყველა, დამნაშავე საზოგადოების ღირსეული წევრები არ ვართ?.. ცხრა წელი... რეზის გაეცინა. მოგეხსენებათ, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია და ყველაფერს ეგუება...

ვფიქრობ, უნდა მაპატიო, მკითხველო, თუ ამ ამბების თხრობისას, ხშირად ღია, შიშველ ნატურალიზმს მივმართავდი. მაგრამ განა ჩვენი დრო ამის საფუძველს არ გვაძლევს?! განა დღეს, ყველგან და ყველაფერში, აგრესიული ნატურალიზმი არ დომინირებს?! განა მანიაკური პოლიტიკური ვნებანი, რომლითაც ასეა გაჟღენთილი ჩვენი ყოველდღიური ყოფიერება, გაშიშვლებულ-გატიტვლებული ნატურალიზმი არ არის?! განა რაც უფრო და უფრო ვითარდება და ტექნიკურად სრულყოფილი ხდება საზოგადოება, სულიერად უფრო და



უფრო არ ლატაკდება?! სამწუხაროდ, ასეა და ამას ვეღარც რელიგიური ქადაგებანი და ვეღარც ხელოვნების დარგები შველის...

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი ტრაგიკომიკური ამბის გმირებს და ლოგიკური წერტილები დავსვათ.

ვერიკო, რომელზეც საშინლად იმოქმედა რეზის დაპატიმრებამ, რომ იტყვიან, თვალსა და ხელს შუა დნებოდა. ელისო, რომელიც ამ ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებდა და საშინლად განიცდიდა, ვეღარაფერს შველოდა. ისეთი წამლებით ჭყეპდა შვილს, ლამის ნარკომანად აქცია... ანი, რომელიც რეზის ამბავს იმიზეზებდა, მთელ თავის ენერგიას აქსოვდა იმაში, რომ რაც შეიძლება მალე გაეყიდა მშობლების ბინა. ცოტაც და მაკლერობას დაიწყებსო, — ამბობდა ელისო. რეზიც ციხიდან ისე აჩქარებდა თავისიანებს, ლამის ყოველდღიურად უთვლიდა — ფული, ფულიო... ასე რომ, ვერიკომ გადაწყვიტა, ოღონდ მყიდველი გამოჩნდეს, სულ რომ გადავაგდო, მივაოხრებ და მივყიდიო.

მყიდველი კი, არა და არ ჩანდა. უფასო სარეკლამო გაზეთები გადაჭედილი იყო განცხადებებით ბინის გაყიდვის თაობაზე. ჩვენს ჯიბეზე, ყველა ბინას ყიდისო, — ფიქრობდნენ ბერიძეები. მოვკვდე მაინც, მოვასწრო, რომ ჩემი ბინიდან გამასვენონო, — ხშირ-ხშირად ამბობდა ბოლო დროს, ვერიკო და მოკვდა კიდეც — აუსრულდა საწადელი, მოასწრო. ღამის სამ საათზე, თავის ლოგინში, მაგრამ — არა ჩუმად, ისე, როგორც ხშირად, ოთხმოცდაათს მიღწეულები მიდიან. არა, ვერიკო სამოცისა ხდებოდა და ისე მოკვდა, როგორც მის წლოვანებას შეეფერებოდა — გული გაუსკდა... ელისოს საშინელი ყვირილის ხმა შემოესმა. გამოვარდა, შევარდა შვილის

ოთახში გულგახეთქილი და ნახა — ვერიკო აღარ იყო. მკვდარი დახვდა დედას შვილი... ღმერთო, რა ტკივილი უნდა ეგრძნო, რომ ამხელა დაეყვირაო! — სიკვდილთან ერთად, ამასაც ძალიან განიცდიდა დედის გული...

ვერიკოც, სოლომონივით, სიძის დასამარხი აღმოჩნდა. შენი მკვდრები გამაკოტრებენო, — დაუფარავად შაყირობდა ანისთან თაზო. ძმებმა მომიკლეს დედაო, — ამბობდა ანი.

ირაკლი, რომელიც დაკრძალვაზე მოვიდა, მაგრამ ჭირისუფლებს თვალს ვერ უსწორებდა. სასაფლაოზე კი გაჰყვა ნათესაობას, აი, ქელეხში კი აღარ მიბრუნებულა. ისეთი რა საშინელება გჭირს, რომ მეც კი არ მეუბნებიო? — უნდოდა, რამენაირად გამოეტეხა ანის, მაგრამ ვერაფერს გახდა და შეეშვა.

მოკლედ, ანის დარჩა ბურთი და მოედანი. მაინც გაყიდა სახლი. მაინც მოძებნა, ბოლოს და ბოლოს, მყიდველი. ორმოცი ათას დოლარად „გადააგდო". ფული სამად გაყო: თავისთვის, ირაკლისთვისა და რეზისთვის, თანაბრად. ელისო და რეზის ბიჭები ვითომ თავისთან გადაიყვანა, მამამთილის ბინაში, დიღომში, სადაც გაიოზის სიკვდილის შემდეგ, მულთან, ნუციკოსთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ორ კვირასაც ვერ გაუძლო. ადგა და ბიჭები ბავშვთა სახლში ჩააბარა, ელისო კი — მოხუცებულთა თავშესაფარში მოაწყო. არ გასჭირვებია, ასეთ ამბებში თავისი პროფესია, ჟურნალისტობა მაგრად ეხმარებოდა. მართალია, რეზი ფულს სთხოვდა, იმუქრებოდა კიდეც, ციხიდან გამოვალ და დაგახრჩობო, მაგრამ ანიმ ცალ ფეხზე დაიკიდა, ფული მისი შვილების სახელზე შეიტანა, სრულწლოვნობამდე გამოტანის



აკრძალვით და რეზის მისი გამოტანის საშუალება მოუსპო.

აი, დაახლოებით, ასეთი იყო ვითარება, რომლითაც ბერიძეების ოჯახის ისტორიის ეს მონაკვეთი დასრულდა.

**დასასრული**

*P.S. „გზის" მომდევნო ნომრიდან, ამ ოჯახის ყველაზე იდუმალი წევრის — ირაკლის შავბნელი თავგადასავლის შესახებ თხრობას დავიწყებთ. „**ბველის ძერძში**" — ასეა დასათაურებული თქვენთვის უკვე კარგად ცნობილი რომანის — „ველური წაბლის ხეივანი" — ის ნაწილი, რომლის მთავარი მოქმედი პირი საკუთარი კეთილდღეობის მიზნით, თავის დროზე, ღვიძლ ძმაზე ხელის აღმართვასაც კი არ მოერიდა...*





**„ზოგ კაცს ჰგონია, რომ რასაც უფროსი იტყვის, კანონია. მე ასე არ ვფიქრობ. მართალია, ბავშვებმა უფროს თაობას პატივი უნდა სცენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ გენიოსები ვართ და ისინი — შტერები. ბევრი ისეთი ახალგაზრდა ვიცი, რომელიც ჩემი თაობის წარმომადგენლებზე ათასჯერ გონიერია. ასეთ ახალგაზრდას უფროსმაც უნდა დაუჯეროს და უმცროსმაც", — ამბობს მწერალი, მსახიობი და მოცეკვავე გივი სიხარულიძე, რომელმაც გაგვიმხილა ის „ცოდვა", რომელსაც საკუთარ თავს დღემდე ვერ აპატიებს.**

### „შიშვლოსანი" უსირცხვილოები, „ტრუსიკოსანი" პატიოსნები

# და ბიჭი სიხარულიძის დაკარგული სიყვარული

## „არ შემეძლო, მოტაცებული გოგო შემერთო ცოლად, თუმცა, ეს ჩემგან არაკაცური საქციელი იყო"

***ლიკა ქაჯაია***

— არ ვიცი, სიტყვა „თინეიჯერი" რას ნიშნავს და ეს არც მაინტერესებს. ისე, ეს სიტყვა მოზარდებით რომ შევცვალოთ, არ სჯობია?.. ყველაზე დიდი საძაგლობა იცი, რა არის? 200 მილიონი საგალობელი გვაქვს და დაბადების დღეს ერთმანეთს „ჰეპი, ჰეპის", თუ რაღაცას ვუმღერით. ყველაფერში მიბაძვა სირცხვილი არ არის?

— **ამბობენ, ახალგაზრდებს პრიმიტიული რაღაცები უფრო იზიდავთო...**

— არა მგონია, ასე იყოს. პრიმიტიულობა მხოლოდ მას იზიდავს, ვისაც არაფრის გაკეთება არ სურს. სხვათა შორის, ძალიან მდიდარი ხალხის შვილები უფრო პრიმიტიულები არიან, ვიდრე გაჭირვებულ ოჯახში აღზრდილნი.

— **რითი განსხვავდებიან თქვენი თაობის მოზარდები დღევანდელებისგან?**

— ახლა ქუჩაში ბიჭი გოგოს (და პირიქით) პანღურს ურტყამს საჯდომზე, ჩემი მოზარდობის პერიოდში კი, ბიჭს გოგო თუ უყვარდა, მის დანახვაზე თურაშაულის ვაშლივით წითლდებოდა... ადრე გვყავდნენ მანდილოსნები, დღეს „ტრუსიკოსნებიც" აღარ გვყავს.

— **ანუ „შიშვლოსნები" არიან?**

— მართალი ხარ. თუ ვინმეს ტრუსი აცვია, ეს ბედნიერებაა, რადგან ე.ი. ის წესიერი გოგოა, მაგრამ ბევრი მას მხოლოდ იმიტომ იცვამს, რომ შარდის ბუშტის ანთება აქვს. ანდა რა მნიშვნელობა აქვს ტრუსის ჩაცმასაც, თუ ისეთ მოკლე ქვედაბოლოს ჩაიცვამ, რომ ყველაფერი გიჩანს?!.

— **მაგრამ ხომ არიან ისეთი გოგონებიც, რომლებზეც ამას ვერ იტყვით?**

— როგორ არა, საბედნიეროდ ასეთებიც არიან, მაგრამ უმეტესობას, მანდილოსანს ვერ ვუწოდებ... უნივერსიტეტში მოზარდებს შევხვდი, სადაც ჩემი წიგნების გარჩევა მიმდინარეობდა და ვნახე ისეთი ბავშვები, რომლებმაც გამაოცეს თავიანთი ინტელექტით, მანერებით და ჩემს თავს ვუთხარი, რომ თინეიჯერები (ფუჰ, რა საზიზღრობაა ეს სიტყვა) კი არა, საყვარელი, უწესიერესი, უგანათლებულესი ბავშვები გვყავს. სკოლებში ისეთ ბავშვებს შევხვდი, რომ ვიფიქრე: ღმერთო, მარტო ამათ გამო ღირს ჩვენი ამქვეყნად ყოფნა-მეთქი. მაგრამ სამწუხაროდ, მოზარდების უმრავლესობა მხოლოდ ინტერნეტით და სულელური სერიალებით იკვებება, ტრადიციებს არ იცავს.

— **ვისი ბრალია, რომ ბავშვები არატრადიციულები არიან?**

— მხოლოდ იმ ცუდი თესლის, რომელიც ჩვენ, უფროსებმა დავთესეთ... ამ დილით დავწერე ლექსი: იდგა ბოლმა და ანთხევდა გესლს,/ არავინ უშლიდა ამქვეყნად ხელს,/ იდგა ჯიგარი და სიყვარულს აფრქვევდა,/ არც ტაშს უკრავდნენ და არც ვინმე აქებდა.../ ასეთი იყო და სხვა რა უნდა ექნა?.. ანუ მნიშვნელობა იმასაც აქვს, ვისი ჯიშისა და ჯილაგის ხარ.

— **როგორ უნდა გამოსწორდეს ის შეცდომა, რომელიც თქვენ მოზარდების აღზრდის დროს დაუშვით?**

— ამ შეცდომის გამოსწორება აღარ შეიძლება. ჩვენ დაგვღუპა იმ ეპოქამ, როცა ქართველმა კაცმა ფულის შოვნა დაიწყო. მანამდე ქართველი ანკარა წყაროვით სუფთა იყო, მაგრამ მერე, როცა ფულს გემო გაუგო, მექრთამეობა და გათახსირებულობა აღმოცენდა ჩვენს ქვეყანაში, ერი გაიხრწნა (რა თქმა უნდა, შრომით მოპოვებულ თანხას არ ვგულისხმობ)...

— **თქვენ როგორი მოზარდი იყავით?**

— დაახლოებით ისეთივე, როგორიც თითქმის ყველა ახალგაზრდა კაცია — არ მიყვარდა სწავლა, ვაცდენდი გაკვეთილებს, ხულიგანიც გახლდით, მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარულით მიძგერდა გული და ვიცოდი, რომ ქართველობით უნდა მეამაყა. მიუხედავად ამისა, სომეხს, აისორს, ქურთს და ა.შ. ძმებად მივიჩნევდი.

**— ვიცი, რომ თქვენ კლასიდან ხშირად გაგდებდნენ. ხომ ვერ მეტყვით, რა იყო ამის მიზეზი?**

— ხულიგანი ვიყავი, მასწავლებლებს არ ვუსმენდი, ვლაზღანდარობდი... სკოლა რომ დავამთავრე, დაბალი დონის განათლება მქონდა მიღებული, მაგრამ ინსტიტუტში მაინც ჩავაბარე (თან, იმ პერიოდში სუხიშვილებში ვცეკვავდი, სოლისტი ვიყავი) და უცებ პოეზიამ, ისტორიულმა ნაწარმოებებმა გამიტაცა და შემდეგ, 5000 ლექსზე მეტი ვიცოდი ზეპირად; შესანიშნავად შევისწავლე ფილოსოფიაც, საქართველოს ისტორიაც. აქედან დასკვნა: თუ ახალგაზრდას თვითონ არ გაუჩნდა რაღაცის სწავლის სურვილი, ძალდატანებით არაფერი გამოვა.

**— მოზარდები როგორ ერთობოდით?**

— ჩვენი გართობა რა იყო: ცირკში ან კინოში წასასვლელი ფული არ გვქონდა და ხან ზოოპარკში, ხან კი — მუშთაიდში შევიპარებოდით ხოლმე.

**— მაგრამ ამასაც თავისი „მუღამი“ ექნებოდა, არა?**

— „მუღამი“ ნამდვილად ჰქონდა... მამაჩემი გადასახლებაში იყო, დედა პედაგოგი გახლდათ და შინ გვიან ბრუნდებოდა, მე კი შეიძლება ითქვას, ქუჩაში ვიზრდებოდი. მაშინ ქურთი, აისორი თუ სომეხი ბიჭები უფრო მაგრები იყვნენ, ვიდრე ქართველები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ — მე იმ კლდიდან გადავხტები (5-მეტრიანი გადასახტომია) და შენ თუ შეძლებ ამასო? და ათას მსგავს რამეში ცდიდნენ ერთმანეთს. იცი, რამხელა ბრძოლა გამოვუცხადე საკუთარ თავს, რომ მათთვის დამემტკიცებინა, მეც მაგარი ვარ-მეთქი. კაცი ქუჩაში იწრთობა, თუ სუსტი ხარ, აუცილებლად დაიჩაგრები. ქუჩის ცხოვრება ჩინოვნიკების ცხოვრებას ძალიან ჰგავს.

**— რითი?**

— რა თქმა უნდა, პოლიტიკას და ქუჩას ერთმანეთს არ ვადარებ, მაგრამ თანამდებობის პირთა შორის ისევე მიდის ბრძოლა ადგილის შესანარჩუნებლად, თუ უფრო მაღალი „სკამის“ მისაღებად, როგორც ქუჩაში იბრძვიან კაიბიჭობის სახელის მოსაპოვებლად. როცა ქურდი თავის ტერმინოლოგიას შეცვლის და „შე ჩემას“ მაგივრად, „გეთაყვას“ გეტყვის, ყველაფერი დაღუპულია... ადრე მახსოვს, ვიღაც გასივებულ, ფულის მშოვნელ საზიზღრებს, რომლებიც ვერ იყოფდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოპარულ ფულს, ერთმანეთთან მოსდიოდათ ჩხუბი და ბოლოს, საქმეს ქურდს არჩევინებდნენ. ამ პროცესს რომ დასწრებოდი, ნიურნბერგის სასამართლო პროცესი გეგონებოდა, ხოლო კანონიერი ქურდი რუდენკოდ — საბჭოთა კავშირის გენპროკურორად მოგეჩვენებოდა. ამ გარჩევის შედეგად, ორივე მხარე წაგებული რჩებოდა: წაგებულს ხომ „ატყავებდნენ“ და არც მოგებულს „აწერდნენ“ ნაკლებ ფულს... ხომ იცით, ძალა აღმართს ხნავს. მაგარი ხარ მაშინ, როცა სუსტს არ დაჩაგრავ და მას მხარში ამოუდგები.

**— მაგრამ „დედიკოს ბიჭებს“ ხომ ეძახდით ვიღაცებს?**

— ამას ვერ დაგიმალავთ, ჩოგბურთზე რომ დადიოდა, იმასაც „დედიკოს ბიჭს“ ვეძახდით და იმასაც, ვინც ვიოლინოზე უკრავდა. ეს ბავშვური სისულელე იყო. სხვათა შორის, ბევრი ისეთი ბიჭი, ვისაც „დედიკოს ბიჭებს“ ვეძახდით, მერე თანამდებობის პირები გახდნენ და იმხელა სიყვარული გამოუცხადეს იმ ქუჩის ბიჭებს, რომლებიც მათ თავის დროზე ზემოდან უყურებდნენ, რომ მეტი არ შეიძლება — ხელი გაუწოდეს, დაასაქმეს, ფული აშოვნინეს და დამცირებულ ცხოვრებას გადაარჩინეს.

**— ბატონო გივი, მოზარდობის ასაკში შეყვარებული არ გყავდათ?**

— ბირჟის ყველა ბიჭს თავისი რჩეული ჰყავდა, ქალაქის ყველაზე ლამაზ გოგონებს ირჩევდნენ, სიგიჟემდე იყვნენ შეყვარებულნი, მათზე ფიქრით ილვიძებდნენ და იძინებდნენ, მათ სახელზე ჩხუბობდნენ და მათ სახელზევე ზავდებოდნენ. ერთი სიტყვით, მათ სიყვარულში სანთელივით იწვოდნენ. ერთი რამ უნდა ითქვას: ისინი საკუთარ თავს სარკეში ან არ უყურებდნენ, ან უყურებდნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, რომ იმ სიყვარულზე პრეტენზია, რომელიც მათ ჰქონდათ, უტოპია იყო და სხვა არაფერი, მაგრამ რუსულად კარგადაა ნათქვამი: сердцу не прикажешь.

**— რატომ იყო უტოპია?**

— იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მათგანი შეუხედავი, სუფთა „ჩანჩურ-პეტროვიჩი“ იყო.

**— ხომ შეიძლებოდა, ისინი ვინმეს ვაჟკაცობის გამო შეჰყვარებოდა?**

— იცი, რა, კარგი კითხვაა, მაგრამ იმ ბიჭებს ისეთი რჩეული, თანაც, მილიონერების ოჯახში გაზრდილი გოგოები მოსწონდათ, რომლებსაც მათი ვაჟკაცობა სულ ფეხებზე ეკიდათ. ისინი სწორედ იმ გოგლიმოგლზე გაზრდილ ბიჭებს უყურებდნენ, ცეკას მდივნის ან მინისტრის შვილები რომ იყვნენ... რა თქმა უნდა, ქუჩის ბიჭებში ზოგი მაგარი შესახედაობის, სპორტული აღნაგობის იყო და მათზე ჭკუას ნამდვილად კარგავდნენ.

**— ასეთ ქუჩის ბიჭებში თქვენც მოიაზრებით, არა?**

— შეიძლება, მეც, რადგან იმ თაობის გოგონების თითქმის 93% ჩემზე იყო შეყვარებული... ერთი გოგო მიყვარდა ძალიან, იმასაც ვუყვარდი, მაგრამ ისე მოხდა, რომ მე სხვა მოვიყვანე ცოლად, მაგრამ მას 4 წელიწადში გავშორდი და ჩემს მიტოვებულ სიყვარულს მივაკითხე. ის უკვე სხვა ბიჭს ხვდებოდა, მაგრამ როცა გაიგო, ისევ თავისუფალი ვიყავი, შემირიგდა. მისი თაყვანისმცემელი ჩემთან მოვიდა და მითხრა: მე მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და შეეშვი, თორემ სხვანაირად დაგელაპარაკებიო. ვუთხარი: ცდები, იმას მე ვუყვარვარ; თუ არ გჯერა, მიდი, ჰკითხე და თუ შენზე შეაჩერა არჩევანი, გზიდან ჩამოგცილდები, მოძალადე არ ვარ-მეთქი. შეხვედრა მეორე დღისთვის დავნიშნეთ. რა თქმა უნდა, მასთან „მომზადებული“ ავედი, არ მომკლას-მეთქი. ცხოვრებაში არ დამავიწყდება, ის რაინდული სულისკვეთების მქონე ადამიანი, რომლის არც სახელი ვიცი და არც გვარი. მან მითხრა: ბოდიშს გიხდი, შენ ჰყვარებიხარო. მან ერთი ამბავი კი არ ამიტეხა, თავმოყვარე იყო და თავისი გრძნობა ჩაკლა... სამწუხაროდ, ერთ კვირაში ჩემი შეყვარებული ვიღაც სხვამ მოიტაცა და მთელი სამი კვირით სადღაც მთებში გადამალა. მართალია, ის გოგო მასთან არ დარჩა, მაგრამ... მაშინ სხვანაირად ვაზროვნებდი და არ შემეძლო, მოტაცებული გოგო შემერთო ცოლად, თუმცა ვიცი, ეს ჩემგან არაკაცური საქციელი იყო. დღევანდელი გადასახედიდან, ასე ნამდვილად არ მოვიქცეოდი... ამ ამბავს მთელი ცხოვრება ვნანობ, რატომ ავურიე იმ წყვილს თავგზა? იქნებ, იმ რაინდის ცოლი გამხდარიყო და დღეს ბედნიერები ყოფილიყვნენ.

**— თავს რატომ იდანაშაულებთ?**

— მე რომ არ გამოვჩენილიყავი, იქნებ, სხვას არ მოეტაცებინა?!. ეს კითხვა არ მასვენებს. თავს ვიდანაშაულებ იმაშიც, რომ ჩემს სიყვარულს, ჩემს გრძნობას ვუღალატე...

**— მოზარდ, მაგრამ ე.წ. ქუჩის ბიჭებს, რის გამო შეიძლებოდა ეჩხუბათ?**

— ყველაფრის გამო ვჩხუბობდით, მაგრამ ამ დროს არც დანას ვიყენებდით და არც სხვა იარაღს, რადგან დანის მტარებელი ადამიანი უვარგისად მიიჩნეოდა. ის სისასტიკე, რაც დღეს ხდება, დანის ტარებასთან ერთად იმ ფილმებმა გააძლიერა, რომელსაც მოზარდები უყურებენ და სადაც დიდი დოზით სისასტიკე, გარყვნილებაა.

**— მაგარ ბიჭობად რა მიიჩნეოდა?**

— მე-5 კლასში რომ ვიყავით, ყველამ სიგარეტის მოწევა, არყის სმა დაიწყო. ჩემს კლასში სწავლობდა ერთი ქიშმიშა,



იცი, რამხელა ბრძოლა გამოვუცხადე საკუთარ თავს, რომ მათთვის დამემტკიცებინა, მეც მაგარი ვარ-მეთქი

კუზიანი. ვხედავ, ეს ქიშმიშაც და კიდევ ერთი-ორი მისი მსგავსი ბიჭი ეწევიან, სვამენ და ჩემს თავს ვუთხარი, ესენი ამას თუ აკეთებენ, ე.ი. არაფერი ყოფილა-მეთქი და ამ ყველაფერს პროტესტი გამოვუცხადე. დავიწყე ვარჯიში, დავდიოდი ტანვარჯიშზე, ცეკვაზე და ყველაფერ ისეთზე, რაც მამაკაცს შეეფერებოდა... მაგარი ბიჭი იყავი, თუ კარგად ჩხუბობდი, ოღონდ, ერთი ერთზე. 51-ე სკოლაში სწავლობდა გოგა სამუნაშვილი, რომელიც სკოლის პირველი ყოჩი იყო. ჩვენ რაღაცაზე ვერ მოვრიგდით და ვერელებმა წამიყვანეს 51-ე სკოლის უკან, სადაც მე და გოგამ ერთი - ერთზე ვიჩხუბეთ. მოვერიე. ჰოდა, ეს მე-10 კლასელი ბიჭი (მე სკოლა დამთავრებული მქონდა), რომელიც მოსწავლე კი არა, ნამდვილი მამაკაცი იყო, გადამეხვია და მითხრა:



**ქუჩის ბიჭებში ზოგი მაგარი შესახედაობის, სპორტული აღნაგობის იყო და მათზე ჭკუას ნამდვილად კარგავდნენ**

ძმაო, მომერიე და ახლა წამო, ლაღიძის წყალსა და ხაჭაპურზე გეპატიჟებიო. ისე, მაგრად კი ჩხუბობდა...

— **დაბოლოს, რას ურჩევდით მოზარდებს?**

— მოდი, ამას ლექსად გეტყვი: არა გულწრფელთა ქვეყნისა შვილო,/ ვით შეგეყარა შენ გულწრფელობა,/ შენ რომ შეგცქერი, ასე მგონია,/ ანგელოზების არის მსვლელობა,/ სადღაა ქვეყნად მტრობა, მკვლელობა,/ სიყვარულია ჩვენი ხელობა./ გემუდარები, დარჩი ასეთად... შვილებო, უბით დანის ტარებას, სჯობია, სიყვარული ატაროთ.

*P.S. ძვირფასო მშობლებო! თუ გაგიჩნდათ სურვილი, ჩაერთოთ ამ რუბრიკაში და თქვენც გამოთქვათ აზრი თინეიჯერების შესახებ, ან ვერ უგებთ საკუთარ შვილებს, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27. შენ კი, ძვირფასო თინეიჯერო, ისევ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს? ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი და ის პრობლემები გაგვიზიარო, რომლებიც შენი თაობის ადამიანებს აწუხებთ ან უფროსებთან შეკამათება გსურს, დაგვიმესიჯე. მომავალ ნომერში ფსიქოლოგის რჩევას მიიღებთ. წარმატებებს გისურვებთ!*



# „არ გაბედოთ, ამ მამაკაცთან მიახლოება“ ანუ ყვავი, ვამპირი და მგლების ხროვა



**ეკა,** *19 წლის:*

„ლაშა აბზიანიძე საინტერესო ადამიანი ჩანს. მას მინდა ვკითხო: დიდი იმედგაცრუება მეც გამოვცადე და მიჭირს ამ მწარე გრძნობის გადატანა. ვერაფრით გამიგია, როგორ უნდა გადაგიყვარდეს საყვარელი პიროვნება ან წვრილმან გაუგებრობას დიდი გრძნობა როგორ უნდა შესწირო?.. ქალსა და მამაკაცს შორის მრავალფეროვან ურთიერთობაში რას გულისხმობ? იქნებ, შენი და ჩემი პრობლემაც აქ არის?..“

**ლაშა აბზიანიძე:**

— **ჩემო კარგო, ვგულისხმობ იმას, რომ როცა ყოველდღე ერთი და იგივე რაღაცას აკეთებ, ყველაფერი უფერულდება, მოსაბეზრებელი ხდება. შეიძლება, ამის გამო შენი პარტნიორი არ გადაგიყვარდეს, თუმცა, ეს ერთფეროვნება ნერვებს გიშლის და მერე, რაღაც ახალს ეძებ (მარტო სექსს არ ვგულისხმობ), მაგრამ როცა შენი რჩეული ამაში არ აგყვება, ხვდები, რომ ერთმანეთს ველარ უგებთ და ჯობია, თქვენი გზები გაიყაროს...**

**ანი ონიანი,** *18 წლის:*

„მე შენ მიყვარხარ, როგორც ყვავს უყვარს ლეში, მე შენ მიყვარხარ, როგორც ვამპირს უყვარს ფიქრი სიბნელეში, მე შენ მიყვარხარ ისე, როგორც ნადირობა მგლების ხროვას და მე შენ მიყვარხარ ისევ ისე... შენ თუ გახსოვარ?“

— **მე შენ ყოველთვის მახსოვხარ!..**

**ბარტყი,** *17 წლის:*

„პრივეტ“. ლაშა, როგორ ფიქრობ, დღეს საქართველოში შოუბიზნესს რატომ სძინავს? ფაქტობრივად, „სეიშენი“ ის ერთადერთი ჯგუფია, რომელიც სისტემატურად მუშაობს. ძალიან ვაფასებ თქვენს შემოქმედებას და წარმატებებს გისურვებთ“.

— **დიდი მადლობა, რომ გვააფასებ... შოუბიზნესს რომ სძინავს, ეს მარტო ჩვენი, მომღერლების ბრალი არ არის. ამაში ნაწილობრივ დამნაშავე მთავრობა, საზოგადოება და ის ცხოვრებაა, რომელიც დღესდღეობით ბოროტებით არის სავსე. იმედია, მალე ყველაფერი შეიცვლება და შესაბამისად, შოუბიზნესიც გაახელს თვალებს. ყოველ შემთხვევაში, შემოქმედი ადამიანები ამისთვის ვიბრძვით!**

**„ანარქია“,** *18 წლის:*

„შეყვარებული ვარ „სეიშენელ“ ლაშა აბზიანიძეზე! ასე რომ, ჩემო ცისფერთვალებავ, შენით დაინტერესებულ პირებს მივმართავ: არ გაბედოთ, ამ მამაკაცთან მიახლოება, თორემ მერწმუნეთ, „გზასაც“ დაგავიწყებთ და „თინეიჯერულ პონტებსაც“. აი, ასე... გაკოცე, სიხარულო. მუდამ ასეთი ლამაზი მენახე, არასოდეს მოიწყინო, რადგან შენ ღიმილი გიხდება“.

— **დიდი მადლობა სიყვარულისთვის.**

**ანი,** *18 წლის:*

„ლაშა, ძალიან გაფასებ, როგორც ჭკვიან, ხელოვან და შეგნებულ ადამიანს. მინდა, რჩევა გკითხო: შეყვარებული ვარ მამაკაცზე. ახლა მე ათენში გახლავართ, ის საქართველოშია და ძალიან მეშინია, რომ ცისფერი თვალები ჩემს არყოფნაში არავინ წამართვას. ვიცი, ბევრი გოგოა მისით დაინტერესებული და ლამისაა, გავცოფდე. ძალიან ეჭვიანი ვარ და სწორედ ამის მეშინია — ვიცი, ეჭვიანობამ ბევრი დაღუპა. მე და „ის“ სულ ვკამათობთ. სხვათა შორის, საკმაოდ ცნობილი სახეა. არ გეგონოთ, თითქოს პოპულარობის გამო მიყვარდეს, პირიქით, მირჩევნია უცნობი იყოს, რადგან მაშინ ბევრად ნაკლები მეტოქე მეყოლებოდა. რას მირჩევდით? როგორ მოიქცეოდით თქვენ ანალოგიურ სიტუაციაში? ძალიან ვაფასებ თქვენს სიტყვას და ბოლოს, მინდა გითხრათ, რომ მაგარი კაცი ხართ. ნებისმიერ საქმეში წარმატებას გისურვებთ! უფალი გფარავდეთ“.

— **ანალოგიურ სიტუაციაში როგორ მოვიქცეოდი, არ ვიცი, მაგრამ შეეცადე, არ იეჭვიანო. მინდა გითხრა, რომ მართალი ხარ — ადამიანი პირველ რიგში, ადამიანობით უნდა დააფასო და შემდეგ შემოქმედებით, პოპულარობით, ფულით და ა.შ. არ მიყვარს ნიღბიანი ადამიანები... დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის, შენც წარმატებებს გისურვებ!**

**მეგრელი კანიბალკა,** *20 წლის:*

„ლაშა, მთლად ასეც ნუ იქნები დღევანდელი თინეიჯერებისადმი განწყობილი, „თეთრი“ და „შავი“ ყველა თაობაშია... გახსოვს, ახალ წელს ზუგდიდში რომ იყავი? იმ პერიოდში ათენიდან ანი ონიანი გამეცნო ტელეფონით და შენზე თქვა: ჩემი შეყვარებულიაო. ახლაც გაქვთ ურთიერთობა? ჩამოვიდა? წარმატებებს გისურვებ!“

— **ანი ონიანთან ურთიერთობა ახლაც მაქვს, მაგრამ ის ათენიდან ჯერ არ ჩამოსულა... ჰო, ზუგდიდს რა დამავიწყებს?!**

**„ცუნცულ-ფისო“,** *16 წლის:*

„ვაიმეეე... ლაშა აბზიანიძე, რა საყვარელი ხარ. არ გეშინია, რომ მოგეპარო და ქვედა ტუჩზე გიკბინო? იცოდე, დაისჯები. ლამაზო, მე შენ უნდა მოგარჯულო“.

— **აბა, შენ იცი, შეეცადე ჩემს მორჯულებას** *(იცინის)*...

# „მთელი ცხოვრება ხატების წერას მივყოფ ხელს და ეკლესიებს შევწირავ“

**თბილისში ყოველდღე ეწყობა საინტერესო გამოფენა. გალერეები სულ უფრო მეტად ანებივრებენ ხელოვნების დამფასებლებს. ამიტომ ცოტა ძნელია, რაღაც ისეთი გააკეთო, რომ ყველა განაცვიფრო, აალაპარაკო. ხელოვანმა ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲠᲝᲖᲐᲥᲘᲫᲔᲛ ეს იოლად შეძლო: მან საზოგადოების სამსჯავროზე, დიდი მოწიწებით, სიყვარულითა და მორჩილებით შექმნილი ხატები გამოფინა. მისი ნამუშევრები უკვე მრავალ ეკლესია-მონასტერს ამშვენებს. მხოლოდ ასლებს ამზადებს, რადგან კურთხევა, რომ დამოუკიდებლად შექმნას ხატები, ჯერჯერობით არ მიუღია.**



ლელა ჭანკოტაძე

— ხატვა 5 წლის ასაკში დავიწყე. დედაც მხატვარი მყავს. ამიტომ გასაკვირი არ ყოფილა, რომ ხატვის ნიჭი აღმომაჩნდა. თუმცა, თავდაპირველად, სრულიად სხვა გზას დავადექი — სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე. გავიდა დრო და მივხვდი, რომ ხელოვნებასთან ზიარება ჩემში დაუოკებელ მოთხოვნილებად იქცა. ამიტომ სამხატვრო აკადემიაში, მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის ფაკულტეტზე ჩავაბარე. გადაწყვეტილი მქონდა — თუ აკადემიის სტუდენტი გავხდებოდი, ხატების წერას დავიწყებდი. მართლაც ასე მოხდა. ჩემთვის სასწაულის ტოლფასია ის ფაქტი, რომ აკადემიაში ჩავირიცხე. მთელი ცხოვრების მანძილზე, ხატების წერას მივყოფ ხელს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მდგარ ეკლესიებს შევწირავ. პარალელურად, პეიზაჟებს, კომპოზიციებს და პორტრეტებსაც ვხატავ, მაგრამ ხატწერა ჩემთვის უპირველესია.

— **როგორ იწერება ხატები? განა, ყველას აქვს ამის უფლება...**

— უკვე 63 ხატი შევწირე სხვადასხვა ეკლესიას. პირველი სიმონეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გახლდათ. მხოლოდ ასლებს ვქმნი. ახლო მომავალში კი ვაპირებ, თავად დავწერო ხატები. ეს ალბათ მაშინ მოხდება, როცა ჩემი მოძღვარი კურთხევას მომცემს. საერთოდ, ხატების წერას თავისი წესები აქვს, ჯერ ლოცვები უნდა წაიკითხო, ყოველთვის კარგ განწყობილებაზე უნდა იყო. თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ხატთან არ მივდივარ... ხატწერის დროს, გალობას ვუსმენ და ჩემთვის წყნარად ვმუშაობ. სულიერი სიმშვიდე თუ არ გაქვს, არაფერი გამოგივა. შეიძლება ხატი დაწერო, მაგრამ ის სულიერებას მოკლებული იქნება.

— **ვინ არის თქვენი ნამუშევრების შემფასებელი?**

— ცხადია, ჩემი მოძღვარი, მამა ამირან ქარქაშაძე, რომელსაც ძალიან მოსწონს ჩემი ხატები. მე მათ არა მარტო ეკლესიებს ვწირავ, არამედ შეკვეთითაც ვამზადებ. ძირითადად, რუსული და ბერძნული ხატები მოსწონთ, ქართულ ხატებზე ნაკლები მოთხოვნილებაა. ერთადერთი, შეიძლება ივერიის ღვთისმშობლის ხატი შემიკვეთონ. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ რუსული ხატები უფრო რეალისტურია, ბერძნული კი, მკვეთრი ფერებით გამოირჩევა. ზაფხულში, მხოლოდ ქართული ხატების გამოფენის მოწყობა მაქვს განზრახული.

— **რა დრო სჭირდება ერთი ხატის დამზადებას?**

— ერთი-ორი კვირა, შეიძლება, მეტიც — გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. ძირითადად, ღამე ვმუშაობ, როცა ირგვლივ სიწყნარეა. აქამდე, მუყაოსა და ქაღალდზე ვმუშაობდი, ახლა დავიწყე ხეზე — დაფებზე მუშაობა, რადგან მირონი მხოლოდ დაფებზე გადმოდის. სულ ცოტა ხნის წინ, კანკელის ხატები დავწერე დმანისის მამათა მონასტრისთვის. იმდენად შევეჩვიე ხატების წერას, რომ თითქმის ველარ ვისვენებ. როცა არ ვწერ, თავს ცუდად ვგრძნობ. სტუდენტობის პერიოდში, კედლებზე ვხატავდი. მე და ჩემმა მეგობრებმა მოვხატეთ ვაკის პარკი, გმირთა მოედანი, ვარდების ბაღი. მუშაობის პროცესი არაჩვეულებრივი იყო, მაგრამ ხატების წერას მაინც, ვერაფერი შეედრება. სხვათა შორის, ყელსაბამებსაც ვამზადებ, რადგან სამკაულები ძალიან მიყვარს. ასე რომ, მთელი დღის მანძილზე დატვირთული ვარ. თუმცა მიმაჩნია, რომ ის დრო, რომელსაც ხატების წერას არ ვუთმობ, დაკარგულია...

— **როგორი რეზონანსი ჰქონდა თქვენს გამოფენას?**

— ხატები პირველად გამოვფინე. მაგრამ ეს არ იყო ჩემი პირველი გამოფენა. ტყიბულში დავიბადე და გავიზარდე. იქ მქონდა პერსონალური გამოფენა. ძალიან მოეწონათ ჩემი ნამუშევრები და მთხოვეს, რომ იქ გამოფენა ყოველ წელს გავმართო. აგრეთვე ვმონაწილეობდი ორ ჯგუფურ გამოფენაში: ერთი შარდენის ქუჩაზე მოეწყო, მეორე კი — „ცისფერ გალერეაში“.

— **პრობლემა ბევრი გაქვთ?**

— არ მინდა პრობლემებზე ლაპარაკი. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მოწყობილი, კარგად განათებული სახელოსნო მქონდეს. ხან სად ვმუშაობ და ხან — სად. ცხადია, ვწვალობ, მაგრამ ღვთის შეწევნით, ნათელი სახელოსნო მექნება...

— **უცხოელი შემკვეთები თუ გყავს?**

— ერთხელ დავხატე გერმანელი ოჯახი. ჩემი მეზობელი ხშირად დადიოდა გერმანიაში. მან ჩამომიტანა ერთი იქაური ოჯახის ფოტოსურათები და მითხრა, მათი ოჯახური პორტრეტი უნდა შექმნაო. ძალიან რთული სამუშაო იყო, მაგრამ მოვახერხე. ოჯახის წევრებს გაშლილ სუფრასთან მოვუყარე თავი. შემკვეთებს ძალიან მოეწონათ. 100 დოლარი მომცეს — ასეთი იყო შეთანხმება. მეზობელმა კი,





საჩუქრად, უცხოური მარკის ავტომანქანა მიიღო. შემდეგ ჩემს კომპოზიციებსა და ნატიურმორტებს სურათები გადაუღო — იქნებ გერმანიაში შემკვეთები გიშოვოო. თურმე პლაკატები დაუმზადებია და გერმანიაში გაუყიდია. რას არ მოიფიქრებს ადამიანი!..

**— აქედან შეიძლება, ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ მხატვრებს იშვიათად გაქვთ ბიზნესის ნიჭი...**

— ცხადია. ხატებს ძალიან იაფად ვწერ. მაგრამ ფულს რომ მაძლევენ, ვკვდები უხერხულობისგან. რა ვქნა, ასეთი ვარ. ვიცი,




რომ ხალხს უჭირს, როგორ შემიძლია, ვინმეს ფულზე ვევაჭრო?! მახსოვს, კანკელის ხატს ვწერდი. 3 კვირა მოვანდომე: დავიწყე თუ არა წერა, სხეულზე ბოლნისის ხატი გამომესახა და 3 კვირის მანძილზე მქონდა. ამის შემდეგ ფულზე ლაპარაკი შეიძლება?!. 2 თვის წინ ქადაგებას რომ ვუსმენდი, დავინახე, კანკელის ხატების წინ ნისლი ჩამოწვა. ეს ნახევარი საათი გაგრძელდა. მოძღვარს რომ ვუთხარი, თავზე ხელი დამადო და დამლოცა. იმავე დღეს მამა გაბრიელის საფლავზე წავედი. დავინახე თითქოს საფლავიდან ალი ადიოდა. გაირკვა, რომ ამას მარტო მე ვხედავდი. შემდეგ ეკლესიაში ლოცვის დროს დავინახე, რომ ხატებს ორთქლი ასდიოდათ. შიშმა შემიპყრო. ერთხელ, ბარბარეს ეკლესიაში ვნახე, როგორ ადიოდა ქვემოდან ჭალისკენ ორთქლი და ქვემოთ სინათლის სვეტი ეშვებოდა. ეს ყველაფერი მაშინებდა, მაგრამ ვდუმდი. მერე ხატის წერისას ვიგრძენი, რომ მთელ ოთახში ნისლი ჩამოწვა. შეშინებულმა, მოძღვარს დავურეკე: მეშინია-მეთქი. მითხრა: შენ ისეთ საქმეს აკეთებ, მსგავსი ხილვები გასაკვირი არ არის, ასეთი ხილვები ბევრ მორწმუნეს აქვს, ასე რომ, ნუ გეშინიაო... დიდი სურვილი მაქვს, მონასტერში წავიდე. ოჯახის წევრები მიშლიან, წინააღმდეგნი არიან, მაგრამ თუ ღვთის ნებაა, ბოლოს მაინც იქ მოვხვდები.

■



# ამქვეყნად სასწაულებრივად მობრუნებული, ცილისწამების გამო საპატიმროში გამწესებული, გაუტეხელი მამა პართენი

**ამჯერად კიდევ ერთი ქართველი მართლმადიდებელი მამის, არქიმანდრიტ პართენის, ერისკაცობაში — იოანე აფციაურის ცხოვრების შესახებ მოგითხრობთ, რომელიც 1905 წელს მოევლინა ქვეყანას გუდამაყრის ერთ პატარა სოფელ დუმაცხოში: „რაღაც არაამქვეყნიური იყო ამ ადამიანში, ამქვეყნად მყოფი, თითქოს ვერც ამჩნევდა მას. საოცრად ნათელი სახე ჰქონდა, როგორც ანთებული სანთელი, რომლიდანაც თბილი შუქი ილვრებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მასში განსაკუთრებულმა შინაგანმა სიჩუმემ გამაოცა, რომელიც როგორც მოგვიანებით შევიტყვე, განდეგილობისა და მდუმარების მრავალწლიანი ღვაწლით ჰქონდა მოპოვებული. ისე გამოიყურებოდა, თითქოს უძველესი პატერიკებიდან იყო გადმოსული“, — წერს არქიმანდრიტი რაფაელი პართენ აფციაურის შესახებ წიგნში „გადარჩენის საიდუმლო“.**

***შორენა მერკვილაძე***

საოცარი იყო არქიმანდრიტ პართენ აფციაურის ამქვეყნად მოვლინება. მის მშობლებს შვილი 7 წლის განმავლობაში არ ეძლეოდათ. ოღონდ შვილის ღირსი გამხადე და ისევ შენ შემოგწირავო — ევედრებოდა უშვილობით დაღონებული ალექსი უფალს. შეისმინა უფალმა მისი ვედრება და ვაჟიშვილი შეეძინა. ჩვილს იოანე დაარქვეს. 3 წლის ყოფილა იოანე, როცა მოულოდნელად მძიმე სენი შეჰყრია. ყრმის გამოსაჯანმრთელებლად მშობლებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერას გამხდარან და იოანე ხელიდან გამოსცლიათ. როდესაც მწუხარებით თავზარდაცემული მშობლები შვილის უსიცოცხლო სხეულს დასტიროდნენ, ოთახში ერთი უსინათლო ბერი შესულა და სასოწარკვეთილი მამისთვის უთქვამს: ალექსი, შვილო, ხომ არ დაგავიწყდა, რომ შვილი ბერად შესწირე ღმერთსო! — განა კი მოვატყუებდი, მაგრამ ახლა რა ვქნა, მკვდარი ხომ არ გაცოცხლდებაო? — გაჰკვირვებია ალექსის, მაგრამ ბერს უნუგეშებია: შენ შეჰფიცე ღმერთსა და ნიშნად ამისა, მთიულთა წესით, დედაბოძზე ჭდე გააკეთე, რომ თუ ბავშვი გაცოცხლდა უფლის მსახურად გაზრდიო.

ალექსის მიცვალებული ყრმა ხელში აუყვანია, სახლის დედაბოძთან მისულა და ნაჯახით ჭდე ამოუკვეთია. იოანეს მყისვე გაუხელია თვალი და მამისთვის შეუხედავს... ეს ამბავი 1907 წელს მომხდარა...

როდესაც იოანე 5 წლის გახდა, მშობლებმა გუდამაყრის სკოლაში მიაბარეს. თავიდანვე კარგად სწავლობდა და ნიჭიერიც იყო, მაგრამ თანატოლებისგან მხოლოდ ნიჭიერებით კი არა, ღვთისმოსაობითაც გამოირჩეოდა — ტოლ-სწორებთან თამაშს, გართობას, მხიარულებას, საღმრთო წიგნების კითხვას არჩევდა, არც ლოცვასა და მარხვას ივიწყებდა.

ალექსი აფციაური ოჯახს ცხვრის სარქლობით არჩენდა, მაგრამ 1917 წელს, ცხვარი ქისტებმა წაართვეს, ამიტომ იძულებული გახდა, ლუკმაპურის საშოვნელად, ცოლ-შვილიანად ვლადიკავკაზში გადასახლებულიყო. 16 წლის იყო იოანე, როდესაც დედამისს მძიმე სენი შეეყარა და ოჯახის საქმეს ველარ აკეთებდა. მეუღლის ავადმყოფობით კიდევ უფრო დამძიმებულმა ალექსიმ ღვთისადმი მიცემული პირობა დაივიწყა და შვილის დაოჯახება გადაწყვიტა, რომ ოჯახში დიასახლისი ჰყოლოდათ. უკვე საცოლეც შერჩეული ჰყავდა. სამაგიეროდ, უფალს არ დაჰვიწყებია თავისი რჩეული შვილი, 16 წლის ყმაწვილს ძალა და გამბედაობა მისცა, რომ მამის უჩუმრად შინიდან გაპარულიყო და დაბა მიხაილოვსკთან ახლოს მდებარე მონას-





ტერს მისდგომოდა. ალექსიმ მალევე შეიტყო შვილის შინიდან წასვლის შესახებ, მის ძებნაში მთელი სოფელი შემოიარა, მაგრამ კვალსაც ვერსად მიაკვლია. ბოლოს შენიშნა, რომ შინიდან წასულ ყმაწვილს საღვთო წიგნები თან წაეღო და მიხვდა, რომ იოანე მონასტერში წასულიყო და ბერთა სამკვიდრებლისკენ გასწია. მონასტერში მოღვაწე ბერებმა, როცა მისგან შეიტყვეს, რომ იოანეს დედა სიკვდილის პირას იმყოფებოდა, ყმაწვილი შინ დააბრუნეს. მომაკვდავმა ქალმა მალე განუტევა სული. დედის გარდაცვალების შემდეგ, იოანემ კვლავ მონასტერში წასვლა გადაწყვიტა, რათა მთელი ცხოვრება ღვთის მსახურებაში გაეტარებინა. რა ვქნა, ყველაზე მეტად, ღმერთი მიყვარს და მონასტერში მინდა ყოფნაო, — უთხრა იოანემ მამას.

ყმაწვილმა ნაცნობი მღვდლისგან შეიტყო, თუ როგორ შეიძლებოდა შიომღვიმის მონასტერში მისვლა და გზას გაუდგა. ზამთარი იყო და გზაზე დიდი თოვლი იდო. უჭირდა იოანეს სვლა, მაგრამ მაინც სიხარულით მიიწევდა მონასტრისკენ.

შიომღვიმის მონასტერს, იმხანად, საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი — ეფრემ II (სიდამონიძე) წინამძღვრობდა. ეს ხომ ის პერიოდია, როდესაც ეკლესია სასტიკად იდევნებოდა ულმერთო ხელისუფალთა მიერ, რის გამოც, ბერად შედგომის სურვილი იშვიათად თუ უჩნდებოდა ვინმეს, ამიტომ მამა ეფრემი ძალზე გააკვირვა ახალგაზრდა იოანეს ბერობისკენ სწრაფვამ. მონასტერში სიხარულით მიიღო და მონასტრის საქონლის მწყემსვა დაუწესა. იოანე დღისით პირუტყვს მწყემსავდა, ღამეს კი, ლოცვასა და მღვიძარებაში ატარებდა.

მალე შიომღვიმის მონასტერი დაარბიეს და ულმერთო ხელისუფალთა დაკვეთით, იქ მოღვაწე ბერები ციხედ ქცეულ მეტეხის ტაძარში გამოამწყვდიეს. მორჩილმა იოანემ სოფელ ძეგვთან, ტყეში მდებარე ყოვლად წმინდა სამების მონასტერს შეაფარა თავი. იქვე მოღვაწეობდა 3 წლის მანძილზე — განუწყვეტელი ლოცვითა და მარხვით ემსახურებოდა ღმერთს, შემდეგ კი სვეტიცხოვლის ტაძრის მედავითნედ დაადგინეს; წილკნის ეპისკოპოსის, პავლეს (ჯაფარიძე) კურთხევით, მცხეთიდან ზედაზნის მონასტერში გადაიყვანეს მოხუცი ბერების მოსავლელად. 1929 წლის 15 ოქტომბერს, ეპისკოპოსმა პავლემ სვეტიცხოვლის ტაძარში ბერად აღკვეცა. სახელად პართენი უწოდეს, ლამფსაიკელი ეპისკოპოსისა და საკვირველმოქმედი მამის, პართენის პატივსაცემად.

ბერად აღკვეცის შემდეგ, მამა პართენი კვლავ ზედაზნის მონასტერში სამოღვაწეოდ დატოვეს, სადაც ძირითადად, ღრმად მოხუცი ბერები მკვიდრობდნენ. მათთან მოღვაწეობამ მრავალი ქრისტიანული სიბრძნე და სათნოება ასწავლა მამა პართენს. ეზიარა „იესოს ლოცვის“ საიდუმლოსაც. 1932 წელს, მამა პართენი ბერ-დიაკვნად აკურთხეს და სვეტიცხოვლის ტაძარში წირვა-ლოცვის დროს ბერ-დიაკვნის მოვალეობის შესრულება დაავალეს. 1935 წლიდან კი კვლავ შიომღვიმის მონასტერში გადაიყვანეს და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კალისტრატე ცინცაძის კურთხევით, მღვდელ-მონაზონის ხარისხში აღამაღლეს.

მამა პართენი შიომღვიმის მონასტერში 5 წელი მოღვაწეობდა, შემდეგ, მისივე თხოვნით, ძეგვის წმინდა სამების მონასტერში გადაიყვანეს, რომელიც იმ დროს თითქმის გაუდაბურებული იყო. ტყეში მდებარე მონასტერში განმარტოებით მოღვაწე ბერს რამდენჯერმე თავსაც კი დაესხნენ, მაგრამ ღვთის წყალობით ცოცხალი გადარჩა. მოსაგრე ბერს ძალზე მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა. უმეტეს დროს ლოცვასა და მღვიძარებაში ატარებდა. არქიმანდრიტი რაფაელი წიგნში — „გადარჩენის საიდუმლო“ — გადმოგვცემს ერთ-ერთი პიროვნების მოგონებას ძეგვის მონასტერში მამა პართენის მოღვაწეობის შესახებ: „ერთხელ მეგობრებთან ერთად ძეგვის მთებში ვნადირობდი. იქ წმინდა სამების მონასტერი დგას, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიტოვებული იყო. ახლომახლო ძეხორციელის ნახვას არ მოველოდით და უცებ გვიან ღამით, ეკლესიის ახლოს მდგარ ქოხში შუქს მოვკარით თვალი. დაღლილები ვიყავით და გადავწყვიტეთ, ღამე ქოხში გაგვეთია. კარი ღია იყო. შევედით და დავინახეთ ბერი, რომელიც ლოცულობდა. ფეხის ხმაზე მოტრიალდა. მას არაფერი ჰქონდა, ორცხობილასა და რამდენიმე კარტოფილის გარდა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ მშიერმწყურვალნი ვიყავით, კარტოფილი მოგვიხარშა და შემოგვთავაზა. შემდეგ მიწაზე დაფენილ საფენზე მიგვანიშნა, აქ შეიძლება დაძინებაო. თვითონ ლოცვა განაგრძო. დილით მადლობა გადავუხადეთ და წამოვედით. გზაში ვფიქრობდი — რა აიძულებს ამ ადამიანს, აიტანოს სიცივე, შიმშილი და იმის მოლოდინი, რომ მოვლენ, დამნაშავესავით ციხეში ჩასვამენ ან გასამართლების გარეშე დახვრეტენ?..“ — უთქვამს ამ პიროვნებას მამა რაფაელისთვის.

მალე მართლაც, დააპატიმრეს ცილისწამების საფუძველზე: საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აგიტაცია დასდეს ბრალად და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ეს მოხდა 1940 წელს. ციხეში საბერმონაზვნო სამოსისგან განმოსვა და წვერის გაპარსვა მოსთხოვეს, მაგრამ ვერასგზით დაითანხმეს. 4 წელი და 8 თვე გაატარა პატიმრობაში. ომის დასრულების შემდეგ, გაათავისუფლეს. ციხიდან გამოსული, პირდაპირ ზედაზნის მონასტერში ავიდა. მონასტერი დაცარიელებული დახვდა, რადგან იქ მოღვაწე მხცოვანი ბერები გარდაცვლილიყვნენ. მამა პართენი მონასტერში დარჩა და სამონასტრო ცხოვრება განაახლა. მაგრამ მალე კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ (ცინცაძე) იხმო და სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მსახურება დაავალა. დიდხანს უარობდა თურმე, მამა პართენი, რადგან განმარტოებით მოღვაწეობა უფრო იზიდავდა. როდესაც პატრიარქის მამაშვილურმა თხოვნამ არ გაჭრა, კათოლიკოსს უთქვამს: „ბერული მორჩილების სახელით, რომლის ფიციც აღკვეცის დღეს დადე, გაკურთხებ, წახვიდე სვეტიცხოველში, იცხოვრო იქ და აღასრულო ბერული კანონები და წირვა-ლოცვა“. მამა პართენი სიტყვის უთქმელად გაემართა სვეტიცხოვლისკენ. საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავდა. შემოწირულობებით ახერხებდა, წლების მანძილზე დახმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებულ მონასტრებს. მისი გულმოწყალება უპოვართ და გასაჭირში მყოფთაც სწვდებოდა.

1951 წელს, მღვდელ-მონაზონი პართენი იღუმენის ხარისხში აღამაღლეს, 1962 წელს კი, არქიმანდრიტობა უბოძეს.

1968 წელს, მამა პართენი კახეთში თელავის ღვთაების მონასტერში გადაიყვანეს, სადაც 4 წელი მოღვაწეობდა, შემდეგ კი, ალავერდის მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს. დიდხანს არც იქ უმოღვაწია, სნეულება შეეყარა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის (დევდარიანი) კურთხევით, სვეტიცხოვლის ტაძარში დააბრუნეს. იქვე მოღვაწეობდა 1984 წლამდე, ვიდრე მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს: „მთელ საქართველოს ვლოცავ, ლოცვა არ შეაჩეროთ“, — ეს სიტყვები დაგვიტოვა მამა პართენმა ანდერძად.

■

# სტალინის მკვლელები

## XX საუკუნის მთავარი საიდუმლო

*არ არსებობს უფრო რთული საქმე — ჩანაფიქრის თვალსაზრისით, უფრო საეჭვო საქმე — წარმატებული შედეგის მიღწევის მხრივ, უფრო სახიფათო საქმე შესრულებისას, ვიდრე ახალი მმართველობის ორგანოების შემოღებაა. ასეთ დროს ხომ გარდამქმნელს მტრად მოევლინება ყველა, ვისთვისაც სარფიანია უწინდელი წესწყობილება და მას მხოლოდ გულგრილი დამცველები გამოუჩნდება იმ იშვიათ ადამიანებს შორის, ვისაც შესაძლოა, ახალი წყობის პირობებში გაუმართლოს.*

*ნიკოლო მაკიაველი*



**ცნობილი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის იური მუხინის წიგნის შესავალში ვკითხულობთ: „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ბუნებრივი სიკვდილით არ მომკვდარა.**

**იოსებ ბესარიონის ძე სტალინი მოკლეს. მოკლეს მის უახლოეს გარემოცვაში მოკალათებულმა შეთქმულებმა. მოკლეს იმ დიდი რეფორმების გამო, რომელიც უნდა წამოეწყო... ამ წიგნში XX საუკუნის ყველაზე დიდი საიდუმლოს შემცველ უბინძურეს ისტორიულ მითს ეხდება ფარდა. შეიტყვეთ სიმართლე ბელადის ტრაგიკული დაღუპვის შესახებ“.**

### პროლოგი

თქვენს ხელთაა დეტექტივი, თუმცალა, ეს განსაკუთრებული დეტექტივია. ჩვეულებრივ, დეტექტივს ჰყავს გმირი, რომელიც დანაშაულს იძიებს, აქ კი დანაშაულს თქვენ, თავად მკითხველები გამოიძიებთ. ავტორი, როგორც ოპერმუშაკი, ფაქტებს შეაგროვებს თქვენი საგამოძიებო საქმიანობისთვის, დასკვნები კი თავად გააკეთეთ და ყურადღებას ნუ მიაქცევთ ჩემს მსჯელობას.

ორიოდე სიტყვა ფაქტების შესახებ. მათი პოვნა არცთუ ისე ადვილია, რადგან, რუსეთში არ არსებობს ისტორია — აქ არსებობს მხოლოდ რაღაც ლეგენდები, მითები, რომლებშიც ისტორია მუდმივად მახინჯდება, ხან ერთი, ხან — მეორე რეჟიმის სასარგებლოდ. ამიტომ, სანამ თვით დანაშაულის სამხილებს მივაგნებთ, იმ მითური ნეხვის მთელი გროვის მოშორება მოგვიწევს, რომლითაც ჩვენი ისტორიაა დაფარული და მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებთ, განვიხილოთ რეალური ფაქტები. ეს — ერთი, მეორე: ამ დანაშაულის მოტივები ჩვეულებრივი ადამიანისთვის ძალზე რთული გასაგებია, რადგან მკვლელობა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მმართველთა მიერაა ჩადენილი, ხოლო მათ ქმედებაში, თუმცალა კი არსებობს მოტივები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისინი მეორე პლანზე გადადის.

სტალინი იმიტომ მოკლეს, რომ მკვლელებს სურდათ, ისე ემართათ საბჭოთა კავშირი, როგორც თვითონ მოეპრიანებოდათ და არა ისე, როგორც ამას სტალინი აპირებდა. ამიტომ, შეუძლებელია, სტალინის მკვლელობის მოტივების გაგება, თუ არ გავიგებთ იმას, თუ როგორ იმართებოდა იმ წლებში საბჭოთა კავშირი, ვინ მართავდა მას და რა ინტერესები ჰქონდათ მის მმართველებს.

მე სტალინზე ვწერ, მაგრამ ნაწარმოები, როგორც ჩავიფიქრე, იქნება არა მასზე, არამედ მის მცდელობაზე, სახელმწიფოს მმართველობისთვის ჩამოეშორებინა კომუნისტური პარტია — ეს გიგანტი, რომლის თავიც ლპობის პროცესში იმყოფებოდა. ეს იყო მცდელობა არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ თვით კომუნისტთა პარტიის გადარჩენისაც, რომელიც, ბელადის ჩანაფიქრით, სახელმწიფოს ელიტურ, ინტელექტუალურ ძალად გადაქცევას ისახავდა მიზნად.

80-იანი წლების ბოლოს, უტვინო გორბაჩოვმა, რომელიც ხარბი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ნომენკლატურის ხელში მარიონეტი იყო, ქვეყანაში განახორციელა გარდაქმნა მის სასარგებლოდ — საშუალება მისცა ამ ნომენკლატურას, გაეძარცვა საბჭოთა კავშირი. 1952 წლის ბოლოს, კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სტალინმაც დაიწყო გარდაქმნა, ოღონდ — გარდაქმნა ხალხის საკეთილდღეოდ. სტალინმა სწორედ მაშინ დაიწყო სახელმწიფო „გობისთვის“ პარტიული ნომენკლატურის ჩამოშორება. და სწორედ ეს იქცა იმის მიზეზად, რომ სტალინი და ბერია მონსტრებად წარმოეჩინათ. ხრუშჩოვის მოხსენება, რომლის არსი ის გახლდათ, რომ სტალინი იყო არამზადა, რომელიც ბერიასთან ერთად, შიშის ზარს სცემდა მთელ საბჭოთა ხალხს და დაუსრულებლად ხოცავდა და ხოცავდა ადამიანებს...

ამ მითის მთელი უაზრობა და საზიზღრობა ის გახლავთ, რომ პარტიისა და სახელმწიფოს სათავეში მდგომნი, ყველანი — სტალინის მოწაფეები და თანამებრძოლები იყვნენ. ისინი სიცოცხლეში წარმოუდგენლად აქებდნენ და ადიდებდნენ მას და, რაც მთავარია, სწორედ ისინი აკეთებდნენ ქვეყანაში ყველაფერს, საკუთარი ხელებით. და თუ ქვეყანაში მართლაც, რაიმე ცუდი ან დანაშაულებრივი ხდებოდა, ამას სტალინი კი არ აკეთებდა, არამედ სწორედ ეს სახელმწიფო მოღვაწენი და რადგან კარგად ხედავდნენ, თუ რას აკეთებდნენ, შეეძლოთ ეს არ გაეკეთებინათ. მაგრამ ხომ აკეთებდნენ! და შემდეგ, უცებ, ყოველივე ამაში სტალინი დაადანაშაულეს?!!

ახლა ჩავუფიქრდეთ იმას, თუ როგორად წარმოჩნდნენ სტალინის თანამებრძოლები ამის შედეგად? ეს იყო გონებაჩლუნგი და მშიშარა ადამიანების ბრბო, რომელიც სტალინმა იმდენად დააშინა, რომ სიკვდილის შიშით, სტალინის საამებლად დანაშაულს სჩადიოდა!.. ხრუშჩოვს, მიქოიანს, მალენკოვს და კიდევ ასეულობით მათ თანაპარტიელ კოლეგას არ შეიძლებოდა, არ გაეცნობიერებინათ: როცა სტალინს ცილს სწამებდ-

**ეს იყო გონებაჩლუნგი და მშიშარა ადამიანების ბრბო, რომელიც სტალინმა იმდენად დააშინა, რომ სიკვდილის შიშით, სტალინის საამებლად დანაშაულს სჩადიოდა!..**

ნენ, თავად უკანასკნელ არამზადებად წარმოჩნდებოდნენ, ისეთ არამზადებად, რომ არა მარტო პატიოსან ხალხს, არამედ საკუთარ თავსაც ვერ შეხედავდნენ თვალებში, სინდისი რომ ჰქონოდათ. მაგრამ ისინი ამაზე წავიდნენ. რატომ?

ხრუშჩოვის მიმდევრებსა და სხვა ჯურის დეგენერატებს ამ შეკითხვაზე სტანდარტული პასუხი აქვთ: იმიტომ, რომ კომუნისტებს ძალზე სჭირდებოდათ სტალინის პიროვნების კულტის მხილება, რათა შემდგომში, პარტია მუდამ კოლეგიალურად ემართათ და არ მიეცათ საშუალება ერთი ადამიანისთვის, ეიძულებინა ყველა, ექო და ედიდებინა იგი... სინამდვილეში კი, სტალინისა და ბერიას ლაფში ამოსვრა რატომღაც, მთელ იმდროინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობას სჭირდებოდა და ამისთვის იგი მზად იყო, ნებისმიერ ზნეობრივ და პოლიტიკურ დანაკარგზე წასულიყო. რატომ?

არც ერთი დღემდე არსებული ვერსია და ჰიპოთეზა ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხს არ იძლევა. ყველაზე სრული პასუხი კი ასეთია: სტალინს და მის შემდგომ, ბერიას სურდათ გაეკეთებინათ რაღაც ისეთი, რაც ჩანასახშივე მიუღებელი იყო საბჭოთა კავშირის დანარჩენი პოლიტიკოსებისთვის. ეს „რაღაც", დროთა განმავლობაში, შეიძლებოდა, გამომზეურებულიყო და ხალხის მასების გულები დაეპყრო, რის საფუძვლადაც, როგორც ერთი, ისე მეორე მოღვაწის უდიდესი ავტორიტეტი იქცეოდა. სწორედ ამიტომ გაჩნდა იმის საჭიროება, რომ ორივე ლაფში ამოესვარათ, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათი ხსენებაც კი ადამიანებში ურწმუნობასა და უნდობლობას გამოიწვევდა.

მხოლოდ ეს ჰიპოთეზა ხსნის სრულყოფილად მომხდარს. და სწორედ ამ ჰიპოთეზის ახსნა-გაანალიზებას მივყოფ ხელს.

ასე და ამგვარად, წარმოვიდგინოთ, რომ ვართ გამომძიებლები ან კიდევ უკეთესი — ნაფიცი მსაჯულები და აღნიშნული საქმის ძიებისას დაგროვილი ფაქტობრივი მასალის გაანალიზება ვცადოთ.

## მოწმეები

თუ ბერიას სიკვდილის შესახებ რაღაც „ოფიციალური" ვერსია მაინც არსებობს, რომელზეც შეიძლება უარი ვთქვათ, სტალინის შესახებ ოფიციალურად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ის მოკვდა. თავიდანვე, მისი ავადმყოფობის გამოცხადების მომენტიდანვე, დაიწყო სიცრუე, თუნდაც იმაში, რომ — არავინ იცის, რა მოსაზრებით, — ხალხს აცნობეს, რომ ტვინში სისხლჩაქცევა სტალინს კრემლში, მის კაბინეტში დაემართა.

შემდგომში, საბჭოთა ოფიციალური პირები გარემოებათა შესაბამისად ცრუობდნენ. როცა 1956 წელს გაჩნდა საჭიროება, გაესვარათ სტალინი, „პიროვნების კულტთან" ბრძოლის საბაბით, ჯერ მწერალმა ილია ერენბურგმა, შემდეგ კი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა პონომარენკომ საზღვარგარეთ გაავრცელეს ვერსია, თითქოს სტალინის ინსულტი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დაემართა, რომელზეც მან თითქოს წამოაყენა წინადადება, საბჭოთა კავშირში მცხოვრები ყველა ებრაელის, ებრაელთა ავტონომიურ ოლქში გადასახლების შესახებ. თითქოს პრეზიდიუმის ყველა წევრმა ყვირილი დაუწყო სტალინს, იმუქრებოდნენ, რომ პარტბილეთებს ჩააბარებდნენ და ბერიაც კი, საცოდავი ებრაელების დამცველთა მხარეზე გადავიდა... ჰოდა, სტალინს სწორედ მაშინ მოუვიდა გაჟონვა. ამ ვერსიის წამოყენების მიზეზიც გასაგებია: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცეკას პრეზიდიუმს სჭირდებოდა, თავის მხარეზე გადაებირებინა და „პიროვნების კულტის" მხილებაში ჩაერთო დასავლეთის ებრაული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები. ეს კი, არსებითად, დასავლეთის ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალებაა.

**საზღვარგარეთ გაავრცელეს ვერსია, თითქოს სტალინს ინსულტი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე დაემართა...**

მაგრამ მოგვიანებით, იმ პირთა ნაწილმა, ვინც სტალინის გარდაცვალების მომსწრე იყო, ამის შესახებ საკუთარი მოგონებები დატოვა. ასეთი მოწმე არსებითად, ორია: ხრუშჩოვი და „კოლექტიური" მომსწრე — სტალინის პირადი დაცვა. დაცვას ერთ პირში გავაერთიანებ, რადგან მისი „ნარჩენები" მომხდარის შესახებ კოლექტიური მოგონებებით პირველად, მხოლოდ 1977 წელს გამოვიდნენ, ხრუშჩოვი კი, 1971 წელს გარდაიცვალა. არც ხრუშჩოვს და არც დაცვას ერთმანეთის ტყუილები არ სმენიათ და არც თავიანთი ნათქვამის ერთმანეთთან შეთანხმება შეეძლოთ.

ყველა ეს მოწმე რომ ცრუობს, ამას მოგვიანებით ნათლად იხილავთ. თვით ის ფაქტი, რომ ცრუობენ, ასევე ბუნებრივია: ყველანი იყვნენ სტალინის განზრახ (ხრუშჩოვი) და არაგანზრახ (დაცვა) მკვლელები და დასამალი მათ ნამდვილად, ბევრი რამ ჰქონდათ. მაგრამ ვიმეორებ — ვინაიდან მათ არ შეუჯერებიათ ერთიმეორის ნათქვამი, მათი სიცრუის მიხედვით შეგვიძლია მივხვდეთ, თუ ამ სიცრუით რისი დაფარვა სურდათ და როგორ მოხდა ყველაფერი.

### ხრუშჩოვისა და დაცვის დაპირისპირება: ვახშამი

მოდით, ხრუშჩოვით დავიწყოთ. ის ასე იხსენებდა 1953 წლის 28 თებერვლისა (შაბათი) და 1-ელი მარტის (კვირა) ღამეს:

*„და აი, შაბათს მისგან დარეკეს და მითხრეს, რომ კრემლში მივსულიყავით. მან იქ პერსონალურად მიგვიწვია — მე, მალენკოვი, ბერია და ბულგანინი. მივედით. ის გვეუბნება: „მოდი, ფილმი ვნახოთ". ვნახეთ. შემდეგ კვლავ გვეუბნება: „წავიდეთ აგარაკზე — ბლიჟნაია, ვჭამოთ".*

*...წავედით, ვივახშმეთ. ვახშამი გაიწელა. სტალინი ასეთ საღამოს წვეულებებს, ძალიან გვიან ვახშამს, სადილს უწოდებდა. ვახშამი ალბათ, დილის 5 თუ 6 საათზე დავამთავრეთ. ეს ჩვეულებრივი დროა, როცა მისი „სადილები" მთავრდებოდა ხოლმე. სტალინი*



მკვლელობა საბჭოთა კავშირის უმაღლეს მმართველთა მიერაა ჩადენილი



სტალინი იმიტომ მოკლეს, რომ მკვლელებს სურდათ, ისე ემართათ საბჭოთა კავშირი, როგორც თვითონ მოეპრიანებოდათ

*მხიარულობდა, ძალიან კარგ ხასიათზე იყო. არაფერი არ მოწმობდა იმას, რომ შეიძლებოდა, რაიმე მოულოდნელობა მომხდარიყო. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და წავედ-წამოვედით.*

*როცა ვესტიბიულში გამოვედით, სტალინი ჩვეულებისამებრ, გასაცილებლად გამოგვყვა. ის ბევრს ხუმრობდა, თითქოს თითი მომიქნია და მუცელში მატაკა, თან — მიკიტას მეძახდა. როცა კარგ ხასიათზე იყო, ყოველთვის უკრაინულად მეძახდა ხოლმე — მიკიტას. ჩვენც კარგ ხასიათზე გავემგზავრეთ იქიდან, რადგან სადილზე ცუდი არაფერი მომხდარა, სადილი კი ყოველთვის როდი მთავრდებოდა ასეთ კარგ განწყობილებაზე. ჩვენ სახლებში წავედით“.*

ისტორიკოსებმა კი დაადგინეს: სტალინი 17 თებერვლიდან მოყოლებული, კრემლში არ ყოფილა და აგარაკიდან გაუსვლელად მუშაობდა. ამას ადასტურებს კრემლში, მის კაბინეტში მიმსვლელთა რეგისტრაციის ჟურნალი: 17 თებერვლიდან მასში არანაირი ჩანაწერი არ გაკეთებულა. ასე რომ, სტალინს არ გამოუძახებია ეს კომპანია თავისთან კრემლში და არც ფილმი უნახავს მასთან ერთად. ხრუშჩოვი ცრუობს. რატომ?

განვაგრძოთ. სტალინს, რა თქმა უნდა, შეეძლო, თუ ეს საჭირო იყო, დილამდე ემუშავა, მაგრამ ჩვეულებრივ, ის ღამის 3-4 საათზე წვებოდა და დილის 10-11 საათზე დგებოდა. რისთვის დაარღვია მან უეცრად, თავისი რეჟიმი? იმისთვის რომ მათი მთვრალი სიფათები ენახა, ვისაც ყოველდღე ხედავდა, აგერ უკვე მთელი 25 წლის განმავლობაში? მაგრამ ის ხომ ელცინი არ იყო!..

სტალინის დაცვაც ცრუობს, მაგრამ — არა ასე უტიფრად. ის ირწმუნება, რომ ვახშამი დილის 4 საათზე დასრულდა და დაცვაც, ისევე, როგორც ხრუშჩოვი, ცდილობს დაარწმუნოს დაინტერესებული პირები, რომ ვახშამი თითქმის მხიარულად მიმდინარეობდა და არავითარი უსიამოვნო საუბარი არ ყოფილა. ვახშმობისას იმით ერთობოდნენ, რომ სვამდნენ, სვამდნენ და სვამდნენ და — მხიარულობდნენ.

არადა, იმ წლებში, ხელისუფლების ორგანოების მუშაობის გრაფიკი თავისებური გახლდათ: სამუშაო დღე დილით ათის ნახევარზე იწყებოდა და რიგითი თანამშრომლებისთვის საღამოს რვა საათზე, ხოლო მინისტრებისა და მათზე მაღალი თანამდებობის პირებისთვის — ღამის თორმეტ საათზე მთავრდებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელთ ჰქონდათ შესვენება სადილისთვის, რომელიც საღამოს ექვსის ნახევრიდან ცხრის ნახევრამდე გრძელდებოდა. შაბათობით სამუშაო დღე მოკლე იყო და საღამოს ხუთ საათზე მთავრდებოდა. ამგვარად, ხრუშჩოვს, მალენკოვს, ბერიასა და ბულგანინს შეეძლოთ, სადაც უნდოდათ, იქ წასულიყვნენ შაბათ საღამოს. მაშინაც კი, თუ სტალინს მხოლოდ დროს ტარება ჰქონდა განზრახული, შუალედი სამუშაო დღის დასასრულსა და დროს ტარების დასაწყისს შორის ძალზე ხანგრძლივი გამოდის. თუკი სტალინს ასე ძლიერ სურდა, ექვსი საათის განმავლობაში უბრალოდ, ეყურებინა თავისი თანამეინახეებისთვის, მაშ, რაღას ელოდებოდა საღამოს ხუთი საათიდან ღამის თორმეტ საათამდე?

აგარაკის ერთ-ერთი მცველი — ლოზგაჩევი ასე იხსენებს იმ ღამეს:

*„პირველი მარტის ღამეს აგარაკზე ვიყავი — ვმორიგეობდი... ორლოვი — აგარაკის კომენდანტი — ის-ის იყო, შვებულებიდან დაბრუნდა და დასვენების დღე ჰქონდა. სტალინთან ვმორიგეობდით: მე, უფროსი მცველი სტაროსტინი, მისი თანაშემწე ტუკოვი და მატრიონა ბუტუსოვა. იმ ღამეს ობიექტზე სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ — ასე უწოდებდა სტალინი პოლიტბიუროს წევრებს, რომლებიც მასთან მიდიოდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ, როცა მასთან სტუმრები მოდიოდნენ, ჩვენ მასთან ერთად ვადგენდით მენიუს. 28 თებერვლის ღამეს ასეთი მენიუ გვქონდა: ყურძნის წვენი „მაჭარი“... ეს ჯერ კიდევ დაუღვინებელი ყურძნის ღვინოა, მაგრამ სტალინი მას წვენს ეძახდა, რადგან სიმაგრე არ ჰქონდა. და აი, იმ ღამეს სტალინმა გამომიძახა და მეუბნება: „მოგვიტანე წვენი, კაცზე ორ-ორი ბოთლი...“*

ამგვარად, სტუმრების მისვლა არ იყო სპონტანური — სტალინი საგანგებოდ ემზადებოდა მათ მისაღებად და შინელს კი არ იხდიდა და ისე კი არ ყვიროდა: *„მოგვიტანეთ, რაც დარჩა მანდ სამზარეულოში!“* სპირტიანი სასმელებიც მან ფაქტობრივად, მენიუდან ამოიღო. აქედან გამომდინარე, ეს, ღრეობა კი არ იყო ძილის წინ, არამედ ეს იყო მზადება სერიოზული საუბრისთვის, რომლის დროსაც, სტალინს არ სჭირდებოდა მთვრალების ლაყბობა. მაშ, რისთვის გადადო ეს საუბარი გვიანი ღამისთვის? მისმა თანამებრძოლებმა ხომ საღამოს ხუთ საათზე დაამთავრეს მუშაობა და თავისუფლები იყვნენ!

დასკვნა: ხრუშჩოვსაც და დაცვასაც რატომღაც, ძალიან სჭირდებოდათ, რომ 28 თებერვლის ღამეს სტალინი ცოცხალი, ჯანმრთელი და მხიარული ყოფილიყო, თითქმის გათენებამდე. სწორედ იმისთვის, რომ ვახშმის დრო 1-ელი მარტისთვის გადაეწიათ, ხრუშჩოვმა მოიგონა სტალინის გამოძახება კრემლში. ფილმის ერთობლივად ყურება ავსებს დროის მონაკვეთს საღამოს ხუთი საათიდან შუაღამემდე. სტალინის დაცვამაც, ხრუშჩოვისგან სრულიად დამოუკიდებლად, კვერი დაუკრა მას — ეს ნიშნავს, რომ დაცვასაც სჭირდებოდა, რომ ყველას ეფიქრა, თითქოს 28 თებერვლიდან 1-ელ მარტამდე (ანუ იმ ღამით), სტალინს არაფერი მოსვლია...

ამისთვის დაცვა უბრალოდ სიცრუის შედევრს იყენებს. იგივე ლოზგაჩევი განაგრძობს:

*„როცა პატრონი* (ასე ეძახდნენ სტალინს. — რედ.) *სტუმრებს აცილებდა, მასთან ერთად, უფროსი მცველიც იყო — კარს კეტავდა მათი წასვლის შემდეგ. ჰოდა, მცველმა — ივან ვასილიევიჩ ხრუსტალევმა ბოლოს ნახა პატრონი, რომელმაც მას უთხრა: „დაწექით დასაძინებლად. მე არაფერი მჭირდება. მეც დავწვები. დღეს აღარ დამჭირდებით“. ხრუსტალევი მოვიდა და მხიარულად გვითხრა: ბიჭებო, არასოდეს ასეთი ბრძანება არ ყოფილა...“ და სტალინის სიტყვები გადმოგვცა... — აქ ლოზგაჩევმა დაუმატა: „მართლაც, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც მასთან ვმუშაობდი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა სტალინმა თქვა: „დაწექით დასაძინებლად“... ჩვეულებრივ გვეკითხებოდა ხოლმე: „გეძინებათ?“ — და თვალებით გვხვრეტდა, თავით ფეხამდე... აბა, რა ძილზე იქნებოდა ლაპარაკი!.. ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალზე კმაყოფილები ვიყავით, ასეთი მითითება რომ*

**თვით ის ფაქტი, რომ ცრუობენ, ბუნებრივია: ყველანი იყვნენ სტალინის განზრახ (ხრუშჩოვი) და არაგანზრახ (დაცვა) მკვლელები და დასამალი მათ ნამდვილად, ბევრი რამ ჰქონდათ**

*მივიღეთ და მაშინვე დასაძინებლად დავწექით“.*

ნათქვამი უკვე აღარც კი იცი, როგორ შეაფასო. სტალინი მართლაც, ძალზე კარგად ექცეოდა დაცვასაც და მომსახურე პერსონალსაც. საკმაოდ ხშირად იწვევდა მათ სუფრასთან, ერთხელ კი, როცა დაინახა, როგორ სველდებოდა პოსტზე მდგომი გუშაგი წვიმის ქვეშ, უმალ ბრძანება გასცა, რომ იმ პოსტზე ჯიხური დაედგათ... მაგრამ ამას არავითარი კავშირი არ ჰქონდა დაცვის მუშაობასთან. ამასთან დაკავშირებით, სტალინი ვერანაირ შეღავათს ვერ იტანდა. ვლასიკი ჰყვებოდა, რომ ერთხელ კავკასიაში, სტალინის დაცვის სიმცირის გამო (9 კაცი), ერთ-ერთ გუშაგს პოსტზე ჩაეძინა. სტალინმა მოითხოვა, გაეზარდათ დაცვის თანამშრომელთა რაოდენობა, რათა მათთვის ნორმალური დასვენების საშუალება მიეცათ. მაგრამ პოსტზე ძილი — ეს უკვე სამხედრო დანაშაულია. ე.ი. ვინმეს მისცე უფლება, პოსტზე ყოფნისას დაიძინოს, იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენის უფლება მისცე. ასეთ ბრძანებას სტალინი არასდროს გასცემდა!

ასე და ამგვარად, მისი დაცვა ცრუობს!

და კიდევ ერთი ფაქტი. მიაქციეთ ყურადღება, რომ სტალინს სახლში და მთლიანად სახლს სულ სამი კაცი იცავდა (იყო კიდევ ერთი პოსტი — აგარაკის ჭიშკართან, მაგრამ მას სახლის დაცვასთან კავშირი არ ჰქონდა): ორი მიმაგრებული მცველი და კომენდანტი, რომელიც საკუთრივ სახლის ტერიტორიას აკონტროლებდა. მათთვის ძილის ნება რომ მიეცათ, ეს სახლის სრულიად დაუცველად დატოვებას ნიშნავდა. მაშ, რაღა ჯანდაბად სჭირდებოდათ დაცვა?!

გადავიდეთ შემდეგზე. როცა 1952 წელს, თანამდებობიდან გაათავისუფლეს სტალინის დაცვის სტაჟიანი უფროსი და შემდეგ, სამთავრობო დაცვის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ვლასიკი, მასთან ერთად, სხვა თანამდებობის პირებიც შეცვალეს. კრემლის კომენდანტად სტალინმა თავისი ერთ-ერთი პირადი მცველი დანიშნა, რომელსაც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ენდობოდა. ეს გახლდათ გენერალ-მაიორი კოსინკინი. ეს ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცი, გენერალ-მაიორი კოსინკინი სწორედ 17 თებერვალს „უდროოდ გარდაიცვალა“: თუ გახსოვთ, სტალინი სწორედ ამ დღიდან არ მისულა კრემლში და მუდმივად აგარაკზე რჩებოდა (სადაც ინდოეთის ელჩიც კი მიიღო და მასთან ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა). ახლა წარმოიდგინეთ, რომ ასეთ გაურკვეველ სიტუაციაში სტალინმა უეცრად უბრძანა — მთელ დაცვას შეუძლია, დაიძინოსო!..

**რატომღაც, ძალიან სჭირდებოდათ, რომ 28 თებერვლის ღამეს სტალინი ცოცხალი, ჯანმრთელი და მხიარული ყოფილიყო, თითქმის გათენებამდე. სწორედ იმისთვის, რომ ვახშმის დრო 1-ელი მარტისთვის გადაეწიათ**

მაგრამ მთავარი სულ სხვა რამაა. მახსენდება ერთი უწმაწური ინგლისური ხუმრობა: „ჯენტლმენი ის კი არ არის, ვინც მოულოდნელად შინ დაბრუნებისას, საძინებელში ცოლს საყვარელთან ერთად შეუსწრო და უთხრა: „მაპატიეთ შეწუხებისთვის, გააგრძელეთ, გეთაყვა!“ — არამედ ის, ვინც ამის შემდეგ გაგრძელებას შეძლებს...“

ასე და ამგვარად, შეუძლებელია, დაცვას ასეთი ბრძანება შეესრულებინა. მისი წევრები ხომ სამნი იყვნენ. სახლში კიდევ ერთი ადამიანი — მზარეული ქალი იმყოფებოდა. ჰოდა, ერთხელაც, მზარეულს დაუფიქრებლად რომ წამოეროშა — სტალინის დაცვას ეძინაო, — მცველებს ხომ, მინიმუმ, მაშინვე გაყრიდნენ სამსახურიდან და თავად სტალინიც ვერაფრით დაეხმარებოდა მათ, მაქსიმუმ — მხოლოდ ტრიბუნალიდან თუ დაიხსნიდა. ე.ი. დაცვა ცრუობს — მას არ ეძინა!

სხვათა შორის, სტალინის მცველი ხრუსტალევი, რომელსაც სტალინმა თითქოს უბრძანა, დაეძინა, ბელადის გარდაცვალებიდან სულ ცოტა ხანში, თვითონაც უდროოდ „გარდაიცვალა“ და ამით ისტორიკოსები (თუ გამომძიებლები) „ზედმეტი კითხვების“ დასმისგან იხსნა.

ამგვარად, დაცვა აღიარებს, რომ თანამდებობრივი დანაშაული ჩაიდინა, რითიც თვითონვე ცილს სწამებს საკუთარ თავს. რატომ? მცველებს ხომ უბრალოდ შეეძლოთ, ეთქვათ, რომ ისინი, როგორც ყოველთვის, მთელი ღამე ფხიზლობდნენ. მაგრამ მათ ამჯობინეს, ეთქვათ, რომ „მამაცურად დაწვნენ დასაძინებლად“. რატომ?

პასუხი ერთია: იმ ღამით რაღაც მოხდა. მაგრამ დაცვა ჯერ კიდევ 1953 წლის 2 მარტს აიძულეს, ტყუილი ეთქვა (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). ამ დროს, სტალინი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. აქედან გამომდინარე, არსებობდა რისკი, რომ ის გადარჩენილიყო. გადარჩენის შემთხვევაში კი, შეიძლებოდა, თვითონვე გახსენებოდა, თუ რა მოხდა და შეკითხვებიც დაესვა. ეს უცილობლად უსიამოვნო შეკითხვები იქნებოდა. და დაცვა (და ისინიც, ვინც მას მომხდარის შესახებ ლეგენდა შეუდგინა), იმ შემთხვევაში, თუ იტყოდა, რომ ეძინა, პასუხების გაცემისას ხელფეხშეკრული არ იქნებოდა: თუ სტალინი მოკვდებოდა, დაცვა იმის მტკიცებას დაიწყებდა (როგორც მოხდა კიდეც), რომ 1-ელი მარტის ღამით არაფერი მომხდარა, მაგრამ თუ ბელადი გადარჩებოდა, დაცვა იმის მტკიცებას დაიწყებდა, რომ ეძინა და ამიტომ არ იცის, სტალინს რაიმე მოუვიდა თუ არა, ვინმე ეწვია მას თუ არა.

გარდა ამისა, დაცვა სახლში ერთადერთი მოწმე არ ყოფილა. არსებობდა კიდევ დასახლების დაცვა, რომელიც მანქანებს ატარებდა; დაცვა იდგა აგარაკის ჭიშკართან; ბოლოს და ბოლოს, შეიძლებოდა, ყოფილიყვნენ შემთხვევითი მოწმეებიც, რომლებმაც დაინახეს, თუ როგორ მივიდნენ მანქანები სტალინის აგარაკთან. ასეთ შემთხვევაში, პირადი დაცვის წევრებს იმაზეც უნდა ეზრუნათ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში აეხსნათ — თუ რატომ ხედავდნენ სხვები აგარაკის ტერიტორიაზე შემავალ მანქანებს და რატომ ვერ ხედავდა მათ თვით აგარაკის დაცვა. თურმე ნუ იტყვით და — მათ ეძინათ.

დასკვნა: სტალინის პირადი დაცვის წევრები იმთავითვე აიძულეს, რომ ასე ეცრუათ და ისინიც განაგრძობდნენ ცრუინფორმაციას 25 წლის შემდეგაც...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



**სტალინისა და ბერიას ლაფში ამოსვრა რატომღაც, მთელ იმდროინდელ საბჭოთა ხელმძღვანელობას სჭირდებოდა**



# ენ ჰეტევეი
## მსახიობი, რომელიც ინგლისური ლიტერატურის წიაღიდან მოდის

**ენ ჰეტევეის ცხოვრება ბავშვობიდანვე ინგლისს უკავშირდება და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი წინაპრები ინგლისელები და ირლანდიელები იყვნენ. ბრიტანეთთან მჭიდრო სულიერი კავშირი, მისი სახელიდან იწყება: ენ ჰეტევეი ხომ დიდი უილიამ შექსპირის ცოლს ერქვა!**

**ენ ჟაკლინ ჰეტევეი 1982 წლის 12 ნოემბერს ბრუკლინში დაიბადა. გოგონას მამა — ჯერარდ ჰეტევეი ადვოკატი იყო, დედა — კეიტ მაკქალეი კი — მსახიობი. „მე საშუალო კლასის საკმაოდ უზრუნველყოფილ ოჯახში დავიბადე, სადაც ძლიერი მორალური ტრადიციები და ცხოვრებისეულ ფასეულობათა შესახებ ღრმად ფესვგამდგარი შეხედულებანი ბატონობდა“, — იხსენებს მსახიობი. ენმა ბავშვობა ნიუჯერსიში გაატარა. გოგონა ძმებთან ერთად სიამოვნებით თამაშობდა. მათი გართობა, არცთუ იშვიათად, მოტეხილობითა და დაჟეჟილობით მთავრდებოდა, მაგრამ ბავშვებს მხიარული ხასიათი და მებრძოლი სული არასდროს დაუკარგავთ.**

სახელგანთქმული სეხნიისა და დედის მაგალითით შთაგონებულმა გოგონამ ბავშვობიდანვე მტკიცედ გადაწყვიტა, რომ საკუთარ თავს ხელოვნებას მიუძღვნიდა. ენი კარგად მღეროდა, მაგრამ მას განსაკუთრებით თეატრი იზიდავდა. ბუნებრივად დაყენებული მშვენიერი სოპრანო და სამსახიობო ნიჭთან შერწყმული, თანდაყოლილი მიზანდასახულობა იმის საწინდარი იყო, რომ თეატრალური სცენა ნორჩ დებიუტანტს ხელგაშლილი მიიღებდა. ასეც მოხდა: ენი თეატრალურ დასში ჩაირიცხა, სადაც წარმატებით ასრულებდა საბავშვო როლებს. სწორედ ამ პერიოდში, კიდევ ერთხელ ეზიარა ინგლისურ ლიტერატურას. გოგონამ შარლოტა ბრონტეს ცნობილი ნაწარმოების — „ჯეინ ეარის“ მოტივების მიხედვით დადგმულ მუსიკალურ სპექტაკლში ითამაშა. ენის მშობლები ვერ დაუშვებდნენ, რომ მათ ქალიშვილს სწავლაზე ხელი აეღო და მხოლოდ სამსახიობო კარიერაზე ეფიქრა. გოგონა დედ-მამის ნებას დაჰყვა და სკოლა დაამთავრა. მას კარიერის გაგრძელება ბროდვეიზე სურდა, მაგრამ თეატრალურმა პროდიუსერებმა მიიჩნიეს, რომ საბავშვო როლებისთვის მეტისმეტად მაღალი, მოზრდილთა როლებისთვის კი, მეტისმეტად ახალგაზრდა იყო. ენმა გული არ გაიტეხა. იგი სასკოლო სპექტაკლებში მონაწილეობდა და სიმღერას გულმოდგინედ სწავლობდა. 1998 წელს, ენ ჰეტევეიმ სკოლის გუნდის შემადგენლობაში „კარნეგი-ჰოლის“ სცენაზე იმღერა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გოგონამ ტელევიზიაში სინჯები წარმატებით გაიარა და ტელესერიალში — Get real — როლი მიიღო. სერიალი ეკრანიდან მალე მოიხსნა, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა მაყურებლის სიყვარულისა და კრიტიკოსთა სიმპათიის მოპოვება მოასწრო.

ტელესერიალის წყალობით, ენი კინემატოგრაფიულ სამყაროს ეზიარა. მსახიობი ფილმში — „პრინცესის დღიურები“ მთავარ როლზე მიიწვიეს. მისი გმირი, მოკრძალებული სკოლის მოსწავლე მია ტერმოპოლისი დედასთან ერთად სანფრანცისკოში ცხოვრობს. გოგონა მოულოდნელად შეიტყობს, რომ მამის გარდაცვალების შემდგომ (რომელიც არასდროს უნახავს), ის ევროპის ჯუჯა სახელმწიფო — ჯენოვიის ტახტის მემკვიდრეა. ჩვეულებრივი ამერიკელი თინეიჯერისა და პრინცესის ცხოვრება ერთმანეთისგან წარმოუდგენლად განსხვავდება. ამის დაძლევა, მხოლოდ გვირგვინოსანი ბებიის, დედოფალ კლარისა რინალდის გულისხმიერებისა და ხელმძღვანელობის წყალობით ხდება შესაძლებელი. ფილმში დედოფალი კლარისა მრავალი თაობისთვის უსაყვარლესმა მსახიობმა, ჯული ენდრიუსმა განასახიერა.

„პრინცესის დღიურების“ გადასაღები მოედანი ახალგაზრდა მსახიობისთვის შესანიშნავი სკოლა აღმოჩნდა. ჯული ენდრიუსის პოპულარობა უამრავი მაყურებლის უსაყვარლესმა როლებმა განაპირობა. მასთან მუშაობამ ენს ბევრი რამ ასწავლა. მეორე მხრივ, ფილმის რეჟისორი მელოდრამატული კომედიების შესანიშნავი ოსტატი — ჰარი მარშალი იყო („კაცი ბორტს მიღმა“, „ლამაზმანი“, „გაქცეული პატარძალი“), რომელმაც შეძლო, რომ ენ ჰეტევეის მისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოემჟღავნებინა. მოგვიანებით, რეჟისორმა განაცხადა: „ენ ჰეტევეის მრავალმხრივი ნიჭი — ჯულია რობერტსის, ოდრი ჰეპბერნისა და ჯუდი გარლანდის მონაცემების შერწყმას წარმოადგენს“. ეს შეფასება იქნებ, გადაჭარბებული ქათინაურია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რეჟისორი არ შემცდარა, როდესაც მია ტერმოპოლისის როლი ენს მიანდო. ამ როლის შემსრულებლის უკეთესი კანდიდატურა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია; როდესაც 2001 წელს ფილმი ეკრანებზე გამოვიდა, ენ ჰეტევეიმ მილიონობით მაყურებლის გული მოინადირა.

მსახიობის ოფიციალურ ფილმოგრაფიაში მეორე ადგილზე ფილმი „ქარიშხლის თვალი“ (რეჟისორი მიჩ დევისი) დგას. სურათის გადაღებები მას შემდეგ დაიწყო, რაც ენმა „პრინცესის დღიურების“ სინჯები წარმატებით გაიარა და მიას როლი მიიღო. ახალ ზელანდიაში „ქარიშხლის თვალის“ გადაღებებზე ჩასულმა ჰეტევეიმ ჯგუფის წევრებს საკუთარი წარმატებისა და ახალი როლის შესახებ აუწყა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე სურათის პროდიუსერებმა „პრინცესის დღიურების“ წარმატება იწინასწარმეტყველეს, „დღიურების“ ეკრანებზე გამოსვლას დაელოდნენ და საკუთარი სურათი გაქირავებაში მერეღა გაუშვეს. ამ გონებამახვილური კომბინაციის შედეგად გაირკვა, რომ მათ სათავგადასავლო ფილმში ყველასათვის უცნობი ნიჭიერი დებიუტანტის ნაცვლად, მაყურებელმა ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი იხილა.

ენ ჰეტევეიმ განათლების გაღრმავება გადაწყვიტა და სწავლა „ვასარის“ კოლეჯში განაგრძო. განსაკუთრებულ ყურადღებას ინგლისური ლიტერატურის შესწავლას უთმობდა. „კოლეჯში გატარებული წლები მშვენიერი იყო, რადგან იქ





M K

მოზრდილ ადამიანად გადავიქეცი“, — ამბობს მსახიობი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ოდესღაც „ვასარი“ ჰეტევეის უსაყვარლესმა მსახიობმა — მერილ სტრიპმაც დაამთავრა. მოგვიანებით, ისინი ერთმანეთს გადასაღებ მოედანზეც შეხვდნენ...

2002 წელს, მსახიობმა იაპონური ანიმაციური ფილმის — „კატის დაბრუნება“ (რეჟისორი ხიროიუკი მორიტა) ინგლისური ვერსია გაახმოვანა, შემდეგ კი კვლავ ინგლისური ლიტერატურის კლასიკას დაუბრუნდა. 2003 წელს, ენ ჰეტევეიმ ჩარლზ დიკენსის ცნობილი რომანის — „ნიკოლას ნიკლბი“ — ეკრანიზაციაში ითამაშა და უმწეო, მოკრძალებული მადელაინ ბრეი შესანიშნავად განასახიერა.

მომდევნო სურათში ენი კვლავ კომედიური ზღაპრის ჟანრს უბრუნდება, რომელმაც მას პირველი წარმატება მოუტანა. ფილმს — „მოჯადოებული ელა“ (რეჟისორი ტომი ო`ჰეივერი) სიუჟეტის თანახმად, ენის გმირი, მორჩილების ნიჭითაა დაჯილდოებული და ნებისმიერი ადამიანის ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებს. გოგონა ჯადოსგან გათავისუფლებას ცდილობს და მრავალი განსაცდელის გადალახვის შემდგომ, ბედნიერებას მოიპოვებს.

ჰოლივუდში წარმატებული ფილმების მომავლის განსაზღვრა ძალზე იოლი საქმეა. მაყურებელი ამ სურათების გაგრძელებას ადრე თუ გვიან, მაინც მიიღებს! „პრინცესის დღიურების“ პროდიუსერებმა გადაწყვიტეს, რომ დღიურების წერა დასრულებული არ იყო და ჯული ენდრიუსისა და ენ ჰეტევეის მეგობრული დუეტი ჰარი მარშალის დირიჟორობით მუშაობას კვლავ შეუდგა. ამის შედეგად, მაყურებელმა 2004 წელს „პრინცესის დღიურები-2“ იხილა. სწორედ ამ დროს, ენს ფილმში — „ოპერის აჩრდილი“ — მთავარი როლის შესრულება შესთავაზეს, მაგრამ ორ სურათში ერთდროულად გადაღება შეუძლებელი იყო. ამიტომ მსახიობი იძულებული გახდა, აჩრდილზე უარი ეთქვა; სამაგიეროდ, მთელი არსებით „ჩაიძირა“ უკვე გაზრდილი მია ტერმოპოლისის ცხოვრებაში, რომელიც ახალ სურათში პირველ სიყვარულს ხვდება. მისმა საეკრანო გმირმა და თავად მსახიობმაც ახალგაზრდობისთვის დამახასიათებელი უშუალობა შეინარჩუნეს. მეორე მხრივ, ენ ჰეტევეიმ დაამტკიცა, რომ ის უკვე ზრდასრული, ჩამოყალიბებული მსახიობია, მისი ოსტატობა კი — უფრო დახვეწილი და ზუსტი გახდა.

2005 წელს, ენმა სიამოვნებით გაახმოვანა სრულმეტრაჟიანი მულტფილმი — „წითელი ქუდის წრფელი ამბავი“ (რეჟისორები კორი და ტოდ ედვარდსები). მისი პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა. მაყურებელს და ჟურნალისტებს ენის ცხოვრების შესახებ უფრო მეტის შეტყობა სურდათ. როდესაც ჟურნალისტმა საყვარელი ლიტერატურული გმირის დასახელება სთხოვა, მსახიობმა ელიზაბეტ ბენეტი დაასახელა. ეს ბუნებრივიცაა: ჯეინ ოსტინის ცნობილი გმირი ხომ დასავლელი ქალების მრავალი თაობის შთაგონების წყაროა!..

მრავალპლანიანი როლების თამაშის ძიებამ, ენი ბარბარა კოპლეს სურათში — „ქრეიზი“ მიიყვანა (2005 წ) — ფილმში, სადაც არც პრინცესებია, არც სამეფო მეჯლისები, არამედ მხოლოდ ნარკოდილერები და კრიმინალური სამყაროს კოშმარია გადმოცემული...

მომდევნო ნამუშევარმა — რეჟისორ ენგ ლის ფილმში — „კუზიანი მთა“ (2005) განსახიერებულმა ლარინის როლმა მსახიობს კიდევ ერთი წარმატება მოუტანა. ორი კოვბოის სიყვარულის შესახებ შექმნილი სურათი მაყურებელს რთული ადამიანურ ბუნებისა და მათი მრავალმხრივი ურთიერთობების შესახებ მოუთხრობს. სურათი ვენეციის კინოფესტივალზე „ოქროს ლომით“ აღინიშნა, „ოქროს გლობუსის“ 4 ნომინაციაში გაიმარჯვა (მათ შორის — „საუკეთესო რეჟისურის“ და „საუკეთესო დრამატული ფილმისათვის“). დაბოლოს, ამერიკულმა კინოაკადემიამ ამ ფილმისთვის ენგ ლი, წლის საუკეთესო რეჟისორად დაასახელა და „ოსკარი“ გადასცა. „ამ ფილმით უფრო მეტად ვამაყობ, ვიდრე ყველა იმ როლით, რომელიც აქამდე შემიქმნია“, — ამბობს ენ ჰეტევეი ლარინის როლის შესახებ.

2006 წელს, დრამა ისევ კომედიამ შეცვალა. მომდევნო ფილმში — „ეშმაკი PRADA-ს ატარებს“ (რეჟისორი დევიდ ფრანკლინი) ენი გადასაღებ მოედანზე მისი ბავშვობის კერპს — მერილ სტრიპს შეხვდა. სიუჟეტის მიხედვით, მისი გმირი — ენდი მოდური ჟურნალის რედაქტორის მეორე მოადგილის თანამდებობაზე ინიშნება. ის საკუთარი ნიჭის წარმოსაჩენად, ყველაფერს აკეთებს და ცდილობს, სასტიკ ბოსს (მერილ სტრიპი) დაუმტკიცოს, რომ ამ ბიზნესში წარმატების მიღწევა ძალუძს.

ამჟამად ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრებაში კიდევ ერთი, ახალი ეტაპი იწყება. ენ ჰეტევეი კვლავ ლიტერატურას უბრუნდება. მომავალ წელს მსახიობი ჯულიან ჯეროლდის ფილმში — „ჯეინად ჩამოყალიბება“ — ახალგაზრდა მწერლის, ჯეინ ოსტინის სახეს შექმნის. ჰეტევეი ამ როლის თამაშზე დიდხანს უარს აცხადებდა, რადგან ეჭვობდა, რომ სახელგანთქმული მწერალი ქალის სახეში გარდასახვას შეძლებდა. როგორც ამბობენ, მისი დარწმუნება ენგ ლიმ შეძლო. ენმა რეჟისორის არგუმენტები ყურად იღო, რადგან ფილმზე — „კუზიანი მთა“ მუშაობის შემდეგ, ლი მის შესაძლებლობებს მშვენივრად იცნობს. ამასთან, რეჟისორი ჯეინ ოსტინის რომანის მიხედვით გადაღებული სურათის — „გონება და გრძნობები“ — შემქმნელია, სადაც ჰეტევეის უსაყვარლესი მსახიობები — კეიტ უინსლეტი და ემა ტომფსონი მონაწილეობენ.

უეჭველია, რომ ახალი ფილმის ერთ-ერთი წამყვანი თემა სიყვარული იქნება. ენ ჰეტევეის მიერ შექმნილი ეკრანული სახე კი, კიდევ ერთხელ დაადასტურებს ჯეინ ოსტინის შთამომავლების უილიამ და რ. ა. ოსტინ-ლის სიტყვებს: „მოსაზრება, თითქოს ჯეინ ოსტინის ცხოვრება მოვლენებით ღარიბი იყო — მეტისმეტად გადაჭარბებულია“...

## ბრიუს უილისის მორიგი რომანი

ჰოლივუდი მორიგი დამაინტრიგებელი Love story-ს მოლოდინში გაინაბა... როგორც ამბობენ, „კერკეტი კაკალი“ ბრიუს უილისი კორტნი ლავს ხვდება!!! ეს ჭორები მას შემდეგ აგორდა, რაც სანსეტის ბულვარში მდებარე ღამის კლუბ Roxy-ში, სადაც ბრიუს უილისი 52 წლისთავს ზეიმობდა, წყვილი ერთად დაინახეს. „ისინი თითქოს ერთმანეთს შერწყმოდნენ, ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც შეყვარებულები რომანტიკული ურთიერთობის დაწყების პირველ კვირაში“, — წერს Daily`s



News. მიუხედავად ამისა, ორივე მხარე კატეგორიულად აცხადებს, რომ რომანტიკულ კავშირზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. „ისინი ერთმანეთს მხოლოდ მიესალმნენ“, — ირწმუნება კორტნის წარმომადგენელი. ბრიუს უილისის პრესატაშეს კი, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებაც უადგილოდ ეჩვენება.

ცოტა ხნის წინ, „კერკეტი კაკალი“ მსახიობ დონა დ`ერიკოსთან კავშირშიც „დაადანაშაულეს“. ვარსკვლავის რომანტიკული თავგადასავლებისადმი ლტოლვა გასაგებიცაა. რადგან ამას წინათ პრესაში გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, რომ უილისის ყოფილი მეუღლე, დემი მური ბავშვს ელოდება! ზოგიერთი ტაბლოიდი ირწმუნება, რომ 44 წლის დემის და მისი ახალგაზრდა მეუღლის, ეშტონ კატჩერის ოჯახში მალე პატარა დაიბადება. ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ მომავალი დედა მაღალკალორიულ საკვებს გემრიელად მიირთმევს და მისი პირადი გინეკოლოგის რეკომენდაციის თანახმად, ალკოჰოლურ სასმელებს ახლოსაც არ ეკარება. პრესაში ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ ჟურნალისტებმა დემის ქალიშვილი ტალულუ მაღაზიაში იმ დროს შენიშნეს, როდესაც გოგონა ახალშობილთა განყოფილებაში ტანსაცმელს არჩევდა. ასე რომ, ბრიუს უილისს ისღა დარჩენია, მარტოობის სევდა ლამაზი ქალბატონების გარემოცვაში გაიქარვოს...

## ტომ კრუზმა მექჰემების ოჯახს სიცოცხლე გაუმწარა

ტომ კრუზი მუდამ უარყოფდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ის ახლობლებზე ზემოქმედების მოხდენასა და მათ საიენტოლოგიურ რწმენაზე მოქცევას ცდილობს, მაგრამ მასთან დაახლოებული ადამიანები საპირისპიროს ამტკიცებენ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ტომ კრუზი მრავალი წელია, რაც წინააღმდეგობებით აღსავსე საიენტოლოგიური რელიგიის მხურვალე მიმდევარია. ფანტასტი მწერლის, რონ ჰაბარდის მიერ შექმნილ რელიგიას, ჰოლივუდში მრავალი მიმდევარი ჰყავს. მათ შორის არიან: ჯონ ტრავოლტა, კირსტი ელი, მიმი როჯერსი და ჯულიეტ ლიუისი. როგორც ჩანს, ტომ კრუზს ჰაბარდის მიმდევართა კლუბის ახალი წევრებით შევსება სურს. ტომის მეუღლე, კეტი ჰოლმსი ვიქტორია ბექჰემთან დიდი ხანია მეგობრობს. მას შემდეგ, რაც ბექჰემები დიდი ბრიტანეთიდან ლოსანჯელესში გადასახლდნენ, მათი მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ისინი ერთმანეთს ხშირად ხვდებიან. ერთხელ, მათი სატელეფონო საუბარი 4 საათი გაგრძელდა. ამბობენ, რომ ამ საუბრის დროს, იმედგაცრუებული კეტი მეგობარს შესჩიოდა, თითქოს ტომი მის თავისუფლებას ზღუდავს და გასაქანს არ აძლევს.

როგორც ჩანს, ტომ კრუზმა ცოლის მეგობრების საიენტოლოგიურ რწმენაზე მოქცევა მართლაც გადაწყვიტა და ბექჰემების ოჯახი სატელეფონო ზარებით აიკლო. „იმის იმედად, რომ ბექჰემებს საიენტოლოგიას აზიარებს, ტომმა 1 საათის განმავლობაში მათ 18 შეტყობინება დაუტოვა", — განუცხდა კრუზის ერთ-ერთმა ახლობელმა ჟურნალის US Weekly კორესპონდენტს. თავად ტომ კრუზს ღრმად სწამს, რომ მისი სამსახიობო წარმატებისა და პირადი ბედნიერების საწინდარი, სწორედ ჰაბარდის მოძღვრებაა. „საიენტოლოგია მრავალ ადამიანს დაეხმარა. ეს დანამდვილებით ვიცი, რადგან მე საიენტოლოგი ვარ", — ამბობს მსახიობი. ვიქტორია ბექჰემს კი, ტომ კრუზის გაკვალული გზით სიარული სულაც არ სურს. „ვიქტორია ძველი ყაიდის ბრიტანელი ქალია. მას ღმერთი სწამს და ფიქრობს, რომ ტომ კრუზი უწესოდ იქცევა, როდესაც მის ოჯახს საიენტოლოგიური ქადაგებებით თავს აბეზრებს", — ამბობს მსახიობის ერთ-ერთი ახლობელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 44 წლის ვარსკვლავი კატეგორიულად უარყოფს ჭორებს იმის შესახებ, თითქოს ის ვინმეს საიენტოლოგიურ რწმენაზე გადაბირებას ცდილობს. ■



## ანჯელინა ჯოლის შვილის დამალების საიდუმლოებით მოცული ამბავი

პატარა პაქსა ტხიენის დაბადების საიდუმლოებით მოცული ამბავი მხოლოდ მას შემდეგ გახმაურდა, რაც ბიჭუნა ანჯელინა ჯოლიმ იშვილა, საბუთები გააფორმა და ბავშვი ამერიკაში წაიყვანა. ბიჭუნას ბიოლოგიური დედის ვინაობისა და იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა პაქსა თავშესაფარში, ბავშვის ბებია და ბაბუა ალაპარაკდნენ. აღმოჩნდა, რომ პაქსა ტხიენი 2003 წელს, 29 წლის ნარკომანმა ქალმა გააჩინა. მან იცოდა, რომ მისი პირმშოს შვილად აყვანას მდიდარი ამერიკელი ქალი აპირებდა, მაგრამ როგორც ბებია და ბაბუა აცხადებენ, ამ ამბავს მშვიდად შეხვდა. ქალი ნარკოტიკებს 16 წლის ასაკიდან შეეჩვია და მას შემდეგ, შინ მხოლოდ ფულისთვის თუ მიდიოდა. მშობლებისთვის ქალიშვილს მხოლოდ უსიამოვნებები მოჰქონდა. დედამ შვილის გაჩენისთანავე მასზე უარი განაცხადა და ის ბავშვთა თავშესაფარში ჩააბარა. ახლა, როცა პაქსა ტხიენის დედობილის ვინაობა და მისი მაღალი სტატუსი ყველასთვის ცნობილია, მოხუცები უარესის მოლოდინში არიან. ისინი შიშობენ, რომ მათი ნარკომანი ქალიშვილი ჯოლის ფულს მოსთხოვს ან ბავშვის დაბრუნებას მოინდომებს. თავშესაფრის მესვეურნი ირწმუნებიან, რომ ბავშვის ბიოლოგიური დედისთვის დაბრუნება შეუძლებელია, რადგან ვიეტნამის კანონმდებლობის თანახმად, მას შვილზე არანაირი უფლება აღარ აქვს. თავშესაფარში, მას მხოლოდ ბავშვის ადგილმდებარეობისა და მისი მდგომარეობის შესახებ მიაწვდიან ინფორმაციას. ■

## კიდ როკმა ანდერსონს ანდერსენი ანაცვალა

პამელა ანდერსონის ყოფილ მეუღლეს, 35 წლის მუსიკოს კიდ როკს ახალი სატრფო ჰყავს. მისი რჩეული ჟურნალის — Sports Illustrated მოდელი მეი ანდერსენია. როგორც იუწყებიან, წყვილი ელტონ ჯონის 60 წლის საიუბილეო კონცერტზე ერთად მივიდა და სამი საათის მანძილზე, ერთი წუთითაც არ მოშორებია ერთმანეთს. მეი ანდერსენი პამელა ანდერსონის მსგავსად ქერათმიანია, მაგრამ მისგან განსხვავებით, სხეულის მადის აღმძვრელი ფორმებით ვერ დაიტრაბახებს. სამაგიეროდ, ანდერსენი ანდერსონზე ბევრად ახალგაზრდაა! კონცერტის შემდგომ, კიდ როკი და მეი შერონ და ოზი ოზბორნებს გამოემშვიდობნენ და გასასვლელისკენ ხელიხელჩაკიდებულნი გაემართნენ. 25 წლის მეი ანდერსენი მრავალი ჟურნალისთვის პოზირებს. სკანდალებით ცნობილი მოდელი თვითმფრინავის ბორტზე მოწყობილი აურზაურის გამო, ერთხელ დაპატიმრებულიც იყო. საქვეყნოდაა ცნობილი მისი ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით გატაცების ფაქტიც.



სერიალის — „მალიბუს მაშველების" ვარსკვლავმა და კიდ როკმა მრავალწლიანი ნაცნობობის შემდეგ, 2006 წლის ივლისში იქორწინეს. ეს პამელას მეორე ქორწინება იყო. პირველ ქმარს, ჯგუფის — Motley Crue მუსიკოსს, ტომი ლის მსახიობი 1998 წელს გაეყარა. კიდ როკისა და პამელას ქორწინება 4 თვის მანძილზე გაგრძელდა. განქორწინების ოფიციალურ მიზეზად კი, „გადაულახავი წინააღმდეგობანი" დასახელდა. ■

# მადონას სტელა მაკარტნის დახმარება სურს

მიუხედავად იმისა, რომ მოდელიერი სტელა მაკარტნი მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული პოლ მაკარტნის ქალიშვილია, მადონას მაინც სურს, რომ სტელას მუსიკალური ალბომის ჩაწერაში თავად დაეხმაროს. „სტელას ჩემი ახალი კოლექციის შესახებ რჩევა ვთხოვე და ვუთხარი, რომ თუ საკუთარი ალბომის ჩაწერას მოისურვებს, სიამოვნებით დავეხმარები“, — განაცხადა მადონამ. თუმცა, ჯერჯერობით, მადონას დახმარება მხოლოდ მის ქალიშვილს, ლურდესს სჭირდება. „ლურდესს გამუდმებით ვემუდარები, რომ ოდნავ მეტი სამოსი ჩაიცვას!“ — ამბობს მომღერალი.



ცოტა ხნის წინ, მადონამ საკუთარი ტანსაცმლის კოლექცია შვედური სავაჭრო ფირმის მაღაზიებში წარმოადგინა. მომღერალმა ეს კოლექცია H&M-ის დიზაინერთან, მარგარეტ ვან დერ ბოსხთან ერთად შექმნა. მაღაზის წინ უშველებელი რიგი დადგა. სამოსი და აქსესუარები დახლებიდან თვალის დახამხამებაში დაიტაცეს.

კოლექციაში, რომელსაც M By Madonna ეწოდება, წარმოდგენილია კაბაკიმონოები, შემოტკეცილი შარვლები, ვიწრო ქვედაბოლოები, მოტმასნილი ბლუზები და აქსესუარები, რომელთა შორის გამოირჩევა განიერი ქამრები, საფულეები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები. მადონამ, რომელსაც მეტსახელად „მატერიალური გოგონა“ შეარქვეს, კოლექციისთვის ნეიტრალური ფერები: თეთრი, შავი და კრემისფერი შეარჩია. მასალად კი ძვირფასი ქსოვილები: აბრეშუმი, შალი და ქიშმირი გამოიყენა. „მშვენიერი, ძალზე თანამედროვე კოლექციაა, მასში თავად მადონას ვხედავ!“ — ამბობს მაღაზიაში შესული ერთ-ერთი პირველი მყიდველი, 23 წლის ვიზაჟისტი როზი დოადი. „ძალზე ნატიფი კოლექციაა, რომელიც მადონას მსგავსი საქმიანი სტილის ძლიერი ქალებისთვისაა განკუთვნილი“, — განაცხადა 19 წლის მუსიკოსმა აკი ეიზენშტეინმა.

კომპანია Hennes & Mauritz (H&M) ცნობილ ადამიანებთან ხშირად თანამშრომლობს. 2004 წელს Chanel-ის ლეგენდარულმა დიზაინერმა, კარლ ლაგერფელდმა შვედური მაღაზიების ქსელისთვის მსგავსი კოლექცია პირველმა შექმნა. კომპანიასთან თანამშრომლობდნენ სტელა მაკარტნი და დიზაინერების — ვიქტორისა და როლფის დუეტი. ■



# პაპარაცები ვარსკვლავების წინააღმდეგ

პაპარაცები — სკოტ კოზმანი და რიკ ფედიკი მოდელ პამელა ანდერსონს და მსახიობ დენიზ რიჩარდსს სასამართლოში უჩივიან. ლოს-ანჯელესის სასამართლოში შესულ სარჩელში ჟურნალისტები ირწმუნებიან, რომ 2006 წლის ნოემბერში დენიზ რიჩარდსი კინაღამ გაცოფდა, როდესაც ახალი ფილმის Blonde and Blonder გადასაღებ მოედანზე აპარატმომარჯვებული პაპარაცები შენიშნა. ვანკუვერის ოტელ-კაზინო River Rock Casino Resort-ის ვიდეოთვალმა კი კარგად დააფიქსირა, თუ როგორ დაესხა თავს რიჩარდსი ჟურნალისტებს და მათ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ლანძღვა-გინება 20 წუთის მანძილზე გაგრძელდა. დენიზმა კოზმანი და ფედიკი მრავალი ეპითეტით შეამკო. მომჩივანი მხარე ირწმუნება, რომ დენიზ რიჩარდსმა მათ ხელიდან ნოუტბუკები გამოსტაცა და აივნიდან მოისროლა. ერთ-ერთი ნოუტბუკი ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვულ მოხუცებულ ქალბატონს მოხვდა. კანადის პოლიციამ ინციდენტი შეისწავლა, მაგრამ დენიზ რიჩარდსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარი განაცხადა. ფოტოგრაფები ამბობენ, რომ ვარსკვლავებმა პოლიცია შეცდომაში შეიყვანეს, როდესაც განაცხადეს, რომ ფედიკი და კოზმანი დენიზ რიჩარდსს ემუქრებოდნენ. ამის გამო, პოლიციამ პაპარაცები დააკავა და 3 დღე ციხეში აყურყუტა. ახლა ფოტოგრაფები ვარსკვლავებს სასამართლოში უჩივიან და მათგან მორალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვენ. ■

# შირლი მენსონი — PETA-ს ახალი სახე

ჯგუფის — Garbage ვოკალისტი შირლი მენსონი ორგანიზაცია PETA-ს („ადამიანები ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობისათვის“) ახალი კამპანიის სახეა. კამპანია მოსახლეობას ნატურალური ბეწვეულის მოხმარებაზე უარის თქმისკენ მოუწოდებს. ბილბორდებზე, რომლებიც სულ მალე გამოჩნდება ინგლისის ქუჩებში, შირლი მენსონს ხელში მელიის ლეში უჭირავს. წარწერა კი იუწყება: „აი, რა შეგრჩებათ თქვენი ბეწვეულისგან“. ამ შოკის მომგვრელი ფოტოსურათის ავტორი ცნობილი ამერიკელი ფოტოგრაფი, ფრენკ ვ. ოკენფელსია. რამდენიმე წლის წინ, მსგავსი მისია ცნობილმა ბრიტანელმა მომღერალმა სოფი ელის-ბექსტორმაც იტვირთა. „მწამს, რომ ადამიანები ცხოველებისადმი უფრო მეტი პატივისცემით უნდა განიმ-



სჭვალონ. ვიცი, რომ ჩემი თაყვანისმცემლების უმრავლესობაც ასევე ფიქრობს. როდესაც ქურქი ან ბეწვეულით გაწყობილი სამოსი მაცვია, თაყვანისმცემლები შეცბუნებულნი მეკითხებიან, ჩემი ქურქი ნატურალური ხომ არ არის?! ახლა ხმამაღლა ვაცხადებ: „დამშვიდდით, მე მხოლოდ ხელოვნური ბეწვეულისგან დამზადებულ ქურქს ვატარებ!“ PETA-ს ახალი კამპანია შირლი მენსონის მონაწილეობით სტარტს მოკლე ხანში აიღებს.

დიდ ბრიტანეთში ძვირფასბეწვიანი ცხოველების კომერციული მიზნით მოშენებას კანონი კრძალავს, მაგრამ ქვეყანაში ნატურალური ბეწვისგან დამზადებული სამოსი სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, ჩინეთიდანაც შედის. ■



ჯეიმს ჰედლი ჩეიზი

# ჯეკი ლიჩი

# მოტაცება

ადამ კარლსონმა ჯერ ძაღლის ჩუმი ყეფა გაიგონა, თხუთმეტ წამში კი — თვითმფრინავის გუგუნი, რომლის ხმაც სწრაფად გაძლიერდა და მალე, ლაინერმა სახლს გადაუფრინა.

ოთახში შუქი ენთო. ამის წყალობით, ადამმა კედელზე დაკიდებული საათის მეშვეობით ზუსტი დრო შეიტყო: ღამის ორი საათი და ოცდათორმეტი წუთი იყო.

ის ნარზე ჩამოჯდა და ოთახი კიდევ ერთხელ ყურადღებით მოათვალიერა. ის უფანჯრო იყო, ზომა — სამ-ნახევარი ოთხ მეტრზე. კედლები, იატაკი და ჭერი რკინაბეტონის, კარი კი — მძიმე, მუხისგან დამზადებული იყო. ხმები გარედან თითმის არ შემოდიოდა, თუმცა, დროდადრო, ძაღლის ყეფას გაიგონებდი.

რამდენი ხანი დაყო აქ? ეჩვენებოდა, რომ უკვე რამდენიმე დღე გავიდა. არადა, სულ რაღაც რვა საათი გასულიყო. ყველაფერი გუშინ საღამოს დაიწყო. ნეტავ, რით დამთავრდება?

...ადამმა მანქანა გარაჟში შეიყვანა და სახლისკენ გრძელი ბილიკით გაემართა. უეცრად, სიბნელეში ორი ტიპი გამოჩნდა, ხელში პისტოლეტებით და თავზე ნიღბებით, რომლებზეც მხოლოდ თვალის ჭრილი დაეტოვებინათ.

ადამი, რა თქმა უნდა, შეკრთა, თუმცა სინამდვილეში, არცთუ ისე ძლიერ შეშინებია. ხელები ასწია და თქვა: „ფული წაიღეთ, საფულე დამიტოვეთ“. იმ მომენტში, თავში გაუელვა, თუ რამდენი ხლაფორთი მოუწევდა, მანქანის მართვის მოწმობისა თუ სხვა დოკუმენტების დუბლიკატების ასაღებად, თუკი საფულესაც წაიღებდნენ...

მაგრამ მათ არც ფული აინტერესებდათ და არც საფულე. მაღალმა, ჩასკვნილმა ტიპმა პისტოლეტ-ავტომატით ანიშნა — წინ იარეო.

ისინი შებრუნდნენ და მთავარი გზისკენ აიღეს გეზი. ქუჩაში ალაყაფის კარით გავიდნენ და მუქი ფერის სედანს მიუახლოვდნენ, რომელიც გზის ნაპირას იდგა.

ადამს თვალები აუხვიეს, ხელ-ფეხი შეუკრეს და უკანა სავარძლების ქვეშ დააწვინეს. თავიდან შეეცადა, მარშრუტისთვის მიექცია ყურადღება, მაგრამ იმდენი მისახვევ-მოსახვევი გაიარეს, სათვალავი მთლად აერდაერია და თავი ანება.

მანქანამ დაახლოებით ერთ საათში, სვლას უკლო და ბოლოს, გაჩერდა. ადამს ფეხები გაუხსნეს და გარკვეული მანძილი თვალახვეული ატარეს. მერე კარის გაღების ხმა გაიგონა, კიბით სადღაც დაბლა ჩაიყვანეს და ოთახში გამოკეტეს.

როცა ხელები გაუხსნეს და თვალებიდან სახვევი მოხსნეს, ის კარგად განათებულ ოთახში აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ ვიწრო საწოლი, სკამი და მაგიდა იდგა. მაგიდაზე ფურცელი და კალამი იდო.

პირველად, მაღალმა მამაკაცმა დაარღვია სიჩუმე:

— დაჯექი! — უბრძანა მან. — მისწერე ცოლს წერილი, აცნობე, რომ ჩვენ 200 ათასი დოლარი გვჭირდება.

ადამს თვალები გადმოსცვივდა.

— 200 ათასი?

— დიახ, ჩემო ბატონო, — ირონიული ტონით უპასუხა მან. — კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს, მიხვდით, რატომაც „გაგსკვანჩეთ“, — თქვა ისევ მაღალმა და დამცინავად შეხედა.

ადამმა გამშრალი ტუჩები გაილოკა.

— ჩემი ცოლი, დედამისთან ერთად, გასულ კვირას, ევროპაში გაემგზავრა.

ნიღბიანებმა ერთმანეთს გადახედეს. მაღალმა პისტოლეტი შემართა.

— ჩვენ 200 ათასი გვჭირდება. ჩვენთვის სულერთია, როგორ იშოვით ან ვინ იშოვის ამ თანხას თქვენს გამოსახსნელად.

ადამი მაგიდას მიუჯდა.

— ფულის მიღება მხოლოდ ჰაროლდ ბანისტერის საშუალებითაა შესაძლებელი, ის ჩემი ადვოკატია და მრჩეველი, — განუმარტა მან გამტაცებლებს.

ყაჩაღმა კვლავ აღმართა პისტოლეტი.

— აიღე კალამი. გეტყვი, რაც უნდა დაწერო.

ადამი წერას შეუდგა:

„ძვირფასო ჰაროლდ!

ძალიან მჭირდება, რომ მოაგროვოთ 200 ათასი დოლარი, აუცილებლად ასდოლარიანი კუპიურებით.

თუ როგორ უნდა მოექცეთ ამ ფულს, ამას ტელეფონით შეგატყობინებენ.

პოლიციას არ აცნობოთ: თუ მას მიმართავთ, ცოცხალს ვეღარასოდეს მიხილავთ.

ადამ კარლსონი“.

მაღალმა მამაკაცმა წერილი ჩაიკითხა და კმაყოფილებით თავი დააქნია. შემდეგ, ორივე გამტაცებელი ოთახიდან გავიდა და კარი ჩარაზა.

ადამი კვლავ საწოლზე წამოწვა და თვალები დახუჭა.

...იქნებ მოკვლასაც უპირებენ, როცა ფულს მიიღებენ? მაგრამ თუკი მისი მოკვლა აქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ნიღბები რატომღა უკეთიათ?.. ადამი ამ აზრს ჩაებღაუჭა. სანამ ისინი ნიღბებში იქნებიან, რომ მსხვერპლს სახეები დაუმალონ, მანამ მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება...

ადამი საკეტის გაღების ხმამ გამოაღვიძა. საათს შეხედა. ცხრის ოცდახუთ წუთს უჩვენებდა. ადამს გულისცემა აუჩქარდა.

მაღალმა მამაკაცმა ლანგარი შემოიტანა. თავზე ისევ ნიღაბი ჰქონდა ჩამოცმული.

— საუზმე, — თქვა მან.

მან დაიცადა, სანამ ადამი ისაუზმებდა, შემდეგ, სახვევი ამოიღო და ადამს თვალები აუხვია.

— შენს ოფისში დარეკავ. მდივანს ეტყვი, რომ ერთი კვირა სამსახურში ვერ მიხვალ. შეატყობინებ, რომ სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტე.

ადამი ოთახიდან გაიყვანეს.

— მითხარი შენი მდივნის ნომერი, — უთხრა მაღალმა. ადამმა ნომერი უკარნახა. აკრების შემდეგ, ყურმილი გადასცეს. მისმა მდივანმა უპასუხა.

— მაჯ, — უთხრა ადამმა, — მე დაახლოებით, ერთი კვირა არ ვიქნები. გადავწყვიტე, ცოტა დავისვენო და ვიმოგზაურო.

— დიახ, სერ, — უპასუხა ქალმა. — როგორ დაგიკავშირდეთ, თუ ამის აუცილებლობა შეიქნა?

— ეგ არ დაგჭირდებათ, — უთხრა ადამმა. — ყველა საქმე გადადეთ და ყველა დაგეგმილი შეხვედრა გააუქმეთ.

მაღალმა ყურმილი გამოართვა. ჰკითხა:

— იქნებ, სხვასთანაც გაქვს დასარეკი? კარგად დაფიქრდი, ეს შენვე გჭირდება: ჩვენს გეგმებში სულაც არ შედის, რომ ვინმემ ძებნა დაგიწყოს და პოლიციას მიმართოს...

ადამი დაფიქრდა და თქვა:

— ჩემს სახლმმართველს დავურეკოთ.

მერე ნომერი უკარნახა და მაღალმაც ისევ გადასცა ყურმილი.

— მისის რიგანი ხართ?

— დიახ, — უპასუხა ქალმა. — მისტერ კარლსონ, თქვენა ბრძანდებით?

— დიახ.

— სად ხართ? საუზმეზე რომ არ ჩამოხვედით, ცოტა არ იყოს, შევშინდი და თქვენს მოსაძებნად, ჯეიმსი გამოვუშვი. მაგრამ ვერ გიპოვათ. თქვა, რომ გუშინ საღამოს შინ იყავით, რადგან ყველა ავტომობილი ფარეხში დგას.

— კი, სახლში ვიყავი. დილას ძალიან ადრე გავედი, ნაცნობმა გამომიარა. მისის რიგან, მე დაახლოებით ერთი კვირა არ ვიქნები ქალაქში: გადავწყვიტე, ცოტა დავისვენო.

— ეს კარგია, — თქვა სახლმმართველმა, — მაგრამ გუშინ საღამოს თქვენი მეუღლისგან წერილი მოვიდა. ჰოლში, მაგიდაზე დაგიდეთ. როგორც ჩანს, ვერ შეამჩნიეთ.

— ჰო, არ მინახავს.

— ეგებ, გამგზავრებამდე, მისი მიღება გსურთ?

— არა. ჩემს ჩამოსვლამდე შეინახეთ!

მცირედი პაუზის შემდეგ, მისის რიგანმა უთხრა:

— თუ გნებავთ, იქ გადმოვგზავნი, სადაც დასვენებას აპირებთ.

— არ არის საჭირო. ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, სად წავალ.

....მაღალმა ოთახში დააბრუნა და თვალებიდან სახვევი მოხსნა.

საღამოს ადამს ვახშამი მეორე გამტაცებელმა მიუტანა.

„როგორც ჩანს, ისინი რიგრიგობით მორიგეობენ კართან: მაღალი — დღისით, „პატარა“ — ღამით“, — გაიფიქრა ადამმა, ხმამაღლა კი იკითხა:

— ბანისტერისგან არაფერი ისმის?

„პატარამ“ უარყოფის ნიშნად, თავი გააქნია. ის მოუთმენლად ელოდა, როდის მორჩებოდა ადამი ვახშმობას. ტუსაღმა შეამჩნია, რომ ნერვიულად ატკაცუნებდა მარჯვენა ხელის თითებს.

დილით ისევ მაღალმა შეუტანა საუზმე.

ადამმა საწოლიდანვე იკითხა:

— ფული არ მიგიღიათ?

მაღალმა ჯერ თავის გაქნევით უპასუხა, შემდეგ დასძინა:

— არა. ბანისტერს ვადა ხუთშაბათამდე მივეცით.

საათები, დღეები და ღამეები ნელა მიიზლაზნებოდა. ხუთშაბათს საღამოს, მაღალი შემოვიდა და მკაცრად თქვა:

— ბანისტერი საქმეს აჭიანურებს... — მან ჯიბიდან სახვევი ამოიღო. — მინდა, რომ დაელაპარაკო. შეეცადე, როგორმე დაარწმუნო, რომ ხვალ თორმეტი საათისთვის ფული მზად ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, გვიანი იქნება. გამიგე?

ადამმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— დიახ, ყველაფერი კარგად გავიგე.

ადამმა ყურმილში იკითხა:

— ჰაროლდ, რატომ არ გაამზადეთ ფული?

— ადამ, — იკითხა ბანისტერმა, — თქვენა ხართ?

— დიახ.

— ნორმალურად ხართ?

— კი, მაგრამ ისინი ამბობენ, რომ თქვენ დროს ჭიმავთ.

ბანისტერმა პასუხი ცოტა დააგვიანა.

— არა, ადამ. ამდენი ნაღდი ფული რომ მოაგროვო, დროა საჭირო. გარდა ამისა, ფირმა — „ოლტილაინ კემიკლსის“ აქციები, რომლებიც თქვენ გაქვთ, დღევანდელი კურსით, მხოლოდ ოცდარვა-ნახევარი ღირს. ვფიქრობ, რომ ორშაბათისთვის კურსმა უნდა აიწიოს.

— სასწრაფოდ გაყიდეთ! — დაუფიქრებლად უთხრა ადამმა.

ბანისტერმა ამოიხვნეშა.

— კარგი, ადამ... გარდა ამისა, თქვენს კუთვნილ ფირმა „შორ ეპარტმენტის“ აქციების პაკეტში, როჯერსი მხოლოდ 75 ათასს იძლევა.

— გაუშვი, აილოს! — ადამმა ყურმილს ხელი მაგრად მოუჭირა. — ჰაროლდ, ფული ხვალ თორმეტი საათისთვის უნდა იშოვოთ. თუ ამას არ გააკეთებთ, მერე გვიანი იქნება!..

ბანისტერი რამდენიმე წამს დუმდა.

— გავიგე, ადამ. ფულს აუცილებლად მოვაგროვებ, შეგიძლიათ მენდოთ.

მეორე დღეს, როცა მაღალმა პირველზე ლანჩი მოიტანა, ადამი შეეკითხა:

— მოაგროვა ფული ბანისტერმა?



მაღალმა ჩაიბურტყუნა:

— კი, დავურეკეთ და გვითხრა, შევაგროვეო. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ამ საღამოს გაირკვევა, როცა ფულს გადმოგვცემენ. — მან ლანგარი მაგიდაზე დადო. — ილოცე, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიაროს.

გვიან საღამოს ადამს შემოესმა, თუ როგორ გადატრიალდა კარის საკეტში გასაღები. მას გული შეუქანდა. ოთახში ორი ნიღბიანი შემოვიდა...

ათი წუთის შემდეგ, ხელფეხშეკრული და თვალახვეული კარლსონი უკვე მანქანაში იწვა. ისინი დიდხანს მგზავრობდნენ. მერე მანქანა გაჩერდა, ადამი გადმოათრიეს და ბალახებში გზის პირას დააგდეს. შეშინებული იცდიდა, თუ რა მოჰყვებოდა ამ ყოველივეს. რამდენიმე წუთში კი შემოესმა, თუ როგორ აგუგუნდა ძრავა, მერე კი ავტომანქანის ხმა მინელდა...

ადამი თოკების შეხსნას შეეცადა. მათგან გათავისუფლდა თუ არა, წამოდგა და ირგვლივ მიმოიხედა. მთვარის შუქზე მოშორებით ფერმერის სახლი და ფარდული შენიშნა და იქითკენ გაემართა, რომ ვინმესთვის დახმარება ეთხოვა.

დაახლოებით ღამის ორ საათზე პოლიციამ ადამის დაკითხვა დაამთავრა და შინ გაუშვა. ქუჩაში მას ჰაროლდ ბანისტერი ელოდებოდა.

ადვოკატი ძალზე დაღლილი ჩანდა:

— პოლიციამ პირდაპირ გამაწამა. მიმტკიცებდნენ, რომ აუცილებლად უნდა შემეტყობინებინა მათთვის თქვენი გაუჩინარების შესახებ, როგორც კი თქვენი წერილი მივიღე...

ბანისტერის ავტომობილში ჩასხდნენ. ადამმა თვალები მოიფშვნიტა. საშინლად დაქანცული კი იყო, მაგრამ კვლავაც იმდენად აღელვებული გახლდათ, რომ ძილი მაინც არ მიეკარებოდა.

— სიამოვნებით დავლევდი რაიმეს.

ბანისტერმა გასაღები გადაატრილა და ძრავა აამუშავა.

— ახლომახლო ყველაფერი დაკეტილია, მაგრამ შემიძლია ჩემთან, სახლში გაგიმასპინძლდეთ.

ოციოდე წუთში ადამი უკვე ბანისტერის სასტუმრო ოთახში იჯდა. ადვოკატი სასმელების კარადასთან მივიდა.

— იმას, ვინც ტელეფონით მირეკავდა, დასავლეთევროპული აქცენტი ჰქონდა. როგორ ლაპარაკობდა მეორე?

— არ ვიცი, — უპასუხა ადამმა. — მას სიტყვაც არ დასცდენია.

ამ დროს, ადამს ძაღლის ყეფა შემოესმა.

და როცა მოახლოებული თვითმფრინავის გუგუნიც გაიგონა, გაშეშდა... ხმა თანდათან ძლიერდებოდა, სანამ თვითმფრინავმა სახლს არ გადაუფრინა.

ადამმა საათს შეხედა. ღამის ორი საათი და ოცდათორმეტი წუთი იყო.

ადამს თვალები გაუფართოვდა. გასული ორშაბათიდან მოყოლებული, ძაღლის ყეფისა და თვითმფრინავის გუგუნი მას ყოველღამე, ზუსტად ამ დროს ესმოდა.

...ბანისტერი კარადაში ბოთლებს არჩევდა.

— სად გაქრა ვერმუტი? — თქვა მან და მარჯვენა ხელის თითები გაატკაცუნა...

— აი, ისიც! — ბანისტერმა ბოთლი აიღო და ადამისკენ მიბრუნდა. — იმედი ვიქონიოთ, რომ პოლიცია თქვენს გამტაცებლებს მიაგნებს.

ადამმა იატაკს დახედა და მოეჩვენა, რომ მის ქვეშ, სარდაფში, „იმ“ ოთახს ხედავდა. შემდეგ, „პატარა“ ადვოკატს მიაპყრო მზერა.

— კი, — თქვა მან და ოდნავ გაიღიმა, — მეც რატომღაც მგონია, რომ ისინი ამას მოახერხებენ.

*თარგმნა თამაზ მეტრეველმა*



M K

# დინო ძოფი — მსოფლიო ჩემპიონთა «მამა»

**გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ევროპასა და საერთოდ, მთელ მსოფლიოში ბევრი არ მოიძებნება დინო ძოფის მსგავსი ტიტულოვანი და ლეგენდარული მეკარე. ძოფის ცხოვრებაში იყო ყველაფერი: აღმასვლაც და დაცემაც, თავბრუდამხვევი წარმატებებიც და დიდი იმედგაცრუებაც. დინოს მსგავს კარიერაზე ბევრს უოცნებია, მაგრამ ამისთვის ძალიან ცოტას თუ მიუღწევია. განუმეორებელი იტალიელი შემთხვევით არ გაგვხსენებია: რამდენიმე დღის წინ, ის 65 წლის გახდა.**

*ალექსი რეხვიაშვილი*

შეიძლება ითქვას, რომ ძოფი ომის შვილია: ის ქვეყანას მაშინ მოევლინა, როდესაც მეორე მსოფლიო ომი კულმინაციას აღწევდა. ვითარება, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება, ბავშვობის ასაკიდანვე მძიმე შრომას მოითხოვდა. ამიტომ, ძოფს ე.წ. ვარსკვლავთა სინდრომის საწინააღმდეგო იმუნიტეტი თავიდანვე ჰქონდა გამომუშავებული.

დინო ბავშვობიდანვე შრომისმოყვარეობით, სიმშვიდით გამოირჩეოდა. როგორც თავად იხსენებს, მას ორი ჰობი ჰქონია — ფეხბურთი და ავტომობილები. ძოფის მშობლები: მამა — მარიო და დედა — ანა, სოფლის მეურნეობას მისდევდნენ და ვაჟიშვილისგან კარგად სწავლას მოითხოვდნენ. იტალიის ნაკრების მომავალ ვარსკვლავს მხოლოდ მას შემდეგ ეძლეოდა საფეხბურთო მოედანზე წასვლის უფლება, რაც საშინაო დავალებას პირნათლად შეასრულებდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, დინომ სწავლა გორიციის ავტომექანიკოსთა სასწავლებელში განაგრძო. ყოველდღიურ დისტანციას მშობლიური სოფლიდან სასწავლებლამდე და პირიქით, ის ველოსიპედით ფარავდა, რომელიც იმხანად ყველაზე პოპულარულ ტრანსპორტად მიიჩნეოდა.

თავისი არაერთი კოლეგისგან განსხვავებით, რომლებსაც კარში ჩადგომა მხოლოდ იმიტომ მოუხდათ, რომ სხვა ამპლუაში თამაშისთვის საჭირო თვისებები ვერ გამოავლინეს, დინო თავიდანვე გოლკიპერობაზე ოცნებობდა. თუმცა, მეკარეობაში მას ყველაზე მეტად თავისი მოკრძალებული გაბარიტები უშლიდა ხელს: სოფლის გუნდის კარშიც კი არ აყენებდნენ და ეუბნებოდნენ — ჯერ სიმაღლეში გაიზარდეო. ასე იყო თუ ისე, ძოფმა კიდევ 12 სმ-ით მოიმატა სიმაღლეში, რის შემდეგაც ჭაბუკთა გუნდში ჩაირიცხა. დინო იტალიაში იმხანად ცნობილმა სელექციონერმა, უმბერტო დონდამ აღმოაჩინა და სინჯების გასავლელად „იუვენტუსსა“ და „ინტერში“ წაიყვანა. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ამ კლუბების მწვრთნელებმა — რენატო ჩეზარინიმ და ჯუზეპე მეაცამ, ძოფი დაიწუნეს... ისევ სიმაღლის გამო. „უმჯობესია, კიდევ 4 სმ-ით მაინც მოიმატო. აი, ამის შემდეგ მოდი“, — უთქვამს ჩეზარინის. დადგება დრო და ბიჭი მარინიოდან მართლაც დაბრუნდება „იუვეში“, თანაც, საკმაოდ ხანგრძლივი დროით. საგულისხმოა ისიც, რომ „ბებერი ქალბატონის“ მესვეურები 750 ათას დოლარს (იმ პერიოდისთვის საკმაოდ დიდ თანხას) გაიღებენ გოლკიპერის სანაცვლოდ.


ძოფი აცტეკების სამშობლოში სათადარიგო გოლკიპერის რანგში ჩავიდა

უფრო ანეკდოტური სიტუაცია შეიქმნა ჯუზეპე მეაცასთან დაკავშირებით. ამ უკანასკნელმა კარგად იცოდა, რომ უმბერტო დონდა არჩევანში არ შეცდებოდა. მიუხედავად ამისა, არც კი დაინტერესებულა, რა ერქვა მის მიყვანილ ახალგაზრდა მეკარეს. გავიდა 10 წელიწადი და იტალიის ნაკრების ერთ-ერთი მატჩის მსვლელობისას, მეაცა „სანსიროს“ ტრიბუნაზე დონდას გვერდით აღმოჩნდა. „ისე, სხვათა შორის, რა ბედი ეწია იმ ბიჭს, შენ რომ მომიყვანე?“ — უკითხავს მეაცას. „განსაკუთრებული არაფერი, — მშვიდად უპასუხია დონდას, — ის სწორედ იმ დინო ძოფად იქცა, რომლის დებიუტიც ეროვნულ ნაკრებში გასულ კვირას შედგა. თუმცა, აი, ისიც, მინდორზე გამოჩნდა, იცანი?..“

...მაშინ კი, ცნობილი სპეციალისტების მიერ დაწუნებული დინო სახლში დაბრუნდა და თავდაუზოგავი შრომა განაგრძო. „მარიანეზეს“ ჭაბუკთა გუნდიდან იგი უფროსთა შემადგენლობაში ჩაირიცხა და თავის შანსს მშვიდად ელოდა. 1961 წელს დინო კიდევ ერთხელ მოექცა სკაუტის ყურადღების ცენტრში. 19 წლის გოლკიპერით „უდინეზეს“ წარმომადგენელი, ანდრეა კომუცი დაინტერესდა. მან ძოფი გუნდის მწვრთნელ, ლუიჯი ბონიცონის წარუდგინა.

იტალიის სერია A-ში დინო ძოფის დებიუტი სახარბიელო ნამდვილად არ ყოფილა: 1961 წლის 24 სექტემბერს „უდინეზემ“ „ფიორენტინასთან“ 2:5 წააგო. „რამდენიმე დღის შემდეგ, კინოში წასვლა გადავწყვიტე, — იხსენებს ლეგენდარული იტალიელი, — სეანსის შესვენებისას ყოველკვირეულ მიმოხ-



ილვას აჩვენებდნენ და მის სპორტულ ნაწილში ჩვენი მარცხის შესახებაც ისაუბრეს. ყოველი გაშვებული გოლის შემდეგ, სულ უფრო ვიმალებოდი სავარძელში“...

1961-1962 წლების სეზონის დარჩენილ ნაწილში, ძოფს მხოლოდ სამჯერ არგუნეს ადგილი ძირითად შემადგენლობაში, თუმცა, აღნიშნულ სამ შეხვედრაში მან უფრო ნაკლები გოლი გაუშვა, ვიდრე იმ ავადსახსენებელ დაპირისპირებაში „ფიორენტინასთან“. ამიტომ, ძოფის ბრალი სულაც არ ყოფილა ის, რომ სეზონის დასრულების შემდეგ, „უდინეზე“ სერია A-ს გამოეთხოვა. მეორე დივიზიონში ასპარეზობისას დინომ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში და 38 მატჩიდან, 36-ში მონაწილეობდა. ამის გამო, ის კვლავ სელექციონერების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა: მარინიოელი მეკარე „მანტოვამ“ შეიძინა, რომელიც „ბოლონიაში“ გადასული ეროვნული ნაკრების წევრის, უილიამ ნეგრის ღირსეულ შემცვლელს ეძებდა. ახალ კლუბთან ერთად, 1965 წელს ძოფი ისევ აღმოჩნდა სერია B-ში, თუმცა მალევე, ზედა დივიზიონში გადაინაცვლა. მაშინ დინომ 38 მატჩში, მხოლოდ 26 ბურთი გაუშვა.

დინო ძოფის კარიერაში გარდამტეხ ეტაპად 1967 წელს, „ნაპოლიში“ გადასვლა იქცა. ახალ კლუბთან ერთად ჩატარებულ პირველსავე სეზონში, დინო იტალიის ვიცე-ჩემპიონი გახდა და ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს. ქვეყნის უმთავრეს გუნდში მისი დებიუტი, ბულგარელებთან გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში, 1968 წლის 20 აპრილს შედგა. ევროპირველობა იტალიაში მიმდინარეობდა და მასპინძლებმა, დინო ძოფის კარგი თამაშისა და მსაჯთა დახმარების წყალობით, ოქროს მედლები მოიპოვეს. ამ წარმატების მიუხედავად, ძოფი ნაკრების შეუცვლელ მეკარედ მაინც არ მიიჩნეოდა. სამი წლით უფროსი ენრიკო ალბერტოზის სახით, დინოს სერიოზული კონკურენტი ჰყავდა. სწორედ ამ უკანასკნელმა, 1970 წელს „კალიარისთან“ ერთად „სკუდეტო“ მოიგო და მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის სტარტზე ეროვნულ ნაკრებში ძირითადი მეკარის ადგილიც დაისაკუთრა. ძოფი აცტეკების სამშობლოში სათადარიგო გოლკიპერის რანგში ჩავიდა. სამწუხაროდ, მას მოედანზე გასვლის

შანსი არ მისცემია. სამაგიეროდ, მოგვიანებით, როდესაც ალბერტოზიმ პოზიცია დათმო, დინოს მწვანე შუქი აენთო: მომდევნო სამ მუნდიალზე „სკუადრა აძურას“ კარს სწორედ იგი იცავდა.

1972 წელს, „იუვენტუსის“ ახალდანიშნული პრეზიდენტის და მანამდე შესანიშნავი ფორვარდის მონდომების შედეგად, დინო ძოფი ტურინულ გრანდში აღმოჩნდა. ბონიპერტი ნამდვილად არ შემცდარა: „ბებერ ქალბატონთან“ ერთად გატარებული 11 საფეხბურთო სეზონის განმავლობაში, ძოფმა ექვსჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

ზოგადად, მსოფლიო ჩემპიონატებთან დინო ძოფს მაინცდამაინც სასიამოვნო მოგონებები არ აკავშირებს. 1970 წელს, ის ვიცე-ჩემპიონი გახდა, მაგრამ მთელი ტურნირის განმავლობაში სათადარიგოთა სკამზე იჯდა. 1974 წელს მისმა გუნდმა დიდი მარცხი იწვნია, როდესაც პირველსავე რაუნდის შემდეგ ტურნირს გამოეთიშა. 1978 წელს, „სკუადრა აძურამ“ არგენტინაში მეოთხე ადგილი დაიკავა, მაგრამ დინო ძოფი მძაფრი კრიტიკის ობიექტი გახდა, რადგან ძალზე ხშირად უშვებდა შორეულ დარტყმებს. გოლკიპერი მაშინ 36 წლის იყო. მას ბევრი უკვე კარიერის დასრულებისკენ მოუწოდებდა. დინო მათ მოსაზრებას არ აჰყოლია — ის კარიერას განაგრძობდა და 40 წლის ასაკში შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა.

1982 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის მიმომხილველები ასე აფასებდნენ დინო ძოფს: „ჩვენ სამართლიანად ვაღიარებთ პაოლო როსის ნიჭსა და საგოლე ალღოს, მაგრამ არ შეიძლება არ შევაქოთ ძოფი, რომელიც სხვათა შორის, გუნდის კაპიტანია“...

ბრაზილიის ეროვნულ გუნდთან გამართულ ცნობილ მატჩში, როსიმ ჰეთ-თრიკი შეასრულა, მაგრამ მას ერთადერთს არ მოუპოვებია იტალიის ნაკრებისთვის გამარჯვება. მასთან ერთად, მატჩის გმირის წოდება სრულიად სამართლიანად დინომაც დაიმსახურა. როდესაც იტალიელები 3:2 იგებდნენ, ბრაზილიელები მთელი ძალით ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. ერთ-ერთ მომენტში, ძოფი საჯარიმოს ხაზთან მიიჭრა და ბურთი ფეხებიდან ააცალა ტონინიო სერეზოს, ხოლო საფინალო სასტვენამდე, შესანიშნავ ნახტომში ბოლო შანსი წაართვა სოკრატესს. „სოკრატესის მიერ ჩემგან მარცხენა მხარეს თავით დარტყმა ყველაზე მზაკვრული ჩანაფიქრი იყო, — იხსენებს იმ ეპიზოდს ძოფი, — ხოლო ჩემი ნახტომი ყველაზე რთული აღმოჩნდა“.


სპორტული კარიერის დასრულებიდან 3 წლის შემდეგ ძოფი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და გუნდი სეულის ოლიმპიურ თამაშებზეც გაიყვანა

თავისი ფენომენური კარიერის განმავლობაში, ძოფმა არაერთი რეკორდი დაამყარა, რომელთა შესახებაც ნამდვილად ცალკე უნდა ვისაუბროთ. მის საიმედოობაზე ასეთი მაჩვენებლები მეტყველებს: საშუალოდ, სერია A-ს მატჩებში თითო შეხვედრაში 0,754 გოლს უშვებდა. ეს დღემდე საუკეთესო შედეგია იტალიური ლიგისათვის. საინტერესოა ის, რომ ამ რეიტინგში მეორე ადგილზე ენრიკო ალბერტოზი იმყოფება (0,812).

1972-1973 წლების სეზონში, ძოფმა საკუთარი გუნდის კარი 903 წუთის განმავლობაში „მშრალად“ შეინახა. ეს მაჩვენებელი რეკორდული გახლდათ 1994 წლამდე, ვიდრე „მილანელმა“ სებასტიანო როსიმ 928 წუთამდე არ გაზარდა დრო.

რაც შეეხება ნაკრებს: მას შემდეგ, რაც 1972 წლის 20 სექტემბერს იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან გამართული ამხანაგური მატჩის 73-ე წუთზე ვუკოტიჩისგან გოლი გაუშვა, თითქმის ორი წლის განმავლობაში ინახავდა კარს „მშრალად“. იტალიელი გოლკიპერისთვის ისტორიული გოლის გატანა 1974 წლის 15 ივლისს, მსოფლიო ჩემპიონატის სასტარტო მატჩში (იტალიელთათვის), ჰაიტელმა სანონმა შეძლო. საერთო ჯამში, ძოფს 1142 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვია. ამ რეკორდის გამეორება ჯერჯერობით ვერც ერთი ნაკრების მეკარემ ვერ მოახერხა.

ძოფი მაღალ დონეზე 22 წლის ასაკიდან ათამაშდა. შემდგომში, მას არც ერთ შეხვედრაში სერიოზული ტრავმა არ მიუღია. ერთადერთი სამწუხარო დაზიანება 1971-1972 წლების სეზონში, ვარჯიშისას მიიღო, როდესაც „ნაპოლის“ ღირსებას იცავდა. ამის გამო, გოლკიპერმა სერია A-ს 7 მატჩი გამოტოვა. ეს გაუთვალისწინებელი შემთხვევა რომ არა, ძოფი კიდევ ერთ დიდ რეკორდს დაამყარებდა — ეროვნულ ჩემპიონატში ის გაცდენის გარეშე 514 მატჩს ჩაატარებდა. ზემოთ ხსენებულმა ტრავმამ კი, იტალიის პირველობაში, დინოს მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა ორ ნაწილად გაყო (შესაბამისად, 175 და 332 შეხვედრა). სხვათა შორის, მეორე მათგანიც სერია A-ს რეკორდია. „იუვენტუსში“ ასპარეზობისას კი, დინოს არც ერთი თამაში არ გამოუტოვებია: მან 11 სეზონის მანძილზე, 330 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

იტალიის ნაკრებში ძოფმა მხოლოდ 26 წლის ასაკიდან დაიწყო ასპარეზობა. მიუხედავად ამისა, მან „სკუადრა აძურას“ 112 მატჩში მოასწრო თამაში. აქტიური ფეხბურთიდან მისი წასვლის მომენტში, ამ თვალსაზრისით უკეთესი მაჩვენებელი მხოლოდ შვედ ბიორნ ნორდკვისტს ჰქონდა (115). იტალიისთვის კი, ეს მაჩვენებელი სარეკორდოდ დარჩა თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში, მანამ, ვიდრე პაოლო მალდინიმ არ გააუმჯობესა.

დინო სერია A-ს რეკორდსმენია ასაკითაც: „იუვეს“ მაისურით ბოლო მატჩი მაშინ ჩაატარა, როდესაც 41 წლის და 76 დღის იყო (1983 წლის 15 მაისს „ჯენოას“ წინააღმდეგ).


იტალიის ნაკრებში ძოფმა მხოლოდ 26 წლის ასაკიდან დაიწყო ასპარეზობა

მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში, დინო ძოფი იმ ოთხ ფეხბურთელს შორის შედის, რომლებმაც ტურნირში 40 წლის ასაკს მიღწეულებმა იასპარეზეს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლით სამივეს ჩამორჩება: როჟე მილას, პატრიკ ჯენინგსსა და პიტერ შილტონს. მიუხედავად ამისა, დინო ძოფი დღემდე ყველაზე ასაკოვან მსოფლიო ჩემპიონად და ფინალური მატჩის მონაწილედ რჩება: 1982 წლის მუნდიალის ფინალურ შეხვედრაში, რომელშიც იტალიელთა მეტოქე გერმანიის ნაკრები იყო, ლეგენდარული გოლკიპერი 40 წლის და 133 დღის გახლდათ.

დინო ძოფს კარიერის დასრულება 1982 წლის მუნდიალის შემდეგაც არ უფიქრია. თუმცა, ეს მომენტი მისთვის დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დადგა, რაც „ევრო-1984“-ის შესარჩევ ციკლში „სკუადრა აძურას“ წარუმატებელი გამოსვლით იყო განპირობებული. გარდა ამისა, თავად დინოს თქმით, მას მშვიდად შეეძლო თამაში შემდგომშიც, 45, თუნდაც, 50 წლის ასაკამდე, რომ არა ერთი გარემოება: ლეგენდარული გოლკიპერი ვერაფრით ურიგდებოდა მისდამი ახალგაზრდა თაობის მოთამაშეთა უპატივცემულო დამოკიდებულებას. არადა, ბევრი მათგანი დინოს შვილად შეეფერებოდა...

1983 წლის 29 მაისს, „სუპერ დინომ“ თავისი ბოლო, ხოლო „სკუადრა აძურაში“ 112-ე მატჩი ჩაატარა და იტალიელ ფეხბურთელებს შორის რეკორდი დაამყარა.

აქტიური სპორტული კარიერის დასრულებიდან 3 წლის შემდეგ, ძოფი იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში და გუნდი სეულის ოლიმპიურ თამაშებზეც გაიყვანა. თავად კი, სამხრეთ კორეაში არ გამგზავრებულა, რადგან ტურინის „იუვენტუსს“ ჩაუდგა სათავეში. მოგვიანებით, იტალიური ფეხბურთის ლეგენდა მთავარი მწვრთნელისა და კლუბის პრეზიდენტის რანგში „ლაციოში“ მოღვაწეობდა, 1998 წლის 21 ივლისს კი, „სკუადრა აძურა“ ჩაიბარა, რომელიც „ევრო-2000“-ის ფინალში გაიყვანა. ■

# „ქურდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ ისეთი ვიქნებოდი, როგორიც ხეხოა“...

**„არიან მსახიობები, რომლებიც უარყოფითი გმირის თამაშზე უარს ამბობენ. ჩემთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. უფრო მეტიც — ვფიქრობ, უარყოფითი სახის შექმნა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე დადებითის“, — ამბობს კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ზურა ბეგალიშვილი. ტელესერიალში — „ქალაქლდის ტყვია“ — კანონიერი ქურდის, ხეხოს როლის შემსრულებელი.**


სპექტაკლში – „გმირი“ – ნინო ბურდულთან ერთად

*ეკა მინდაძე*

— გადაღების დაწყებამდე სერიალის რეჟისორმა ლევან თუთბერიძემ მომცა სცენარი და მითხრა, განსაკუთრებული ყურადღება ხეხოს როლისათვის მიმექცია. სცენარი ისე მომეწონა, რომ მაშინვე დავთანხმდი. ყველაზე მეტად მომეწონა ის, რომ თავისი პოზიციდან გამომდინარე, ყველა გმირი მართალია.

**— თქვენ არაერთი უარყოფითი გმირი გყავთ განსახიერებული. მინდა მკითხველს გავახსენო ერთ-ერთი, კერძოდ — ამირანი, რეჟისორ ალეკო ცაბაძის ფილმში, „ლაქა“. როგორ ფიქრობთ — რატომ გიწვევენ ხშირად ასეთ როლზე?**

— რა ვიცი, ეგ რეჟისორების არჩევანია. ისინი ალბათ ფიქრობენ, რომ მე უარყოფით გმირს უფრო კარგად ვითამაშებ, მაგრამ ეს ასე არ არის. დადებით პერსონაჟსაც მშვენივრად განვასახიერებ. სხვათა შორის, გრან-პრი ავიღე აღმოსავლეთ ევროპის ფესტივალზე, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — ზაზა ურუშაძის ფილში „აქ თენდება“ — განსახიერებული ბექასთვის, რომელიც საკმაოდ დადებითი პიროვნებაა. ისე, არიან მსახიობები, რომლებიც უარყოფითი გმირის თამაშზე შეგნებულად ამბობენ უარს. ჩემთვის კი მთავარია, საინტერესო ტიპი იყოს. უარყოფითია თუ დადებითი, რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, საეკრანო გმირში ჩადო რაღაც ისეთი, რაც მაყურებლისთვის საინტერესო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უარყოფითი გმირი მყავს განსახიერებული, ისინი ერთმანეთს არ ჰგვანან. სულ სხვა პიროვნებაა ამირანი — ალეკო ცაბაძის ფილმიდან „ლაქა“, სულ სხვაა ბეგია — ლევან ანჯაფარიძის ფილმიდან — „ორმაგი სახე“ და სულ სხვაა ხეხო „ქალაქლდის ტყვიიდან.“

**— მსახიობისთვის უარყოფითი გმირის თამაში უფრო ძნელია თუ დადებითის?**

— არც ერთი როლის თამაში არ არის იოლი. ჩემი აზრით, მსახიობისთვის გაცილებით საინტერესოა უარყოფითი გმირის განსახიერება. ხეხოს როლს ძალიან ფაქიზი მიდგომა სჭირდებოდა: ამ ქურდული გაგების და დიდი ავტორიტეტის მქონე კაცს, არც რამე უნდა დაჰკლებოდა და ზედმეტიც არაფერი უნდა ყოფილიყო მის მანერებში. დიდი სიზუსტე მომეთხოვებოდა, რომ ამ გმირს არც ქურდული სამყაროს მომხრეების გაღიზიანება გამოეწვია და არც მათი მოწინააღმდეგეების. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ძალიან საპასუხისმგებლო როლის შესრულება დამეკისრა და რა ვიცი, მგონი, ყველაფერი კარგად გამოვიდა...

**— იმდენად ბუნებრივად თამაშობთ ქურდს, რომ მგონი, ქურდულ სამყაროს კარგად უნდა იცნობდეთ. ყოველ შემთხვევაში, ბევრს ჰგონია, რომ ახლოს იცნობთ ამ სამყაროს ადამიანებს...**

— მე თბილისელი კაცი ვარ, პლეხანოვზე გაზრდილი და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ყაიდის ადამიანთან მქონია ურთიერთობა. ჩვენი პროფესია ასეთია, — რაც უფრო მეტ განსხვავებული წრის ადამიანს იცნობ, მით უფრო მდიდარი ხარ. ამა თუ იმ როლის შესრულებისას შეიძლება, მის მსგავს ადამიანს მიჰბაძო და ამით უფრო საინტერესო გამოგივა კინოგმირი. მიუხედავად ამისა, მე არც არავის ვბაძავ და არც არავინ მყავს მხედველობაში. ლევანთან შეთანხმებით ვითამაშე ისეთი ქურდი, როგორიც მე წარმომედგინა. ქურდი რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ისეთი ვიქნებოდი, როგორიც ხეხოა.

**— მიუხედავად უარყოფითი გმირისა, ხეხოს დადებითი თვისებებიც ხომ აქვს?**

— კი, როგორ არა აქვს?! ხეხოს ბევრი დადებითი თვისება აქვს. დავიწყოთ იქიდან, რომ ის არ არის უზრდელი; უშიშარია, მეგობრებისთვის თავდადებული და უღალატო ადამიანია. კაცის მოტაცებას აბრალებენ და მე რომ მკითხოთ, კიდევ კარგად იქცევა, ავტომატით რომ არ დარბის და არ ხოცავს ხალხს, რომლებიც წინ ეღობებიან; პირიქით, ის ისე აპირებს საქმის მოგვარებას, რომ სისხლი არ დაიღვაროს...

**— რეალობაში როგორი ადამიანი ხართ? თუ ჰგავხართ თქვენს გმირს რაიმით?**

— რა თქმა უნდა, არა. მე რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ვარ. ჩემგან ქურდი ვერ დადგებოდა (*იცინის*), ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, ქურდი ნამდვილად ვერ ვიქნებოდი. თუმცა, ფიცხი ნამდვილად ვარ, ისევე, როგორც ხეხო, მაგრამ გულში ბოღმის ჩახვევა არ მჩვევია, უფრო მეტიც — მიყვარს პატიება.

**— საინტერესოა, თავად თუ უყურებთ „ქალაქლდის ტყვიას“?**

— რა თქმა უნდა. იმიტომ, რომ ძალიან მაინტერესებს, მთლიანობაში რა გამოვიდა. მე ხომ მარტო სცენარი მაქვს წაკითხული. ვუყურებ, როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი.

**— როგორც ჩვეულებრივი მაყურებელი, როგორ შეაფასებთ ამ სერიალს?**

— ჯერ დამთავრდეს, როგორ იქნება და რა იქნება (*იცინის*)... ისე, რაც ვნახე, მგონი ნორმალურია.

**— სხვა სერიალებს თუ უყურებთ ხოლმე?**

— თუ დრო მაქვს, ვუყურებ. ადრე „ცხელ ძაღლს“ ვუყურებდი, რადგანაც იქ მეც ვთამაშობდი. შიგადაშიგ, „ყავა და ლუდსაც“ ვადევნებდი ხოლმე თვალს.

**— ბატონი ბადრი თუ უყურებს ამ სერიალს და რა შეფასებას გაძლევთ, როგორც მამა და კოლეგა?**

— უყურებს. სხვათა შორის, მამა შეფასებისას ძალიან მკაცრია. პატარა შეცდომასაც არ გაპატიებს. თუ რაიმე არ მოეწონება, მაშინვე მომახლის: შვილო, ეს ასე ჯობდა გაგეკეთებინაო. ამ როლთან დაკავშირებით, ჯერჯერობით შენიშვნა არ მოუცია.

**— შვილებს როგორი რეაქცია ჰქონდათ, როცა ქურდის როლში გიხილეს?**

— უფროს ბიჭს ძალიან მოსწონს ჩემი გმირი; შუათანას — გოგონას, გული სწყდება, რომ უარყოფით გმირს ვთამაშობ, უმცროსს, კი უბრალოდ, უხარია ეკრანზე ჩემი დანახვა.

**— თქვენთვის სად უფრო ძნელია მუშაობა — კინოში თუ თეატრში?**

— ორივეგან თავისებურად ძნელია. როლი როლია. სცენაზე თამაშიც რთულია და კამერის წინაც, მოკლედ, იქაც მაგარი უნდა იყო და აქაც რა (*იცინის*)...

**— თქვენი აზრით, რა არის საჭირო მსახიობისთვის?**

— დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, შინაგანი ინტელექტი და რა თქმა უნდა, ნიჭი. მსახიობი უნდა იყოს „მუშა“, მან საკუთარ თავზე უნდა იმუშაოს ძალიან ბევრი, წარმატების მისაღწევად კი, იღბალიცაა საჭირო. მე ბევრ ნიჭიერ მსახიობს ვიცნობ, რომელიც სწორედ უიღბლობის გამო დაიჩაგრა. აქედან გამომ



M K

დინარე, მსახიობისათვის მარტო ნიჭი, არაფერია, მას იღბალიც უნდა ჰქონდეს.

**— თქვენი ნამუშევრებიდან ყველაზე წარმატებული როლი მაინც რომელია?**


მეორე წარმატება ზაზა ურუშაძის ფილმმა — „აქ თენდება“ — მომიტანა

— პირველად წარმატებას მივაღწიე ალეკო ცაბაძის ფილმში „ღამის ცეკვა“, რომლისთვის ქართული კინოაკადემიის პრიზი — „ნატო“ ავიღეთ. მეორე წარმატება ზაზა ურუშაძის ფილმმა — „აქ თენდება“ — მომიტანა, რომლის შესახებაც წელან გითხარით.

**— მიგაჩნიათ თუ არა, რომ მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს?**

— ყველანაირში რას გულისხმობთ, მკვლელს?

**— არა მარტო.**

— მაგალითად, პედერასტს?

**— თუნდაც...**

— რა თქმა უნდა. მსახიობი თუ ხარ, ყველა როლის თამაში უნდა შეგეძლოს.

**— სცენაზე გასვლის წინ, რაიმე რიტუალი ხომ არ გაქვთ?**

— ამ დროს ყოველთვის, საკუთარ თავში ვიკეტები, რათა უფრო კარგად გავიაზრო ის როლი, რომელიც უნდა ვითამაშო.

**— საყვარელი როლი თუ გაქვთ?**

— ყველა ჩემი როლი ძალიან მიყვარს, მაგრამ მინდა გამოვყო ზურა გეწაძის მიერ დადგმული სპექტაკლი — „გმირი“, სადაც ერთ-ერთ მთავარ გმირს — მამა მეჰონს ვთამაშობ.

**— საოცნებო როლი თუ გაქვთ?**

— სიამოვნებით ვითამაშებდი კარგ მიუზიკლში ან იუმორით გაჟღენთილ სპექტაკლში.

**— და ბოლოს, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— არაფერი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდხანს კინომსახიობთა თეატრში ვმუშაობდი, დღეს, ისევე, როგორც სხვა მსახიობები, თეატრიდან დათხოვნილი ვარ. ამრიგად, დავრჩი ჰაერში. ვერ გეტყვით, მომავალში რა მოხდება, შეიძლება, კვლავ დავრჩე ამ თეატრის მსახიობად, შეიძლება — არა. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება... ■



# „უნდა იცოდნენ, რომ მათი თანატოლები უფრო რთული ცხოვრებით ცხოვრობენ...“

**ამ რამდენიმე ხნის წინ, რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში, 47-ე საშუალო სკოლის პედაგოგის, მარიკა მეშველიანის თაოსნობით, საქველმოქმედო აქცია გაიმართა. ქალბატონი მარიკას მოსწავლეების სამი თაობის წარმომადგენლები ავლაბრის მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრს — „მომავლის სახლს“ დაეხმარნენ. მოგეხსენებათ, აღნიშნული სარეაბილიტაციო ცენტრი 9 წლის წინ, ზურაბ ჟვანიას ინიციატივითა და მხარდაჭერით გაიხსნა. ამჟამად იქ 6-დან 18 წლამდე ასაკის 50 ბავშვი ცხოვრობს... გარდა იმისა, რომ 47-ე სკოლის მოსწავლეებმა „მომავლის სახლის“ ბავშვებს ტანსაცმელი და სხვა ათასგვარი საჩუქარი გადასცეს, მარიკა მასწავლებლის ხელშეწყობით, ეროვნულმა ბანკმა გადაწყვიტა, რომ ამ სახლს ბიბლიოთეკის გახსნაში დაეხმაროს და მათთვის უამრავი ახალი წიგნი შეიძინოს. ამ ყველაფრის აღსანიშნავად, ბავშვებმა პატარა ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტეს.**

***ნათია ქივიძე***



მათთან სტუმრად მსახიობი ზურაბ შარია, მომღერლები: ნუკრი კაპანაძე, თინა ჭულუხაძე, დიტო ქისიშვილი, აჩიკო ნიჟარაძე და თამთა გოგუაძე მივიდნენ. საღამოს წამყვანობა ზურა შარიამ ითავა და ბავშვებს გულთბილად მიესალმა. მერე კი სცენაზე ნუკრი კაპანაძე მიიხმო, რომელმაც მარტო სიმღერა არ ისურვა და ბავშვებსა და ზურას სთხოვა დახმარება. მომღერალი ბავშვების ვოკალური მონაცემებით იმდენად მოიხიბლა, რომ მათთან ერთად, კიდევ რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

ვიდრე სცენაზე მისი სხვა პოპულარული კოლეგა გამოჩნდებოდა, „მომავლის სახლის“ აღსაზრდელებმა ჯერ ჩაიკოვსკის „ვალსი“ შეასრულეს, მერე კი — გოგი ცაბაძის „ანაბანა“ გვიმღერეს. ვინც კონცერტში არ მონაწილეობდა, ისინი კულისებში ცნობილ ადამიანებთან სურათებს იღებდნენ და ავტოგრაფებს ართმევდნენ მათ. განსაკუთრებით ბევრი თაყვანისმცემელი „გარმონიან დიტოს“ აღმოაჩნდა, რომელიც იმ დღეს, გარკვეული მიზეზების გამო, ამ ინსტრუმენტის გარეშე იყო მოსული, არადა, ბავშვებმა სწორედ იმ ფშავური სიმღერის შესრულება სთხოვეს, რომლითაც მან „ჯეოსტარზე“ გამოსვლისას გაითქვა სახელი. მათ ხათრს ხომ აღარ გაუტეხდა?! ჰოდა, როიალს მიუჯდა და ახლა ის „აავნესა“ ფშავურ მოტივებზე. დიტო თამთა გოგუაძემ შეცვალა, რომელმაც „შენი ბრალია“ და ინგლისურენოვანი „სიყვარულის ამბავი“ იმღერა. მას არც „მომავლის სახლის“ აღსაზრდელი ლინდა ჩამორჩა და იგივე სიმღერა, ოღონდ რუსულად, თანაც, საოპერო მანერაში იმღერა. ნუკრი კაპანაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია მისი არაჩვეულებრივი მუსიკალობა და ხმამაღლა განაცხადა — ახლა წესით, რეპეტიციაზე უნდა მივდიოდე, მაგრამ არსადაც არ წავალ, ეს ბავშვი კიდევ ამღერეთო. ლინდამაც არ დაიზარა და მხოლოდ სიმღერით კი არა, საცეკვაო მონაცემებითაც მოგვხიბლა. აღფრთოვანებულმა ნუკრიმ გადაწყვიტა — ამ ბავშვთან სხვაგვარად უნდა ვითანამშრომლოო, — და მისი მონაცემები ჩაიწერა. ვიდრე მომღერალი ლინდას სცენისთვის ამზადებდა, გამოაცხადეს, რომ ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი, „მომავლის სახლის“ ორ აღსაზრდელს საკუთარ სილამაზის სალონში იწვევს, სადაც სტილისტობას შეასწავლის და დაასაქმებსო.



მალე კონცერტი დამთავრდა, მაგრამ საღამოს წამყვანმა გამოაცხადა — ეს ბავშვები აქ ხელცარიელები არ მოსულან, კედელსა და დარბაზის ერთ კუთხეში რაც ნამუშევრებია, ყველაფერი მათი ხელითაა შესრულებული, ამიტომ თითოეულმა აქ მყოფმა რაიმე ნივთი უნდა შეიძინოთო. დეპუტატმა კობა ხაბაზმა მაშინვე

ხმამაღლა განაცხადა — ბაჩანას ნამუშევრებში არავინ შემეცილოსო! თურმე, კონცერტის მიმდინარეობისას, მას პატარა ბაჩანას გაცნობა მოესწრო. გახარებულმა ბავშვმაც მაშინვე ჩამოუხსნა კედელზე დაკიდებული თექის ჩანთა და უთხრა — ეს არის ჩემი ნამუშევარი და 50 ლარი ღირსო. დეპუტატი მხოლოდ ჩანთას არ დასჯერდა და ბაჩანას მიერ ასევე თექით შექმნილი ლამაზი სურათიც შეიძინა.

ვიდრე ხალხი იქ გამოფენილი ნივთების თვალიერებითა და ყიდვით იყო გართული, დრო ვიხელთე და საღამოს ორგანიზატორს გავესაუბრე.

**მარიკა მეშველიანი:**

— მსგავს ღონისძიებას, ოღონდ — არა ამ მასშტაბით, ყოველთვის ვატარებ-



ჩვენ „მომავლის სახლთან“ თანამშრომლობას კვლავ განვაგრძობთ

დი. ჩემი ბავშვები მიჩვეული არიან იმას, რომ ვიღაცას უნდა დავეხმაროთ, უნდა გავიცნოთ ახალი ხალხი და ა.შ. თუ ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამეთვლება, სულ ვცდილობ, რაღაც ახალი გავაკეთო. ახლაც მინდოდა, ჩემს მოსწავლეებს გაეგოთ, მხოლოდ ის ცხოვრება კი არ არსებობს, რომლითაც ისინი ცხოვრობენ, არამედ არსებობენ მათი თანატოლები, რომლებიც ცოტა უფრო რთული ცხოვრებით ცხოვრობენ. ამიტომაც ვეწვიეთ „მომავლის სახლს“. ძალიან მოეწონათ ერთმანეთი, არაჩვეულებრივად შეეწყვნენ, დღეს კი ჩემმა მოსწავლეებმა უმასპინძლეს მათ. ჩვენ „მომავლის სახლთან“ თანამშრომლობას კვლავ განვაგრძობთ. ახლა გადაწყვეტილი მაქვს, რომ ისინი და ჩემი მოსწავლეები უნარშეზღუდული ბავშვების მოსანახულებლად წავიყვანო. „მომავლის სახლის“ აღსაზრდელები მიხვდებიან, რომ ისინი ამ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან. მხოლოდ მათ კი არ სჭირდებათ დახმარება, მათაც შეუძლიათ, დაეხმარონ სხვებს.

■

*დასაწყისი იხ. გვ. 7*

ექსპერტები ხშირად წუხან იმის გამო, რომ ბრიუსელი ამ ქვეყნებს თამამი რეფორმების გასატარებლად სათანადო სტიმულს არ აძლევს. არადა, 90-იან წლებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს რეფორმებისკენ ხომ სწორედ ევროკავშირში შესვლის პერსპექტივამ უბიძგა.

„ევროკავშირი „კეთილმეზობლობის ევროპულ პოლიტიკას“ სათანადო მიმზიდველობით ვერ უზრუნველყოფს, — მიაჩნია საბინ ფიშერს. — მისი სტრატეგია კი, ბუნდოვანია. მართალია, ის (ევროკავშირი) ტერიტორიული კონფლიქტების (მაგალითად, დნესტრისპირეთის) მოგვარებაში მონაწილეობას ცდილობს, მაგრამ უსაფრთხოების არანაირი გარანტიების შეთავაზება არ შეუძლია“. ეს გარემოება 2006 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ საკუთარ ანალიტიკურ მოხსენებაში ევროკავშირის აღმასრულებელმა ორგანომ — ევროპულმა კომისიამაც აღიარა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „კეთილმეზობლობის ევროპულმა პოლიტიკამ“ რეგიონში არსებული გაყინული თუ მიმდინარე კონფლიქტების მოწესრიგების დახმარების კუთხით, ძალზე ცოტა რამეს თუ მიაღწია.

„ევროკავშირი მოცემულ რეგიონთან დაკავშირებით, უფრო კონკრეტული მიდგომის გამომუშავებას იმიტომ გაურბის, რომ უბრალოდ ეშინია, — ამტკიცებს ივან კრასტევი. 2004 წელს, საკუთარ რიგებში 8 აღმოსავლეთევროპული ქვეყნის მიღებაზე მან სერიოზულად დაიწვა ხელი, რადგან მათი სახელმწიფო ორგანოების გარდაქმნის ეფექტი ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა და ისინი დღემდეც ძალზე სუსტნი არიან“.

გარდა ყოველივე ზემოთ თქმულისა, ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა გაფართოებამ დაღალა კიდეც. ფრანგების და ჰოლანდიელების მიერ ევროკავშირის კონსტიტუციაზე უარის თქმამ ისიც ცხადად დაგვანახვა, თუ თავად ევროკავშირს საკუთარი განვითარების მიმართულებაზე რაოდენ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

„და მაინც, აღნიშნულ რეგიონში დემოკრატიის განმტკიცებისა და კანონის უზენაესობის აღიარების შესაძლებლობა მაინც არსებობს, — მიაჩნია ჰერნოტ ერლერს, — რადგან თუ აღნიშნული ქვეყნები „კეთილმეზობლობის ევროპული პოლიტიკით“ სათანადოდ ისარგებლებენ, ის შეიძლება, მართლაც იქცეს რეალური ცვლილებების გამტარებლად და რუსეთსაც ხომ სწორედ ეს — დემოკრატიული ფასეულობებით მოწამვლის შიში უკარგავს სიმშვიდეს. თანაც — იმ ფონზე, როცა თვით ევროკავშირი ამ ქვეყანას ყველანაირად არწმუნებს, რომ აღნიშნული კურსი მის წინააღმდეგ არ არის მიმართული...“

*The International Herald Tribune*, აშშ

# როსტოველმა მეთევზეებმა უცხოპლანეტელი... შეჭამეს

ამ ცოტა ხნის წინ, როსტოვის ოლქის სოფელ სემიბალკის მცხოვრებლებმა, აზოვის ზღვაზე ძლიერი შტორმის შემდეგ, ნაპირზე ზვიგენის მსგავსი ორმეტრიანი არსება გამოათრიეს. მათი თქმით, ეს არსება წრიპინის მსგავს უცნაურ ხმას გამოსცემდა. თავიდან მეთევზეებმა იფიქრეს, რომ ნამდვილი უცხოპლანეტელი ჩაუვარდათ ხელში და მობილური ტელეფონით მისთვის სურათის გადაღება სცადეს. გადაღებულ კადრებში კარგად ჩანს ამ უცნაური არსების არანაკლებ უცნაურად მბრწყინავი თავი, ტანი და გრძელი კუდი. და ერთი ფრიად სამწუხარო გარემოება რომ არა, ის ალბათ, მეცნიერების და



უფოლოგების სერიოზული კვლევის ობიექტიც გახდებოდა. საქმე ისაა, რომ მეთევზეებმა უცნაური არსება შეჭამეს და არც იმის აღნიშვნა დაიზარეს — ასეთი გემრიელი ცხოვრებაში არაფერი გვიგემიაო.

მსგავსი შემთხვევა 2006 წლის ოქტომბერშიც მოხდა. მაშინ პალესტინის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა არაბმა ბიჭუნამ თევზაობისას უცნაური არსება დაიჭირა. პატარა აიუბ მაჰმუდ აქვა აბუ საალუკი ნანახმა იმდენად გააოგნა, რომ ანკესი ხელიდან გაუვარდა, მუხლებზე დაეცა და ალაჰის სადიდებელი ლოცვა აღავლინა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ბიჭუნამ ადამიანის სახის მქონე თევზი დაინახა. „იმ თევზს ადამიანის ტუჩები და თვალები ჰქონდა, — იხსენებს ბიჭუნა, — როგორც კი ეს შევნიშნე, თევზი მაშინვე წყლიან ჭურჭელში მოვათავსე და სოფლისკენ მოვკურცხლე. მინდოდა, უცნაური თევზი ყველასთვის მეჩვენებინა, მაგრამ სანამ სოფელში მივიდოდი, ის მოკვდა“, — იხსენებს საალუკი.

კიდევ ერთი უცნაური აღმოჩენის შესახებ 2005 წელს, სააგენტო „როიტერი“ იტყობინებოდა. მისი თქმით, სეულიდან 140 კილომეტრით დაშორებულ ქალაქ ჩონჯუში, ერთ-ერთ კერძო ტბორში უკვე 20 წელია, რაც 80 სანტიმეტრი სიგრძის ადამიანისსახიანი თევზი — კობრი ცხოვრობს... ■

# სიყვარულით გაზრდილი ცხვირები, ტუჩები, ხელები ანუ კარიკატურისტის საპირველაპრილო ხუმრობს...

1-ელ აპრილს, სიცილისა და იუმორის დღეს, კარიკატურისტმა ზაალ სულაკაურმა გალერეა „ჰობიში“ საკუთარი პერსონალური გამოფენის მოწყობა უკვე ტრადიციად დაამკვიდრა. წელსაც ვიხილეთ დარბაზში ერთმანეთის გვერდიგვერდ გამოფენილი 200-მდე ცნობილი ადამიანის იუმორისტული პორტრეტი, მათ შორის, როგორც ქართველები, ისე მსოფლიო მასშტაბით პოპულარული ადამიანები: ვლადიმირ პუტინი, ჯონ ლენონი, ემინემი, ბინ ლადენი, დედა ტერეზა, სტივ უანდერი, ჯორჯ ბუში, კონდოლიზა რაისი, მიხეილ სააკაშვილი, კახა ბენდუქიძე, ბუბა კიკაბიძე, ანჯელინა ჯოლი და კიდევ ვინ არა... რაც მთავარია, ამ ნამუშევრებს კარიკატურისტი არა მარჯვენა, არამედ მარცხენა ხელით, ყალმის ერთი მოსმით აკეთებს.







**— ზალიკო, 1-ელ აპრილს მოწყობილი გამოფენით იმის თქმა გინდა, რომ რაღაცას გვატყუებ?**

— გატყუებთ, თუმცა ამავე დროს, კარგ ხასიათზე გაყენებთ. ტყუილი ის არის, რომ ჩემს იუმორისტულ პორტრეტებში, პერსონაჟებს ვუზრდი ცხვირს, ტუჩებს, თვალს, თავს, ტანს...

**— ამის გამო ვინმე დამდურებული და განაწყენებული თუ გყავს?**

— ალბათ, მხოლოდ ისინი, ვისაც არა აქვს იუმორის გრძნობა.

**— როგორ ფიქრობ, ბევრს არა აქვს?**

— 90%-ს აქვს — ანუ უმრავლესობას, ამიტომ ამ მხრივ პრობლემა არ მექმნება.

**— რა გაძლევს ამა თუ იმ პიროვნების „გაკარიკატურების“ საბაბს?**

— უმეტესობა, რომ შეხედავ, ისეთია, დახატვაც არ უნდა — ცოცხალი, მოსიარულე კარიკატურაა. ამიტომ, რომ შევხედავ ადამიანს, გონებაში უკვე ვხატავ ხოლმე.

**— ყოველდღე ხატავ?**

— თითქმის და არაერთს.

**— დღეს როგორი განწყობილება გაქვს?**

— შესანიშნავი, გამოფენაზე უამრავი ადამიანი მოვიდა. ვგრძნობ, რომ ბევრს ვუყვარვარ. ყველას დიდი მადლობა. ■


გამოფენაზე უამრავი ადამიანი მოვიდა. ვგრძნობ, რომ ბევრს ვუყვარვარ



# ფოტოგრაფის ჟურნალისტი მუზა

**მარტი რომ ქალების თვედ არის მიჩნეული, ეს ბევრმა მამაკაცმა კარგად იცის და ამ თვის დადგომისთანავე იწყებს ზრუნვას მის გარშემო მყოფი ქალბატონების გულის გასახარებლად. ზუსტად 8 მარტს — ვერა, მაგრამ 28 მარტს ფოტოგრაფმა მიხეილ როსტომაშვილმა ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტ ქალს — თამარ ძინძიბაძეს საკუთარი ფოტონამუშევრების გამოფენა მიუძღვნა და მას „განწყობილება“ დაარქვა. მან ფოტონამუშევრები სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ დარბაზში გამოფინა.**

**მიხეილ როსტომაშვილი ამ საქმეს უკვე 30 წელია ემსახურება და ამჟამად, საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრის“ ფოტოგრაფი გახლავთ. ის წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემასთან. რაც შეეხება აღნიშნულ ექსპოზიციას, — ეს მისი რიგით მეშვიდე პერსონალური გამოფენა გახლავთ.**





**მიხეილ როსტომაშვილი:**

— ამჯერად მინდოდა, ფირზე აღმებეჭდა ერთი რიგითი ადამიანის ცხოვრების ფრაგმენტები. ისინი სულ 39 ფოტოსურათშია თავმოყრილი, რომლებსაც 2000 წლიდან ნელ-ნელა ვიღებდი. ბუნებრივია, შეუძლებელია, ადამიანის ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე კადრად დაყო. მაგრამ ჩემს ნამუშევარში სიახლე ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით ერთი ადამიანის „ყოველი ნაბიჯის“ ფირზე გადატანა არავის უცდია, მით უფრო — არაცნობილი სახის. ცოტა ხანში, ამავე ხერხით პოპულარული პიროვნების გადაღებას ვაპირებ.

— **რატომ აირჩიე თამუნა ძინძიბაძე შენი ნამუშევრების მთავარ გმირად ანუ მუზად?**

— ლაღი, თავისუფალი ადამიანია. მასთან მუშაობა ჩემთვის ადვილი იყო. ამ გამოფენას ზაფხულში ბათუმში წავიღებ, რადგან ფოტოების უმეტესობა იქ არის გადაღებული. ■





# სტეფანეს მიერ დასაჩუქრებული „ჯიგარი“ ანჟელიკა ვარუმი და მისი ქართველი ფანები

**უკვე ტრადიციად დაამკვიდრეს კომპანია „არტ-ფორუმმა“ და სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა ერთობლივი პროექტების ჩატარება. 30 აპრილს, კლუბი „ნაით ოფისი“ მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას დაეთმო, სადაც ამ კომპანიების მიერ თბილისში ჩამოყვანილი, რუსული ესტრადის კაშკაშა ვარსკვლავი — ანჟელიკა ვარუმი და მისი ბენდი გამოდიოდა. კლუბში ანჟელიკას უამრავმა ქართველმა ფანმა მოიყარა თავი, მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი 60 ლარი ღირდა, ხოლო VIP ადგილები — 200 ლარი. ყველანი მოუთმენლად ელოდნენ სცენაზე ვარუმის გამოჩენას, რომელიც თბილისში კიევიდან საკმაოდ კარგი განწყობილებით ჩამოფრინდა.**

**კახაბერ ცისკარიძე,** *„არტ-ფორუმის“ პროდიუსერი:*

— ანჟელიკა ვარუმის ჩამოყვანაზე ფიქრი შემოდგომიდან დავიწყეთ, მას მერე, რაც აქ მისი მეორე ნახევარი — ლეონიდ აგუტინი იმყოფებოდა, რომელმაც იან ჰომერის საჩოგბურთო კორტების გახსნისას დიდი კონცერტი გამართა.

— **არ გიფიქრიათ, რომ ცოლ-ქმარი ერთად ჩამოგეყვანათ?**

— შეიძლება, მალე ესეც დავგეგმოთ. მთავარია, რომ თბილისი ორივეს ძალიან უყვარს...

— **დაძაბულ რუსულ-ქართულ პოლიტიკურ ურთიერთობას ანჟელიკასთვის ხელი არ შეუშლია?**





— არანაირად. მან აღნიშნა — მიხარია, რომ სწორედ ასეთ დროს ჩამოვედი საქართველოში და რომ გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა ხელოვნებას და კულტურას არ ეხებაო.

**— რას გვეტყვით, როგორი ადამიანია ანჟელიკა?**

— უშუალო, ბუნებრივი, უპრობლემო — მოკლედ, „ჯიგარია“, რა! მან მოისმინა სტეფანეს სიმღერები და მოეწონა. სხვათა შორის, სტეფანეს სთხოვა — ახალ რუსულ სიმღერას, რომელიც ჯერ არსად აჟღერებულა, თუ შეიძლება, მე ჩავწერო და სტიოპამაც დაუფიქრებლად აჩუქა. სიმღერას ჰქვია „Любовь банальна“.

**— თბილისის დათვალიერება ვერ მოახერხა?**

— ვერა, რადგან ამისთვის დრო ფაქტობრივად, არ ეყო. მაგრამ ის პირველად არ არის ჩვენს ქალაქში. ანჟელიკა „ამბასადორში“ იყო დაბინავებული, სადაც სრული კომფორტი შეუქმნეს.

*რუსული ესტრადის ვარსკვლავმა იმ საღამოს მისი ძველი ჰიტებიც შეასრულა და ახალი სიმღერებიც. სცენაზე მასთან ერთად, ცოცხლად მისი ბენდი და მოცეკვავეების ჯგუფი მუშაობდნენ. საღამოს ნანიკო ხაზარაძე უძღვებოდა.*

**ნეკა სეზისკვერაძე:**

— ბავშვობიდან მომწონს ეს მომღერალი, მისი იმიჯი, შესრულების მანერა; ნებისმიერ კონცერტსა თუ ახალ კლიპში რადიკალურად განსხვავებულია ხოლმე. განსაკუთრებულად მომწონს მისი ახალი სიმღერა — „Ты и я“

**გვანცა კილასონია:**

— გემოვნებიანი და დახვეწილი მომღერალია. მან ყველაფერს დიდი შრომის შედეგად მიაღწია. ეს ჯერ მისი მამის დამსახურებაა, შემდგომ — მეუღლის. თუმცა ვფიქრობ, ლეონიდ აგუტინმა უფრო მეტი ისწავლა ანჟელიკასგან, ვიდრე — პირიქით...

**ნინი ქარსელაძე:**

— დედაჩემი ბავშვობიდან ხშირად მასმენინებდა ანჟელიკასა და ლეონიდის სიმღერებს. ორივე ძალიან მიყვარს. ბედნიერი ვარ, რომ დღეს ამ საღამოზე ვიმყოფები.

*კონცერტზე კომპანია „ინტერტურის“ მიერ გათამაშება მოეწყო. გამარჯვებული ბილეთის მფლობელი ხატია შამუგია გახლავთ. ის აგვისტოში ანტალიაში წასვლით დასაჩუქრდა.* ■



# პროდუქცია უმდიდრესი ქართველებისთვის ანუ სუნამო ოქროსა და ბროლში





**კლუბ „ნაით ოფისში“ ქართული ბომონდისთვის ერთი დახურული ღონისძიება გაიმართა. იქ მამაკაცების ახალი სუნამოს („ბუგატი“) პრეზენტაცია კომპანია „ისი-პარიმ“ მოაწყო, რომელსაც ორგანიზება მისმა ბოლოდროინდელმა სახემ — ხატია შამუგიამ გაუკეთა. კომპანიას არც მისი ყოფილი ქართველი სახეები დავიწყნია. ამიტომ, საღამოს ია ფარულავაც ესწრებოდა და ლელა წურწუმიაც.**

**ხატია შამუგია:**

— „ბუგატი“, მოგეხსენებათ, იტალიური საავტომობლო ფირმაა, რომელიც ყველაზე ძვირად ღირებულ ავტომობილს უშვებს. ამ ფირმას სურდა, მამაკაცისთვის შექმნილიყო სუნამო, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნებოდა ბრენდის უმთავრეს ფასეულობებთან. და გამოუშვა კიდეც ორი სახეობის: ერთი — „პრესტიჟული“, რომელიც ბროლის ფლაკონშია და ჩასმულია მოოქრულ სკულპტურაში (სულ 400 ცალია გამოშვებული და თითოეულის ფასი — 6.040 ლარია). რაც შეეხება მეორეს — „ბუგატი“ „მრავალჯერადს“ — ის დამუშავებული მინის ფლაკონშია მოთავსებული და ჩასმულია ალუმინის მოოქრულ სკულპტურაში (ისიც სულ 400 ცალია გამოშვებული და — 4.140 ლარი ღირს). საქართველოში კი, მხოლოდ თითო-თითო ცალი ჩამოვიდა.

**— როგორ გგონია, გამოჩნდება ჩვენში ისეთი ქართველი მამაკაცი, ვინც ამ სუნამოს შეიძენს?**

— ალბათ, კი, რადგან გემოვნებიანი და დახვეწილი მამაკაცი ჩვენში საკმაოდ ბევრია.

**ზვიად ციკოლია,** *დიზაინერი:*

— აღფრთოვანებული ვარ, რომ ასეთი ძვირად ღირებული ბრენდი ქართულ ბაზარზე შემოვიდა. „ბუგატი“ არა მარტო ძლიერი ავტომობილების სიმბოლოა, ეს უკვე ცხოვრების სტილია. ჩემი ორივე მანქანა „ბუგატის“ უკავშირდება. ამ ფირმასთან დაკავშირებით, შორს მიმავალი გეგმები მაქვს. თუმცა ჯერჯერობით, იმის საშუალება ნამდვილად არ მაქვს, რომ ეს სუნამო შევიძინო.



*P.S. პრეზენტაციის შემდეგ, ორივე სუნამო კომპანიის ერთ-ერთ მაღაზიაში გადაიტანეს. ყოველდღე, მის სანახავად უამრავი ადამიანი შედის, მაგრამ მყიდველი ჯერჯერობით არ ჩანს...* ■

ინტიმური ტელეფონი
822-006-008
822-006-088
822-006-108
(ზარი ფასიანია)
18 წლიდან



## ახალი ძრავა სუპერსწრაფი Capato T1-სთვის

ბრიტანული სუპერსწრაფი მანქანა — Capato T1, რომლის შემუშავება ჯერ არ დასრულებულა, ახალი V8 ძრავათი აღიჭურვა, რომელიც 3,5 ლ მოცულობისაა და 550 ცხ.ძ. სიმძლავრეს ავითარებს. ახალი აგრეგატი, „ფორმულა-1"-ის მანქანების ძრავების ტექნოლოგიის გამოყენებით, ალუმინისგანაა დამზადებული და ამის შედეგად, ძალზე მსუბუქია — მისი მასა 100 კგ-ს არ აჭარბებს, რისი წყალობითაც, ორადგილიანი სპორტული მანქანის წონა არ შეცვლილა და კვლავ 500 კგ იქნება. ბუნებრივია, ახალი მოტორით Caparo T1 უფრო სწრაფია. ამასთან, ეს ავტომობილი 500 ცხ.ძ. სიმძლავრის, 2,4-ლიტრიან V8 აგრეგატითაც



აღიჭურვება. მანქანა 100 კმ/სთ სიჩქარეს 2,5 წამში განავითარებს, ხოლო 160 კმ/სთ სიჩქარის განვითარებას და შემდეგ უცბად, სრულ გაჩერებას, სულ 8,5 წმ-ს მოანდომებს. ახალი ძრავათი აღჭურვილი მანქანის დინამიკურ მაჩვენებლებზე ჯერჯერობით ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ. როგორც ვარაუდობენ, სუპერმანქანების წარმოება უახლოესი 6 თვის განმავლობაში დაიწყება. ავტომობილის საორიენტაციო ფასი, 180 ათასი გირვანქა სტერლინგია (353 ათასი დოლარი). ■

## სპორტული მანქანა Nissan-ისგან



Nismo, რომელიც იაპონური ავტოგიგანტის სპორტულ განყოფილებას წარმოადგენს, კუპეს — 350Z-ის საკუთარ ვერსიას მიმდინარე წლის აპრილში, ნიუ-იორკის ავტოშოუზე წარმოადგენს. ეს მოდელის 37-წლიან ისტორიაში Nissan Z-ს პირველი მსგავსი ვერსიაა. გარეგნულად Nismo 350Z-ს ქვედა სპოილერიანი ბამპერი, აგრეთვე უკანა დიფუზორი და დიდი ანტიფრთები გამოარჩევს. გარდა ამისა, Brembo-ს ახალი სამუხრუჭე მექანიზმი და Nismo-ს სპორტული საბორბლე დისკებიც დაუყენეს. ეს მოდელი მხოლოდ ექვსსაფეხურიან გადაცემათა მექანიკური კოლოფით აღიჭურვება. Nismo-ს (Nissan Motorsport International) განყოფილება 1984 წელს დაარსდა. იგი სარბოლო მანქანების წარმოებითა და სერიული მოდელების ტიუნინგითაა დაკავებული. ■



## JE Design-ის სიახლე

გერმანულმა სატიუნინგო ატელიემ — JE Design — კუპე Audi TT-ს დასრულებული ვერსია წარმოადგინა. 200 ცხ.ძ-ის მქონე, ორლიტრიანი, ტურბოძრავა, წინამორბედთან შედარებით, 44 ცხ.ძ-ით გაძლიერდა. ამ შედეგს გერმანელმა კონსტრუქტორებმა ძრავას მართვის ელექტრონული ბლოკის პროგრამის შეცვლით მიაღწიეს. ამჟამად ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 247 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ/სთ-ის გასავითარებლად, მხოლოდ 6 წმ ესაჭიროება. ტიუნინგის ანალოგიური პროგრამა როდსტერ Audi TT-სთვისაც ხელმისაწვდომი იქნება. მის ფასზე ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. ■

## ახალი Ford Mustang



ნიუ-იორკის ავტოსალონზე ამერიკული ავტოგიგანტის ისტორიაში ყველაზე მძლავრი Ford Mustang-ის პრემიერა შედგება. ეს არის Shelby GT500KR. Ford-ის ქვედანაყოფის — Special Vehicle Team-ისა (SVT) და კომპანია Shelby Automobiles-ის მიერ შექმნილი მანქანა, 100 ეგზემპლარად იქნება გამოშვებული. SVT-ის სპეციალისტებმა რვაცილინდრიანი, 5,4 ლ მოცულობის ძრავა შეიმუშავეს და მისი სიმძლავრე 500-დან 540 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. უკანახიდიანი Mustang-ის აგრეგატი ექვსსაფეხურიან გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. ავტომობილის გარეგნობამ მცირე ცვლილება განიცადა, რაც ყველაზე მეტად კაპოტსა და ბამპერს შეეხო. გარდა ამისა, სიახლეს ექსკლუზიური, 18-დუიმიანი საბორბლე დისკებიც გამოარჩევს, რომელიც მხოლოდ GT500KR-ისთვისაა განკუთვნილი. ახალი მანქანის ფასი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ■


● მომსახურების მაღალი ხარისხი
● ჟურნალ-გაზეთების ფართო არჩევანი
● ყველაზე დაბალი ფასები
გამოიწერეთ!
და ეს ყველაფერი სახლიდან გაუსვლელად!

| გამოცემის დასახელება | 1 ეგზ ფასი | 6 თვე |
|---|---|---|
| 1. Авторевю | 3,50 | 42,00 |
| 2 Автомир | 2,50 | 65,00 |
| 3 Клаксон | 3,50 | 42,00 |
| 4 Автомобильный транспорт | 37,00 | 222,00 |
| 5 Автопилот (комерсант) | 10,00 | 60,00 |
| 6 Автоспорт | 3,50 | 21,00 |
| 7 За рулем | 7,00 | 42,00 |

პრესის გავრცელების სააგენტო
ქ. თბილისი
ორბელიანის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elvaservice@mail.ru.
აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

# კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

## (5 – 11 აპრილი)

**ვერძი 21.03-20.04**

საზოგადოებრივი ცხოვრება ბევრ უსიამოვნებას მოგიტანთ, სირთულეები შეგექმნებათ ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობისას. თუმცა, კვირის ბოლოს თქვენი ფინანსური საქმეები სარფიანად წარიმართება. უქმე დღეები მოგზაურობას დაუთმეთ.

**კურო 21.04-20.05**

თქვენი ცხოვრება საინტერესო მოვლენებით იქნება აღსავსე. მთავარია, წინასწარ შეიმუშაოთ ზუსტი სამოქმედო გეგმა. ამ კვირაში მოგეცემათ შანსი, მიაღწიოთ მიზანს, თუმცა ამას მხოლოდ დაუღალავი შრომის ხარჯზე მოახერხებთ. მიუხედავად ამისა შეეცადეთ, შეინარჩუნოთ დინამიკურობა, იმოგზაუროთ ან იაროთ სტუმრად.

**ტყუპი 21.05-21.06**

თამამად შეგიძლიათ წამოიწყოთ საქმე, რომელსაც დიდი ხანია გეგმავთ. ამასთან, საჭიროა გახსოვდეთ, რომ ნებისმიერმა წვრილმანმა შეიძლება სკანდალი გამოიწვიოს. სასიცოცხლო ძალების მოზღვავება ლიდერად გაქცევთ როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ოჯახში.

**კიბო 22.06-22.07**

დიდი მონდომებით წამოიწყებთ ნებისმიერ ექსპერიმენტს და დასახული მიზნების მიღწევასაც უჩვეულო ხერხებით შეეცდებით. ამ პერიოდში მრავალი საინტერესო შეხვედრა გელით. შაბათ-კვირა მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

**ლომი 23.07-23.08**

ეს კვირა იმდგაცრუებას მოგიტანთ. თქვენი მცდელობა, ყველაფერი ერთდროულად მოასწროთ, შესაძლოა, ფსიქიკური აშლილობით დასრულდეს. თავი შეიკავეთ ტყუილებისა და კანონდარღვევებისგან. შეეცადეთ, სამოგზაუროდ წახვიდეთ და დამშვიდდეთ.

**ქალწული 24.08-23.09**

ამ კვირას საკუთარი პრინციპების დასაცავად მოგიწევთ ბრძოლა. შინაგანი დაძაბულობა თავის ტკივილის სახით გამომჟღავნდება. ამ დღეებში უმჯობესია, თავი შეიკავოთ ყოველგვარი ფინანსური ოპერაციისგან და დრო აქტიურ გართობას დაუთმოთ.

**სასწორი 24.09-23.10**

დროის ამ მონაკვეთში განხორციელდება როგორც თქვენი პირადი, ისე პროფესიული გეგმები. ეს დრო ხელსაყრელი იქნება ლიტერატურული და სამეცნიერო საქმიანობისთვის. აგრეთვე, მოსალოდნელია მგზავრობა და ხშირი შეხვედრები, რასაც საინტერესო ინფორმაციის მოპოვება და ცოდნის გაღრმავება მოჰყვება.

**მორიელი 24.10-22.11**

ამ კვირას სასურველია თავი შეიკავოთ ისეთი გეგმების განხორციელებისგან, რომლის წარმატებაშიც ბოლომდე დარწმუნებული არ ხართ. შეეცადეთ, დამოუკიდებლად იმოქმედოთ, რადგან ამჯერად, მეგობრებისა თუ ოჯახის წევრების რჩევები არ გამოგადგებათ.

**მშვილდოსანი 23.11-21.12**

ამ დღეებში თქვენ ძველი ვალების გასტუმრება მოგიწევთ. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ინტრიგებს, რომლებიც მრავლად იქნება როგორც თქვენს სახლში, ისე სამსახურში. თუ საზღვარგარეთ გამგზავრება ან უცხოურ ფირმაში მუშაობის დაწყება გსურთ, ფორმალობების მოგვარება წინასწარ მოგიწევთ.

**თხის რქა 22.12-20.01**

ხელსაყრელი დროა ყველა იმ წამოწყებისთვის, რომელიც სითამამესა და მხნეობას მოითხოვს. წინსვლა გელით პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე. წარმატებული გამოდგება ამ პერიოდში დადებული ხელშეკრულებებიც. შეგიძლიათ მეგობრებისა და სპონსორების იმედიც იქონიოთ.

**მერწყული 21.01-19.02**

ამ კვირას საკმაოდ აქტიურად გაატარებთ, ბევრი საქმის მოგვარებას მოასწრებთ და შედეგიც არ დააყოვნებს — არცთუ ისე ურიგო შემოსავალი გექნებათ და საფუძველს ჩაუყრით თქვენს მომავალ კეთილდღეობას. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა მხოლოდ დადებით განწყობილებაზე დაგაყენებთ.

**თევზები 20.02-20.03**

დაბრკოლებების მიუხედავად, თქვენი ძალისხმევა უშედეგოდ არ ჩაივლის, მაგრამ თუ გარშემო მყოფებზე განსაკუთრებულ ზეწოლას მოახდენთ, კონფლიქტი გარდაუვალი აღმოჩნდება. ამ პერიოდში თქვენმა თითოეულმა წარმატებამ შეიძლება ხმაურიანი სკანდალი გამოიწვიოს. უქმე დღეები ბუნების წიაღში გაატარეთ.

გამოვიდა
აპრილის
ნომერი




თქვენ ხომ გემოვნებიანი
მკითხველი ბრძანდებით...



„აუუ, მარიიი, ეს რა დაგემართა? ჰააა... ჰა... ჰააა... წინა „გზაში“ ვეძებე ჩემი მესიჯი და „მამაკაცებში“ არ ვნახე? არა, გოგო ვარ, გოგოოოოოო! აბა, კარგად! კარგები ხააართ. კვინტილა“. კი, მაგრამ საინტერესოა, საიდან უნდა მივხვდე, გოგო ხართ თუ ბიჭი, ამას მესიჯში თუ არ მიუთითებთ? ან ისეთი ნიკი თუ არ გექნებათ, რომ ამით მაინც გამოვიცნო თქვენი სქესი? ეგ არაფერი... ახლა მინდა, ერთი რამ გთხოვოთ — ნუ გამოგზავნით უცხო ენაზე დაწერილ მესიჯებს, ისინი მაინც არ გამოქვეყნდება, რადგან წინა ნომერში ერთი მკითხველი ძალიან ცუდად მოგვექცა ყველას — მას ბერძნულად მოუწერია რაღაც სალანძღავი მესიჯი, მე კი ბერძნული არ ვიცი და ვერ მივხვდი, რა ეწერა. ის რა თქმა უნდა, მაინც დაიბეჭდა და იმ მკითხველების აღშფოთებაც გამოიწვია, რომლებსაც ეს ენა ესმით. ამ ერთ შემთხვევას იმედია, მაპატიებთ. მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ, მე ხომ „მშობლიური“ უცხო ენა მაქვს, სვანური. ჰოდა, ყველაფერი რომ სვანურად დავწერო, თქვენ რას გაიგებთ? ამიტომ, აბსოლუტურად მართალია ერთი მკითხველი, რომელიც გვწერს: „რა დაგემართათ? ყველა თავის ჭიას ახარებს, არა? კეთილი ინებეთ და ქართულ ჟურნალში ქართულად დაწერეთ“... ახლა კი მესიჯის გამოგზავნის წესს შეგახსენებთ, რომელიც ზედმიწევნით უნდა დაიცვათ იმისთვის, რომ თქვენი მესიჯი „მესიჯომანიაში“ მოხვდეს: მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი „ესემესებია“). და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

## qalebi

1. სალამი, მარი. ვარ 38 წლის, გაუთხოვარი, სამსახურით უზრუნველყოფილი ქალი. ვეხმაურები „გზა“ №12, 55-ე მესიჯის ავტორს. დანარჩენ მონაცემებს, თუ სურვილი გაქვს, პირადად გეტყვი.

2. 32-ე მესიჯის ავტორს, შოთას. მეც 31 წლის ვარ, სამსახურით, კარგი მშობლებით, ძმით და გიტარით. ვცხოვრობ იმერეთში. იქნებ, ბედისწერაა?

3. მე ვარ გვანცა, 15 წლის. გავიცნობ 16-21 წლის ბიჭებს, მეგობრობისთვის.

4. კაკუ, მე თბილისელი გვანცა ვარ, 17 წლის. ძალიან მინდა შენთან ამხანაგობა, თუნდაც, მესიჯებით. ვისაუბროთ, კარგი ამხანაგობა ვიცი. ძალიან დამაინტერესე. გთხოვ, შემეხმიანე.

5. ვარ 20 წლის, 50/168, შავგვრემანი გოგო. ადამიანებში ვაფასებ სითბოს და ყურადღებას. სერიოზული ურთიერთობისთვის ვეძებ 29 წლამდე ასაკის, მაღალ, სიმპათიურ, თბილ ბიჭს.

6. ვარ 31 წლის ქალი. მარტოობა მოსაწყენია. მარი, იქნებ გამაცნო ნორმალური, სერიოზული, ნამდვილი მამაკაცი. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ, გასართობად არ მცალია. ლიმა.

7. ვეხმაურები მერწყული-28-ს. ვარ 18 წლის სალო. მეც შენსავით მახინჯი და ღარიბი ვარ. შენი გაცნობა მინდა, სამეგობროდ. ნომერს მარისთან ვტოვებ. გელოდები.

8. მე 18 წლის მალუ ვარ. მინდა, შევიძინო მეგობრები (მხოლოდ გოგონები). ცოტა ხნის წინ ორ საუკეთესო დაქალს დავშორდი და ძალიან ცუდად ვარ. ჩემი ნომერი არ გამოაქვეყნოთ.

9. ვარ 20 წლის, საშუალო განათლებით, ვფლობ კომპიუტერს და ინგლისურ ენას. ვერკვევი მუსიკაში, ვარ მჭევრმეტყველი და კომუნიკაბელური. მინდა, გავხდე დიჯეი. დამეხმარეთ. თიკო.

10. ვარ 24 წლის, თოჯინასავით საყვარელი, თბილი და ხალისიანი გოგონა. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი ზრდილობიან ბიჭს. დეა.

11. ვარ 32 წლის. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მამაკაცს. ანა.

12. ვარ „წითელ წიგნში“ შესაყვანი, 35 წლის, მხიარული, სიცოცხლით სავსე გოგო. ველი ნამდვილ მამაკაცს, რომელსაც უნდა თბილი, ნამდვილი ქართული ოჯახი. არის ვინმე? ნონა.

13. პრივეტ, ყველას. ვარ 17 წლის. გავიცნობდი კარგ ბიჭს. იმედია, მიმიღებთ. ახალი ვარ. ია (კუკი), ბათუმი.

14. მარი, გთხოვ, მომცე „გზა“ №13, 35-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

15. ვარ 34 წლის, ქმარს გაცილებული, სუფთა წარსულის მქონე ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 42 წლამდე ასაკის დასაქმებულ მამაკაცს. არასერიოზულები ნუ შეწუხდებიან.

16. მხოლოდ და მხოლოდ ბედნიერი ოჯახის შექმნა მინდა. იქნებ, ბედია და ვიპოვო სასურველი მამაკაცი? ბინაც მაქვს და სამსახურიც. ნინო-36. იმერეთი.

17. მე ვარ ნინი, 18 წლის. გავიცნობდი 25 წლამდე ასაკის ბიჭს, სამეგობროდ. ცანცარა ბიჭები არ გამომეხმაუროთ. დიდი მადლობა მარის.

18. გამარჯობა, მარი. პირველად გწერ. იმედია, დაბეჭდავ. ვარ 32 წლის გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 36 წლამდე ასაკის, უცოლო მამაკაცს. ნომერი მარისთანაა. მორიელი.

19. მარი, მყავს 35 წლის დეიდა. მინდა, რაჭველო-133 გავაცნო. ვეხმაურები „გზა“ 1.03-7.03 „მესიჯომანიის“ მამაკაცების 41-ე მესიჯის ავტორს, რაჭველო-133-ს. როგორ უნდა დავაკავშირო ისინი?

20. აუ, მუღამი მაქვს, რომ გავიცნო ვინმე ქუთაისელი, 19-23 წლის ბიჭი. უბრალოდ, მეგობრობა მინდა მასთან. გარეგნობას, სტატუსსა და ხელფასს მნიშვნელობა არ აქვს. კუსკუსა.

21. ვეხმაურები „გზა“ №12, 56-ე მესიჯის ავტორს. მეც სწორედ ამაზე ვოცნებობ. დაინტერესების შემთხვევაში გამომეხმაურეთ. ნანო-32.

22. ვარ 33 წლის, სასიამოვნო გარეგნობის გოგო. მყავს 1 შვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 45 წლის მამაკაცს, მატერიალურად უზრუნველყოფილს და სიმპათიურს.

23. პირველად გწერთ. ძალიან მინდა, თქვენი საშუალებით გავიცნო 25 წლის მამაკაცი. გამომეხმაურეთ. მაკუნა.

24. მაგარი ლამაზი დაქალი მყავს, მაგრამ წიგნების მეტი არაფერი აინტერესებს. 16 წლისაა და ჯერ შეყვარებულიც არ ჰყოლია. ახლა მისი ნომრიდან გწერთ, ჩუმად. იქნებ, გამოაფხიზლოთ?

25. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 40-45 წლის მამაკაცს, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილს. ვარ 32/167, მწვანეთვალება, სერიოზული, სამსახურით უზრუნველყოფილი გოგო.

26. ვარ მგრძნობიარე, სიმპათიური, 37 წლის ქალბატონი. მინდა, გავიცნო სერიოზული, ყველანაირად კარგი ადამიანი. არასერიოზულები არ მაინტერესებს. ნომერი მარისთანაა.

27. ვარ მომხიბვლელი, მაღალი, თხელი აღნაგობის, ქერა, ცისფერთვალება, გასათხოვარი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ წესიერ, უზრუნველყოფილ, დასაქმებულ, სიმპათიურ, 45 წლამდე ასაკის მამაკაცს.

28. კუსკა, „ზმიზმი“, ბუბუ, დედასგიჟი. თქვენი გაცნობა მინდა. თუ მოისურვებთ, მარის გამოართვით ჩემი ნომერი. კაკუ.

29. არც მანქანა მყავს, არც სამსახური მაქვს, არც ქერა ვარ, არც ცისფერთვალება. ვარ შავტუხა, მაღალი, 26 წლის ჯული. რაც მთავარია, პატიოსანი, მაგრამ ასეთები ალარავის უნდა.

30. ვარ გასათხოვარი, 23 წლის, 179/59, ლამაზი, განათლებული, წესიერი გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი მაღალ, სიმპათიურ, წესიერ და დასაქმებულ, 31 წლამდე ასაკის ქალაქელ ბიჭს.

31. გავიცნობ 25-30 წლის, უცოლო მამაკაცს.

32. ჩემი გაცნობა არ გინდათ? ძალიან მინდა, SMS-მეგობარი. „ზმიზმი“, მაგარი ხარ. მეც ნაღდი რაჭველი ვარ. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. ჩემი ნომერი მარისთანაა. კატო-14.

33. ვეხმაურები „გზა“ №13, მე-40 მესიჯის ავტორს.

34. მარი, პირველად გწერ. ვარ 25 წლის გოგო. მინდა, გავიცნო 30 წლამდე ასაკის, ნორმალური, სერიოზული და მხიარული

ბიჭი, სამეგობროდ. გასართობად ნუ შეწუხდებით. ანნა.

35. გამარჯობა, მარი. იცი, როგორ მინდა, გვერდით სერიოზული მამაკაცი მყავდეს? ოღონდ, ქართველი. ვოცნებობ, მაგრამ რად გინდა? იოცნებე, თუ არ გეზარება, მაგრამ აზრი? აზრს ვერ ვხედავ... უცხოელი სვანი.

36. ვარ მაღალი, პუტკუნა, ეშხიანი, 36 წლის ქალბატონი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ განათლებულ, კულტურულ, თბილისელ მამაკაცს.

37. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. მწვანეთვალება, სიმპათიური მანდილოსანი, 30 წლის. სხვა ყველაფერი გასაგებია, არა? მარი, ჩემო კარგო, პირველად გწერ. ძალიან კარგი ხარ. ნომერი დამიბეჭდე, კარგი? 8.55.13.48.02.

38. ვარ 41 წლის, მარტოხელა ქალი. ისე მომწყინდა მარტო, რომ სიამოვნებით გავიცნობდი კარგ მამაკაცს. სასურველია, იყოს ქვრივი. იოკო.

39. მარი, გეხვეწები, გემუდარები, მე-13 ნომრის, 43-ე მესიჯის ავტორის ნომერი მომეცი.

40. მარი, მიყვარხარ. „სორი", ასე გვიან რომ გეხმაურები, მაგრამ ეს მესიჯი ახლა ვნახე. მინდა, „მერწყულ-28"-ს გამოვეხმაურო. 28 თებერვლის ნომერში იყო მისი განცხადება.

41. ვარ 36 წლის, სიმპათიური, თბილი ბუნების გოგო. ვეძებ ადამიანს, რომელსაც უნდა ნამდვილი, ქრისტიანული ოჯახის შექმნა. სხვები ნუ გამომეხმაურებიან. ლილიანა.

42. მყავს მიმზიდველი, პატიოსანი დაქალი. ის 34 წლის მარტოხელა დედაა. ჰყავს 1 ბიჭი. ვისაც ოჯახის შექმნა სურს, დაუმესიჯოს.

## mamakacebi

1. ვისაც უნდა სექსი მაგარ ბიჭთან, დამიმესიჯოს. გიო 19.

2. გაცნობა, ლამაზი გოგო, მესიჯი, ავტორი — ბიჭი. ხაგა.

3. სალამი, მარი. მე გიორგი ვარ, 35 წლის და მინდა, კარგი გოგოს პოვნა. დამეხმარებით?

4. მარი, „გზა" №12, 33-ე მესიჯის ავტორის ნომერი გამომიგზავნე, გთხოვ... ლევანი. . ძალიან გთხოვ...

5. მინდა, გავიცნო გოგო და კარგ გოგოს მიეცით ჩემი ნომერი. ლაშა.

6. გამარჯობა, ნუგო ვარ, 18 წლის. გავიცნობ 16-18 წლის, სერიოზულ და მაგარ გოგოს. იჩქარეთ, „მოგასწრობენ". ნუგო.

7. ვარ 25 წლის, 167/65, სპორტსმენი, ჯანსაღი. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ 18-20 წლის შესაფერის, პატიოსან, მაყუთა გოგოს. ვარ ძალიან კაი ტიპი. ნომერი მარისთანაა. „ბაბუ 3".

8. ვარ 21 წლის, 173 სმ სიმაღლის, მგონი, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 157-165 სმ სიმაღლის, ცისფერთვალება, ნაზ, ლამაზ, წესიერ, განათლებულ გოგოს. ველი დიდ სიყვარულს. „მერწყული-86".

9. მარი, მე გიორგი ვარ. გთხოვ, დამიმესიჯო, „გზა" №9, 34-ე მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

10. ვარ 192 სმ სიმაღლის, 24 წლის, სამხედრო პირი. შავგვრემანი, მწვანე თვალებით. ვეხმაურები შომოს. გიორგი, იგივე თაფლო.

11. ვარ 27 წლის ნიკა. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან, მორწმუნე გოგოს, 27 წლამდე. სასურველია, სოფლიდან იყოს. გასართობად ნუ დამიმესიჯებთ.

12. ვეხმაურები მე-10 მესიჯის ავტორს, მარიკა-16-ს. მარიკა, დამიმესიჯე, გავიცნოთ ერთმანეთი. ირაკლი.

13. ვეხმაურები „გზა" №11, მე-16 მესიჯის ავტორს, პუტკუს. მე ვარ 23 წლის დათო. იქნებ, დამეხმარო, მარი.

14. ვეხმაურები „გზა" №13, ქალების რუბრიკაში, მე-12 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დამიმესიჯოთ.

15. ვარ 29 წლის, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, მომხიბლავ, პატიოსან ქალიშვილს. ველი თქვენს გამოხმაურებას.

16. ვეხმაურები „გზა" №13, მე-20 მესიჯის ავტორს ანუ 18 წლის მორიელს. ვარ 23 წლის, სიმპათიური ბიჭი. მგონი, ის ვარ, ვინც შენ გჭირდება. მშვილდოსანი. ნომერი მარისთანაა.

17. ვარ მაღალი, სიმპათიური მამაკაცი, 32 წლის. გავიცნობდი შეძლებულ მანდილოსანს, რომელიც დამასაქმებს. თან, შევუსრულებ ყველა ქალურ მოთხოვნილებას. გთხოვთ, დამიმესიჯოთ.

18. რეკლამა: ძალიან კარგი, ყოვლისმცოდნე ბიჭი ვარ, 30 წლის. დათვი, აჭარის მთიანი სოფლიდან. შემეხმიანეთ. გოგონებო, გაფრთხილებთ, ვმოქმედებ უკანონოდ.

19. ვარ მაღალი, სიმპათიური მამაკაცი, 32 წლის. გავიცნობდი შეძლებულ მანდილოსანს, რომელიც დამასაქმებს.

20. მარის გაუმარჯოს! მე ალეკო ვარ, 20 წლის და გავიცნობ 20 წლამდე ასაკის, ლამაზი გარეგნობის გოგოს. ვინც ლამაზია და ვაჟკაცს ეძებს, მარისთან მიპოვის.

21. ვარ 22 წლის, სიმპათიური ბიჭი. ბინით, მანქანით და მაღალი ხელფასით უზრუნველყოფილი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობდი 18-26 წლის, კარგი გარეგნობის გოგოს. ზუკა.

22. ვეხმაურები 21-ე მესიჯის ავტორს. მარი, თუ შეიძლება, მიეცით ჩემი ნომერი. ანდრო.

23. მარი, ძალიან გთხოვ, დამეხმარე. პირველად გწერ. ვარ 30/180, პირადი მცველი. სამეგობროდ გავიცნობ 17-35 წლის, რომანტიკულ გოგოს. ირაკლი.

24. ვეხმაურები კეტრინ ზეტა ჯონსს. გამაცანით ეს გოგო, თორემ, გავგიჟდეეეეეეებიიიიიი. არ გეცოდებით? „ფარული ვნების" ხუანი. თიკო ჰქვია, ხომ? თიკო, დამენახვე ერთხელ მაინც, რაა.

25. ვარ 21 წლის, მაღალი და სიმპათიური. გავიცნობ ლამაზ გოგოს. მინდა, სამეგობროდ და გვერდში დასადგომად.

26. მარი, ჩემი ნომერი მიეცი „გზა" №13, მე-3 მესიჯის ავტორ ქალბატონს, 27 წლის მწვანეთვალება, ლამაზ და ქერა მანდილოსანს. წინასწარ გიხდი მადლობას!

27. ვეხმაურები 18 წლის მორიელს. ალბათ, გავუგებთ ერთმანეთს, სიხარულო. ნომერი მარისთანაა. თუ სურვილი გაქვს, გამოართვი. გელოდები.

28. ვარ 45/176/73 მამაკაცი. გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის ქალბატონს, ვინც დაიღალა მარტოობით და აკლია მამაკაცის სითბო და ალერსი. ქუთაისი.

29. გოგონებო, გინდათ გაიცნოთ ბიჭი, რომელიც გაგიგებთ? ეს არის ჩემი ძმაკაცი. რეკლამას არ გავუკეთებ. არის პატიოსანი, საყვარელი კაცი, 26 წლის, თავისუფალი და მხიარული.

30. ვეხმაურები 18 წლის მორიელს. დამიმესიჯე. იკა-25.

31. „გზა" №12, მე-4 მესიჯის ავტორს, თამთას. ვარ 20 წლის. მქვია ფრიდონი. ჩემი ნომერი მარისთანაა.

32. ვარ 40 წლის, სპორტული აღნაგობის, ყოფილი პოლიციელი. მინდა, გავიცნო და ვიმეგობრო 38 წლამდე ასაკის მოხდენილ ქალბატონთან. თქვენი მუდმივი მკითხველი, ომო.

33. ვეხმაურები „გზა" №13, 18 წლის მორიელს. მინდა გაგიცნო, ლამაზო. მე ვარ 30 წლის, მაღალი, მწვანეთვალება, სიმპათიური მამრი, რომელსაც ძალიან „უნდებხარ". თხის რქა.

34. მინდა, 25 წლამდე ასაკის გოგო გავიცნო, რომელთანაც მექნება სექსიც და თანაგრძნობაც. ვარ 30 წლის, სამსახურით და მანქანით უზრუნველყოფილი. მთავარია, იყოს სერიოზული.

35. გამარჯობა, მარი. მე მეგობარ მანდილოსანს ვეძებ და ძალიან გთხოვ, გამოაქვეყნე ეს მესიჯი და ჩემი ნომერიც. წინასწარ გიხდით მადლობას. დავითი.8.55.10.56.68.

36. ვეხმურები „გზა" №11, 35-ე მესიჯის ავტორ ქალბატონს. მარი, გთხოვ, მისი ნომერი გამომიგზავნე. პატივისცემით, ლევანი.

37. ვარ 40 წლის ქვრივი. მინდა, კარგი ადამიანის გაცნობა. ზაზა.

38. „მესიჯომანიაში", „სხვადასხვა" ქვერუბრიკაში დაბეჭდილი ამ ლექსის ავტორს: „სიყვარულს არ უნდა ხმამაღლა ყვირილი..." რამო, შენ ხარ? არ მომიტყუებიხარ, დიდხანს გელოდე და ახლაც გელოდები.

39. ვეხმაურები „გზა"№13, მე-20 მესიჯის ავტორს, მორიელს. თუ დაგაინტერესებს ჩემი გაცნობა, დამიმესიჯე ამ ნომერზე: 8.99.17.33.65.

40. გავიცნობდი წესიერ და ლამაზ გოგოს, რომელიც გატეხილ გულს გამიმთელებს და ერთმანეთს გავუგებთ. თუ ვინმე დაინტერესდება, შემეხმიანეთ.

41. ვარ 36/185/75, სიმპათიური მამაკაცი. მსურს დაოჯახება. დამიმესიჯეთ: 8.95.75.58.95.

42. ვარ რომანტიკული და ყურადღებიანი, 30 წლის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, საინტერესო და თბილ გოგოს. გთხოვთ, გამომეხმაუროთ. არ ინანებთ.

43. მარი, გთხოვ, ჩემი ტელეფონის ნომერი მიეცი მხოლოდ თბილისელ, ნორმალურ, 38 წლამდე ასაკის მანდილოსანს, მეგობრული ურთიერთობისთვის. მხოლოდ გაგებულმა დამიმესიჯოს.

44. ვეხმაურები „გზა" №13, 31-ე მესიჯის ავტორს, ნატას. მომეცით მისი ნომერი, მე მოვარჯულებ.

45. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, სექსის გიჟ და ლამაზ გოგოს. ზურა, 25 წლის.

46. ეეე, რა ხდება ამ ათენში, ტო! თბილისელებო, სად ხართ? მარტო ცხოველივით სექსიც მოსაბეზრებელია. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ გოგოს. 306.994.939.186. ბეკე.

47. ვარ 30 წლის, ვმუშაობ შეიარაღებულ ძალებში. თუ ვინმეს უნდა, რომ მთელი ცხოვრება ჩემთან ერთად იცხოვროს, ნომერი მარის გამოართვას და დამიმესიჯოს.

48. მყავს მაგარი მეგობარი, 28 წლის ბესო. ის ათენში ცხოვრობს, მუშაობს კარგ ადგილას და ჰყავს მაგარი მანქანა. დიდი სიამოვნებით გაიცნობდა პატიოსან გოგოს, რომელიც ასევე ათენში ცხოვრობს. ვისაც

მისი გაცნობა აინტერესებს, დაუკავშირდეს ნომერზე: 306.995.268.129.

## „usqeso"

• „გზა" №11, მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი მინდა. მარი, გთხოვ, გამომიგზავნო.

• მარი, გთხოვ, მომეცი, „გზა" №13, მე-12 მესიჯის ავტორის ნომერი.

• ვეხმაურები „გზა" №11, მე-12 მესიჯის ავტორს.

• ვარ კოჭლი, ცალთვალა. ვისაც ჩემი გაცნობა უნდა, გამომეხმაუროს! ვილაჯო.

• „გზა" №12, 24-ე მესიჯის ავტორს ვეხმაურები. გთხოვ, მიეცი ჩემი ნომერი.

## sxvadasxva

• ნათელა, ბასეინებზე კოტრიალს მოეშვი და „კრუშკა" გაატანე ლაბორატორიას, თორემ, მოვიდა ზაზა და ირაკლი... მერე ხომ იცი, რაც მოხდება? ჰა... ჰა... ჰააა...

• სიყვარულის აღარ მჯერა. ის ხომ არ არსებობს? და თუ არსებობს, თქვენთვის მიჩუქნია... :) „კიტრის წნილი".

• დროა, აქაურობა ზოგ-ზოგიერთებისგან გაიწმინდოს. მაგალითად, როგორიცაა კაკუ, „სტიქია" და სხვა... ოპოზიციის დროც მოვიდააა! სვანებო, სად ხართ? :-) ისტერიჩკა.

• ჩემი ნიკი წაიკითხე, „სტიქია"? გამირითმე, მხოლოდ შენთვის მინდვია. X-ვუმენ.

• აუუ, რა ცუდია, ხალხო, იცით? ჩიყვის ოპერაცია გავიკეთე და ახლა საავადმყოფოში ვწევარ. კარგად ვერ ვლაპარაკობ. არადა, ერთი სული მაქვს, როდის დაველაპარაკები ჩემს ლევანს. ლევან, იცი, როგორ მინდა შენთან ლაპარაკი? გკოცნი, ზიზი.

• მაშინ, როდესაც მხოლოდ შენ გნატრობ, შენ სხვასთან ხარ და სხვა ვინმეს ათბობ. მენატრები, ჩემო სიცოცხლევ. წასვლამდე თუ ვერ გნახე, გთხოვ, მაპატიო. ჯიუტი გოგო.

• ფურცლის ნაგლეჯზე უსიცოცხლო სევდას ეძინა, გულს უეცარი მარტოობა ძლიერ ეტკინა, გულის სიღრმეში მონატრების ისმოდა გლოვა, მოგონებები ჩურჩულებდნენ: ელოდე, მოვა!

• კაკუ, ძვირფასო, ამ წელს სოფელში ვისვენებდი და იქ გავიგე, რომ თურმე, ქათმებსაც კაკუს ეძახიან, ძვირფასო. :-) „სტიქიას" ვეხმაურები. შევკრათ ოპოზიცია... ისტერიჩკა...

• საინტერესოა, არის აქ ვინმე, ვინც იპოვა ის, ვისაც ეძებდა? თუ ეს შესაძლებელია, იქნებ, მეც ვცადო ბედი?

• ჰარი პოტერო, რა გინდა? რამე დაგიშავე? ცოტა წყნარად, რა! ილოცე, რომ ჩემმა „სასტაველებმა" არ მიცნონ და შენი მესიჯი არ წაიკითხონ! კაკუ.

• თეკლა, მინდია კუხიანიძე მესხეთიდან ხომ არ არის? თუ ასეა, შეეშვი, რადგან უკვე ცოლი მოიყვანა. ჩემი ნომერი არავის მისცე. მარი.

• როცა ლამაზად და თეთრად ბარდნის, არ გადაიღებს ფიქრების თოვას. ასწორებს, როცა არაფერს ელი და უცაბედად, მესიჯი მოვა. მტირალა.

• ტაძარში შევედი, ღვთისმშობლის ხატის წინ დავიჩოქე და უფალს ვთხოვე, რომ ჩემი შეცდომები მომიტევოს. ჩემი შეცდომა კი ის არის, რომ მოთამაშე ვარ. თამაშს თავს ვერ ვანებებ. მარი, გიო ვარ. შენ გარდა ჩემს გასაჭირს ვერავის ვეუბნები, ვერ გამიგებენ ან როგორ უნდა ესმოდეთ ჩემი? მითხარით, ვინმეს შეუძლია, რომ დამეხმაროს? ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, დამღალა ამ უდღეურმა სიცოცხლემ. ღმერთო, ვიცი, რომ არსებობ, დამეხმარე, სწორ გზაზე დამაყენე, განდევნე ჩემი სხეულიდან ეშმაკი. მარი, დედის სინდისს გეფიცები, შენ გარდა ამ სიტყვებს ვერავის ვეუბნები. გიო.

• თემო მედოიძე, დიდი მატყუარა ხარ. საქართველოში რომ ვიყავი, სიყვარულს მეფიცებოდი, მაგრამ საბერძნეთში წამოვედი თუ არა, ცოლი მოიყვანე. კუსკა.

• ვანი ძველი ქალაქია, წინ ჩაუდის რიონი, ჯერ ტიციანი დაიბადა, მერე — გალაქტიონი. ვანელებს გაუმარჯოოოს! კოხი-20.

• მე ასინეთა ვარ. ვიღაც ჩემი ნიკით შემოპარულა აქ. სხვა რამე დაირქვი, რააა...

• ძალიან ცუდად ვარ. იცით, რატომ? 7 მარტს ათენში წამოვედი და ახლა საქართველო ძალიან მენატრება. მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი. ათენიდან, რიტა.

• მარი, ამდენი ემიგრანტის შეკრება როგორ მოახერხე? ხალხო, იცით, როგორ გვიყვარხართ? მარი, „ბრავო", ამდენი რომ შეძელი. გკოცნით ყველას. მტირალა.

• მარი, ძალიან გთხოვ, მომეცი ფლორენციაში მცხოვრები გოგოს ნომერი, რომელიც ძალიან ცდება, როცა ამბობს, აქ ქართველი კაცები არ ცხოვრობენო. 6-19.

• მის სატანავ, კარგი, რა, ეს ნიკი რატომ აირჩიე? მის „მალაკამ" თავი ბერძნის ქალად წარმოგვიდგინა და შენ კი მის სატანად? სამართალი აღარ არის? მე შენ მის სამართლიანობას დაგარქმევდი. თეო.

• ისეთი წვიმა მოვიდა, წალეკა მთა და ბარია, „სტიქიავ", თუ გაჩერდები, ხალხი დაგლოცავს, მადლია. ნეტავ, ის რაღას გვიპირებს, კოხი-20 რომ გამოჩნდა.

• ქუთაისელებო, მეც ქუთაისელი ვარ, მაგრამ 3 წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ. ერთი სული მაქვს, როდის გავივლი ბაღის კიდეზე. ხარების ტაძრის მრევლი ვარ და ჩემი მამა ბესარონიც ძალიან მენატრება. აბა, თქვენ იცით, იყავით ჯიგრულად. თეო, ათენიდან.

• „გზავნილებმა" ის სარგებლობა მომიტანა, რომ დიდი ხნის უნახავი მეგობარი მაპოვნინა. დიდი მადლობა, მარიკელას.

• იმ გოგოს ვეხმაურები, „ცისფერი" ბიჭი რომ ჰყავს მეგობრად. რა იყო, რამ გადაგრია ამ „ცისფერებზე"? დაილია ვაჟკაცი ბიჭები?

• „ზმიზმი", მომეწონა შენი იდეა. მე „ანარქია" ვარ. ანი ონიანი.

• მაცხოვრის ხატთან დაგინთებ სანთელს და იმ სანთელთან გავათევ ღამეს, ერთხელ დამენახვე, უცებ მომელანდე, ნეტავ, როდის გნახავ? მაგრად მომენატრე. ლეფიზი.

• მინდა, ჩემს დაიკოს ვუთხრა, რომ სჯობს, დაშორდეს დათოს. ასე უკეთესი იქნება, დამიჯერე. კუსკა.

• რაც მაგრები ვართ, მესიჯომანები ვააააართ! კუსკა.

• მარი, ახლა ცოტა ნასვამი ვარ. ახლობლის დაბადების დღეზე ვიყავი. წარმოიდგინე, რომ თამადა მე ვიყავი. დიდი მადლობა, ჩემი მესიჯის „გამოკვეკვეკვეკვეკნებისათვის". ახლა ჩემს ბებია-ბაბუასთან მივდივარ. გეხუტუნეთ ყველას.

• მარი, ძალიან ცუდად ვარ და მინდა, ამის მიზეზი გითხრა. მყავს ერთი ბიჭი. მას არ ვუყვარვარ. მე რომელიც არ მიყვარს, მას ვუყვარვარ და ცოლობას მთხოვს. ამ ამბებში გავიჭედე და ნევროზი ავიკიდე. სამართალი სად არის?

• „სტიქიავ", ჩემო „სტიქიავ", გარითმე ჩემი ნიკია. მე ვარ კოხი-20, მოგეპარე და გკოცნი.

• აუ, მარი, იცი, რა, „მესიჯომანია" მაგარი რუბრიკა გაქვს და მაგრადაც ვხალისობ ხოლმე. ბიჭებო, თავს კი იფასებთ, მაგრამ გამოგდით? კოხი-20.

• სულ გაგიჟდა ეს ხალხი. რაც „ჩუმადანმა" ათენში წაგიღოთ, ქართული სულ დაგავიწყდათ, არა? ვაი, ჯერ თქვენს და მერე ჩვენს პატრონს, თქვენს ხელში. ზვიო.

• მარუსია, გოგო, ჩემი სიხარულია თქვენი ჟურნალის ფურცლებზე და სიხარულისგან ვცქმუტავ. ხომ ლამაზია? დამეთანხმე, რააა... კანტარე, ჩემი ხარ და მორჩა! „ანარქია".

• რომ დავფიქრდი, მგონი, „სტიქია" მეცნობა. წლოვანებით იქნება ასე, 33 წლის. მოსწონს მაღალი გოგონები. ისე, თვითონაც მაღალია. უყვარს ლუდი და ქეიფი „სასტავთან". მისამართიც გითხრა, „სტიქიავ"? ლუსი.

• მუზებს იფიცებ, ვით საყვარელ ადამიანებს, მათი ძალა და ძლიერება გინდა, იხილო, საკუთარ თავთან თუ კი დარჩი ადამიანი, ქვეყნიერებამ როგორც უნდა, ისე გიტიროს. თეო.

• მინდა, მოგეფერო, მაგრამ შორსა ხარ; მინდა, გესაუბრო, მაგრამ აქ არ ხარ... მინდა, მოგეხვიო, ნეტავ, სადა ხარ? ნეტავ, მალე გნახავ? მაგრად მომენატრე, სიხარულო და მაგრად მიყვარხარ. მარი, შენც მიყვარხარ.

• ჰარი პოტერი „ოსკარში" ამესიჯებდა. ახლა „გზაში" გადმობრძანდა და კაკუს ებლატავება. მაგას ურჩევნია, წყნარად იყოს, თორემ სნეიპს მოვანატრებ. მესიჯომანი.

• მე კოცნის ზღვაში დავიბადე, გამიგონია, მე კოცნის ზღვაში დავიხრჩობი, ასე მგონია, ამბობენ, თურმე, კოცნა ლოთებს მოუგონიათ, მათ გაუმარჯოთ, რა სათუთი გრძნობა ჰქონიათ... ირმა.

• მარი, გმადლობთ, რომ ჩემი მესიჯები დაბეჭდე, ცოტა შეაგვიანდა და ქრთამის შემოთავაზებას ვაპირებდი. გაიხარე, რომ გამახარე.

• ფშაველის დიაცს აქებენ, სიტყვა აქვს მარილიანი, მას გულში ვარდი უყვავის და დედის რძე აქვს საკვებად. ქალავ, ეგ გული გახსენი, მთიული შემოგევლება, მთას თუ მზის შუქი ანათებს, ნისლით არ დაიბურება. კვირია. მარი, თუ დამიბეჭდავ, შენც დაგიწერ ლექსს.

• მე იტალიიდან გიმესიჯებთ. ავტობუსში ვზივარ და თქვენს ჟურნალს ვკითხულობ. ოღონდ, ძველ ნომერს. დარწმუნებული არ ვარ, რომ მარის ისევ ეს ნომერი აქვს, მაგრამ მაინც ვგზავნი მესიჯს.

• უიი... თურმე, რისი კითხვით დამითხრია თვალები. თურმე, ვიღაც ბერძნულად გვაგინებს. მარი, როგორ გგონია, ბერძნული გინება ჯობია თუ ქართული? „იასნია", ქართულ 7-სართულიანს ვერფერი შეედრება.

• დათო, ჩემი ფანი ხარ? ჯიგარი ხარ, მაგრამ ეგ არ მომწონს. არა, რა, კუმირობა ნაღდად არ მინდა. სადაური ხარ? კაკუ.

• აუ, ქუთაისი მაგრად მიყვარს. ქუთაისელო დათო, გაიხარე, მაგარი ხარ, ძაან! „ზმიზმი", „ცელუიუ", მაგარი ტიპი ხარ! კაკუ.

• იცით, როგორ მატკინა გული ჰარი პოტერის მესიჯმა? ძალიან, ძალიან... გაკვეთილზე ვზივარ და ცრემლებს ძლივს ვიკავებ. თავადაც მიკვირს, ასე ძალიან რატომ მეწყინა? კაკუ.

• 14 წლის გოგო ვარ, „დედასგიჟი" მა-

გარი ნიკი გაქვს. გპირდები, რომ მალე გამეცნობი. ეს მესიჯი რომ დაიბეჭდება, ნომერიც იქნება და დამიმესიჯე. კაკუ.

• ხვალ ახალ ნომერს ავიღებ და გამოვაქვეყნებ, რადგან დიდი სურვილი მაქვს, დაგიმეგობრდეთ. გთხოვთ, ვისაც არ „გევასებით", ნუ შემაწუხებთ. კაკუ.

• რატი მაჩიტიძე, ჩემო პატარავ, იცი, როგორ მენატრები? ჩემო სიხარულო! შენი სალო.

• ხალხო, სიყვარულს გაუფრთხილდით, გთხოვთ, რადგან მერე გვიანი იქნება სინანული, წარსულის შეცდომისა. პუპსიკა.

• მარი, ეს ნომერი კი არ გამომიქვეყნო, ხვალ მაგთის ნომერს ვიყიდი და დავამესიჯებ. კაკუ.

• ვა თუ გენათალე, პაწიავ, :)) სად დაიკარგე, გიუნა? :) ბავშვობის ასაკიდან უკვე გამოვედი, სიხარულო. :)) „ზმიზმი", ჩემი ცუღლუტი ბიჭი ვინ არისო, ვინ? :)) ზაზუნა-22.

• დად, როგორ ხარ, დაკარგულო? :) არ მეგონა, აქაც თუ შეგხვდებოდი. :)) შენ კიდევ უცოლო ხარ, კაცოოო? :)) ზაზუნა-22.

• „მის 13-07", გაიხარე. ეგ კი მართალი თქვი, სულიერ სილამაზეს არაფერი ჯობია. ზაზუნა-22.

• ოდეს რომ მოვკვდე, ცრემლებს არა გთხოვ, ნუ დამიტირებ, არა ვარ ღირსი, ოღონდ საფლავზე ზიზლით ნუ იტყვი, აქ სადღაც არის, საფლავი მისი. შეახე მასაც შენი ხელები და თუნდაც ზიზღით, შეახე მაინც და თუ ხელებზე სისველე იგრძნო, გწამდეს, რომ ჩემი ცრემლები არის... ზაზუნა-22.

• თვალებს გაახელს საფლავში მწოლი და გვერდით აღარ დახვდება ცოლი, ხელსა კრავს კუბოს გაბზარულ ფიცარს და როგორც საბანს, გადიძრობს მიწას, წავა და ცოლის ნაკვალევს ეძებს, ყველას ხსოვნაში და ყველა გზებზე, ფიქრობს, ღმერთო, საით წასულა? რას ნიშნავს ნეტავ, ეს განშორება? და ეძებს იმას, ვის სიყვარულსაც არ ეყო მისი ერთი ცხოვრება. ზაზუნა-22.

• ზაზუნა-22, გმადლობთ ყურადღებისთვის, გენათალე... არავინ, არავინ, ;-) ჰარი პოტერმა კი ცოტა არ იყოს და მაწყენინა. :-( მპუა, ძალიან მაგარი ტიპი ხარ. კაკუ.

• აუ, რა ცუდ ხასიათზე ვარ, რააა. :( ამინდის ბრალია, ალბათ... ზაზუნა-22.

• „კანიბალკას" — ერთი მითხარ, რად გეგონა „კიბორჩხალა" გონიერი? კაი ხანი ვერც მიხვდება, რქებს რომ ადგამს „მორიელი". ისე, ყველა ტირან ქმარს რქები დაამშვენებდა. ცოლი.

• სხვაზე ლაპარაკი რატომ გეადვილებათ? მოდი, რა, ყველამ საკუთარ თავს მიხედოს, მე კი რამდენსაც მინდა, იმდენს ვიტლიკინებ და ამას ვერავინ დამიშლის! ვოტ! კაკუ.

• ისა... რა ჰქვია... მე „მის გაუჩო" ვარ... ისევ მინდა, თქვენთან „ჩაბრატება" და მიმიღებთ? ჰო, მართლა, კაკუს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან „საკალელია".

• „ცელუიუ", შენ გაიხარე მაინცდამაინც. :) რაჭა უმაგრესიაააააააა... რაჭა ჩვენი სიყვარული. :)) კვატუსია.

• გზები უკვე გუბეებმა გადათელეს. თქვენ კი, თქვენთვის მიდიოდით, თქვენი დარდით. არ გეგონოთ, უმიზეზოდ შეგაჩერეთ. მაპატიეთ, სიხარულო, შემიყვარდით. აჩი, მიყვარხარ.

• „ანარქია", რაღაც მინდა გთხოვო. ის ბურთი მე გადმომილოცე, გთხოვ, „რეალის" თავგადაკლული ფანი ვარ... კარგი? იცი, რა კარგი გოგო ვარ? :) დედასგიჟი.

• ბიჭებო, დამანებეთ, რა, თავი, არც ხუანი მინდა, არც ტირე, არც ჯეი, გაუმარჯოს „სტიქიას", ზაზუნა-22-ს, პუსკას. კეტრინ ზეტა ჯონსი. გაკოცეთ, პაჩი, პაჩი...

• ლიკუნები, ალბათ წაიკითხე მესიჯი და წარმომიდგენია, როგორ ავარდებოდი, თუ ის არა ხარ, ვინც მგონიხარ. რატომ გაცოფდი? სიყვარულსა მალვა უნდა. ნომერი არ მისცეთ.

• ქუთაისელ ნიკას, რომელსაც აქვს ცისფერი თვალები, მინდა ვუთხრა: ნიკა, ვიცი გიყვარვარ. ვგრძნობ, დიდი ხანია... ნუ იტანჯები. როცა წაიკითხავ, მიხვდები, ვინც ვარ. გაგიგებ, სიხა...

• აუ, გავგიჟდი, რა! ვინ ვის ქმართან დადის და ვინ ვის ცოლთან... ეეე, სადღაა პატიოსანი ხალხი? გაგვიმარჯოს პატიოსნებს! მოღალატეები ძიიიიიირს!!! კეტრინ ზეტა ჯონსი.

• კვლავაც უშენოდ დაღამდება, დილაც უშენობით მოვა, ვიცი, სულ მუდამ მეყვარები, მაგრამ არასოდეს მოვალ! მის სატანა.

• ზაზუნა-22, გაიხარე, რომ გამოხმაურება და რჩევა არ დაიზარე, მაგრამ იქნებ, ისიც მირჩიო, როცა შენს თავს კარგი არაფერი ხდება და თან უყურებ, რომ სხვებიც შენზე ცუდად არიან, ცხოვრებით როგორღა უნდა დატკბე? გაიხარე, გკოცნით ყველას.

• არა, რა, გადაჯიშდნენ ნორმალური ბიჭები. ერთი ბიჭი შემხვდა გზაში და ისე მოურიდებლად ამათვალიერ-ჩამათვალიერა, თითქოს, პუტანკა ვყოფილიყავი და — „ნიჩევოო" — ჩაილაპარაკა.

• ბერძნის ქალი კი არა, ბერძნის „მალაკა" ხარ! მგონი, მოვიდა დრო, რომ აქედან დაახვიო. არა? მგონი, ყველა დამეთანხმება. მის სატანა.

• მარი, შემოგევლე, ზაზუნა-22-ს პასუხი მივწერე და ნიკის მიწერა დამავიწყდა. გთხოვ, უსქესოებში არ გამიშვა. -:))) უზნეო ანგელოზი. გკოცნი.

• დიდი მადლობა, „ანარქია", ძალიან გამახარე. გეტყვი, რომ უბედნიერესი ადამიანი ხარ, უშუალოდ თამაშს რომ ესწრები. ალბათ, ძალიან მაგარი განცდაა, მეც მინდააა. :) ნინო-მილანი.

• ნეტავ, რად მოსთქვამ, „ფშაველო" ან რას დაეძებ გრძნობასა, თუ ცოლი გინდა, აქ არ ვარ? თუ შეძლებ ჩემსა ტრფობასა. გახლავარ ფშავლის ასული, კი არ გეგონო წანალი, არ შამამხედო ცერადა, თვარა გაგტყვრება ლაწანი, არც კი ასეთი ავი ვარ, თავი გაგაცან წამითა, მე მაპატიე, ყმაწვილო, თუ გაგაბრაზე ამითა. ფშაველი დიაცი.

• მე სიყვარულმა დამძლია, ამაღებინა კალამი, ამ „ესემესის" წამკითხველს, „ვაფშე" ქურდული სალამი. ჯიგარი გოგო.

• ყველას კაი სალამიიი. ხომ ხართ ჯიგრულად, ახალგაზრდებო? ყველას მოგიკითხავთ. :)))

• ფშავლებო, თუ შაგიძლიათ, მოდით, გავაბათ კაფია. იცოდეთ, მე ხევსური ვარ, ნუ გეგონებით ბაქია. აბა, თქვენ იცით, პასუხი მამწერეთ. მზევინარი.

• ცის კამარაზე უკუნი იდგა, გადაუღებლივ წვიმდა და წვიმდა, თვალებში შენი აჩრდილი მიდგას, დარჩი, არ გაქრე, მე შენთან მინდა. ეძღვნება კეტრინ ზეტა ჯონსს. ბრედ პიტი.

• „აპრიკოლე", „აპრიკოლე", მესიჯომანო და ცინკის „მართულს" გაჭიმავ ვენახში, აი... „ჩორტიოზნაეტი".

• შაგთხოვთ, ქართულად იუბნეთ, ბერძნულ საუბარ არ მამდის, ერთურთს რად ლანძღავთ? შარიგდით! თქვენი გაბრაზება არ მწადის. მზევინარი.

• მე შემოგწირავ ყველაფერს, რაც მაქვს, მაგრამ ფეხქვეშ დამხობილს შენ წინაშე, ვერასდროს მნახავ. გოგა, ღირსი არ ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ. მაცაცო.

• თოვლიან ქართა დევნით დაღლილი, გადაუქროლებს ჩემს ქანდაკებას მერცხალთა გუნდი. მე ისევ მოვალ, მე ისევ მოვალ, მხოლოდ არავის გაუმხილო, რომ მე დავბრუნდი. მაიმუნი.

• რა კარგები ხართ და რა საყვარლები. მთელი ოჯახი ვკითხულობთ თქვენს მესიჯებს და ხელს გიქნევთ დანიიდან. მარად თქვენი კოკა ყანდიაშვილი. :) :) :) ბასა.

• ხალხო, ასეთი რამ გაგიგიათ? ჩემი 4 წლის დისშვილი, ლურჯთვალება ლუკა ახლავე აბამს ქალებს. ლამაზებს რომ ხედავს, გაიძახის: აუ, რა ნაშააო. ნათია და ფიქრია დეიდა.

• აუ, ხალხო, ყველას შემოგევლეთ, რააა... ყველას სათითაოდ ვერ მოგწერთ. ამიტომ, ყველას ერთად შემოგევლეთ, ყველა მიყვარხართ. ოლეგარიო.

• პრივეტები, ყველას. რავა ხართ? დიდი ხანია, ვკითხულობ „გზას", მაგრამ პირველად ვამესიჯებ. ყველა ძალიან მიყვარხართ. განსაკუთრებით, კაკუ. კაკუ, სად ცხოვრობ? ძალიან მაინტერესებს. ჰო, კიდევ, მარი, არავის მისცე ჩემი ნომერი. კაკუ, რა გქვია, გვითხარი, რაააა! „პლზ"... კიდევ, ჩემს სიხარულს მინდა ვუთხრა, რომ უზომოდ მიყვარს. „ზმიზმი", შენც მაგარი ხარ. პაწი.

• ბევრი მამაკაცი წერს, სერიოზული ქალის გაცნობა მინდა, სერიოზული ურთიერთობისთვისო, მაგრამ საინტერესოა, თვითონ ამაზე სერიოზულად ფიქრობენ? მისისიპი.

• ჩემი ნიკი წაიკითხე, „სტიქია"? გამირითმე, მხოლოდ შენთვის მინდვია. მარის დაავიწყდა და ჩემს ლექსს ნიკი არ მიაწერა. რა დაგიშავეთ ქალებმა, „სტიქია"?

• მარორიტა, სიხარულო, გთხოვ, ჩემი ნომერი აღარავის მისცე. ზაზუნა-22.

• ვა... ხა... ხააა... რას ავარდით, თქვე მართლა გოიმებო, იმ ერთი „მალაკას" გამო? მოვედი და ვის რა პრეტენზიები გაქვთ? ისე, ბოდიშს გიხდით ყველას, რადგან ცუდად მოვიქეცი და არ უნდა მომეწერა ასეთი ცუდი სიტყვები. თანაც, გოგო ვარ და არ შემეფერის... მაპატიეთ, მართლა...

• ღამე მშვიდობის, მარი. მგონი, გაგაღვიძე. მე აქაური ვარ. მხოლოდ ის მინდა, რომ სახელი შევიცვალო. მცნობენ და ამიტომ, ახლა სხვა ვხდები და ყველას, ვინც მენატრება, ვეფერები.

• კაცმა, რომელიც 8 წელი მიყვარდა და რომელსაც ქმრად მივიჩნევდი, ის კი ცოლს მეძახდა, შვილის ღირსი არ გამხადა მარტო იმიტომ რომ, საყვარელი ჰყავდა. თანაც, 3 შვილის დედა.

• ერთხელ დედამიწაზე ყველა ადამიანურმა გრძნობამ და თვისებამ ერთად მოიყარა თავი. სიგიჟემ თქვა: დამალობანა ვითამაშოთ და დაიწყეს დამალვა.

• ამინდი გამოკეთდააააა! რა კარგიაააა. მიხარია, ძალიან. კაკუ.

• ციდან ვარსკვლავი მოსწყდა და მიწაზე მოჯდა! გიჟი პოეტი.

• „ქამ ბეგუ სანჯიდე ბეგუ" — ჭკვია-

ნური სპარსული ანდაზაა. გაითვალისწინეთ. ალბათ, ბევრი ამომიცნობს. :))) თქვენც მიცნობდეეეეეთ... მადდეშირ.

• სიყვარულს ვაბრალებთ შეცდომას, ცოდვას და ყველა ღიმილით, სიცილით ვცოდავთ. სიყვარულს ვაბრალებთ სიგიჟეს, ვნებას, მოგვწონს და ჩვენს სულებს ვაყენებთ ვნებას. მადდეშირ.

• ოეეეე... ხევსურები ნუ ბლატაობთ, მანდ! გაბლატავება გაწყენთ. :-) სვანებო, ვის აბლატავებთ? ხევსურები გვებლატავებიან, სვანებო, ერთად! სვანი ისტერიჩკა. :-)

• „ანარქია", სვანი ხარ? სვანი გოგჩოები გამომეხმაურეთ! გიჟპოეტა, მაგარი ხარ! :-) სვანი ისტერიჩკა.

• კაკუ, შენს გაზრდა-გახარებას, მიდი, რა, რამე „ლოვე" მესიჯები გამოგზავნე? გეხერხება ეგეთები :) და ქორწილში უეჭველი გაგჩითავ. :)) ჩიპსა.

• მარი, არ ვიცი, რა მეშველებოდა, „გზა" რომ არ არსებობდეს. სიამოვნებით გაგიცნობდი და პირადად გეტყოდი მადლობას, კარგი რუბრიკების შექმნისთვის. თამო.

• იცით, რა ვერ გავიგე? აქ რომ ამესიჯებენ და მათთვის უცხო ადამიანს შეურაცხყოფას აყენებენ, რა სარგებელი აქვთ? ლენგი.

• სანთელს პატარა ბავშვივით ხელი თუ არ მიაფარე, ჩაქრება და გაცივდება. პუპსიკა.

• სანთელი ტირის, ვინ იცის, რატომ... ალბათ, იმიტომ, რომ იწვის მარტო... შემცოდებელი ერთი ჰყავს მარტო... ის ერთი მე ვარ და იცი, რატომ? რადგან მასავით ვიწვები მარტო. კიკინა.

• ამ უიმედო სიყვარულმა გული მატკინა, ეს უიმედო სიყვარული შენ გელოდება, შენი თვალების უცხო მზერას მე ვერ ავიტან და მონატრებით ჩემი გული დაგელოდება. პუპსიკა.

• „მოვპლაკუნდიიიი"... როგორ ვიკითხო გზავნილომანები? კაკუ, შენც ძალიან, ძალიან „საკალელი" ხარ. პუაჩან, შენ. უი, ვიღაც გურულებს ეძებდა აქ. მე ვარ გურული. მის სიო.

• ხუროთმოძღვრები ტაძარს აგებენ, ტაძარს აგიგებ მეც, ისინი ტაძარს ღმერთებს უგებენ, მე კი აგიგებ შენ... ეკლესიაში სანთელს ანთებენ, სანთელს ავანთებ მეც, ისინი სანთლებს ხატებს უნთებენ, მე კი აგინთებ შენ... ქართულ სუფრაზე სადღეგრძელოა, ერთ სიტყვას ვიტყვი მეც, ისინი ვის არ ადღეგრძელებენ, მე გადღეგრძელებ შენ. პუპსიკა.

• არ ვიცი, რა მომდის, თითებს ვერ ვაჩერებ, მესიჯი ავკრიბე, თავი შეგახსენე, შენზე ფიქრები აღარ მასვენებს, მომენატრე და რა მომასვენებს?

• ცხოვრება ჭუჭყიან გუბეში ჩარჩა, უაზრო სიცოცხლემ დაიწყო ჩაცმა... და ამ დროს „გზაში" მოძვრება ყანჩა! კისს! მპუა, მპუა ყველას. ყანჩა...

• დამიწყნარდი, თავი არ გაიფუჭო. ჩემო კარგო, საკუთარ ცხოვრებას მიხედე, გირჩევ. საკითხავია, ვინ რას მათხოვრობს. ლიკუნები.

• ეს ხომ თავისუფალი მესიჯებია, მესიჯომანებო? რატომ ვებრძვით ერთმანეთს? ჩვენ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს. ისე, მარი, მალუს თუ მოიწვევ ინტერვიუზე, კარგი იქნება. მაგარი დამწვარია. მარი.

• აი, თემურ-ლენგი მოვედიიიი... მესიჯომანთა ქვეყნის (გულების) დასაპყრობად. ყველანი მიყვარხართ.

• მარი, დიდი მადლობა, ჩემი მესიჯი რომ დაბეჭდე. მე-13 ნომრის, 26-ე მესიჯის ავტორი ვარ. ასეთი გაცნობების არ მჯეროდა. მგონი, ნამდვილი კაცი მართლაც სანთლით საძებარია. თეა-30.

• ღიმილის ბიჭი ვიყავი, ღიმილის პაპა გავხდი... დონჟუანი ვიყავი, კვლავ დონჟუანად დავრჩი. არა ვყოფილვარ ჩაჩანი, არცა ოდესმე ვიქნები.

• საიდან მახსოვს, რაც არ მინახავს? და რაც მინახავს, ვერ დავივიწყე. იცი, არ ვიცი, კარგო, ვინა ხარ და ვცვლი ყველაფერს შენს ერთ ღიმილზე. პუპსიკა.

• აიტ... აიტ... აიტ... აუ, კატამ გადამირბინა, უფ.... კუსკა, „საკალელო", შენც „კალგი" „ქალ". გმადლობთ, „კალგი" რომ მიწოდე. ისე, აქ ყველა მაგრები ვაართ! არა? ყველა უნდა დამეთანხმოთ. მის სიო.

• „ლოსტ ინ როკ", მაინც რომელ როკში ხარ დაკარგული? „ცაკალელო" გოგო, რადგან ცისფერი მეგობრის ყოლის სურვილი გამიჩნდა, „ზნაჩიტ", „წავუფერადებ"? ჩემო კარგო, მე მხოლოდ სურვილი მაქვს (ინტერესიდან გამომდინარე), აი, შენ კი, „ფერადებზე" გიჟდები, მაგრამ ერთ რამეში მართალი ხარ: მაგარი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ არ „წავუფერადებ". :) კვინტილა.

• მარი, როგორ ხარ? ასე დილაადრიან იცი, რატომ გწერ? წუხელ გოგიტა მესიზმრა. ის ხომ მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა. ახლა კი, მისი გახსენება ტკივილს მაყენებს. გ.

• ტაძარში დანთებულ სანთელს გაუმარჯოს, სანთლებთან დაჩოქილ მუხლებს გაუმარჯოს, მუხლებზე დაცემულ ცრემლებს გაუმარჯოს, ცრემლებში დაჩოქილ სიყვარულს გაუმარჯოს. გ.

• მე პოეტი არ გახლავართ, არც რითმების წყობა ვიცი, ყველას ერთად გენცვალეთ, „გზაში" SMS-ის მგზავნელებს. მგზავრი.

• აუ, რა ვუთხრა ჩემებს, ახალი „კარტა" რისთვის მინდა-მეთქი? არა, არ გამოვა ეგ საქმე. :-( თუ ავიღე, ხომ კარგი და თუ არა, ეჰ... ჩემი ბედი... კაკუ.

• ჟინვალელო ლაშა წიკლაურო, სიგიჟემდე მომენატრე. გთხოვ, დამირეკე. შენი სიხარული.

• მარი, გააგებინე, რომ ვინც „უსქესოში" ნომრებს არ აქვეყნებს, ნომრით გამოაქვეყნოს თავისი მესიჯი. ნინი.

• სამწუხაროდ, მხოლოდ „უშინაარსო" ადამიანები დამიკავშირდნენ. :( სექსპარტნიორებს არ ვეძებ, მხოლოდ საინტერესო ადამიანების გაცნობა მსურდა. ნატა-21.

• როგორ გაბედე! დაუნდობლად, მკაცრმა, ბასრმა და უნამუსომ გაგიელვა შენ ჩემზე აზრმა! შეურაცხყოფას შენგნით ჩემსას, საზღვარი არ აქვს.

• ფშაველო, „გატოცე" შენ, „ბევლი, ბევლი". როდის მივდივართ საქეიფოდ შენთან? მაგარია ფშავი, არა? ივლისში მივდივარ 5 დღით, ფშავში და მაგრად მიხარია. „წემბოლეე".

• „ცელუიუ", „გენათალე" შენ. რაც მაგრები ვართ, რაჭველები ვართ. სხვა თუ არაფერი, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში ყველაზე სწრაფები ვართ. :) მოკითხვა ყველა რაჭველს. „ტემბოლეე".

• ქართველებო, იქართველეთ! 17 წლის მთიული. არა, არ ვიცი, რა ეშველება ქართლის კერაში ჩამქრალ ნაკვერჩხლებს. არის სიცოცხლე, ვით უდაბნოში დამშრალ წყალივით...

• გაინტერესებთ, ვინ ვარ? გაიღიმეთ! გინდათ, გამიცნოთ? უნდა მაკოცოთ! გინდათ, მოვიდე? დახუჭეთ თვალი! მე უკვე მანდ ვარ, გამიღეთ კარი. მიმიღებთ? მეგრელი დადუ. :-)

• მის სიო, „სტიქია", კაკუ, „კანიბალკა", თქვენ ქმნით „გზავნილებს", მაგარი აქტიური და საყვარელი „დეტაჩკები" ხართ. ნამდვილი „გზავნილების" ვარსკვლავები. :) მეგრელი დადუ.

• „ტანგლები და ტუნგლებიიიი". რაჭველები „ფორევა", რა დროს სვანებია. არა, სვანებიც საყვარლები ხართ. :) გიო, გაკოცე რაჭველობაში. გეხუტუნეეე... კაკუ, „ლოგოლ ქალ"? ნელკა.

• „ცელუიუ", აუ, რა ჯიგარი ხარ... :):):) რა ლამაზია, რა მშვენიერია ზეცააა... ცაში აფრენა ოცნებად გადამექცააა. საყვარლად ვმღერი, ხო? თუ არა? :):):) ნელკა.

• ვინ „ალი" ჩემზე ბედნიერი? ალბათ, ბევრი. :) უიმე, „ლა სიკალულები" ხართ, ნუუ... :):) აზრზე არა ვარ, რა მიხარია... აუ, ხვალ სკოლაში არ მინდააა. :( ნელკა.

• გიჟო პოეტო, შარზე ხარ? მსურს ენა ჩაგაგდებინო, ის ლექსი მე არ მეკუთვნის, მითხარ, რით გაგაგებინო? „სტიქია".

• ჯიგარია ეს გოგონა, საყვარელი ჩვენი პაწო, ხომ არავის ეწყინება, მწველი გრძნობით რომ შევბრაწო? „სტიქია".

• ნახეს უცხო ვინმე სვანი, მარტოდ მჯდომი წყლის პირსა, ახლოს მიველთ და ვიცანით, ჩვენი სვანი კისკისა! „სტიქია".

• ჯერ სიბერე ადრე არის, ნუ ხარ ეგრე ეჭვიანი, 20 წლის ვარ, ჩემო კისკა, თანაც, ძალზედ ეშხიანი. „სტიქია".

• საგიჟეთში გამომწყვდეულთ, ვინ დაარქვა ნეტავ, გიჟი? ანდა კიდევ, ამ გოგონამ, რად დაირქვა „დედასგიჟი"? „სტიქია".

• წარმოიდგინე, ვდგავართ და ერთმანეთს ვუყურებთ. ჩვენ შორის მინაა. მე ვსუნთქავ, მინა იორთქლება, ველარ გხედავ... აღარ ვისუნთქებ, მინდა, გიყურო! პატარა ქალი ვარ. მის სიო.

• კარგი ნიკი გაქვს, ჩემო ძვირფასო, ძალზედ კარგად ჟღერს — „ქამელეონი", ჩვენ გვექნებოდა ბევრი საერთო, რომ დაერქმიათ ჩემთვის ლეონი. „სტიქია".

• პრივეტ, მკითხველებო. ეს მე ვარ, „მაზოხისტკა". მინდა, მაო მოვიკითხო. ძვირფასო, მაგარი ტიპი ხარ. მიხარია, რომ გაგიცანი. აი, ნახე, გაკოცე! მპუა! კიდევ მოვიკითხავ იკას. შენც მპუა!

• ეჰ, რომ იცოდეთ, დაქალებმა როგორ მომატყუეს... ტირილით მოვკვდი. ვერ მივხვდი, რომ კაიფობდნენ. ამ ყველაფერს კი ერთი გადარეული უყურებდა და იცინოდა. საზიზღარი ხარ. ტუტუ.

• ერთი მლოცველი მეცა ვარ, ქართლის წყლისა და ქვიშისა, ვინა ვარ? სამასმეერთე, არაგველთა ვარ ჯიშისა. სუფთა სისხლის ქართველებო, იქართველეთ! მთიული.

• გამარჯობა, მარი. მადლობა მესიჯის დაბეჭდვისთვის. თუ იცი, ჩემი ნომერი საგიჟეთზე ხომ არ არის გადაცემული? :) ნიტა.

• სული მელევა, გოგიტა ლაცაბიძე ისე მენატრება. :(

• დილა მშვიდობის... მე წუხელ არ მძინებია. ფართიზე ვიმესიჯე. დედიკოს არ უთხრააააათ! კაკუ.

## miyvarxar

• დათუნა, როგორ ხარ? მე ძალიან ცუდად ვარ. შენი ხმის გაგონება მენატრება.

მინდა, ძველებურად მითხრა: „გეხუტუნე“... მიყვარხარ. დაგელოდები.

• რუსთაველო, „მეჩვიდმეტელო“ მახო, მიყვარხარ ძალიან... ძალიან... ძალიან... სალი.

• მინდა, ჩემს სიცოცხლეს, ია თაბორიძეს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და სიგიჟემდე მენატრება. შენი ფანი ვარ, ფისო. გადარეული.

• ბესო მაღრაძევ, სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. დამიჯერე, ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ. სხვებს ნუ უჯერებ. გკოცნი. ქეთი.

• ბესიკ მაღრაძევ, თუ სიყვარული ავადმყოფობაა, მაშინ ავადმყოფი ვყოფილვარ, მაგრამ... ბესი, მიყვარხარ! შენი საქციელის გრცხვენოდეს. ინგას სადარბაზო გაიხსენე... მაშინ სიყვარულს მეფიცებოდი. ახლა, რა გემართება? მე შენ მიყვარხარ, ყველა წმინდა სალოცავებს ვფიცავარ. ბესიკ მაღრაძევ, მიყვარხარ, დამიჯერე. ქეთი. დამირეკე, გელოდები. მალე სიყვარულის დღე მოდის. გაუფრთხილდი იმ ადამიანის სიყვარულს, ვისაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად უყვარხარ. დაფიქრდი. მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე.

• და მერე, უცებ, შენს ცრემლიანს ჩავხედავ თვალებს, გულში შემოვალ და შიგნიდან ჩავკეტავ კარებს. სცადეთ და გამომაგდეთ მერე. გოგა ჭიხვარია, მიყვარხარ! შავთვალა.

• გია ხუაიშვილო, მიყვარხარ უზომოდ. შენ ჩემი ნაწილი ხარ, ჩემს გულში სამუდამო პატიმრობა გელის, შეწყალება არ იქნება! მე ბედნიერებას გპირდები. მარი სურმავა.

• უშენოდ გაძლება მიჭირს, დათო! მართლა ძალიან მომენატრე, ჩემო პატარავ. ნეტავ, როდის გნახავ? გკოცნი ბევრს, ანგელოზო! მიყვარხარ ძალიან... ძალიან. მარი.

• მინდა იურა გორდელაძეს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. მაიკო.

• ლევანიკო, მიყვარხარ და მენატრები ძლიერ. როდის მოეღება ბოლო ამ ჩვენს ტანჯვას? მინდა, გულში ჩაგიკრა, ბევრი გაკოცო და აღარასოდეს გაგიშვა. სვანი.

## gilocav

• ბანდურა, საყვარელო, როგორ მიხარია შენი ამბავი. გილოცავ, სიხარულო, ღმერთი იყოს შენი მფარველი. ბაჩიტა. პატარა პრობლემები მქონდა და ყურადღება ვერ მოგაქციე.

• საყვარელო ზვიო, გილოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დაესწარი მრავალს. გფარავდეს უფალი, ყველგან და ყოველთვის. მალო.

• ირინა გოგიშვილს. ირკა, გილოცავ დაბადების დღეს, ყოველთვის ასეთი მშვენიერი და მოღიმარი მენახე. 10 აპრილის ორიგინალურად მოლოცვის მეთოდი ხომ მე მეკუთვნის?

• ბესო მაღრაძეს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ბესი, შემირიგდი, გთხოვ, ნუ მიბრაზდები. მიყვარხარ, გკოცნი, მენატრები. გთხოვ, შევრიგდეთ. ქეთი. დამირეკე, გელოდები.

• ახალგორის რაიონელ ავთო ხარბალელს ვულოცავ დაბადების დღეს, 9 აპრილს. „ძმაკუშა“.

• ჩემს დედიკო ნინოს, ეთერი დეიდას, მანანა ბიცოლას და პატარა ანუკის ვულოცავ დაბადების დღეს. მიყვარხართ. თქვენი მაკა, ზეზვა და ლუხუმი.

• მინდა, ჩემმა ქმარმა გაიგოს, რომ ამქვეყნად ყველაზე ძალიან და ყველაზე ლამაზი სიყვარულით მიყვარს! თემო, დაბადების დღეს გილოცავ! შენი ერთგული ცოლი.

• მინდა, ჩემს საყვარელ მეგობარს, ნინო გუჩაშვილს მივულოცო დაბადების დღე, 4 აპრილი. ნინ, სულ ბედნიერი მენახე. ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. ეთიკო, დიდი სიყვარულით.

• ანას და სოფოს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს.

• პრივეტები, როგორ ხართ? გილოცავთ ბზობას. ღმერთი გფარავდეთ. მიყვარხართ ყველა. სნუპი.

• ყველას გილოცავთ ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს. მისი მადლი გფარავდეთ! კაკუ.

• პრივეტები. მთელ საქართველოს ვულოცავ ბზობას. ღმერთი გვფარავდეს ყველას. მოკითხვა მეგრელებს. მის კაპასა.

• ჩვენო საყვარელო შვილო ზაალ, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი შენს მეუღლესთან და მომავალ პატარასთან ერთად. ულევ სიხარულსა და სიყვარულს გისურვებთ. შენი მშობლები, მზია და მიშა ბრეგვაძეები.

• ჩემს საყვარელ და თბილ დედას, თამრიკო ვეკუას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, ოჯახთან ერთად. გფარავდეს ღმერთი. შენი ნანა.

• მინდა, ბეითრიშვილმა ნიკამ კარგად დაიმახსოვროს, რომ ძალიან მიყვარს და მენატრება. შენი ბაჭია.

• ზურა და გიორგი ქვრივიშვილებო, გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. მიყვარხართ და მენატრებით. ნინიკოსაც მიულოცეთ. მზია.

• ჩვენო საყვარელო ნუგზარ მანჩხაშვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. 17 წელი შეგისრულდა. გისურვებთ წარმატებებს სწავლაში და სპორტში. გკოცნით და გეფერებით ათენიდან, შენი ბებიები — ციური, გიული და თინიკო.

• ავთო შალამბერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას, ოჯახთან ერთად. ბიძი, გკოცნი ბევრს. ლონდა.

• მალხაზ გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას ოჯახთან და ახლობლებთან ერთად. ლონდა.

• მალხაზ, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს მშობლებთან, დედამამიშვილებთან და შენს ცოლ-შვილთან ერთად. შენი დედიკო.

• ნინიკო და ზური, გილოცავთ პატარა მარიამის დაბადებას. ვუსურვებ, რომ სასახელო გოგო გაიზარდოს. კახა.

• მინდა, ჩემს შვილს, დათუნა ზარიძეს დაბადების დღე მივულოცო. 10 აპრილს 10 წლის ხდება. ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს და ყველა სურვილის შესრულებას. დედიკო, ლია სახლთხუციშვილი.

• ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, გიო გირგვლიანს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ყოველივე კარგს. მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მენტრება. ლეფაიზი.

• დაბადების დღეს ვულოცავთ მადლენა მალაქშანიძეს. გვენატრები, ჩვენო ბებო. გკოცნით შენი შვილიშვილები, ნინი და მარი მალაქშანიძეები.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს პატარა შვილს, ანი გულარიძეს. მრავალს დაგასწროს ღმერთმა. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. შენი დედიკო, ეკა.

## veZeb

• ვეძებ გალელ როსტომ თოლორდავას. ჩვენ თანაკლასელები ვიყავით. ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ.

• ვეძებ ჯგუფელს, მაია ჩოხელს. მეუღლის გვარია სონიშვილი. თუ ვინმემ მისი ტელეფონის ნომერი იცით, დამიკავშირდით. ლელა, ახმეტიდან.

• ვეძებ მარინა ფოლადიშვილს და მის ვაჟს, ბაჩო წივწივაძეს, რომელსაც 1 წელი შვილივით ვუვლიდი. ჩემთვის სულერთი არ არის მისი მომავალი. ლამზირა, ქობულეთიდან.

• პრივეტ, მარი. ვეძებ მეგობარს, ზაზა კარსანიძეს. ის გლდანში, მესამე მიკროში ცხოვრობდა. რამდენიმე თვის წინ თვითონ მეძებდა. ზაზა, თუ მიხვდები ვინ ვარ, მარისთან იქნება ჩემი ნომერი. შენ მაღაზიაში ნომერი დაგიტოვებია, მაგრამ ვერ დაგიკავშირდი. მარი, გთხოვ, დამიბეჭდე. მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ პირველად ვამესიჯებ. გელი, ზაზა.

• ვეძებ ინეზა აბაშიძეს, რომელიც რამდენიმე წლის წინ იყო გადაცემა „სარჩევში“, თეა გვასალიასთან. მაპოვნინეთ, ძალიან მჭირდება, გთხოვთ.

• თანაკურსელი ეძებს რომან ბუიშვილს. მარის გამოართვას ჩემი ნომერი.

• 18 წელია, არ მინახავს სკოლის მეგობარი, ვანელი მერაბ კაპატაძე. მისი ნათესავის ნომერი გამოვქექე, დიდი მოწიწებით დავურეკე და ავუხსენი, რომ მერაბს ვეძებდი. მგონი, იეჭვიანა და დახმარებაზე უარი მითხრა. არადა, უბრალოდ, მინდა მოვიკითხო. მერაბია, მართლა ძმასავით მიყვარხარ. შენი ოჯახის გაცნობაც მინდა. მე ქმარიც მყავს და 2 გოგონაც. ცოლს ვთხოვ, არ იეჭვიანოს. სკოლაში ყოფაქცევით საუკეთესო იყო და ახლა არ ვიცი... რა იყო, ბიჭო, მოიკოჭლებ ყოფაქცევაში, რომ არ გენდობიან? შენი სკოლის მეგობარი, ციხესულორიდან, ქეთინო. ჩემი ტელეფონის ნომერს მარი მოგცემს.

• ვეძებ „კოჭოიას“, მურიკელა მოვსესიანის ძმაკაცს. მე მურკას ბავშვის ნათლია ვარ. მურკა ცოცხალი აღარ არის და გული მწყდება. ძმასავით მიყვარდა. „კოჭოია“, გეგუთის ციხიდან რომ გამოხვალ, დამირეკე. ნომერი მარის გამოართვი. ია.

• ვეძებ ლიკა სონიშვილს. მხოლოდ ის ვიცი, რომ რუსთავში ცხოვრობს. ასევე ვეძებ რუსთაველ მანდილოსანს, თამუნა შუბითიძეს.

• ვეძებ ათენში მცხოვრებ გია ბერიშვილს. ძალიან მომენატრე. შენი კლასელი ვარ. თუ დაინტერესდები, ნომერი მარის გამოართვი.

• ვეძებ დათო მშვენიერაძეს. თუ ვინმემ მისი ნომერი იცის, გთხოვთ, დამიკავშირდით. ნომერს მარისთან ვტოვებ.

*სასურველი ნომრის გასაგებად უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯს რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ასევე, შეგიძლიათ გამოგზავნოთ „მესიჯომანიაში“ თავს გადახდენილი ამბები და მსურველებმა — ფოტოებიც. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს!*

■

**რუბრიკა მოამზადა მარი ჯაფარიძემ**

# რამდენად ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით?



არსებობენ ადამიანები, ვისაც ყურადღების გრძნობა განსაკუთრებულად გამახვილებული აქვთ. მათი დაბნევა ან მოტყუება თითქმის შეუძლებელია. ზოგიერთები კი პირიქით — მეოცნებენი და დაბნეულები არიან. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოსდა ეს ხალხი სხვა პლანეტაზე ცხოვრობდეს. სამწუხაროდ, ამ ტიპის ადამიანები ხშირად ეხვევიან ხათაბალაში. როგორი ხართ თქვენ? ამ კითხვაზე პასუხს ტესტის შევსების შემდეგ შეიტყობთ.

**1. რაიმე თამაშში მონაწილეობისას, უყურადღებობის გამო ხშირად ხომ არ რჩებით წაგებული?**
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

**2. ხშირად ახერხებენ თუ არა ნაცნობ-მეგობრები თქვენს გამასხარავებას?**
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

**3. გაქვთ თუ არა იმის უნარი, თან საქმე აკეთოთ და თან, ყური უგდოთ იმას, რაზე ლაპარაკობენ ირგვლივ მყოფები?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**4. ქუჩაში ოდესმე ფული თუ გიპოვიათ?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**5. იყურებით თუ არა ორივე მხარეს ყურადღებით, ვიდრე ქუჩაზე გადახვიდოდეთ?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**6. შეგიძლიათ თუ არა დეტალურად აღიდგინოთ წინადღეს ნანახი ნებისმიერი ფილმი?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**7. ხომ არ ღიზიანდებით, როცა ლაპარაკისას სიტყვას გაწყვეტინებენ ან რაიმის გაკეთებაში ხელს გიშლიან?**
ა) დიახ — 0.
ბ) არა — 1.

**8. ყოველთვის ითვლით თუ არა ხურდას?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**9. ადვილად გაღვიძებენ თუ არა ახლობლები?**
ა) დიახ — 1;
ბ) არა — 0.

**10. ხომ არ კრთებით, როცა ქუჩაში ვინმე მოულოდნელად დაგიძახებთ?**
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

**11. ხომ არ გავიწყდებათ ვინმეს ვალი გმართებთ თუ არა ან ვინ ისესხა თქვენგან ფული?**
ა) დიახ — 0.
ბ) არა — 1.

**12. ხშირია შემთხვევა, როცა წვიმა იწყება, თქვენ კი ქოლგა თან არ გაქვთ?**
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 1.

## ტესტის შედეგები:

**8 ქულაზე მეტი:** საოცრად ფხიზელი და კირკიტა ადამიანი ხართ — თქვენი მოტყუება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე, შესაშური მეხსიერებითა და ყურადღების გრძნობით გამოირჩევით.

**4-8 ქულა:** საკმარისად ყურადღებიანი ადამიანი ბრძანდებით საიმისოდ, რომ საკუთარ საქმეებს სათანადოდ გაუძღვეთ და არაფერი მნიშვნელოვანი ყურადღებიდან არ გამოგრჩეთ. ეს კარგია, მაგრამ ამასთანავე, თქვენ ზოგჯერ მეოცნებე ადამიანისთვის დამახასიათებელი დაბნეულობაც გჩვევიათ. საბედნიეროდ, ამ საკითხში ზომიერების გრძნობა არასდროს გღალატობთ.

**4 ქულაზე ნაკლები:** საოცრად მეოცნებე და უკიდურესად დაბნეული ადამიანი ბრძანდებით. თუმცა, ეს ხელს არ გიშლით, რომ დროდადრო თავი აბსოლუტურად ბედნიერად იგრძნოთ. რაღაც თვალსაზრისით, ეს თქვენთვის ხელსაყრელიცაა, რადგან უამრავი უბედურება და დიდი გაჭირვება ისე აგივლით ხოლმე გვერდს, რომ თქვენ ამას ვერც კი ამჩნევთ. ჩვენი კეთილი რჩევა იქნება: იყავით უფრო ყურადღებიანი, რათა თავიდან აიცილოთ მოულოდნელი უსიამოვნებანი.

## იაპონური სენსაცია სუდოკუ

### წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 5 | 8 | 9 | 3 | 1 | 6 | 2 |
| 2 | 8 | 3 | 6 | 1 | 5 | 4 | 7 | 9 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 2 | 7 | 8 | 5 | 3 |
| 3 | 5 | 7 | 2 | 8 | 4 | 6 | 9 | 1 |
| 1 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 | 5 | 2 | 8 |
| 8 | 6 | 2 | 9 | 5 | 1 | 7 | 3 | 4 |
| 5 | 2 | 6 | 1 | 4 | 9 | 3 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 1 | 5 | 3 | 8 | 2 | 4 | 6 |
| 4 | 3 | 8 | 7 | 6 | 2 | 9 | 1 | 5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 7 | 8 | 4 | 6 | 5 | 9 | 3 |
| 8 | 9 | 6 | 3 | 7 | 5 | 2 | 4 | 1 |
| 4 | 3 | 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 8 | 4 | 1 | 9 | 3 | 6 | 2 |
| 3 | 6 | 4 | 5 | 2 | 8 | 9 | 1 | 7 |
| 9 | 1 | 2 | 7 | 6 | 3 | 4 | 5 | 8 |
| 2 | 5 | 9 | 6 | 3 | 7 | 1 | 8 | 4 |
| 6 | 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 7 | 8 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 | 2 | 9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 9 | 7 | 4 | 6 | 2 | 3 | 1 |
| 6 | 7 | 3 | 9 | 2 | 1 | 5 | 4 | 8 |
| 2 | 1 | 4 | 5 | 3 | 8 | 6 | 9 | 7 |
| 3 | 2 | 5 | 8 | 9 | 7 | 1 | 6 | 4 |
| 1 | 4 | 8 | 6 | 5 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 7 | 9 | 6 | 4 | 1 | 2 | 8 | 5 | 3 |
| 9 | 3 | 2 | 1 | 8 | 5 | 4 | 7 | 6 |
| 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 4 | 9 | 1 | 2 |
| 4 | 6 | 1 | 2 | 7 | 9 | 3 | 8 | 5 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 9 | | | 2 | 3 | | |
| 5 | | | | | 9 | | | 2 |
| 3 | 7 | | 5 | 1 | | 8 | 4 | |
| 6 | 4 | | | | 1 | 9 | | |
| | | 8 | | 2 | 7 | 1 | | |
| | | 1 | | 3 | | | 8 | 5 |
| | 1 | 6 | | 4 | 5 | | 9 | 3 |
| 2 | | | 1 | | | | | 8 |
| | | 7 | 2 | | | 5 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 6 | | | | 1 | |
| | | 3 | 8 | | | | | |
| 7 | | | | 9 | | 5 | | |
| | | 2 | 4 | | 1 | | | 9 |
| | 7 | | 5 | | | | 3 | |
| 4 | | | 3 | | | 7 | | |
| | | 5 | | 6 | | | | 2 |
| | | | | | 2 | 6 | | |
| | 9 | | | | 5 | | | 4 |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 4 | | 2 | |
| | | 5 | | 1 | | | 9 | |
| | 6 | | | | | | | |
| 2 | | | | | | | 8 | |
| | | 6 | | | 9 | 4 | | |
| | 8 | | | | 6 | | | 1 |
| | | | | | | | 5 | |
| | 1 | | | 5 | | 8 | | |
| | 3 | | 8 | | | | | 2 |



1. თუთიყუშის სახეობა
2. ნარგავი ტყე
3. ძვირფასი ქვა
4. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი
5. ლოდსატყორცნი მანქანა
6. შეძახილი კორიდაზე
7. ხის ალვირი
8. ავთვისებიანი სიმსივნე
9. გამომწვარი ფერადი თიხა
10. მუსლიმანური დღესასწაული
11. პედრო ალმოდოვარის ფილმი
12. ფრანგი დრამატურგი
13. ათცენტიანი მონეტა
14. ჰუნების ბელადი
15. თითი
16. ისრაელის ფულის ერთეული
17. ხელოვნური ენა
18. კრივის მოედანი
19. თხის ჯოგი
20. ჯარის რჩეული ნაწილი
21. ხმლის ტარი
22. ქვეწარმავალი
23. საზიდარი
24. აზელილი კარტოფილი
25. გერმანული ავტომობილი
26. ეგვიპტის დედაქალაქი
27. „ბიბლიის“ ათი მცნება
28. კოვბოის ოსტატობის ჩვენება
29. მდინარე საქართველოში
30. მაიმუნის სახეობა
31. კვამლი
32. პურის საცხობი
33. მთვარის ფორმა
34. ნაპოლეონის მარშალი
35. ძვირფასი ნივთები, სიმდიდრე
36. ტოლსტოის რომანი „ანა ...“
37. „ოტელოს“ პერსონაჟი
38. სისხლძარღვი
39. ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი
40. აფრიკული ქვეყანა
41. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი
42. ბოქლომი
43. მექსიკის დედაქალაქი
44. ახალი წელი გურიაში
45. ციტრუსის გამხმარი კანი
46. ყვავილი
47. დაშაქრული ხილი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. კორნიშონი; 2. კოშმარი; 3. რეკეტი; 4. ონკოლოგია; 5. ნეირონი; 6. იმპერატორი; 7. პალო; 8. მარსი; 9. ასკერი; 10. ვიბრაცია; 11. ნადალი; 12. სტატია; 13. ზვარი; 14. ელია; 15. კოკი; 16. ზანგი; 17. პრადო; 18. პრაიდი; 19. ლილეო; 20. ქლესა; 21. რესტორანი; 22. ელიტა; 23. ნუკრი; 24. ტბა; 25. ტალინი; 26. ქედი; 27. ფინტი; 28. ნევადა; 29. ნესტო; 30. კაშალოტი; 31. ინდიანა; 32. დუნაი; 33. ლატი; 34. არენდა; 35. რადიკალი; 36. ვენა; 37. ნავარდი; 38. პატიო; 39. ბუნრაკუ; 40. ნუნა; 41. ნარდი; 42. ანოა; 43. ბედაური; 44. გარჯა.

**სურათზე**: შაკირა; ტინა ტერნერი.

## 48000 კმ ანუ 2190 დღე მსოფლიოს გარშემო

ერთი წლის წინ დასრულდა ბრიტანელი რობერტ გარსაიდის 6-წლიანი მოგზაურობა, რომლის დროსაც მან 6 კონტინენტს ძუნძულით შემოურბინა. 40 წლის ყოფილმა ლონდონელმა პოლიციელმა, რომელსაც მეტსახელად „მორბენალი კაცი" შეარქვეს, 26 მარტს გინესის რეკორდების წიგნისგან სერტიფიკატი მიიღო, რომელიც ამტკიცებს, რომ მან დედამიწის გარშემო 48000 კმ გაირბინა. „მორბენალი კაცის" სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან მას აღიარების იმედი უკვე აღარ ჰქონდა. „ძალიან მიხარია, რადგან ამ გარბენმა ჩემი ძალები ბოლომდე ამოწურა", — ამბობს გარსაიდი და უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები გაზვიადებული არ არის. რეკორდსმენმა მოგზაურობის დროს მრავალ განსაცდელს გაუძლო: ჩინეთში დააპატიმრეს, რუსეთში ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, მექსიკასა და პანამაში შეიარაღებული ხალხი თავს დაესხა. რობერტ გარსაიდის მეგაგარბენი ინდოეთში დასრულდა. გინესის რეკორდების წიგნის ჟიურის გადაწყვეტილება ოფიციალური დასტურია იმისა, რომ გარსაიდს არ უთაღლითია, რაშიც მას მრავალი ადამიანი ადანაშაულებდა. სტაიერებს არ



სჯეროდათ, რომ ერთ კაცს ჯუნგლებისა და უდაბნოს გადასერვა შეეძლო. სხვები გარსაიდს ბარონ მიუნჰაუზენს ადარებდნენ, მის მონათხრობს კი სიცრუედ მიიჩნევდნენ.

რობერტ გარსაიდი საკუთარი თავგადასავლების შესახებ წიგნის დაწერას და ფილმის გადაღებს აპირებს, რომელშიც თვითმხილველთა მონათხრობი და 300-საათიანი ვიდეოჩანაწერის ნაწყვეტები იქნება ჩართული. გინესის რეკორდების წიგნის ჟიური გარსაიდის გარბენის უტყუარობაში სწორედ ამ ვიდეოჩანაწერებმა დაარწმუნა. „ეს ძალზე ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ ყველაფერი დოკუმენტურად იყო დასაბუთებული და ახლა ოფიციალურად ვადასტურებთ, რომ რობერტ გარსაიდმა დედამიწას ძუნძულით პირველმა შემოურბინა", — განაცხადა ჟიურის წარმომადგენელმა. „ჩემი მოგზაურობა ყოველდღიურად ძუნძულით სირბილს წააგავდა, უბრალოდ საღამოობით სახლში არ ვბრუნდებოდი", — განაცხადა რეკორდსმენმა, რომელმაც მომავალი მეუღლე 2000 წელს ვენესუელაში გაიცნო. გარსაიდი ამბობს, რომ მისი მოგზაურობის ურთულესი ეტაპი ჰიმალაის მთებში გადალახა. „იქ ძალიან ციოდა, თავს მარტოსულად ვგრძნობდი და მოგზაურობის გაგრძელების მოტივაციის პოვნა მიჭირდა". ესოდენ ხანგრძლივი გარბენის შემდგომ, ორგანიზმის ძალების სრულად აღსადგენად რობერტ გარსაიდს 2 წელი დასჭირდება. ■

## უხუცესმა კაცმა 25–წლიანი თამაში წამოიწყო

ბრიტანეთის სასექსის საგრაფოს მკვიდრმა, 102(!) წლის პენსიონერმა 200.000 გირვანქა სტერლინგიანი სესხი აიღო, რომელიც 25 წლის განმავლობაში უნდა დაფაროს! ყოველთვიური გადასახადი 958 გირვანქა სტერლინგს შეადგენს. ამ თანხის გასტუმრებას პენსიონი უძრავი ქონების იჯარიდან შემოსული თანხით აპირებს. გაზეთი The Telegraph იუწყება, რომ ბრიტანული ბანკების უმრავლესობა სესხს მხოლოდ 75 წლამდე ასაკის ადამიანებზე გასცემს, მაგრამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე საკრედიტო ორგანიზაციამ ასაკობრივ შეზღუდვებზე უარი თქვა, რადგან პენსიონერები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ უძრავ ქონებას და ფულს ქონების იჯარით გაცემის მეშვეობით შოულობენ. გაზეთში მოყვანილია ერთერთი პენსიონერის ინტერვიუც, რომელმაც 75 წლის ასაკში 10 ობიექტი შეიძინა. „ეს საქმიანობა „მონოპოლიის" თამაშს წააგავს, უბრალოდ, სათამაშო ფიგურების ნაცვლად, ნამდვილი სახლებით ვთამაშობ. ზოგჯერ მიჭირს, მაგრამ ეს თამაში ძალიან მომწონს", — ამბობს დამწყები „მონოპოლისტი". ■



## უძინარი ვიეტნამელი



49 წლის ვიეტნამელ ნგუენ ვან კხას მისი სიცოცხლის ბოლო 27 წლის განმავლობაში თვალი ერთხელაც კი არ დაუხუჭავს (ამ სიტყვის პირდაპირი და არა გადატანითი მნიშვნელობით) და სრულფასოვანი ძილით არ დაუძინია, მაგრამ მიუხედავად ამისა, კხა თავს სრულიად ჯანსაღად და მხნედ გრძნობს. ვიეტნამელ გლეხს ნორმალური ძილით უკანასკნელად, 1979 წელს ეძინა; შემდეგ კი უცნაური რამ მოხდა, რის გამოც, ნგუენ ვან კხას 27-წლიანი უძილობა დაეწყო. 1979 წლის ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც კხამ თვალები დახუჭა, უცნაური წვა იგრძნო, მის გონებაში კი მოგიზგიზე ცეცხლის სურათი დაიხატა. წარმოსახვითი სურათი მხოლოდ მას შემდეგ გაქრა, როდესაც კხამ თვალი გაახილა. ასეთი შეგრძნება ეუფლებოდა ყოველთვის, როდესაც იგი დაძინებას ცდილობდა. ამის გამო კხა თვალს საერთოდ აღარ ხუჭავს. მეცნიერები ვიეტნამელი გლეხის დახმარებას და მისი ფენომენის მეცნიერულ ახსნას მრავალი წელია, ამაოდ ცდილობენ. ათეულობით ექიმის რეკომენდაციით, კხამ უამრავი ხალხური წამალი და ტრადიციული აღმოსავლური მედიცინის საშუალება მოსინჯა, მაგრამ ამაოდ. განსაკუთრებით საინტერესო ის გახლავთ, რომ სრულფასოვანი ძილის დაკარგვა კხას ჯანმრთელობას ვერაფერს აკლებს და მას არანაირ დისკომფორტს არ უქმნის! ■

## მსხვერპლშეწირვა ტაივანურად

ტაივანის ხელისუფლებამ მიგრაციის პერიოდში მილიონობით პეპლის გადასარჩენად, ქვეყნის უმსხვილესი ავტომაგისტრალის ერთ-ერთი ხაზი გადაკეტა. მეწამულმა პეპლებმა — Milkweed — კუნძულის სამხრეთ ნაწილში გამოიზამთრეს, გაზაფხულზე კი ჩრდილოეთისკენ აიღეს გეზი. მათი გადაადგილების არეალში მდებარე ავტომაგისტრალს ყოველ 1 სთ-ში 11500 მწერი გადაკვეთს. პეპლების დასაცავად, გზებზე სპეციალური ბადეებიც იდგმება, ულტრაიისფერი ნათურები კი, მათ უსაფრთხო ადგილებისკენ მიიზიდავს. ტაივანის ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ ავტომაგისტრალზე მოძრაობის შეზღუდვა ამ მონაკვეთზე საცობების რაოდენობას გაზრდის, მაგრამ გადაწყვიტა, რომ კუნძულის ფაუნის შენარჩუნება ამ მსხვერპლშეწირვად ნამდვილად ღირდა. მწერების უსაფრთხოებისთვის გაწეულმა ხარჯებმა 30.000 დოლარი შეადგინა. „ადამიანებმა სხვა სახეობებთან, თუნდაც უბრალო პეპლებთან თანაარსებობა უნდა შეძლონ", — ამბობს ტაივანის ეროვნული ავტოსაგზაო სააგენტოს წარმომადგენელი ლი ტაიმინი. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ უსაფრთხოების მსგავსი ზომები ყველა სახეობის მწერის სრულ გადარჩენას ვერ უზრუნველყოფს, მაგრამ მათ სიკვდილიანობას მნიშვნელოვნად შეამცირებს. ■



# ფოტოკურიოზები











TB STARS

# პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ნ 55/14.



ღრმაღელე

M

გურამიშვილი

M

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით



PASCHAL

ბინები 57 მ² – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 მ²
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")